

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო შრომათა კრებული

№7

SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM  
TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY

თბილისი-TBILISI  
2017



**გურამ თავართქილაძის სასწავლო  
უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა  
კრებული  
№7**

**გამოდის 2011 წლიდან**



**გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2017**



**SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM  
TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY  
VOLUME  
№7**

**Published since 2011**



Publishing House “**UNIVERSAL**”

Tbilisi 2017

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ყოველწლიურ, მრავალდარგობრივ სამეცნიერო შრომათა კრებულში წარმოდგენილი ნაშრომები ეძღვნება სამართლის, ეკონომიკის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური საკითხების კვლევას.

გამოცემის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართველი და უცხოელი ავტორების, განსაკუთრებით, ახალგაზრდა სპეციალისტების, მეცნიერული ძიების გაღრმავებას, ორიგინალური კონცეფციების წარმოჩენას, აკადემიური კონტაქტების გაფართოებას და ერთობლივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების შექმნას, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გახორციელებული საქმიანობის შედეგად შემოთავაზებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გაშუქებას.



*The papers presented in annual, multi-branch journal \_Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University\_ cover the acute problems of economic, social, humanitarian and law sciences.*

*The purpose of the journal is to foster the scientific research carried out by Georgian and foreign authors, especially those conducted by young specialists; reveal and encourage original conceptions; broaden academic contacts and create joint scientific and research projects; highlight the conclusions and recommendations offered by international organizations, as a consequence of their work carried out in Georgia.*

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულის სარედაქციო საბჭო

გიორგი მათიაშვილი (თავმჯდომარე), გელა ალადაშვილი, ჩერეკ ბუსტრა (ნიდერლანდების სამეფო), ინგა დიაკონიძე, ვალერი ვაშაკიძე (მთავარი რედაქტორი), დიკ ვეინანდსი (ნიდერლანდების სამეფო), მარინა ვეკუა, ამირან თავართქილაძე (პასუხისმგებელი მდივანი), სერგეი იაკუბოვსკი (უკრაინა), გივი ლობჯანიძე, ამიდ ნიზჰადი (აშშ), რაინჰარდ პაულინგი (გერმანია), თალიკო ჟვანია, ჟილ რუე (საფრანგეთი), მაია უკლება, შენგელი ფიცხელაური, ლია შენგელია (ტექნიკური რედაქტორი), რომან შენგელია, ლალი ჩაგელიშვილი, ბარბარა ჰაინესი (აშშ).

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული რეფერირდება ტექნიფორმის ქართულ რეფერატულ ჟურნალში (ქრჟ).

ქრჟ ელექტრონული ფორმით გამოდის ქართულ და ინგლისურ ენებზე და განთავსებულია ინტერნეტში ტექნიფორმის ინსტიტუტის საიტზე [www.tech.caucasus.net](http://www.tech.caucasus.net)

#### Scientific Proceeding of Guram Tavartkiladze Teaching University

Giorgi Matiashvili (Head of the Editorial Boards), Gela Aladashvili, Tjerk Busstra (Netherlands), Lali Chagelishvili, Inga Diakonidze, Barbara Hines (USA), Nezhad Hameed (USA), Sergei Yakubovskiy (Ukraine), Givi Lobjanidze, Reinhard Pauling (Germany), Shengeli Pitskelauri, Gilles Rouet (France), Lia Shengelia (Technical Editor), Roman Shengelia, Amiran Tavartkiladze (Secretary Editor), Maia Ukleba, Valeri Vashakidze (Chief Editor), Dik Veinands (Netherlands), Marina Vekua, Taliko Zhvania, Dik Weijnands (Netherlands).

Collection of scientific works of Guram Tavartkiladze Teaching University is reviewed in Georgian reviewed journal of Techinform (GRJ).

Electronic version of GRJ is issued in Georgian and English Languages and is set on the following site: [www.tech.caucasus.net](http://www.tech.caucasus.net)

ISSN 2587-4543

© გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, 2017

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2017

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge); [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com)

# შინაარსი CONTENTS

## სამართლის მეცნიერებები SCIENCES OF LAW

- გ. ლობჯანიძე** - სამართლის მეთოდების შესავალი ..... 7  
**G. Lobzhanidze** - Law Methods' Introduction
- შ. ფიცხელაური** - საუბრების ჩანერისა და კონტროლის განხორციელების ტექტიკა..... 10  
**Sh. Pitskelauri** - Conversation Insert and Control Implementation Technics
- რ. შენგელია, ე. შენგელია** - ფულის წარმოშობა-განვითარების ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები..... 13  
**R. Shengelia, E. Shengelia** - Economic and Legal Aspects of the Origin-Development of Money

## ეკონომიკის მეცნიერებები SCIENCE OF ECONOMICS

- ბ. ალადაშვილი** - ეკონომიკური სანქციები, როგორც გეოპოლიტიკური იარაღი ..... 20  
**B. Aladashvili** - Economic Sanctions as Geopolitical Weapon
- გ. ალადაშვილი** - მენარმეობის სტიმულირების თანამედროვე გამოწვევები..... 25  
**G. Aladashvili** - Contemporary Challenges of Entrepreneurial Stimulation
- ი. ბოჭორიშვილი** - ინტერნეტი და ელექტრონული კომუნიკაციები ბიზნესში ..... 30  
**I. Bochorishvili** - The Internet and electronic communications in Business
- დ. ვეკუა** - საქართველოს ეკონომიკური განვითარების პარადიგმა ..... 34  
**D. Vekua** - Paradigm of Georgian Economic Development
- ქ. ზაკარეიშვილი** - ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბუნდოვანი ტექსტის განმარტება ..... 40  
**K. Zakareishvili** - Definition of Vague text of Standard Terms of the Agreement
- ს. თავართქილაძე** - ციფრული ეკონომიკა - მომავლის ეკონომიკა ..... 45  
**S. Tavartkiladze** - Cyber Economics – Economics of the Future
- დ. კბილაძე** - სურსათის წარმოებისა და მოხმარების ისტორიულ-სტატისტიკური ასპექტები საქართველოში..... 53  
**D. Kbiladze** - Historic and Statistic Aspects of Food Production and Consumption in Georgia
- ნ. კვარაცხელია, გ. ყუფარაძე** - ჰიდროთერმული სპაინდუსტრიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი მსოფლიოსა და საქართველოში..... 58  
**Kvaratskhelia, G. Kuparadze** - Some Historic Issues of Hydrothermal Spa Industry in the World and in Georgia
- ლ. ლაზვიაშვილი** - კომპანიის მართვის თანამედროვე ფასეულობები..... 67  
**L. Lazviashvili** - Modern Values of the Company
- ზ. ლაოშვილი** - გეოინფორმაციული სისტემების ტექნიკური უზრუნველყოფა ..... 71  
**Z. Laoshvili** - Technical Support of Geoinformation Systems
- მ. მიქელაძე** - Data mining ტექნოლოგიები საცალო გაყიდვების ანალიზისთვის ..... 78  
**M. Mikeladze** - Data Mining Technologies for Retail Sales Analysis
- თ. ჟვანია, ა. კობიაშვილი** - სანარმოო პროცესების მართვის ექსპერტული სისტემის მოდელი..... 84  
**T. Zhvania, A. Kobiashvili** - AN EXPERT SYSTEM MODEL PRODUCTION PROCESSES CONTROL

აღ. ჟუკაუსკასი - ლიტვის გაერთიანება ევროზონაში და მისი გავლენა ევროპის ცენტრალურ ბანკზე .....	89
<b>Al. Jukauskas</b> - Lithuania's entry into the euro zone and its impact on the European Central Bank	
<b>პ. სანკესი</b> - გლობალიზაცია .....	95
<b>P. Sankess</b> - Globalisation	
<b>გ. სახოკია</b> - ეფექტიანობის აუდიტი - აუდიტის თვისობრივად განსხვავებული ტიპი .....	98
<b>G. Sakhokia</b> - Performance Audit - Qualitatively Different Type of Audit	
<b>ლ. ტაბატაძე</b> - მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრირება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში .....	104
<b>L. Tabatadze</b> - Small and medium business administration in EU countries	

**სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები**  
**HUMANITY AND SOCIAL SCIENCES**

<b>ნ. ახალაშვილი</b> - მიღწევის მოტივაცია და პიროვნების ტიპოლოგია .....	107
<b>N. Akhalashvili</b> - Motivation of Achievement and Typology of Personality	
<b>ნ. ბოჭორიშვილი, ნ. ლომსაძე</b> - საგანმანათლებლო ინოვაციური ტექნოლოგიები სწავლების პროცესში .....	114
<b>N. Bochorishvili, N. Lomsadze</b> - Educational Technology Innovations supporting teaching process	
<b>ი. გერსამია</b> - მოძრავი თამაში, როგორც ბავშვის შფოთვის დონის შემცირების საშუალება საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის პროცესში .....	118
<b>I. Gersamia</b> - Active game as a way of reducing anxiety during the adaptation of a child to kindergarten	
<b>აღ. დაუშვილი</b> - საბჭოთა ხელისუფლება და სამონასტრო ცხოვრება (1921-1922 წწ.) .....	123
<b>Al. Daushvili</b> - Soviet Authority and Monastic Life (1921-1922)	
<b>გ. კუტალაძე</b> - საჯავახო ქვეყანა .....	130
<b>G. Kutaladze</b> - Country Sajavakho	
<b>ლ. კუტუბიძე, მ. ზუბაშვილი</b> - სარედაქციო დამოუკიდებლობა და ლიდერის ფაქტორი .....	138
<b>L. Kutubidze, M. Zubashvili</b> - The Impact of the Leader on the Editorial Independence	
<b>თ. მერაბიშვილი</b> - პოლიტიკური დისკურსის პარამეტრების ნაირსახეობა .....	143
<b>T. Merabishvili</b> - Variety of Political Discourse Parameters	
<b>თ. ტუხაშვილი</b> - თირკმლის დონორთა ფსიქოლოგიური ფაქტორების მიმოხილვა .....	146
<b>T. Tukhashvili</b> - Review of kidney donors' psychological factors	
<b>თ. ფანცულაია</b> - ბიზნესის ეთიკური პრობლემები. მორალური პასუხისმგებლობა. ზნეობრივი აზროვნების წესი .....	149
<b>T. Pantsulaia</b> - Ethical Problems of Business. Moral Responsibility. The Rule of Moral Thinking	
<b>ნ. ყუფარაძე</b> - ბიოეთიკა და ქრისტიანობის ძირითადი მიმართულებები .....	154
<b>N. Kuparadze</b> - Bioethics and Main Directions of Christianity	
<b>ლ. შენგელია</b> - აგრესიული ქცევა მოზარდებსა და ახალგაზრდებში .....	159
<b>L. Shengelia</b> - Aggressive Behavior in Young People and in Adult (General overview)	
<b>დ. ჩიკვილაძე</b> - „სულის არისტოკრატი“ უცხოელის თვალსაწიერით .....	163
<b>D. Chikviladze</b> - "Aristocrat of the Spirit" by the alien's perspective	
<b>ლ. ჯანგებაშვილი</b> - ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიური ხედვის გრიგოლ რობაქიძისეული გააზრება .....	167
<b>L. Jangebashvili</b> - Grigol Robakidze's View of Friedrich Nietzsche's Philosophical Vision	



## სამართლის მეცნიერებები

### გ. ლოპხანიძე

#### სამართლის მეთოდების შესავალი

ნებისმიერ სასწავლო დისციპლინას თუ დარგს აქვს კვლევის ობიექტი ანუ ინტერესთა სფერო, საგანი, რისთვისაც ჯერ კიდევ იდეაში ყალიბდება საკითხთა ის რიგი, რომელთა ლოგიკური დანყოფილება ქმნის მის სტრუქტურას.

მეთოდოლოგია ანუ მეთოდები, უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა არა მარტო იურისპრუდენციაში, არამედ ზოგადად მეცნიერებისათვის, საბუნებისმეტყველო იგი თუ საზოგადოებრივი.

როგორც ბუნებაში, ასევე საზოგადოებაში, მით უმეტეს სამართალში, მიმდინარე პროცესების შეფასების დროს დასაბამიდანვე დადგა მეთოდების დაკონკრეტებისა და პრაქტიკაში გამოყენების პრობლემა, ანუ „მიზნის“ მიღწევათა საშუალების მოძიება. სამართალს ქმნის ნორმათა, კანონთა ერთობლიობა, ხოლო კანონი წარმოადგენს სიტყვებში გამოთქმულ სავალდებულო წესებს. გერმანელი სამართალმცოდნის რ. ციპილიუსის აზრით, „კანონის სიტყვებში გამოხატვის ფორმა აქცევს პოზიტიურ სამართალს სემანტიკური პრობლემებისა და მეთოდების საგნად, რომლებიც იურიდიული მეთოდების მოძღვრების მნიშვნელოვან ნაწილს ქმნიან“<sup>1</sup> სხვა საკითხებთან ერთად.

მეცნიერთა ნაწილის აზრით, მეთოდის პრობლემის ძირითადი ასპექტები ჯერ კიდევ დაუმუშავებელია და მეთოდის ცნება გაგებულია ვინაშინ. სპეციალურ ლიტერატურაში არ ხდება მეთოდების სიღრმისეული ასპექტების განხილვა და მათ მოიაზრებენ როგორც შემეცნების საშუალებას.<sup>2</sup> მეთოდოლოგიაში მრავალი მეთოდი ცნობილი, რომლებსაც დღემდე იყენებენ მკვლევრები, მაგრამ ყველა მიჩნეულია ფილოსოფიური შემეცნების მეთოდებად. სინამდვილეში კი ნებისმიერი სფეროსათვის შემეცნების საშუალება, როგორც მეთოდი, შესასწავლი საგნის გაგების ხერხია. აზროვნებაში მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების შეგნებული გამოყენება არის ახალი ცოდნის მიღების უარსებითი პირობა. მეცნიერული შემეცნების განვითარების პროცესში ისეთი ზოგადი მიდგომები გამოიშვა, როგორცაა ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ანალოგია, შედარება, ექსპერიმენტი, დაკვირვება და სხვა. შემეცნების ყველა მეთოდის საფუძველი სინამდვილის ობიექტური კანონებია. ამიტომ მეთოდი განუყოფლად არის დაკავშირებული თეორიასა და პრაქტიკასთან, რამაც განაპირობა ზოგადმეცნიერული, კონკრეტულ-მეცნიერული კვლევის სპეციალური მეთოდები და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლის მეთოდოლოგიის შესწავლის დროს გამოყენებული იქნება ფილოსოფიური კვლევის ის მეთოდები, რომლებიც უფრო მიესადაგება სამართლის სფეროს. ამ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუვლით ზოგადმეცნიერული კვლევის დიალექტიკურ მეთოდს, რადგანაც მისთვის დამახასიათებელია სამყაროს შემეცნებისა და მიმდინარე პროცესების შესწავლა, კავშირების ძებნა საყოველთაო ცვალებადობის აღმავალ განვითარებაში, წინააღმდეგობა და ერთიანობა მათთვის თანამდევ პრინციპებს შორის. მაგ: ისეთი ფილოსოფიური კატეგორიები, როგორცაა „შინაარსი და ფორმა“, „შესაძლებლობა და სინამდვილე“, „შემთხვევითობა და აუცილებლობა“, „არსი და მოვლენა“, „მიზეზი და შედეგი“, „ისტორიული და ლოგიკური“, „ზოგადი და ცალკეული“, „თავისუფლება და პასუხისმგებლობა“ და ა.შ. იძლევა საშუალებას თავიდან ავიცილოთ სამართლებრივი მოვლენების ცალმხრივი წარმოდგენები. მიზეზი და შედეგი მექანიკურად, დროსა და სივრცეში კი არ კავშირდებიან, არამედ ლოგიკურად.<sup>3</sup> თავის დროზე სოკრატესა და პლატონის დიალექტიკური მეთოდის ამოცანას წარმოადგენდა ჭეშმარიტი ცოდნის მოპოვება.

წყაროებიდან ჩანს, რომ სოკრატეს ფილოსოფიის მეთოდი დიალექტიკური („დიალექტისთაი“) იყო. დავა, კამათი, აზრთა წინააღმდეგობა და მათი დაძლევა სოკრატეს ჭეშმარიტების აღმოჩენის საუკეთესო საშუალებად მიაჩნია. სწორედ ამ მეთოდით – კამათის ხელოვნებით ებრძოდა იგი მის თანამედროვე სოფის-

<sup>1</sup> რ. ციპილიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, 2006, გვ. 1.

<sup>2</sup> მხედველობაშია ადამიანის ფენომენის, მისი ყოფიერებისა და არსის ბოლომდე აუხსნელობა, რადგანაც შემეცნების მეთოდებს თვით ადამიანი იყენებს.

<sup>3</sup> არჩ. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი I, 1911, გვ. 74.





ტებსაც და ადრინდელ ფილოსოფიურ მოძღვრებათა წარმომადგენლებსაც.<sup>1</sup> დემოკრიტე თავის მოღვაწეობაში ხშირად მიმართავდა შედარებით მეთოდს.

ცნობილია, რომ არისტოტელე იყენებდა მეთოდს, რომელსაც უნდა უზრუნველყო არსისა და აზრის პირველი მიზეზების დადგენა, რომელიც შემეცნების მეთოდს წარმოადგენდა. ფ. ბეკონი მეთოდს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ცნობილია მისი გამონათქვამი – „მეთოდი მკვლევარს გზას უნათებს, ფარნით გზაზე მიმავალი კოჭლიც კი გაასწრებს იმას, ვინც უგზო-უკვალოდ გარბის სიბნელეში.“ მას სურდა ისეთი მეთოდი შემუშავებულიყო, რომელიც შეძლებდა ბუნების მოვლენათა მიზეზების შემეცნებას. დეკარტი ეძებდა ისეთ ნათელ და გარკვეულ საწყის დებულებას, რომელიც უზრუნველყოფდა სამყაროს შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის შემუშავებასაც და ამ ცოდნის სისტემის შექმნასაც. მეტაფიზიკური მეთოდი ერთ-ერთი უძველესი მეთოდია და მას კონკრეტულობა ახასიათებს, რომელიც საგნებსა და მოვლენებს განიხილავს ერთმანეთისაგან განცალკევებულად, ამ მეთოდს საბჭოური ფილოსოფია უგულვებელყოფდა, დღეს კი მას საკმაოდ ფართო გამოყენება აქვს მეცნიერებაში. თუმცა ფილოსოფიის მკვლევართა აზრით, მეტაფიზიკა პირველად შეარყია კანტმა, მან შემოიტანა დებულებები საპირისპირო ძალთა მნიშვნელობაზე ფიზიკურ და კოსმოგონიურ პროცესებში. დეკარტის შემდეგ პირველმა დაამკვიდრა ბუნების განვითარების იდეა შემეცნებაში. კანტი ნაშრომში „ანტინომიების შესახებ, დიალექტიკურ იდეებს“ ავითარებს. ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის ამოცანას შეადგენდა აბსოლუტური იდეის განვითარების კანონზომიერების შემეცნება.

საბოლოოდ, სამართალში ჩამოყალიბებულია ადამიანის მიზნის მიღწევის გზებისა და საშუალებების მიხედვით საზრისის რეალიზაციის ზოგადი და კონკრეტული მეთოდები, რაც იმას ნიშნავს, „თუ მიზანი ზოგადი, საერთო ადამიანურია, მისი რეალიზაციის მეთოდიც ზოგადი იქნება, ხოლო თუ ადამიანთა მიზნები კონკრეტულია, მათი რეალიზაციის მეთოდებიც კონკრეტული ხასიათის იქნება“.<sup>2</sup> დღესაც ლოგიკური მსჯელობის თვალსაზრისიდან ლოგიკურ მეთოდს არ დაუკარგავს მნიშვნელობა, მისი პრინციპია, ერთი ცნებიდან მეორე ცნების გონებაჭრეტი გამოყვანა, რაც მსჯელობის ფორმას ღებულობს.

აქედან გამომდინარე, იურისპრუდენციაში დამკვიდრებულ შედარებითი სამართალმცოდნეობის მეთოდს თავისი ადგილი უკავია სამართლის ფილოსოფიის კვლევის შემთხვევაშიც.

შედარებით-ისტორიული მეთოდი სხვადასხვა მოვლენის კვლევისა და ახსნის წესია, რომელიც ამ მოვლენების ფორმის მიხედვით მსგავსების და გენეტიკური ნათესაობის დადგენას ემსახურება. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა უძველესი ელემენტების აღდგენა და შედარება, რომლებიც საერთოა მატერიალური კულტურისა და ცოდნის განსხვავებული სფეროებისათვის, აღნიშნული მეთოდის დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანეს ვ. ჰუმბოლდტმა და კონტმა.

სამართლის წყაროთა შესწავლა, შეფასება და ანალიზი დაკავშირებულია შესაბამის მეთოდებთან, რადგანაც ფორმის ცნება ჯერ კიდევ არისტოტელესთან გულისხმობს იმ ძალას, რომლისგანაც წარმოდგებოდა ესა თუ ის მოვლენა. რომელი იურისტები ძირითადად ბერძნული სამართლის ფილოსოფიას ეყრდნობოდნენ და ავითარებდნენ. ამ შემთხვევაში გვანტიერებს მისი ზოგადშემეცნებითი მნიშვნელობა, რომელიც სამართლის იდეას ქმნის. წყაროს (ფორმის) მეშვეობით სამართლის იდეა იძენს თავისებებსა და ნიშნებს.

სამართლის მეთოდოლოგიის ფორმად (წყაროდ) შეიძლება განვიხილოთ ზოგადად სამართალი, რომელიც გააზრების საფუძველზე ჩნდება. უკეთესი სამართლის შექმნის იდეა, როგორც წესი, დინამიურ რეჟიმში იმყოფება და რომლის გაცნობიერებაში გვეხმარება მეთოდოლოგია.

მეთოდოლოგიასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს წყაროთმცოდნეობის საკითხებსაც, რადგანაც არ არსებობს შემეცნების პროცესი წყაროს გარეშე. არსებობს წყაროს განმარტების (ცნების) ვიწრო და ფართო გაგება. ზოგადმეცნიერული თვალსაზრისით, „წყარო“ არის ის ძალა და ენერგია, „რითაც საზრდოობს ესა თუ ის მოვლენა“. სამართლის „ბენებრივ წყაროს“ წარმოადგენს ხალხის ნება, რომელსაც ეფუძნება სახელმწიფოსა და სამართლის არსებობა და როგორც თვით ხალხი, ასევე სამართალიც გადის ჩამოყალიბების პროცესს.<sup>3</sup> იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით წყაროსა და ფორმის საერთო სინონიმებით მოხსენიებას, ზოგნი კი წერენ, „კანონი არის სამართლის წყარო“ და ა.შ.

ეს ექსკურსი იმისათვის გავაკეთეთ, რომ მივუთითოთ, თუ ნაშრომზე მუშაობის პროცესში რა წყაროებს დავყვარდებით. აღსანიშნავია ევროპელ ავტორთაგან, იერიხის, სმიტის, ციპელიუსის, კელზენის, შო-

<sup>1</sup> ქსენოფონტი, მოგონებები სოკრატეზე, სოკრატეს აპოლოგია, თბ., 1973, გვ. 12.

<sup>2</sup> ფილოსოფიური ძიებანი, თბ., 1977, გვ. 284.

<sup>3</sup> G. F. Puchta, Cursus der institutionen, Bd. 1, 10 Aufl (1893), ss gff, 34.



პენჰაუერის, კანტის, ჰეგელის, სავიგნისა და სხვათა ნაშრომები. რუსი მეცნიერების, პეტრაჟიციკის, კოვალევსკის, ალექსეევის, ნერსესიანცის, ტიხონრაჟოვის, კისტიაკოვსკის, ალექსანდროვის, როზენტალის, ქერიმოვისა და სხვათა მონოგრაფიები თუ სტატიები. ქართველი მეცნიერების, ალ. ვაჩიშვილის, ბ. ლუტიძის, ა. კოსტავას, გ. ხუბუას, ბ. სავანელის, ნ. მაისურაძის, გ. ნაჭყებias, შ. ფაფიაშვილის, რ. გოგშელიძის, ა. ფალიაშვილისა და სხვათა ნიგნები, ჩვენზე ნაშრომები და ა.შ.

შემეცნების ფორმად (წყაროდ) იურისტები მართლმსაჯულების განხორციელებასაც მიიჩნევენ.

სამართლის მეთოდოლოგიის „დასაწყისსა და დასასრულს“ განსაზღვრავს ფილოსოფია. ფილოსოფიის ზოგადი პრობლემა მუდმივად იჩენს თავს სამართლის მეთოდოლოგიაში, რადგანაც ს. სმიტის აზრით, სამართლის ფილოსოფია იკვლევს სამართალს არა იურიდიული მეცნიერების საზღვრებში, არამედ ემორჩილება (მისდევს) ფილოსოფიის მეთოდურ მითითებებს,<sup>1</sup> რაც განაპირობებს მეთოდოლოგიის სპეციფიურობას.

### დამონებული წყაროები და ლიტერატურა

1. ფილოსოფიური ძიებანი, თბ., 1977.
2. ქსენოფონტი, მოგონებები სოკრატეზე, სოკრატეს აპოლოგია, თბ., 1973.
3. ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, 2006.
4. ჯორჯადე არჩ., თხზ., ნიგნი I, 1911.
5. Puchta G. F., Cursus der institutionen, Bd. 1, 10 Aufl (1893).
6. Smit, St. Eineuhung idei Philosophie des Reehis, Munchen, 1991.

### გ. ლობჟანიძე

#### სამართლის მეთოდების შესავალი რეზიუმე

მეთოდოლოგია ანუ მეთოდები უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა არა მარტო იურისპრუდენციაში, არამედ ზოგადად მეცნიერებისათვის, საბუნებისმეტყველო იგი თუ საზოგადოებრივი.

სამართლის მეთოდოლოგიის შესწავლის დროს გამოიყენება ფილოსოფიური კვლევის ის მეთოდები, რომლებიც უფრო მიესადაგება სამართლის სფეროს.

სამართლის წყაროთა შესწავლა, შეფასება და ანალიზი დაკავშირებულია შესაბამის მეთოდებთან, წყაროს (ფორმის) მეშვეობით სამართლის იდეა იძენს თვისებებსა და ნიშნებს.

### G. Lobzhanidze

#### Law Methods' Introduction Summary

Methodology or methods are important direction not only in jurisprudence but for general science, both for natural and social.

During study of the law methodology those philosophical methods are used that are more convenient for the law field.

The law sources' study, estimation and analysis are connected with the corresponding methods and through the source (form) the law idea receives the features and signs.

<sup>1</sup> Smit, St. Eineuhung idei Philosophie des Reehis, Munchen, 1991, s. 19-20



## მ. ფიცხელაური

### საუბრაბის ჩანარისა და კონტროლის განხორციელების ტექნიკა

სხვადასხვა სახის დანაშაული, განსაკუთრებით ისეთი მძიმე, როგორცაა გამოძალვა, ადამიანის გატაცება, მძევლად აყვანა და სხვა განსაკუთრებული ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 181-ე მუხლის მიხედვით, გამოძალვა მიჩნეულია „სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების ანდა მათთვის სახელის გამტეხი ცნობის გახმაურება ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები“.<sup>1</sup>

ადამიანის გატაცება და მძევლად ხელში ჩაგდება შესაძლებელია მოხდეს ტერორისტული მიზნითაც ან რელიგიური მოტივით, რაც ამ უკანასკნელ პერიოდში ძალზე გახშირდა, რითაც აიძულებენ სხვადასხვა უწყებებს და დაწესებულებებს შეასრულონ ან არ შეასრულონ ესა თუ ის ქმედება.

ამ სახის დანაშაულის არიალი ფართოა. იგი შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების ან მათი ოჯახის წევრების მიმართ, ასევე უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვისადმი დაქვემდებარებული პირის მიმართ<sup>2</sup> და ა.შ.

აღნიშნული დანაშაულობანი მეტწილად ჩადენილია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ, რომლის წევრებიც ხშირად წარმართავენ სატელეფონო და სხვა სახის მოლაპარაკებებს თანამონაწილეებთან, თავის მსხვერპლთან, მათ ნათესავებთან, ახლო ადამიანებთან და სხვ. ეს საუბრები შეიძლება შეიცავდეს და ხშირ შემთხვევაში შეიცავს დამატებით ინფორმაციას, რომელსაც აქვს სისხლის სამართლის საქმისათვის მტკიცებულებითი, საორიენტაციო და სხვა სახის მნიშვნელობა.

ამ გარემოების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილია ნორმა (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლი), რომელიც საშუალო სიმძიმის, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისას გამოძიებელს, თუ მას აქვს საკმარისი საფუძველი ივარაუდოს, რომ პირის, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება და სხვა პირთა სატელეფონო საუბრები შეიძლება შეიცავდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, უფლებას აძლევს აწარმოოს მათი ჩანერა და კონტროლი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

და თუ გამოვლენილია ძალადობის ჩადენის მუქარის, გამოძალვის ან სხვა დანაშაულებრივი მოქმედების ფაქტი დაზარალებულთან, მონმესთან ან მათ ახლო ნათესავებთან და პირებთან მიმართებაში, მათი წერილობითი განცხადებით საპროცესო ნორმების დაცვით აღნიშნული საუბრების კონტროლი და ჩანერა შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების გარეშე და ასეთი განცხადების არარსებობის შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.<sup>3</sup>

სატელეფონო და სხვა სახის საუბრების კონტროლი და ჩანერა ხორციელდება სხვადასხვა ტექნიკურ მონყობილობათა დახმარებით, იმის მიხედვით, ელექტროკავშირის საშუალების რომელ სახეობას გამოიყენებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებას დაქვემდებარებული და სხვა პირი.

სატელეფონო და სხვა სახის საუბრების კონტროლი და ჩანერა ხორციელდება სხვადასხვა ტიპის სატელეფონო სადგურებზე, მოძრავი და უსადენო კავშირის სისტემათა შემკრებ ცენტრში და აგრეთვე საერთო სარგებლობის პერსონალური რადიოგამოძახების სისტემებში და ელექტროკავშირის სხვა ქსელებში. ამ საუბრების კონტროლსა და ჩანანერს ერთობლივად აწარმოებენ სამართალდამცავი ორგანოების სპეციალური ქვედანაყოფები კავშირის ოპერატორები ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების სისტემის დახმარებით. საქმე რთულდება იმ შემთხვევაში, თუ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას დაქვემდებარებული, ბრალდებული და სხვა პირი იყენებენ ელექტროკავშირის საშუალებებს, რომელიც ეფუძნება მოქმედების უსადენო პრინციპს და რომელსაც არ გააჩნია კომუტაციის ან რეტრანსლაციის ცენტრი. ასეთ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოების ქვედანაყოფები გამოიყენებენ სპეციალურ აპარატურას, რომელიც ახდენს კავშირის ამ არხებიდან ინფორმაციის პელენგაციას, მოსმენას (გადაღებას) და ფიქსირებას. აღნიშნული მოქმედებები ხორციელდება სამართალდამცავი ორგანოების შესაბამისი დანაყოფების მიერ, რო-

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2014 გვ. 91.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 179.

<sup>3</sup> შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (განსაკუთრებული ნაწილი), სახელმძღვანელო, თბ., 2013, გვ. 276.



მელსაც აქვს საჭირო ტექნიკური საშუალებები და აპარატურა. ეს მოქმედებები შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე თვემდე და მათი შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე.

აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება წარმოადგენს გამომძიებლისა და ოპერატიულ-სამძებრო მუშაკების მოქმედების კომპლექსს ფონოგრამის კონტროლის, ჩანერის, დათვალიერებისა და მოსმენის საკითხში.<sup>1</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე პუნქტის თანახმად, მტკიცებულებად და დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ანდა ფოტო, კინო-ვიდეო-ბეგრისა თუ სხვა ჩანანერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

როგორც ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედება, საუბრის კონტროლი და ჩანერა მოითხოვს გარკვეულ მომზადებას, რის საფუძველზეც ხდება:

- საგამოძიებო სიტუაციის ანალიზი და შეფასება, რომელიც მოითხოვს მოცემული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას;

- აბონენტების ტელეფონების ნომრების ან მათ მიერ გამოყენებული კავშირის სხვა არხების დაზუსტებას, რომლის მეშვეობითაც შეიძლება განხორციელდეს გამომძიებლისათვის საინტერესო პირების საუბრების ან მათ მიერ ინფორმაციის გადაცემის დაფიქსირება;

- ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა კონტროლისა და ჩანერის დრო, ხანგრძლივობა და ხერხი.

- სასამართლოს ნებართვის მიღება და მისი დადგენილებასთან ერთად გადაცემა იმ ორგანოსთვის, რომელიც ახორციელებს საუბრების კონტროლსა და ჩანერას.

სატელეფონო და სხვა სახის საუბრების კონტროლი და ჩანერა ხორციელდება გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე, რომელიც შემდგომ შესასრულებლად ეგზავნება შესაბამის ორგანოს.

საუბრების კონტროლის და ჩანერის წარმოების ნებისმიერ მომენტში გამომძიებელს შეუძლია გამოითხოვოს ამ ორგანოდან ფონოგრამა, დაათვალიეროს და მოუსმინოს მას. ფონოგრამა უნდა გადაეცეს გამომძიებელს დალუქული სახით თანდართული წერილით, რომელშიც აღინიშნება საუბრების ჩანერის დაწყებისა და დასრულების თარიღი და დრო და აგრეთვე ამ პროცესის დროს გამოყენებული ტექნიკური საშუალებების მოკლე დახასიათება.

ფონოგრამის დათვალიერებისას ყურადღება უნდა მიექცეს კასეტის მარკას, მის თავისებურებას, მოხდა ჩანერა მთელ ლენტაზე თუ მხოლოდ მის ნაწილზე, არის თუ არა კასეტა დაცული შეცვლისაგან, ხომ არ აღინიშნება მის ზედაპირზე დაზიანება ან გახსნის კვალი.

ფონოგრამის მოსმენა ხდება გამომძიებლის მიერ დამსწრე პირების მონაწილეობით, აუცილებლობის შემთხვევაში სპეციალისტის ან იმ პირების თანდასწრებით, რომელთა დახმარებით დაზუსტდება, თუ ვისი სატელეფონო ან სხვა სახის საუბრებია ჩანერილი.

ფონოგრამის დათვალიერებისა და მოსმენის შემდეგ დგება ამ საგამოძიებო მოქმედების ოქმი. მასში ფიქსირდება კასეტის ზემოთ აღნიშნული მონაცემები, დაფიქსირდება მაგნიტოფონის მოდელი, რომლის მეშვეობითაც მოხდა მოსმენა და გადმოიცემა ფონოგრამის ის ნაწილი, რომელიც, გამომძიებლის აზრით, ეხება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს.

მოსმენის შემდეგ კასეტა თავსდება ფუტლარში, რომელიც ინება „სკოჩის“ ლენტით და ხელმოწერილია გამომძიებლისა და დამსწრე პირების მიერ.

თვით ფონოგრამა ერთვება სისხლის სამართლის საქმის მასალებს გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე, როგორც ნივთმტკიცება და ინახება დალუქული სახით, რითაც გამორიცხულია სხვის მიერ მისი მოსმენა ან უცხო პირებისათვის ფონოგრამის ტირაჟირება; დაცულია მისი შენახვის პირობები, რათა შესაძლო იყოს მისი გამოყენება განმეორებითი მოსმენისათვის, აგრეთვე სასამართლოს სხდომაზეც.

აუცილებლობის შემთხვევაში ფონოგრამა შესაძლოა გახდეს შესაბამისი საექსპერტო კვლევის ობიექტიც.

სატელეფონო საუბრების მოსმენა შეიძლება ჩატარებულ იქნას სასამართლოს გადაწყვეტის საფუძველზე, როგორც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პროცესში. ამ ჩანანერების შედეგები, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება გადაეცეს გამომძიებელს საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად და გამოყენებული იქნას მტკიცებულად სისხლის სამართლის საქმეში.

<sup>1</sup> რ. გოგუელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, თბ., 2009, გვ. 80.



ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მსვლელობისას იგივე მონაცემებისა და პირობების არსებობისას შეიძლება ჩატარებულ იქნას ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, როგორცაა ინფორმაციის მოხსნა კავშირის ტექნიკური არხებიდან. ამ ღონისძიების არსი მდგომარეობს ინფორმაციის მიღებაში სპეციალური ტექნიკური საშუალებების მეშვეობით კონტროლის გზით ელექტრომაგნიტურ და სხვა ველებზე, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა მონაცემთა გადაცემის შედეგად ელექტროკავშირის ქსელის მეშვეობით კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო ქსელებისთვის და მონაცემთა სხვა ბაზებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას, შენახვას, მოძიებას და გავრცელებას. ამ ღონისძიებების მონაცემებიც აგრეთვე გადაეცემა გამომძიებელს და გამოიყენება როგორც მტკიცებულება.

ამრიგად, საუბრების ჩაწერისა და კონტროლის განხორციელების ტექტიკა მნიშვნელოვანი პროცესია კრიმინალისტიკაში და ტექნიკურ ევოლუციასთან ერთად მოითხოვს თეორიულ-სამართლებრივ დამუშავებასაც.

### **დამონშებული წყაროები და ლიტერატურა**

1. გოგშელიძე რ., ფალიაშვილი ა., კრიმინალისტიკა, თბ., 2009.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2014.
3. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (განსაკუთრებული ნაწილი), სახელმძღვანელო, თბ., 2013.

### **შ. ფიცხელაური**

#### **საუბრების ჩაწერისა და კონტროლის განხორციელების ტექტიკა რეზიუმე**

მოცემული ნაშრომი ეხება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მსვლელობისას განხორციელებულ საგამოძიებო მოქმედებებს, კონკრეტულად კი – საუბრების ჩაწერისა და კონტროლის განხორციელების ტექტიკას.

დანაშაულის არეალი ფართოა და შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების ან მათი ოჯახის წევრების მიმართ, ასევე უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვისადმი დაქვემდებარებული პირის მიმართ და ა.შ.

### **Sh. Pitskelauri**

#### **Conversation Insert and Control Implementation Technics Summary**

Presented work deals with the operative investigative activities, in particular – conversation insert and control implementation technics caused by different breaches of law.

The variety of crime is wide and can be executed against public-political figures and their family members, also against foreign official representatives or the person being under international- law defense, etc.





**რ. შინგალია, ე. შინგალია**

**ფულის წარმოშობა-განვითარების ეკონომიკური  
და სამართლებრივი ასპექტები**

1. ფულს უძველესი ისტორია აქვს. მისი წარმოშობა დაკავშირებულია საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებთან. ინტერესი მისი რაობის შესახებ დღესაც არ განელეზულა. მას მსოფლიო ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს საფუძვლადაც მიიჩნევენ და უდიდეს ბოროტებადაც. ყველა შემთხვევაში ფულს, მისი წარმოშობიდან დღემდე, ადამიანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ფულის წარმოშობის შესახებ უამრავ შეხედულებათა ფონზე, ყველაზე რეალურ და ლოგიკურ წარმოდგენას ქმნის ორი თეორია: პირველი არისტოტელეს დროიდან მომდინარეობს და პერიოდულად აქტიური მომხრეებიც უჩნდება. მათი აზრით, ფული შეთანხმების პროდუქტია, სუბიექტური ფაქტორის საფუძველზეა წარმოშობილი. ადამიანებს შორის მიღწეული შეთანხმება შემდეგ ქცევის სავალდებულო წესებში აისახა და განმტკიცდა. მეორე თეორიის მიხედვით ფული წარმოიშვა ევოლუციის პროცესის შედეგად, რომელმაც ადამიანისაგან დამოუკიდებლად, ობიექტური კანონზომიერების საფუძველზე გამოიწვია საგანთა საერთო მასისგან ზოგიერთი მათგანის გამოყოფა და მისთვის გაცვლის ფუნქციის მიკუთვნება. ასეთი თეორია შედარებით ახალია და დაკავშირებულია ა.სმითის, დ.რიკარდოს, კ.მარქსისა და მომდევნო პერიოდის სხვა გამოჩენილ მოაზროვნეებთან. მართალია, აღნიშნული თეორიების წყალგამყოფად სუბიექტურისა და ობიექტურის ერთმანეთისგან განსხვავებული კატეგორიები გამოდიან, მაგრამ საბოლოო ჯამში, მათ შორის არსებული საერთო ნიშნები ფულის წარმოშობის რეალური საფუძვლის კომპლექსურად გაანალიზების საშუალებას წარმოადგენს.

საზოგადოების განვითარების გზაზე მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენდა შრომის დიდი საზოგადოებრივი დანაწილება. მოსახლეობის ცალკეული ჯგუფები და ფენები სხვადასხვა საქონელს ამზადებდნენ. წარმოების პროცესმა დღის წესრიგში დააყენა წარმოებული საქონლის სხვაზე გადაცვლის აუცილებლობა. გადაცვლის პროცესს თან ახლდა ღირებულების მარტივი ფორმების ჩამოყალიბება. ეს ის პერიოდია, როცა გაცვლას ნატურალური ხასიათი გააჩნია. ამ დროს, ფულის გამოყენების გარეშე, ერთი საქონლის განსაზღვრული რაოდენობა იცვლებოდა მეორე საქონლის შესაბამის ოდენობაზე, ასეთ დროს გაცვლა შემთხვევით ხასიათს ატარებდა. მომდევნო პერიოდში იგი რეგულარულ ხასიათს ღებულობს.<sup>1</sup>

შესაბამისად ღირებულების მარტივი ფორმა (ერთი სახის საქონლის მეორეში გაცვლა) გადაიზარდა შედარებით რთულ ანუ სრულ ფორმაში (ერთი სახის საქონლის გაცვლა რამდენიმე სახის საქონელზე). შემდგომ ეტაპზე ღირებულების სრული ფორმა ერთგვარ შემაფერხებელ გარემოებად გადაიქცა რეგულარული გაცვლისათვის. ჯერ ერთი, იზრდებოდა იმ საქონლის რიცხვი, რომელშიც შეიძლებოდა გამოხატულიყო ამა თუ იმ საქონლის ღირებულება. მეორეც, თუ ერთი საქონლის მფლობელი მეორეს უცვლიდა საქონელს, ამ უკანასკნელს სჭირდებოდა არა პირველის, არამედ მესამის საქონელი. ამიტომ პირველსა და მეორე საქონელმწარმოებელს შორის გაცვლა შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ ბაზარზე აღმოჩნდებოდა ისეთი საქონელი, რომელიც ყველა სხვა საქონელზე გაიცვლებოდა და ასეთი საქონლის მეშვეობით მეორე საქონელმწარმოებელი ნებისმიერ სხვა საქონელს შეიძენდა. გაცვლის საყოველთაო ეკვივალენტის თვისებების მქონე საქონელზე მოთხოვნილება თანდათან იზრდებოდა. ასეთი საქონელი ღირებულების საყოველთაო ფორმის ანუ ფულის დამკვიდრების საფუძველი გახდა. საყოველთაო ეკვივალენტის ფუნქციის შესრულება შეეძლო რომელიმე შინაურ ცხოველს ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს და ა.შ. თუმცა ასეთი საქონლის სიმრავლე და მათი ნატურალური ხასიათი გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა ფართო მასშტაბებით გამოსაყენებელი საყოველთაო ეკვივალენტის მქონე საქონლის შესაქმნელად. საქონელწარმოებისა და გაცვლის გაფართოება თანდათან საფუძვლად დაედო ნატურალური ეკვივალენტის შეცვლას მყარი და ფართომასშტაბიანი საყოველთაო ეკვივალენტით. ასეთი როლის შესრულება დაეკისრა ვერცხლსა და ოქროს. დასაწყისში ფულის ფუნქციას წარმატებით ასრულებლა ვერცხლი. XVI-XVIII საუკუნეებში ვერცხლთან ერთად ღირებულების საყოველთაო ეკვივალენტად ოქროც გამოდიოდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან ოქროს უპირატესობა აშკარად იკვეთება და ამავე საუკუნის დასასრულიდან ვერცხლი სრულად შეცვალა ოქრომ. ამგვარად, საქონლის ღირებულების გამოხატვა ოქროს ღირებულებით, ოქროს განსაკუთრებული სახის საყოველთაო ეკვივალენტობას ადასტურებდა. მან დაიკავა მონოპოლიური მდგომარეობა და ფულად საქონლად გადაიქცა. ღირებულების ფულადი ფორმის უპირატესობა ოქროს შინაარსში კონცენტრირებულად აისახა. ოქრო, სხვა საქონლისაგან განსხვავებით, ხასიათდება ბევრი სპეციფიკური

<sup>1</sup> ფულის შესახებ დანვრილებით იხ. რ. ასათიანი, ფული და ფულადი სისტემები. თბ., 1996. შ.ქისტაური, ქართული ფული, თბ., 2007.



თავისებურებით. კერძოდ, ადვილად შეიძლება მისი დანაწევრება-დაყოფა ნებისმიერ სიდიდეებად ისე, რომ იგი არ კარგავს თავის თვისებებს; მის მცირე მოცულობაში კონცენტრირებულია დიდი ღირებულება; იგი არ ფუჭდება და ადვილია მისი შენახვა; ადვილია მისი ხარისხის შემოწმება სინჯის დადგენით; მისი ოდენობა ბუნებაში საკმაოდ შეზღუდულია და ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის. სწორედ ამ თვისებების გამო გადაიქცა იგი საყოველთაო სახმარი ღირებულების ეკვივალენტად და დაუპირისპირდა მხოლოდ სპეციფიკური სახმარი ღირებულების მატარებელ ყველა საქონელს. ამიტომაც გახდა ოქრო სიმდიდრისა და ძალაუფლების სიმბოლო. ამის გამო მოხდა მისი გაფეტიშება.

ვერცხლი და ოქრო ფულის როლში ჯერ ზოდების სახით გამოდიოდა. საქონლის ზოდებზე გაცვლის თითოეული აქტის დროს საჭირო იყო ლითონის დანაწევრება, წონისა და ხარისხის დადგენა და სხვ. ამიტომ ლოგიკურად წარმოიშვა იმის აუცილებლობა, რომ ზოდები შეცვლილიყო მონეტებით<sup>1</sup>, რომელშიც წინასწარ აისახებოდა წონისა და ხარისხის მაჩვენებლები. ფულმა მონეტის ფორმა მიიღო, შეიძინა ეროვნული სახე და მისი დამზადება სახელმწიფო მონოპოლიად იქცა. პირველი მონეტა მოიჭრა ძვ. წელთაღრიცხვის VII საუკუნეში ლიდიაში და გავრცელდა შავი და ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელმწიფოებში. უძველესი ქართული ვერცხლის მონეტა კი ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება. ფულის ისტორიაში მონეტარული პერიოდი ახალი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებამდე გრძელდებოდა. არსებობის ხანგრძლივმა პერიოდმა დამაჯერებლად დაადასტურა ქალაქის ფულის შემოღების აუცილებლობა. ლითონის ფულს ჭრიდა სახელმწიფოებაც და ქალაქებიც, მეფეებიცა და თავადებიც. მონეტების წონა და ხარისხი თანდათან კლებულობდა. ფულს ამზადებდნენ ნიკელისა და სპილენძისაგანაც, მონეტების მნიშვნელოვანი ოდენობის ტარება გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა.<sup>2</sup>

ეს პრობლემა ქალაქის ფულმა წარმატებით გადაჭრა. იგი სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქალაქია, რომელიც ლითონის ფულის ადგილს იჭერს და გადახდის კანონიერ საშუალებად ითვლება. ქალაქის ფული ღირებულების ნიშანია, რომელიც სრულფასოვან ფულს ცვლის მიმოქცევაში. ამიტომ მას არ მოეთხოვება, რომ საკუთარი ღირებულება ჰქონდეს და სრულფასოვანი იყოს. იგი ოქროს ცვლის ქალაქის სიმბოლოებით, ოქროს წარმომადგენელია. ქალაქის ფულის გამოშვების ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა VII საუკუნის ჩინეთში. იქ მიმოქცევაში იყო სპილენძის მონეტები. მათი შენახვა, გადათვლა და გადატანა საკმაოდ რთული იყო. ამიტომ იმპერატორ ლი ჯის განკარგულებით გამოშვებულ იქნა მაღალხარისხიანი ქალაქზე დაბეჭდილი ფულის ნიშანი, რომელსაც „პაო-ძი“ ეწოდა. ერთი ნიშანი ათი ათას სპილენძის მონეტას უდრიდა. ნებისმიერ დროს თავისუფლად შეიძლებოდა მისი გადახურდავევა სპილენძის მონეტებზე. ამით გამარტივდა ფულის მიმოქცევა, რამაც ქალაქის ფულის პოპულარობა განაპირობა. მოგვიანებით ჩინელებს მიბაძეს სპარსელებმა და იაპონელებმა, შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა ქალაქის ფული. ამჟამად თითქმის არც ერთ ქვეყანაში არ ხმარობენ ლითონის ფულს. ქალაქის ფულის შემოღებით იწყება ფულის ისტორიის ახალი ეტაპი – ემისიური (დეკრეტული) ფულის პერიოდი.

ვერცხლისა და ოქროს ზოდების სახით არსებული ფული, უპირველეს ყოვლისა, ღირებულების საზომის ფუნქციას ასრულებდა. ეს ზოდები თვითონ წარმოადგენდა განსაზღვრულ ღირებულებას, ამიტომ მათი სხვა ნებისმიერ საქონელთან თანაფარდობით ამ უკანასკნელთა ღირებულების განსაზღვრაც ადვილი შესაძლებელი იყო. უფრო მეტიც, ლითონის ფულით საქონლის ღირებულება იზომებოდა მანამდეც, ვიდრე ესა თუ ის საქონელი ფულზე გაიცვლებოდა. საქონლის ღირებულების ფულით გამოხატვისათვის არ იყო აუცილებელი ნაღდი ფულის რეალურად არსებობა. როცა საქონლის მფლობელი თავის საქონელს განსაზღვრულ ფასს ადებდა, იგი ქონებით გამოხატავდა საქონლის ღირებულებას. ვერცხლით ან ოქროთი ეს შესაძლებელი იყო სწორედ იმის გამო, რომ რეალურად არსებობდა ლითონის ფულის ღირებულების თანაფარდობის განსაზღვრის შესაძლებლობა ამა თუ იმ საქონლის ღირებულებასთან. ღირებულების საზომის სახით ჯერ ვერცხლი, შემდეგ კი ოქრო, როგორც ფულადი საქონელი, განსაზღვრავდა ყველა სხვა საქონლის ფასს. ეს პროცესი ყოველთვის განპირობებული იყო საქონლის ღირებულებისა და ლითონის ფულის ღირებულების ცვალებადობით, რაც თავისთავად იწვევდა ფასების ცვლილებებს. მაგალითად, თუ უცვლელი იყო ოქროს ღირებულება, მაშინ საქონლის ღირებულების გაზრდა საქონლის ფასის ზრდას იწვევდა და

<sup>1</sup> მონეტო – სახლი, რომელშიც ფულს ამზადებდნენ ძველ რომში. აქედანაა სახელწოდება „მონეტა“. ასეთი სახლი ადრე ქალღმერთ იუნონა მონეტას ტაძრის სახით არსებობდა ლიდის სახელმწიფოში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე.

<sup>2</sup> ცნობილია ასეთი ისტორიული კურორტი: „საუკუნის იტალიელი მხატვარი კორეჯო საკუთარმა ჰონორარმა იმსხვერპლა. მან ბოლო ნახატში აღებული თანხა – 25 კგ. სპილენძის მონეტები ტომრით რამოდენიმე კილომეტრი ატარა და სახლში მისვლის წინ დაიღუპა კიდეც.“



პირიქით – მისი შემცირება ინვევდა ფასის შემცირებასაც. საქონლის ღირებულების უცვლელიობის პირობებში მისი ფასი იზრდებოდა ოქროს ღირებულების შემცირებით და საქონლის ფასი ეცემოდა ოქროს ღირებულების გაზრდით. ოქროს ღირებულების ცვლილება ხშირად დამოკიდებული იყო სპილენძის საბადოების აღმოჩენასა და მისი წარმოების განვითარების დონეზე.

თანამედროვე პირობებში, როცა საქონელი ფულმა შეცვალა, ოქროს ფასის ცვლილება არ ინვევს სხვა საქონლის ფასების ცვლილებას. როგორც ცნობილია, ოქროს საყოველთაო ეკვივალენტად ფუნქციონირების ეპოქაში (მონომეტალიზმის პერიოდი – ბიმეტალიზმისაგან განსხვავებით, როცა ვერცხლი და ოქრო ერთდროულად ასრულებდა იმავე ფუნქციას) საქონლის ღირებულება გამოიხატებოდა ოქროს განსაზღვრული წონითი რაოდენობით, რომელიც მიღებული იყო ფულად ერთეულად, რაც იძლევა სხვადასხვა საქონლის შედარებისა და გაზომვის შესაძლებლობას. ფულადი ერთეული თავისი შიდა დანაყოფებით წარმოადგენს ფასების მასშტაბს. ოქროს ფულის პერიოდში ფასების მასშტაბი ასახავდა კანონით ფიქსირებულ ოქროს წონით რაოდენობას მოცემული ქვეყნის ფულად ერთეულში. ამ როლში ფული მარტო ღირებულების საზომი კი არ არის, არამედ საანგარიშო ერთეულიცაა. ეს სახეცვლილება ფულმა განიცადა მონომეტალიზმის ქალაქით შეცვლასთან დაკავშირებით.

ფასების მასშტაბს უმეტესად სახელმწიფო ადგენდა. იგი კანონმდებლობით პერიოდულად განსაზღვრავდა ფულადი ერთეულის ოქროს შემცველობას. ოქროს დემონეტაზაციის შემდეგ, ფულად ერთეულში ოქროს შემცველობის თანდათანობით შემცირებამ და ქალაქის ფულის დამკვიდრებამ გამოიწვია ოქროს ფულის სტატუსის შეცვლა. მან, ისე როგორც ვერცხლმა ერთი საუკუნის წინ, შეწყვიტა ლითონის ფულის ფორმით არსებობა. ოქრო, როგორც ფული, უკვე აღარ ფუნქციონირებს. ოქროს სტანდარტი შეიცვალა ქალაქის ფულის სტანდარტით. თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ფულად ერთეულს არავითარი კავშირი არა აქვს ოქროსთან, როგორც ფულთან. ახლა ქალაქის ფული წარმოადგენს ოქროს ნიშანს. იგი შემოღებულია სახელმწიფოს მიერ და მიკუთვნებული აქვს განსაზღვრული კურსი. იმის გამო, რომ საკუთარი ღირებულება არა აქვს, ქალაქის ფულს არ შეუძლია შეასრულოს ღირებულების საზომის ფუნქცია. იგი საანგარიშო ერთეულის როლში გამოდის და შეუძლია გამოხატოს ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების ფასი. ქალაქის ფულით ფასდება წარმოების მოცულობა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სხვა მაჩვენებლები. ქალაქის ფულსა და საქონლის ან მომსახურების ფასებს შორის არსებობს კანონზომიერი დამოკიდებულება: თუ ქალაქის ფულის მსყიდველობითი უნარი ეცემა, ფასები იზრდება და თუ მისი მსყიდველობითი უნარი იზრდება, მაშინ ფასები ეცემა.

ქალაქის ფულის გარანტი მისი გამომშვები სახელმწიფოა. მას კონკრეტული ფუნქციები ხელისუფლების მიერ აქვს მინიჭებული. ამიტომ ქალაქის ფულს დეკრეტულ ფულსაც უწოდებენ. მისი ავტორიტეტი კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეზეა დამოკიდებული. ფულის ზომას, ფერსა და მხატვრულ სახეს არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, მთავარია იგი გარკვეული ნდობით სარგებლობდეს. ფულადი ნიშნების გამოშვება და ბრუნვაში მიმოქცევა სახელმწიფოს პრეროგატივაა. ფულის ემისიას ცენტრალური ბანკები ახორციელებენ.

ემისია მიმოქცევაში ფულის ბრუნვის ობიექტური განონზომიერების გამოხატულებას წარმოადგენს. მისი მეშვეობით ხდება ფულის სტაბილური ფუნქციონირება. იგი აქტიურ როლს ასრულებს ფულის ინფლაციური და დეფლაციური პროცესების რეგულირებაში.

**ინფლაცია** ფულის მსყიდველობითი უნარის დაცემაა, რაც საქონლისა და მომსახურების ფასების საერთო დონის უწყვეტ ზრდას ინვევს. იგი, საბოლოო ჯამში ცხოვრების ღირებულების გაძვირებაა. ინფლაცია წმინდა ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, შეიძლება ზედმეტმა ემისიამაც გამოიწვიოს. ამ დროს ბრუნვაში არსებული ჭარბი ფულის ნაწილი საქონლით არ არის უზრუნველყოფილი. მაღალი დონის ინფლაციას ჰიპერინფლაცია ეწოდება. ინფლაციის საწინააღმდეგო პროცესია **დეფლაცია**, რაც ნიშნავს ჭარბი ფულის მიმოქცევიდან ამოღებას და დისპროპორციის აღმოფხვრას ფულის ოდენობასა და საქონლის მასას შორის. მას თან ახლავს ფასების დაცემის ტენდენცია.

ფულის მსყიდველობითი უნარის სტაბილიზაციის მნიშვნელოვან გზას **რეველაცია** წარმოადგენს. იგი გულისხმობს ეროვნულ ფულად ერთეულის კურსის ოფიციალურ გაზრდას სხვა ქვეყნების ვალუტებთან შედარებით, ადრე იგი ოქროს შემცველობის ზრდას გულისხმობდა. რეველაციის მეშვეობით ხდება ფულის მსყიდველობითი უნარის ამაღლება ინფლაციის წინა პერიოდის დონემდე და ზოგჯერ უფრო მეტადაც. აუცილებლობის შემთხვევებში სახელმწიფომ შეიძლება **დეველაცია** დააფიქსიროს. იგი ფულის ფაქტობრივი გაუფასურების დადასტურებაა. დეველაცია ფულადი რეფორმის განხორციელების ერთ-ერთი გზაა, რომლის მიზანია საგადახდო გრძელვადიანი დეფიციტის გამოსწორება ფულის კურსის შემცირებით.





2. ფულს ანუ ეროვნულ ვალუტას დიდი ადგილი უკავია სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკის შინაარსში. მას მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა აქვს. სახელმწიფოში საკუთარი ფულის არსებობა განაპირობებს მისი დამოუკიდებლობის, ეკონომიკური და პოლიტიკური ავტორიტეტის ხარისხს, საშინაო და საგარეო ფუნქციების ძირითად მიმართულებებს. ეროვნული ფული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ურთიერთგანპირობებული ფენომენებია. ფულის ისტორიაში ნათლად აისახება ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში არსებული წარმატებისა და გაჭირვების, აღზევებისა და დაცემის პერიოდები, პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობის პერიპეტიები.

ფულის დიდი მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ქართველთა წინაპრებს და დამოუკიდებლობის მოპოვების ყოველი ეტაპის დროს ეროვნული ფულის მოჭრასა და მიმოქცევაში გაშვებას იწყებდნენ. ქართული ფულის ოცდახუთსაუკუნოვან ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ნუმიზმატიკური პერიოდი ძვ. წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე, მას მოჰყვა ხანმოკლე ბონისტიკური პერიოდი (1918-1921 წ.). მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან კი იწყება ემისიური (ქალაქის ფულის მიმოქცევა) და ელექტრონული (კომპიუტერული ფულადი ოპერაციები) ფულის დამკვიდრება-განვითარების ახალი ეტაპი.

ძველ საქართველოში ფულს ჭრიდნენ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და სპილენძის მონეტების სახით. უფრო მეტად გავრცელებული იყო ვერცხლის ფული<sup>1</sup>. ეს ის პერიოდი, როცა უკვე არსებობს კოლხეთისა და იბერიის სახელმწიფოებრივი გაერთიანებები თავისი პოლიტიკური, სამართლებრივი და ფინანსური ინსტიტუტებით, როცა ქართველურ ტომებს მაღალგანვითარებული და მრავალმხრივი ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული კავშირები ჩქონდათ არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ შავი და ხმელთაშუა ზღვისპირეთში მცხოვრებ ხალხებთან. ქართული ფული წარმატებულად ვრცელდებოდა ამ არეალში. უძველეს ქართულ მონეტებზე გამოსახული ცხოველები და ადამიანები, მზის, მინისა და ზღვის სურათები ნათლად მეტყველებენ ქართული მოდგმის მეტროპოლი სულისა და შრომისადმი ერთგულების სიძლიერეზე. მართალია ქართული მონეტები ზოგჯერ იმეორებს მეზობელი ქვეყნების მონეტების პარამეტრებს, მაგრამ მათი შინაარსობრივი თავისებურებები აშკარად ადასტურებენ ამ მონეტების კოლხურ-იბერიულ წარმოშობას. მოგვიანებით ქართულ მონეტებზე ჩნდება პირველ ქართველ მეფეთა სახელებისა და ტიტულების აღმნიშვნელი წარწერები, ჯვრები, ლოცვები და სხვა ტექსტები. ქართულ მონეტებთან ერთად ბრუნვაში ერთვება ალექსანდრე მაკედონელის მონეტების ორიგინალები და მათი ადგილობრივი კოლხურ-იბერიული მინაბადები. ქართულ სამეფოებში ვრცელდება აგრეთვე რომაული დინარები და პართიული დრაჰმები. უცხოური ფულის საქართველოში გავრცელება არასასურველი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამოხატვლი იყო. ძველი მსოფლიოს ორი უდიდესი იმპერიის – რომისა და პართიის (ფაქტობრივად დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების) დაპირისპირების ცენტრში მოხვედრა, შემდეგ კი ახალი წელთაღრიცხვიდან ბიზანტიასა და სპარსეთს შორის კონფრონტაციაში საქართველოს ტერიტორიული ჩართულობა უარყოფით ზეგავლენას ახდენდა ქართული ფულის მიმოქცევაზე, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარებაზე.

ქართული ფულის განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ. მისი პირველი მეფე ბაგრატ მესამე ჭრის ერთიანი ქართული სამეფოს მონეტას. ეს პროცესი შემდეგაც გაგრძელდა. მონეტებზე გაკეთებული წარწერები ნათლად გამოხატავენ ქართველ მეფეთა სტატუსს და ავტორიტეტს, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია დავით აღმაშენებლის მონეტაზე გაკეთებული წარწერა – „მეფეთა მეფე დავით, ძე გიორგისა, მესიის მახვილი“. დავითის ეპოქაში მოხდა ქართული ფულადი სისტემის განახლება და განმტკიცება. ამ დროს შეიცვალა არაქართული მონეტები ქართულით, მიმოქცევაში დამკვიდრდა ქართული ვალუტა, განისაზღვრა მისი ლითონი (სპილენძი), წონა, სინჯი და წარწერები. მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ბრუნავს ქართული ფული და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობის განვითარების კვალობაზე საფუძველი ეყრება ქვეყნის ეკონომიკის გამთლიანებას.

დავითის კურსს წარმატებით აგრძელებენ შვილი დემეტრე, შვილისშვილი გიორგი მესამე და მისი ღირსეული მემკვიდრე თამარი. მათი ღვაწლი ეროვნული ფულადი სისტემის შექმნა-განვითარებაში კარ-

<sup>1</sup> ლითონის ფულისათვის დამახასიათებელია ორი ეტაპი: ერთი, როცა სახელმწიფოს მიერ არ იყო დადგენილი ფულის ფორმა, სინჯი და წონა. ამიტომ საჭიროებისას ლითონს ჭრიდნენ და შემდეგ წონიდნენ (წონითი ფული). ამის დასტურია ძველიდან შემორჩენილი სახელწოდებები: „ფუნტი(გირვანქა)სტერლინგი“ და „რუბლი“ (რუბლიონიე დენგი). მეორე, როცა ლითონის მოჭრა ხდებოდა განსაზღვრული ფორმის-მონეტის სახით, რომელსაც თავისი სინჯი (ლითონის სახეობა, ხარისხი) და წონა უნდა ჰქონოდა (საანგარიშო ფული).



გად აღბეჭდეს და ჩვენამდე მოიტანეს ქართულმა მონეტებმა.<sup>1</sup> მათი მეშვეობით იმდროინდელი სახელმწიფო მმართველობის სისტემის შესახებაც იქმნება გარკვეული წარმოდგენა, მეფეთა ტიტულებიც სრულყოფილად აისახებოდა მონეტებზე. მაგალითად, თამარის ეპოქის მონეტაზე წარწერილია: „დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარი, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი“.

ქართული სახელმწიფოს ძლიერებისა და აყვავების ხანის ქართული მონეტების ბრუნვაუნარიანობის გაზრდისა და საზღვარგარეთის ქვეყნებში პოპულარობის მოპოვების მიზნით, ქართულთან ერთად წარწერები არაბულ ენაზეც კეთდებოდა. არაბული იმ პერიოდში საკმაოდ გავრცელებულ ენას წარმოადგენდა და მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ქართული ვალუტის ე.წ. კონვერტირებადობას.

ქართული სახელმწიფოს ისტორიაში წარმატებულ და ნათელ პერიოდებს ხშირად ენაცვლებოდა უმძიმესი და დრამატული წლები, როცა მტრები მძლავრობდნენ, ქვეყანა ინგრეოდა და გარკვეული დროით რომელიმე დამპყრობლის ბატონობის ქვეშ ექცეოდა. მაშინ არამარტო დამოუკიდებლობა უქმდებოდა, არამედ ქართული ფულის მოჭრაც წყდებოდა. ქართულის ნაცვლად დამპყრობელი ქვეყნის ფულადი სისტემა იკიდებდა ფეხს. მიმოქცევაში უცხოურ მონეტებთან ერთად ქართული წარმომავლობის, მაგრამ წარწერაგადაკეთებულ (დამპყრობელი მმართველის დამლის, სახელისა და ტიტულის აღნიშვნით) ფულსაც უშვებდნენ. ასეთ წარწერებს, რომლებიც ძირითადად არაბულ ენაზე კეთდებოდა, ხშირად ქვეყნისა და ხელისუფლების ღირსების შემლახველი შინაარსი ჰქონდა. მაგალითად, დავით ნარინის დროინდელ ქართულენოვან (ავერსი) მონეტას უკანა გვერდზე (რევერსი) არაბულად აწერია: „მსოფლიოს მფლობელის ყაენის მონა დავით მეფე“. ასე ექცეოდნენ საქართველოს არამარტო არაბები და მონღოლები, ირანელი შაჰები და თურქეთის სულთნები, არამედ რუსეთის მეფეები და საბჭოთა გენმდივნებიც. მიუხედავად ამისა, ქართული ფული მაინც ახერხებდა გადარჩენას და ისტორიის ნათელ შუალედებში შექცნილი ენერგიით თავისუფალი მომავლისაკენ სწრაფვას.

ამგვარად, რადგან ქართული ფული საუკუნეთა მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეზობელი ქვეყნების ფულად სისტემებთან და საქართველოს ყოველი დამპყრობელი ყოველთვის საკუთარ ფინანსურ კაბალაში აქცევდა მას (იძულებით უცვლიდა ეროვნულ ფულს გარეგნულ სახეს, სახელწოდებას და სხვ.), ხშირად იცვლებოდა ქართული ფულის ნონა, სინჯი და ზოგჯერ მისი სახელწოდებაც კი. ამიტომ ქართული ფულის ისტორიაში იშვიათად გვხვდება ფულის აღმნიშვნელი ქართული სახელწოდებები (ასეთი გამოჩვენებისა, მაგალითად გიორგი ბრწყინვალის მიერ მოჭრილი მონეტები სახელწოდებით „გიორგაული“). არაქართული წარმოშობის სახელწოდებებია: ფლური, დანგი, შაური, დინარი, აბაზი, უზალთუნი და სხვ. არაქართულია ტერმინიც „მანეთი“. იგი მომდინარეობს რუსულ ენაში დამკვიდრებული „მონეტისაგან“, რომელიც რუსეთის იმპერიაში იხმარებოდა ვერცხლის ფულის – „რუბლის“ აღსანიშნავად. ეს აისახა ნიკოლოზ I-ის ფულის რეფორმის შემდგომ მოჭრილ მონეტებზე, რომლებზეც წარწერილი იყო „Монета рубль“ ე.ი. ვერცხლის ერთი რუბლის ღირებულების მქონე მონეტა. საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგ გავრცელდა ტერმინი „მანეთი“. ამის გამო საბჭოთა ფულის საკავშირო ერთეულის – რუბლის ოფიციალური ექვივალენტური ქართული სახელწოდება გახდა „მანეთი“. ასევე რუსულის გავლენითაა დამკვიდრებული ხურდა ფულის ტერმინი „კაპიკი“ (ფულზე გამოხატული შუბიანი (კაპიო) მებრძოლი).

ძველ საქართველოში მოჭრილ მონეტებს იმ ლითონის ფერის შესაბამისი ზოგადი სახელწოდება ქონდათ, რომლისგანაც ისინი მზადდებოდა. ამის მიხედვით ოქროს მონეტას – „ნითელი“, ვერცხლისას – „თეთრი“, სპილენძისას კი „შავი“ ეწოდებოდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1804-1834 წლებში, თბილისში, როსტომ მეფის სასახლის ტერიტორიაზე მდებარე ზარაფხანაში მოჭრილ ვერცხლის მონეტებზე ამოტვიფრულია სიტყვები „ქართული თეთრი“, რაც ნიშნავს ქართული ვერცხლის მონეტას. ვერცხლის აღმნიშვნელი ტერმინის – „თეთრის“ დამკვიდრება ფულის სახელწოდებად განაპირობა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა, რომელმაც ბრძანა, რომ რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთების შემდეგ თბილისში მოჭრილ მონეტებზე მოხსენიებული არ უნდა ყოფილიყო ქართული ფულის რომელიმე სახელწოდება. ქართული მონეტები უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერიის ფულადი სისტემის შესაბამისი. ქართული ფულის გამოშვება სახელწოდების გარეშე და მასზე ვერცხლის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინის „თეთრის“ ამოტვიფრვა რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთ-ერთი პუნქტის განხორციელებას წარმოადგენდა საქართველოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი წელთაღრიცხვის VI-III საუკუნეების კოლხეთის მოჭრილ მონეტებს – ტეტრადრაჰმებს, ნახევარდრაჰმებს და დრაჰმებს – მხოლოდ პირობითად უწოდებენ „კოლხურ თეთრს“, რადგან ეს მონეტები ვერცხლისა იყო და კოლხეთის ტერიტორიაზე იჭრებოდა. თანამედროვე მსოფლიოში მონეტებს უკვე არცერთ ქვეყანაში არ ჭრიან.

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ. *შოთა ქისტაური*, ქართული ფული, თბ., 2007, გვ 14-18.



რუსეთის ბატონობისაგან დამოუკიდებლობის პირველად მოპოვების პერიოდისათვის (1918-1921) საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნვაში იყო რამდენიმე სახის ფული – მეფისდროინდელი „საკრედიტო ბილეთები“, დროებითი მთავრობის ფული „კერენკები“ და ამიერკავკასიის კომისარიატის „ბონები“. საქართველოს რესპუბლიკა აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებით ცდილობდა ხელი შეეწყო „ბონების“ ემისიისათვის და თანდათან შეეზღუდა რუსეთის „საკრედიტო ბილეთების“ მიმოქცევა. ამასთან, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა სახელმწიფო დანესებულებათა პრეროგატივა გახდა და მისი კურსის დადგენა ადგილობრივ ბონებთან თანაფარდობაში წყდებოდა. მიუხედავად დადებითი ფაქტორებისა, რაც დაკავშირებული იყო ამიერკავკასიის ფინანსურ უნიფიცირებასთან, შექმნილი მდგომარეობა აშკარად ზღუდავდა სუვერენული რესპუბლიკების დამოუკიდებლობას ფულად-საკრედიტო სფეროში. ამის გამო ქართული ფულის, თუნდაც ბონის სახით, შექმნის აუცილებლობა თანდათან რეალური ხდებოდა. 1919 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დეკრეტი ქართული ბონების გამოცემის შესახებ. საქართველოს მთავრობას ნება მიეცა დასაწყისისათვის გამოეცა სამასი მილიონი მანეთის ბონები. ბონებს ხელს აწერდნენ ნოე ჟორდანიას და კონსტანტინე კანდელაკი (ფინანსთა მინისტრი). ბონები გამოდიოდა თავდაპირველად 1, 3, 5, 10, 25, 50, 100 და 500 მანეთიანი კუპიურებით, მოგვიანებით კი მიმოქცევაში შევიდა 1000 და 5000 მანეთიანიებიც. ქართული ბონები უზრუნველყოფილი იყო საქართველოს მთელი ქონებით<sup>1</sup>.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ბოლო პერიოდში ქართული ფულის პარალელურად მიმოქცევაში იყო რამდენიმე უცხოური ვალუტა, რომელთა შორის ქართული ბონი ყველაზე მტკიცე ფულის ერთეულად ითვლებოდა.<sup>2</sup>

ამრიგად, პირველ ქართულ ეროვნულ ვალუტას – ბონებს რაიმე ქართული სახელწოდების ნაცვლად რუსული შინაარსის „მანეთი“ ეწოდა. საქართველოს მესვეურები თავიდანვე შეეცადნენ „გამოესწორებინათ“ ეს ხარვეზი. 1920 წელს გამზადებულ იქნა 25 მარჩილის ღირებულების ბანკნოტის პროექტი, რომელიც 1921 წლიდან უნდა გამოსულიყო მიმოქცევაში, „მარჩილი“ ეწოდებოდა ვერცხლის მონეტას, რომელიც იჭრებოდა XVII საუკუნის საქართველოში. იგი უდრიდა სამ აბაზს ანუ თორმეტ შაურს. ეს სახელწოდება დაკავშირებულია ვენეციაში ნიკოლო მარჩელოს გამგებლობის დროს (1447-1474) მოჭრილ ვერცხლის ფულთან. ერთი მარჩელო უდრიდა ნახევარ ლირას. მარჩელო ანუ ქართულად დამკვიდრებული მარჩილი თავის დროზე ფართოდ იყო გავრცელებული ხმელთაშუა და შავი ზღვის რეგიონების სახელმწიფოებში. სამწუხაროდ საქართველოს მთავრობის ჩანაფიქრი – აღედგინათ ძველ საქართველოში ხმარებული ფულის სახელწოდება – „მარჩილი“ – ვერ განხორციელდა. 1921 წლის თებერვლის ანექსიის შემდეგ ხმარებიდან ამოღებულ იქნა ქართული ფული და მისი ადგილი საბჭოეთის „ჩერვონეცებს“ და „რუბლებს“ დაეთმო. ამ დროიდან მოყოლებული დამოუკიდებლობის მეორეჯერ მოპოვებამდე საქართველოს თავისი ფული აღარ ჰქონია.

1993 წელს ეროვნულმა ბანკმა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილების საფუძველზე მიმოქცევაში გამოუშვა ქართული ფულის სუროგატი-კუპონები, რომელიც საბჭოური მანეთის პარალელურად აღიარებულ იქნა კანონიერ საგადახდო და მიმოქცევის საშუალებად. კუპონი საბოლოოდ სამანეთო ზონიდან საქართველოს გამოსვლისა და 1995 წლიდან ქართული სტაბილური ფულის – ლარის შემოღების ნინაპირობა გახდა.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ასათიანი რ., ფული და ფულადი სისტემები, თბ. 1996.
2. შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ. 2014.
3. შენგელია რ., საფინანსო სამართალი, თბ. 2009.
4. ქისტაური შ., ქართული ფული, თბ. 2007.
5. ქვაჩახია ირ., ქუტიძე რ., ეკონომიკური თეორია, თბ. 2000.
6. ჯავახიშვილი ნ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები, თბ. 1998.

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ. ნიკო ჯავახიშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები, თბ., 1998.

<sup>2</sup> დაწვრილებით იხ. რომან შენგელია, საქართველოს საფინანსო სამართლის საკითხები, ნაკვეთ III თბ., 1993, გვ 147-156.



**რ. შენგელია, ე. შენგელია**

**ფულის წარმოშობა-განვითარების ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები რეზიუმე**

ფულის წარმოშობა დაკავშირებულია საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებთან. მას მსოფლიოს ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს საფუძვლად მიიჩნევენ და უდიდეს ბოროტებადაც. მისი წარმოშობის შესახებ სხვადასხვა თეორია არსებობს. პირველი მონეტა, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვით VII საუკუნეში მოიჭრა, საფუძვლად დაედო მანამდე გავრცელებული საქონელწარმოებისა და გაცვლის საყოველთაოდ მიღებული ნატურალური ეკვივალენტის გამოყენების გაუქმებას. ასეთი ფუნქციის შესრულება დაეკისრა ვერცხლსა და ოქროს. „მონეტარული“ პერიოდი შეიცვალა ქალაქის ფულის სტანდარტით.

ქართული ფულის შინაარსში სრულყოფილად აისახა ყველა ის თავისებურება, რაც ერთი მხრივ, ზოგადად ფულის და მეორე მხრივ, ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების ცალკეული ეტაპისთვის იყო დამახასიათებელი.

**R. Shengelia, E. Shengelia**

**Economic and Legal Aspects of the Origin-Development of Money  
Summary**

The origin of money is related to the early stages of the community development. It is considered as the most important basis for the civilization of the world and the greatest evil. There are different theories about its origin. The first coin, which was mint in the 7<sup>th</sup> century BC, it was the basis for the abolition of the use of commonly obtained natural equivalents of spread commodity production and exchanges. Such function was imposed on silver and gold. The monetary period was changed by the paper money standard.

In the content of the Georgian money were perfectly reflected all those peculiarities, which, from one side, were generally money, and from the second side was characteristic for a separate stage of the development of the Georgian statehood.





## ეკონომიკის მეცნიერებები

### ბ. ალადაშვილი

#### ეკონომიკური სანქციები, როგორც გეოპოლიტიკური იარაღი

სანქციების ისტორია იწყება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებიდან და ისინი ოდითგანვე სხვა ქვეყანაზე ზემოქმედებით საკუთარი პოლიტიკური და საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკური ინტერესების მიღწევას ემსახურებოდნენ. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კრძალავს ცალმხრივად სამხედრო და ეკონომიკური ძალის გამოყენებას სხვა ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო დამორჩილების მიზნით.

ეკონომიკური სანქცია – იძულების, ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის. ის არის საერთაშორისო სამართალით გათვალისწინებული ზემოქმედების ზომა, რომელსაც მიმართავენ საერთაშორისო ვალდებულებების ან ნორმების დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ;

ემბარგო – არის საქონლის იმპორტის ან ექსპორტის აკრძალვა, რომელიმე სახელმწიფოში. გაერო ითვალისწინებს ემბარგოს, როგორც კოლექტიური რეპრესიული ღონისძიების გამოყენებას იმ ქვეყნების მიმართ, რომელთა ქმედებაც საშიშროებას უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებას.

ბლოკადა – ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ღონისძიებათა სისტემა, რომელიც გამოიყენება მშვიდობიან ან ომის პერიოდში და მიზნად ისახავს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ იზოლაციას საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან ან წაყენებული მოთხოვნების შესრულებამდე.

"ეკონომიკური ომი" – მისი წარმოება შესაძლებელია, როგორც მშვიდობიან ასევე ომის პერიოდში. ის აერთიანებს ზემოაღნიშნულ სამივე მეთოდს: სანქციას, ემბარგოსა და ბლოკადას.

სანქციების შემოღება და ამოქმედება შესაძლებელია:

ა) საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო-ს უშიშროების საბჭო, ევროკავშირი და სხვა) მიერ ცალკეული ქვეყნების (ქვეყნის) ან ეკონომიკური სუბიექტების (ტრანსნაციონალური კორპორაციები, ფირმები და ა. შ.) მიმართ;

ბ) ერთი ქვეყნის მიერ ცალკეული ქვეყნის ან ეკონომიკური სუბიექტების მიმართ;

გ) რამდენიმე ქვეყნის მიერ ცალკეული ქვეყნის ან ეკონომიკური სუბიექტების მიმართ;

დ) ქვეყნის შიგნით (მაგ. ეროვნული ბანკის სანქციები კომერციული ბანკების მიმართ).

ძალისმიერი ეკონომიკური მეთოდების გამოყენების მიზეზი და საბაზი შეიძლება იყოს:

– ატომური და ქიმიური იარაღის გავრცელების აკრძალვის დარღვევა;

– ადამიანის უფლებების დარღვევა;

– საერთაშორისო ტერორიზმისათვის ხელშეწყობა;

– ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობის აკრძალვის დარღვევა;

– სამხედრო აგრესია სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ;

– გასაღების ან სანედლეულო ბაზრების წინასწარგანზრახული ბლოკირება;

– თავისუფალი კონკურენციის პრინციპების დარღვევა;

– ქვეყნის მმართველი რეჟიმის არადემოკრატიულობა და ა. შ.

საერთაშორისო სანქციების სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტები და ამოქმედების მექანიზმი პირველად ერთა ლიგის წესდებაში აისახა, რომლის მე-16 მუხლში ჩამოყალიბებული იყო მოთხოვნა ერთა ლიგის წევრი ქვეყნებისადმი, კერძოდ ისინი ვალდებული იყვნენ დაუყოვნებლივ გაეწყვიტათ ყოველგვარი სავაჭრო და ფინანსური ურთიერთობები ომის დამწყებ ქვეყანა- აგრესორთან და არ დაერღვიათ ერთა ლიგის მიერ მისთვის დანესებული ეკონომიკური და ფინანსური სანქციები.

ამ მოთხოვნების საფუძველზე 1935-1936 წლებში საფინანსო-ეკონომიკური სანქციები გამოყენებული იყო იტალიის მიმართ, რომელმაც მოახდინა აბისინიის ანექსია. შემდგომ პერიოდში უკვე გაერო-ს უშიშროების საბჭო განსაზღვრავდა და ამჟამადაც განსაზღვრავს აგრესიის ფაქტს და იძლევა რეკომენდაციებს საჭირო საპასუხო ზომების მისაღებად. კერძოდ, აგრესორის წინააღმდეგ ეკონომიკური ან სხვა ძალის გამოყენებისათვის, მათ შორის: ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობების შეჩერება, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო და ურთიერთდაკავშირების სხვა საშუალებების სრული ან ნაწილობრივი



შენყვეტა, ბლოკადა და ა.შ. განსაკუთრებულ შემთხვევაში კი გაერო მიმართავს სამხედრო მოქმედებას აგრესორის წინააღმდეგ. (გაერო-ს წესდების მეშვიდე სტატიის 41, 42 და 43 მუხლები).

გაერო-ს სანქციების გამოყენების პრეროგატივა მრავალ შემთხვევაში აქვს. კერძოდ, საერთაშორისო ხელშეკრულებების დარღვევის დროს. მაგალითად გასული საუკუნის მეორე ნახევარში საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობდა ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის რატიფიცირება. იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც არ მოახდენდნენ რატიფიცირებას, კონვენცია ითვალისწინებდა ეკონომიკური სანქციების გამოყენებას (ქიმიური ტექნოლოგიების, მოწყობილობების და პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე ოპერირების შეზღუდვა; საფინანსო დახმარებების და კრედიტების შეწყვეტა და სხვა).

გარდა ამისა სანქციები არის ოფიციალური (ლია) და ფარული (რომელიმე ქვეყნის ფარული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების მისაღწევად). ამავე დროს სანქციები შესაძლებელია გამოყენებულ იყოს, როგორც საპასუხო ადეკვატური ღონისძიება ქვეყნის ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ეკონომიკური სანქციები ძირითადად სავაჭრო-საფინანსო ოპერაციებს ეხება და გარკვეულწილად რეპრესიული(სადამსჯელო) შინაარსის მატარებელია. მათი გამკაცრება და გაფართოება გადაიზრდება ეკონომიკურ ბლოკადაში, რომლის ხანგრძლივობა დიდი, ხოლო შედეგები გაცილებით მძიმეა. მაგალითად, გაეროს სანქციები ერაყის მიმართ, რომელიც 1991-2003 წლებში იყო შემოღებული, და ფაქტობრივად ეკონომიკური ბლოკადის ფორმას ატარებდა.

ამ სანქციების ფარგლებში მოქმედებდა ე. წ. ჰუმანიტარული პროგრამა „ნავთობი- სურსათის ნაცვლად“, სადაც გათვალისწინებული იყო, რომ ერაყი მსოფლიო ბაზარზე გაყიდიდა ნავთობს შეზღუდულ რაოდენობას (2 მლნ ბარელი დღეში). მიღებული თანხა ირიცხებოდა სპეციალურ საბანკო ანგარიშზე, საიდანაც ხდებოდა ერაყში სურსათის, მედიკამენტების და სამედიცინო აპარატურის იმპორტის ანაზღაურება. აღნიშნულ ოპერაციებს გაერო აკონტროლებდა.

ეკონომიკური ბლოკადის დროს რეპრესირებული ქვეყნის სავაჭრო-საფინანსო და სატრანსპორტო ოპერაციები ბლოკირებულია მოთხოვნების შესრულებამდე (მაგ. 1916 წ. ანტანტის ქვეყნებმა საბერძნეთისათვის ბლოკადის გამოცხადებით მიაღწიეს გერმანიისგან მის ჩამოშორებას).

ეკონომიკური სანქციების ისტორიაში გამორჩეულია „ცივი ომის“ პერიოდში შექმნილი და დღემდე მოქმედი – საექსპორტო კონტროლის საკოორდინაციო კომიტეტი (კოკომი), რომელიც 1949 წელს შეიქმნა (შტაბ-ბინა მდებარეობს პარიზში). ის აერთიანებს ნატოს ყველა წევრ ქვეყანას (ისლანდიის გარდა), იაპონიას და ავსტრალიას. ამ კომიტეტის მიზანი იყო გაეკონტროლებინა ექსპორტი ყოფილ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტურ ქვეყნებში, რათა ამ ქვეყნებს საზღვარგარეთ არ შეეძინათ სტრატეგიული და ორმაგი გამოყენების ნედლეული, უახლესი ტექნოლოგიები, სამხედრო პროდუქცია და ა.შ., რისთვისაც კოკომი ადგენს საიდუმლო "შავ" სიებს, სადაც 150 სასაქონლო ჯგუფის 300 ათასამდე დასახელებაა. გარვეული პერიოდის შემდეგ ხდება ამ სიების განახლება. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან, ე.წ. "პერესტროიკის" დაწყებიდან. ცვლილებები შეეხო, როგორც დასახელებას, ასევე ექსპორტზე ლიცენზიების გაცემის წესს. სსრკ-ს დაშლის შემდეგ ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების მიმართ კოკომის სანქციები შერბილდა (რუსეთი, ბელორუსი და სხვ.) ან საერთოდ გაუქმდა (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, საქართველო და სხვ.).

განვიღო პერიოდში მიღებული სანქციებიდან გარკვეული შედეგი ჰქონდათ: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის, ერაყის (ქუვეითის მიმართ სამხედრო აგრესიის გამო) და ყოფილი იუგოსლავიის მმართველი რეჟიმების წინააღმდეგ მიღებულ სანქციებს. 1982 წლის არგენტინა- დიდი ბრიტანეთის სამხედრო კონფლიქტის დროს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ორგანიზაციამ ეკონომიკური სანქციები დაუწესა არგენტინას.

ევროკავშირის გადაწყვეტილებით 2001 წლის ივნისიდან საფინანსო-ეკონომიკური სანქციები იქნება შემოღებული იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც თავის ტერიტორიაზე ხელს არ შეუშლიან კრიმინალური "ფულის გათეთრებას". ეკონომიკური სანქციების ბუნება ორლესულ მახვილს წააგავს – პოზიტიურთან ერთად, ნეგატიური შედეგებიც საკმაოდაა. ამ დროს ყოველმხრივ ზარალდება არა მარტო "დასჯილი" ქვეყანა, არამედ ის ქვეყნებიც, რომლებიც ბლოკადისა და სანქციის გამო ვალდებული არიან შეწყვიტონ ან შეზღუდონ ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები. მაგალითად კოკომის მოქმედებით, დასავლეთ ევროპის ექსპორტების გაანგარიშების თანახმად, 1981-1986 წლებში საფრანგეთის ფირმებმა 23 მლრდ. ფრანგული ფრანკის, ხოლო აშშ-ის ფირმებმა 9,3 მლრდ დოლარის საექსპორტო კონტრაქტები დაკარგეს. 1995 წელს კი ეკონომიკური სანქციების მიზეზით აშშ-ის ფირმებმა 15 მლრდ დოლარის ზარალი განიცადეს. ამიტომ ზოგიერთი ქვეყანა, საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, არღვევს (ხშირად ფარულად) სანქციის მოთხოვნებს. დადგენილია, რომ რაც



უფრო მკაცრია საერთაშორისო სანქციები, მით უფრო მეტია მისი დარღვევის და კონტრაბანდის ცდუნება. ამ დროს კი, გარდა სანქციების არაეფექტიანობისა და კომპრომეტირებისა, წარმოიქმნება "კრიმინალური ფულის" პრობლემაც. ამ გარემოებათა გამო, ეკონომიკური ზემოქმედების ეს ფორმები ხშირად მიზანს ვერ აღწევენ.

XX-ე საუკუნის 70– 80-იან წლებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აშშ-ის სანქციებს მხარი არ დაუჭირეს ევროპისა და ამერიკის მთელმა რიგმა ქვეყნებმა, ხოლო 1990-იან წლებში გაერო-ს სანქციებს ერაცის მიმართ, ღიად თუ ფარულად არღვევდნენ სხვადასხვა ქვეყნები (რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა და ა.შ.).

1980-იან წლებიდან დაწყებულ ირანის მიმართ აშშ-ის ეკონომიკურ სანქციებსაც (ირანიდან ნავთობის იმპორტის და ორმაგი გამოყენების პროდუქციის ექსპორტის შეწყვეტა) არ ჰქონდა ერთსულოვანი მხარდაჭერა, განსაკუთრებით ჩინეთის, იაპონიისა და რუსეთის მხრიდან, რადგან ეს ქვეყნები უპირველესად ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობენ. იაპონიას არ სურს დაკარგოს ნავთობის იმპორტის მნიშვნელოვანი წყარო, ხოლო რუსეთი ირანით დაინტერესებულია, უპირველესად, როგორც იარაღისა და სამხედრო ტექნოლოგიების გასაღების ბაზრით.

სანქციის მოქმედების გახანგრძლივება ხშირად დაინტერესებული ქვეყნების არაჯანსაღი ინტერესებითაცაა გამოწვეული. მაგალითად, "ოპეკის" არანევრი ნავთობმომპოვებელი ქვეყნები (რუსეთი) ირანის და ლიბიის მიმართ სანქციების ვადის გაგრძელებით და აქედან გამომდინარე, ნავთობის მსოფლიო ფასების ზრდით მნიშვნელოვან მოგებას ნახულობენ.

"ეკონომიკური ომების" გამოცდილება გვიჩვენებს, რომ როცა გადაწყვეტილება მიღებულია და სრულდება კოლექტიურად, სანქციას და ბლოკადას რეალური შედეგი მოაქვს.

უკრაინის მოვლენები და საერთაშორისო სანქციები რუსეთის მიმართ 2014 წლის თებერვლის ბოლოს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ. ევროკავშირმა და აშშ მრავალმხრივი ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, რაც რამდენიმე ეტაპად განხორციელდა.

პირველ ეტაპზე ევროკავშირმა, აშშ-მა, კანადამ, ნორვეგიამ, ავსტრალიამ და იაპონიამ თავიანთ ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალეს რუსეთისა და ყირიმის ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც პირდაპირ კავშირში იყვნენ ყირიმის ანექსიასთან.

მეორე ეტაპზე სანქციებისა, იმავე წლის აპრილში რუსეთის პროვოცირებით უკრაინის დონბასისა და ლუგანსკის ოლქებში სამოქალაქო ომი დაიწყო. ამის შემდეგ ევროკავშირმა და აშშ-მა რუსეთის მიმართ სანქციების მეორე ეტაპი დაიწყო. კერძოდ 17 დიდ რუსულ კომპანიას აეკრძალა ბიზნეს საქმიანობა ევროკავშირისა და აშშ-ს ტერიტორიაზე. ასევე, გაფართოვდა პერსონალური სანქციები რუსეთის ხელისუფლების მაღალი რანგის მოხელეთა მიმართ.

2014 წლის 17 ივლისს პრორუსი ტერორისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე (დონეცკის ოლქში) მაღალი ავიაციის კუთვნილი სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების მესამე ეტაპი დაიწყო. კერძოდ, აშშ ორ უდიდეს რუსულ ენერჯო-კომპანიასა ("როსნეფტი" და "ნოვატეკი") და ორ ბანკს ("გაზპრომბანკი" და "ვნეშეკონომბანკი") აუკრძალა ბიზნესსაქმიანობა თავის ტერიტორიაზე. ხოლო ევროკავშირმა სანქციები დაუწესა რუსეთის 23 სახელმწიფო მოხელესა და 21 კომპანიას. სანქციებს შეუერთდა კიდევ რამდენიმე ქვეყანა (შვეიცარია, კანადა, ნორვეგია, ავსტრალია და იაპონია), რის შემდეგაც რუსეთის მიმართ სანქციებმა უკვე გლობალური სახე მიიღო.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შვეიცარიის ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომელმაც 2014 წლის აგვისტოში ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედება შეუზღუდა რუსულ ბანკებს ("სბერბანკი", "ვნეშტორგბანკი", "გაზპრომბანკი", "ვნეშეკონომბანკი", "როსსელხოზბანკი").

გლობალური საერთაშორისო სანქციების მიუხედავად რუსეთმა გააგრძელა სეპარატისტების მხარდაჭერა უკრაინაში. რის საპასუხოდაც 2014 წლის 12 სექტემბერს ევროკავშირმა და აშშ-მა უფრო გაამკაცრეს სანქციები. კერძოდ, ევროკავშირის ახალი სანქციები შეეხო 20-ზე მეტ რუსულ კომპანიას ("როსნეფტი", "გაზპრომ ნეფტი", "ტრანსნეფტი", "კალაშნიკოვი" და სხვა.). ამ კომპანიებს აეკრძალათ დასავლეთის ბაზრებიდან კაპიტალის მოზიდვა და შეეზღუდათ ტექნოლოგიებზე წვდომა. ამასთან, ევროპულ კომპანიებს აეკრძალათ რუსეთში ნავთობის საბადოების დაზვერვასა და დამუშავებაში მონაწილეობის მიღება. ზემოაღნიშნულ კომპანიებს წვდომა აღარ ექნებათ გრძელვადიან (3 თვეზე მეტი) კრედიტებზე და უახლეს ტექნოლოგიებზე.

### სანქციების შედეგები



„მოსკოვის ბირჟის“ მონაცემებით 2014 წელს, წინა წელთან შედარებით რუსეთის საფონდო ბაზრის მთავარი მაჩვენებელი RTS-i (Russia Trading System) ინდექსი თითქმის 20% დაეცა. იმავე პერიოდში რუსეთის ცალკეულმა კომპანიებმაც, რომელთაც სანქციები შეეხოთ, მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს “სბერბანკის” აქციის ფასი შემცირდა 25 %-ით, “გაზპრომის” – 10.5 %-ით, ვთბ-ის – 22 %-ით, “ნოვატეკის” – 13 %-ით, “როსნეფტის” – 20 %-ით.<sup>1</sup>

რუსეთის საფონდო ბაზარზე არსებულ კრიზისს დაერთო რუსეთის ეროვნული ვალუტის, „რუბლის“, გაცვლითი კურსის მკვეთრი დაცემა. 2013 წლის 24 დეკემბერს 1 აშშ დოლარი 32.6 რუბლი, ხოლო 1 ევრო – 44.7 რუბლი ღირდა. 2017 წლის მაისის ბოლოსთვის კი რუსეთის ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან 56,8; ხოლო ევროსთან მიმართებაში – 63,4 რუბლია.

ჯამში, გასული წლის დეკემბრის ბოლოდან 2014 წლის 12 სექტემბრამდე, რუბლი აშშ დოლარის მიმართ 16%-ით გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ – 9.6 %-ით. გლობალურმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სანქციებმა მნიშვნელოვნად იმოქმედა რუსეთის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელსა და უცხოური ინვესტიციების მოცულობაზე. ნავთობსა და ბუნებრივ გაზზე მსოფლიო ფასების მკვეთრმა შემცირებამ ნეგატიურად იმოქმედა რუსეთის საექსპორტო შემოსავლებზე. პარალელურად რუსეთიდან კაპიტალ გადინებამ საგრძნობლად გადააჭარბა უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა რუსეთის სავალუტო რეზერვების მოცულობა. განვლილ პერიოდში სანქციების გავლენა იგრძნობოდა რუსეთის სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზეც. რუსეთის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 1,5 – 1,9 % არ აღემატებოდა. უმუშევრობის დონე კი თითქმის 1 % პუნქტით გაიზარდა და 7% მიაღწია. ინფლაციის მაჩვენებელი თუ 2014-2016 წლებში 7-9% არ აღემატებოდა, 2017 წელს, ექსპერტული შეფასებით, 10% გადააჭარბებს.

### **რამდენ ხანს გაძლებს “დასავლეთი”?**

გლობალური საერთაშორისო სანქციების შედეგად ღრმა ეკონომიკურ კრიზისში მყოფი რუსეთის ხელისუფლება არ ცვლის იმპერიულ გეოპოლიტიკურ პოლიტიკას მეზობლების მიმართ. მისთვის იმპერიული მიზნები საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობაზე მაღლა დგას!

რა საბოლოო შედეგები ექნება საერთაშორისო ეკონომიკურ სანქციებს რუსეთის მიმართ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად რუსეთის ისტორიიდან პარალელების მოხმობა და რუსეთის მოსახლეობის მენტალური თავისებურებების გათვალისწინება დაგვჭირდება. ამასთან ერთად ასევე მხედველობაში მისაღები ის გარემოებაც, რომ რუსეთის მიმართ სანქციების გაგრძელებასთან დაკავშირებით ევროკავშირში ერთსულოვნება არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ: რუსეთის მიმართ საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების ეფექტიანობა დამოკიდებული იქნება ევროკავშირის წევრი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის კონსენსუსზე.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა**

1. ბ. ალადაშვილი; “ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა”. თბილისი, 2011.
2. ჰერსტი ჰ., ტომპსონი გ., “გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი”, თბილისი 2005.
3. <https://www.moex.com/>

<sup>1</sup> <https://www.moex.com/>





## ბ. ალადაშვილი

### ეკონომიკური სანქციები, როგორც გეოპოლიტიკური იარაღი რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება გლობალური მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს: საერთაშორისო ეკონომიკური სანქციების გამოყენების ისტორიულ და თანამედროვე ასპექტებს.

ნაშრომში გაანალიზებულია:

1. ძალისმიერი ეკონომიკური მეთოდების (ეკონომიკური სანქცია; ემბარგო; ეკონომიკური ბლოკადა; "ეკონომიკური ომი") გამოყენების სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტები.

2. ეკონომიკური სანქციების შემოღებისა და ამოქმედების კონკრეტული ისტორია და მიზეზები.

3. რუსეთის მიმართ საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების დანესების ეტაპები და შედეგები;

ავტორის აზრით საერთაშორისო სანქციების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ როცა გადაწყვეტილება მიღებულია და სრულდება კოლექტიურად, სანქციას და ბლოკადას რეალური შედეგი მოაქვს.

ნაშრომში დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ რუსეთის მიმართ საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების ეფექტიანობა დამოკიდებული იქნება ევროკავშირის წევრი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის კონსენსუსზე.

## B. Aladashvili

### Economic Sanctions as Geopolitical Weapon Summary

The thesis is dedicated to one of the most important things of the global economic and political life: using historic and modern aspects of the International Economic Sanctions.

The following items are analyzed in the thesis:

1. Using Legal-Political aspects of the powerful economic methods (Economic Sanctions, Embargo, Economic Blockade, "Economic War")

2. The detailed history and reasons of taking Economic Sanctions.

3. Giving International Economic and Political sanction stages and results towards Russia.

According to the author the International Sanction experience shows, that when the decision is made and implemented collectively, the real result comes from the sanction and blockade.

In conclusion the author admits that the economic and political sanctions effectivity towards Russia will depend on the members of the European Union, International Organization and US new administration agreement.



**გ. ალადაშვილი**

**მენარმეობის სტიმულირების თანამედროვე გამოწვევები**


მენარმეობის სტიმულირება დღეისათვის გლობალური გამოწვევაა. 2008 წლის საფინანსო ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნები ეკონომიკური განვითარებისთვის ახალი ბიძგის მიცემის აუცილებლობის წინაშე დადგნენ. თუ მდიდარი ქვეყნები თავიანთი ეკონომიკური პროდუქტიულობის გაზრდას ცხოვრების არსებული სტანდარტების შესანარჩუნებლად ცდილობენ, დაბალ შემოსავლიან ქვეყნებში სხვადასხვა პრობლემები მძაფრდება და მათ შორისაა დაახლოებით 2 მლრდ ზრდასრულის დამატება 2050 წლისთვის, რომლებიც საჭიროა უზრუნველყოფილი იქნენ სამუშაო ადგილებით. ასეთ ვითარებაში ბუნერივია, ჩნდება კითხვა, რა გამოსავალი არსებობს. მკვლევარები მიუთითებენ, რომ სწრაფადმზარდ ფირმებს უნდა შეუწყონ ხელი დაფინანსებებით, რომლებიც წარმოქმნიან სამუშაო ადგილებს. იმ ფონზე, როცა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში სიღარიბე და მასიური უმუშევრობა უკვე დომინანტია, მხოლოდ *ინოვაციებისა და მენარმეობის კომბინაციას* ძალუძს უზრუნველყოს სამუშაო ადგილების სწრაფი ზრდა [Global Entrepreneurship Index, 2016: 24]. ასეთი გზით შესაძლებელია ისეთი ახალი პროდუქტების დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ბიზნესს, მნიშვნელოვნად გაზრდის დასაქმების მაჩვენებელს და შესაძლებელს გახდის ეკონომიკურ განვითარებას.

გლობალური მენარმეობისა და განვითარების ინსტიტუტის 2016 წლის "გლობალური მენარმეობის ინდექსში" საქართველო მსოფლიოს 132 ქვეყანას შორის 81-ე ადგილზეა 28.7 ინდექსით [Global Entrepreneurship Index, 2016: 158]. რეიტინგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სტარტაპების, მენარმეობისა და ახალბედა ბიზნესის ინდექსს ადგენს. კვლევის შედეგებისას ავტორები რამდენიმე ინდიკატორს ეყრდნობიან, მათ შორის, მენარმეობის მიმართ დამოკიდებულებას, სოციალურ და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას, სტარტაპებს, ახალი ტექნოლოგიების ფლობას, ინოვაციურ პროდუქტსა და ვენჩურულ კაპიტალს. იგივე რეიტინგის მიხედვით საქართველოს მსოფლიო საშუალო და ევროპის საშუალო დონეებთან შედარებით მკვეთრი ჩამორჩენა აქვს რისკიანი კაპიტალის, რისკის ალების, სტარტაპების, ინოვაციური პროდუქტების, ინოვაციური პროცესების პუნქტებში, მაშინ, როცა ადამიანური კაპიტალით საშუალო ევროპულ დონეს უთანაბრდება.

ჩვენი აზრით, საკმარისი დრო არ არის გასული მთავრობის მიერ მენარმეობის სტიმულირებისთვის გატარებული პოლიტიკის ეფექტების სრულყოფილად შესაფასებლად. მაგალითად, რიგი კვლევები ადასტურებს, რომ ხშირად ახლადშექმნილი ფირმების სიცოცხლისუნარიანობა არ არის ხანგრძლივი ან სამთავრობო დაფინანსების მონაწილეობით არაეფექტიანი საწარმოების შენარჩუნება ხდება და ა.შ. თუმცა ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრით გადადგმულია შედეგიანი ნაბიჯები, რასაც ადასტურებს ევროპის მცირე ბიზნესის აქტის მიმართულებების მიხედვით ჩატრებული შედარებითი კვლევის მიგნებები (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.

საქართველოს ქულები ევროპის მცირე ბიზნესის აქტის მიმართულებების მიხედვით



წყარო: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, 2016, 3.



მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (მსს) პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩოს მონესრიგების მიმართულებით დადებითი ძვრების მიუხედავად ქვეყანა რიგი გამოწვევების წინაშეა. მათ შორისაა შექმნილი ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება (საქართველოს მენარმეობის განვითარების სააგენტოსა და ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს შექმნასთან ერთად საჭიროა მათი შესაძლებლობის განვითარების ღონისძიებების განხორციელება, რათა ამ სააგენტოების ზეავლენა მაქსიმუმამდე გაიზარდოს); ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, განათლების სისტემის რეფორმირებას ყველა დონეზე უფრო შეთანხმებული პოლიტიკური ძალისხმევა სჭირდება, კერძოდ, უმაღლესი განათლების დანებებულებების უფრო აქტიური ჩართვის მეშვეობით; ინოვაციების ახალი სტრატეგიის შემუშავება და მიღება შესაძლებლობას გააჩენს, გაიზარდოს მსს-ს კონკურენტულობა კვლევა-განვითარებისთვის და ინოვაციური მენარმეობისთვის ფინანსური და არაფინანსური სტიმულების უზრუნველყოფის გზით [ალ-მოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, 2016: 4-5].

ქვეყნები აღნიშნულ გამოწვევათა საპასუხოდ ინდივიდუალურ გზას ირჩევენ, თუმცა აპრობირებულ პრაქტიკასაც იზიარებენ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული სახის მენარმეობისთვის შესაბამისი სახეობის მხარდაჭერაა ეფექტიანი.

მენარმეობის განვითარებასა და ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას შორის დადებითი ურთიერთკავშირის ისტორიული პრაქტიკა მთავრობებს მენარმეობის სტიმულირების პოლიტიკის გატარებისკენ უბიძგებს. თუმცა დღემდე სამენარმეო საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბები და მიზანშეწონილობა სამეცნიერო დებატებს ინვეს.

მრავალი ნაშრომი მიეძღვნა მენარმეობის სტიმულირების არსის გარკვევას და პოლიტიკის შედეგების ანალიზს. პოლონელი ავტორები იზიარებენ მოსაზრებას, რომ მენარმეობის მხარდაჭერა გამოიხატება ინსტიტუტების (სახელმწიფო, ადგილობრივი ხელისუფლება, კომპანიები) მიერ პირადი და სოციალური უზრუნველყოფის ისეთი პირობების შექმნასა და განვითარებაში, რომელიც მენარმეობის ინდივიდუალურ განვითარებას თავისუფალ და შეუზღუდავ საშუალებას მისცემს [Skica etc., 2013: 3]. გარდა ამისა, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მენარმეობის დინამიკური ზრდის სტიმულირებაში ადგილობრივ ხელისუფლებებს აკისრია მნიშვნელოვანი როლი, რადგან ისინი ახორციელებენ საჯარო პროექტებს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ბიზნეს საქმიანობის დანებებისა და ადგილმდებარეობის განსაზღვრის საკვანძო ფაქტორები, რომლებიც ექვსი ჯგუფად დაყვეს მეცნიერებმა (კლაუსოვსკიმ და ადამსკიმ) [Skica etc., 2013: 8]:

1) სტაბილური და გამჭვირვალე იურიდიული და ფისკალური სისტემა (რაც კერძო სექტორისთვის ფინანსურ სტიმულს ქმნის); 2) მიწათსარგებლობა, რომელიც მიზნად ისახავს გაყიდვებისა და ქირავნობის სფეროში სამართლებრივი დაბრკოლების შემცირებას, აგრეთვე საზოგადოებრივი-კერძო პარტნიორობის რეალიზაციას კომუნალური საკუთრების საფუძველზე; 3) მიწის განვითარების გეგმები, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავენ სივრცითი მართვის წესებს, გამოხატავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციას; 4) ადგილობრივი ხელისუფლების ოფისებისა და მომსახურების ორგანიზაციული კულტურა, ინვესტორებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ეფექტიანი და კომპეტენტური სამსახური, გაცემული ინფორმაციის კომპლექსურობა და საიმედოობა; 5) ბიზნეს ინიციატივების აქტიური მხარდაჭერა, მათ შორის – მენარმეობის განვითარების კლიმატის შექმნა; 6) მონაწილეობა პროგრამებში, რომლებიც მხარს უჭერენ ადგილობრივი ხელისუფლების პროფესიონალიზმსა და ისეთი საქმიანობების ინიცირება, რომლებიც ითვალისწინებენ გარე (მათ შორის, უცხოეთის) დაფინანსებას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები ვარაუდობს, რომ მთავრობებმა, რომლებიც მიზნად ისახავენ საწარმოთა ზრდის პოტენციალის განვითარებას ან განხორციელებას, უნდა განიხილონ პოლიტიკური მიდგომა, რომელიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

➤ ფოკუსირება ბიზნესის გარემოს გაუმჯობესებაზე, კერძოდ კი მოხსნან ზრდასთან დაკავშირებული დაბრკოლებები და მიმართონ რეგულირება ზრდისკენ (მაგალითად, ადმინისტრაციული ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია უფრო დიდი ზომის ფირმებზე);

➤ ხელი შეუწყონ სამენარმეო დამოკიდებულებას, რათა სტიმული მიეცეს მეტი ზრდის ამბიციას ახალ და არსებულ ბიზნესში;

➤ მხარი დაუჭირონ ტრენინგებს ახალგაზრდა და მცირე საწარმოებში, განსაკუთრებით კი ხელი შეუწყონ მართვის უნარ-ჩვევების განვითარებას, რათა გაუმკლავდნენ ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების ზენოლას, რომელიც იქმნება ფირმების ზრდით და შეიძინონ გაცვლის კულტურა, რომელიც ნებისმიერი ასაკის და ზომის ბიზნესის ზრდის პროცესში მენეჯმენტის ძირითადი ელემენტია;



➤ საჭიროების შემთხვევაში, სასესხო და აქციონერული დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ახალი და მცირე ფირმებისთვის, კერძოდ, ინვესტიციების დაფინანსება კვლევისა და განვითარების სფეროში და არამატერიალური აქტივების შექმნა. ანალოგიურად, ინტელექტუალური და არამატერიალური საკუთრების შეფასება და მათი გამოყენება სესხების თანამონაწილეობისთვის უნდა იყოს ნახალისებული;

➤ ახალი და მცირე ფირმების ინოვაციისა და ინტერნაციონალიზაციის, მათი პოტენციური როლის, როგორც საწარმოს ზრდის ფაქტორის ამაღლების ხელშეწყობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ერთიანებულია სხვა ფაქტორებთან, როგორცაა ზრდის ამბიციის.

როდესაც ეს ელემენტები ეწინააღმდეგება რეალურ პოლიტიკას (OECD-ის წევრ ქვეყნებში), განსხვავებული აქცენტები კეთდება. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად შესაბამისი ასპექტის პოლიტიკა ტარდება, ბევრ ქვეყანაში ზრდის ინიციატივები ეფუძნება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდას და კვლევებისა და განვითარებისა და ინოვაციების ხელშეწყობას. პოლიტიკის ინიციატივები ამ მიმართულებით, უნდა შეესაბამებოდეს ტრენინგების მხარდაჭერას და უნარ-ჩვევების განვითარებას ახალ და მცირე ფირმებში, ამასთან, ზრდის ამბიციის ნახალისებას [OECD, 2010: 73]

გლობალური მენარმეობის მონიტორი (GEM) სამენარმეო აქტივობას უკავშირებს სამენარმეო გარემოს გაუმჯობესებას, რომელიც მრავალმხრივი და კომპლექსურია. იგი მოიცავს სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტს (ინვესტიციები განათლებაში, სოციალური ნორმები და ქცევები, რომლებიც უკავშირდება პირად თავისუფლებას, ქვეყნის დემოკრატიის დონე, მენარმეობის აღქმას); ზოგად პირობებს (ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა, მთავრობის როლი, ფინანსური და შრომის ბაზრების ეფექტიანობა, კანონის უზენაესობა, ინვესტიციების დონე კვლევებსა და განვითარებაში, ინფრასტრუქტურის ხარისხი, მენეჯმენტის კომპეტენციები); სამენარმეო საქმიანობების პირობები (ახალი სამენარმეო საწარმოების დაწყებისთვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ახალი სამენარმეო ბიზნესის ნახალისების პროგრამები, პროფესიული მომსახურებების ხელმისაწვდომობა); სამენარმეო შესაძლებლობები (საბაზრო შესაძლებლობების არსებობა), სამენარმეო უნარები და ა.შ.

კომპლექსური სამენარმეო გარემოს გაუმჯობესებასა და ერთდროულად რამდენიმე ამოცანის გადაჭრაში ცენტრალურ როლს ასრულებენ სამენარმეო ცენტრები. ერთ-ერთი ბოლოდროინდელი მაგალითია ხორვატიაში შექმნილი ოსიეკის სამენარმეო ცენტრი, რომელიც ბიზნეს ინკუბატორ BIOS Ltd- ში შეიქმნა. იგი აქტიურად მუშაობს პროგრამებისა და პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელიც მიზნად ისახავს მენარმეობის – საგანმანათლებლო პროგრამების და საკონსულტაციო მომსახურების ხელშეწყობას, მენარმეთა ინფორმირებას და სამენარმეო კულტურის განმტკიცებას. აკადემიურ საზოგადოებასთან, ადგილობრივი თვითმმართველობსა და სხვა დამხმარე ინსტიტუტებთან თანამშრომლობით იგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული ბიზნესის მხარდაჭერის ინსტიტუტია ხორვატიის რესპუბლიკაში. ხორვატი მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკური განვითარება მჭიდროდ უკავშირდება მაღალ სამენარმეო აქტივობას, რომელშიც სამენარმეო საქმიანობის დონე დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, რომელსაც ქმნიან სამენარმეო საწარმოები. 1997 წლიდან „ოსიეკის“ სამენარმეო ცენტრი აქტიურად მუშაობს აღმოსავლეთ ხორვატიაში სამენარმეო საწარმოების წარმოქმნისა და განვითარებისთვის საჭირო წინაპირობების შესაქმნელად, იგი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას, ცოდნის გადაცემას, უნარ-ჩვევების განვითარებასა და ხელს უწყობს მენარმეების ქსელის განვითარებას. ცენტრი აღიარებს კომპანიების სხვადასხვა განვითარების ეტაპებზე მათი პროდუქციასა და მომსახურებაზე მორგების და მენარმეების პრობლემების და საჭიროებების იდენტიფიცირების ინდივიდუალურ მიდგომას. ცენტრი უზრუნველყოფს მენარმეებს შორის ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლის პლატფორმას, ასევე აქტიურად იყენებს ამ მიდგომას მის საქმიანობაში, ბიზნესის, ადგილობრივი ხელისუფლების, რეგიონალური ოფისების, მთავრობის პოლიტიკისა და პროგრამების შემქმნელთა ქსელებით ხორვატიაში მენარმეობის ხელშეწყობის მიზნით [Anamarija D., Mirela A., Sunčica, O. P., 2012: 42].

ამგვარი ცენტრების შექმნაში სახელმწიფოს როლის გაგება არერთგვაროვანია. მეცნიერებმა გერმანიის სამენარმეო ეკოსისტემის პრაქტიკის კვლევის საფუძველზე გამოავლინეს, რომ სახელმწიფოს დიდი როლი აკისრია მენარმეობის სტიმულირებაში. სახელმწიფოს მხრიდან ამ პროცესში უნივერსიტეტების როლი უდიდესია. გერმანიას უკვე აქვს დინამიკური სამენარმეო ეკოსისტემას და აქვს მკაფიო პოლიტიკური დღის წესრიგი, რათა ხელი შეუწყოს მენარმეობას ქვეყანაში. გერმანიის მთავრობა მიზნად ისახავს კვლევითი ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში შექმნას დამატებითი ხელშეწყობის საშუალებები და სხვადასხვა პროგრამები დაიწყოს ინოვაციური პროცესების სხვადასხვა ეტაპების მხარდასაჭერად. გერმანიის სახელმწიფო უმაღლესი განათლების კანონი უნივერსიტეტებს უფრო მეტ ავტონომიას ანი-



ჭებს. ეს სტრუქტურული ცვლილება შეიძლება გამოყენებულ იქნას დამფინანსებლებსა და უნივერსიტეტებს შორის მოლაპარაკებების რეკონსტრუქციისთვის, სამენარმეო საქმიანობის სრულყოფისა და სახსრების მოძიებისა და გამოყოფისთვის. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტების თავისუფლების მიუხედავად, მათი სტრატეგიების დადგენა კვლავ რჩება სახელმწიფო დონის საკითხებად. უნივერსიტეტებთან მთავრობის თანამშრომლობის წარმატებული ცდაა პროგრამები High-Tech Gründerfonds და the EXIST. ეს უკანასკნელი პროგრამა მხარს უჭერს ადრეული ეტაპების ტექნოლოგიის განვითარებას და ბაზარზე გადასვლას. მაგრამ ხშირად, კაპიტალის საჭიროების მოთხოვნა ადრეულ ეტაპზე მიზანშეწონილი, რათა შემოწმდეს ტექნოლოგიის სარგებელი და მისი პოტენციური ბაზარი. სისტემის წარმატებული ფუნქციონირების მიუხედავად მთავარი საკითხი გერმანიის მენარმეებისთვის კულტურული ბარიერია: გერმანიაში მცხოვრები ხალხის სამი მეოთხედი არ გამოთქვამს სურვილს ბიზნესის დასაწყებად. მიიჩნევენ, რომ გერმანია სჭირდება პოლიტიკა, რომელიც გავლენას მოახდენს სოციალურ ღირებულებებზე მენარმეობის მიმართ დამოკიდებულებაში. ეს ეხება სამენარმეო კულტურის სფეროს და ახალი ფირმის ფორმირების კლიმატს, რადგან მენარმეების ან ბიზნესის მფლობელების არსებული რეპუტაცია საზოგადოებაში გავლენას ახდენს სამენარმეო საქმიანობაზე... მთავრობა აღიარებს მენარმეობის მნიშვნელობას და მოქმედებს ბევრ დონეზე მდგრადი ეკოსისტემის შესაქმნელად [Fuerlinger G., Fandl U., Funke T., 2015: 20].

ამგვარად, სამენარმეო აქტივობის ხელშეწყობა და სტიმულირება ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთ-ერთი გზაა. სახელმწიფოს შეუძლია ფირმების პირდაპირი დაფინანსების არჩევანისგან განსხვავებით უპირატესობა მიანიჭოს გრძელვადიან ორიენტირებს, რაც ზოგადად ბიზნესგარემოს მრავალი კომპონენტის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ინსტიტუციურ ხელშეწყობას გულისხმობს. ამასთან, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასწავლო დაწესებულებებისა და ბიზნესინკუბატორების მხარდაჭერა მენარმეობის წასახალისებლად უფრო შედეგიანია.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, **2016**. ქვეყნის დახასიათება მცირე ბიზნესის აქტის მიხედვით: საქართველო. მსს პოლიტიკის ინდექსი. ევროპის მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასება.
2. Anamarija D., Mirela A., Sunčica, O. P. (2012), The Role of Entrepreneurship support Institutions In Development of the Economy of Eastern Croatia – case of centre for Entrepreneurship Osijek, University in Osijek, Faculty of Economics in Osijek.
3. Global Entrepreneurship Index (2016), Entrepreneurship and Development Institute, Washington, D.C., USA Zoltán J. Ács, László Szerb, Erkkó Autio, The Global
4. Skica T., Bem A., Daszyńska-Żygadło K. (2013) The Role of Local Government in the process of Entrepreneurship Development, Financial Internet Quarterly “e-Finanse”, 2013, vol. 9 nr/4
5. Kłowski, S., Adamski, J. (1999). *Czynniki wpływające na lokalny rozwój gospodarczy*. In D. Wagner (Ed.), Strategie rozwoju gospodarczego miast i gmin (p.10). Warszawa: Muncypium.
6. OECD (2010), High-Growth Enterprises: What Governments Can Do to Make a Difference, OECD Studies on SMEs and Entrepreneurship, OECD Publishing.
7. Fuerlinger G., Fandl U., Funke T. (2015) The role of the state in the entrepreneurship ecosystem: insights from Germany, Triple Helix





## გ. ალადაშვილი

### მენარმეობის სტიმულირების თანამედროვე გამოწვევები რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება მენარმეობის სტიმულირების თანამედროვე გამოწვევებს. აღნიშნულია, რომ განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნები მოსახლეობის სწრაფი ზრდის გამო უახლოეს მომავალში დადგებიან სამუშაო ადგილების მწვავე დეფიციტის წინაშე. გამოსავალი ინოვაციებისა და მენარმეობის კომბინირებულ ზრდაშია. ამ პროცესის სტიმულირებისთვის სახელმწიფოები სხვადასხვა გზას მიმართავენ. სწორი სამთავრობო პოლიტიკის გატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მისი ასპექტებია: ფოკუსირება ბიზნესის გარემოს და სამენარმეო დამოკიდებულების გაუმჯობესებაზე, სწავლების სისტემა – ახალგაზრდა და მცირე საწარმოებში და შესაბამისი მართვის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. სამენარმეო ცენტრების განვითარება სტიმულირების პოლიტიკის მნიშვნელოვანი გზაა. ნაშრომში მოტანილია გერმანიის და ხორვატიის მაგალითები.

## G. Aladashvili

### Contemporary Challenges of Entrepreneurial Stimulation Summary

This work deals with the contemporary challenges of entrepreneurial stimulation. It is emphasized, due to fast pace of population growth, developing countries will face up to crucial problem of unemployment in near future. The way out is a combined increase of innovations and entrepreneurship. States take various measures for stimulating this process. The right government policy has a crucial importance. The following are its aspects: focusing on improving the business environment entrepreneurship dependence improvement, the system of teaching in new and small enterprises and evolving relevant administrative skills, improvement of financing availability. Evolving entrepreneurial centers is a key to stimulating policy. Samples of Germany and Croatia are indicated in this work.



## I. BOCHORISHVILI

### THE INTERNET AND ELECTRONIC COMMUNICATIONS IN BUSINESS

The Internet has created an entire business function commonly referred to as e-business or e-commerce. E-business represents the use of Internet and business technology in a company's operations. Most companies in the business environment have implemented some form of Internet or business technology into their business operations. While some companies faced the major changeover when developing an e-business function, other companies may have been on the edge of this technology before the widespread use of the Internet.

During its existence internet went through a difficult path from the scientific research projects to the all-embracing universal global decentralized network and till the commercial infrastructure. Commerce is becoming a kind of driving force of the internet.

The creation of the Internet network and the rapid development of the informational technological systems and perfection of their interactions led us to a new direction of the e-business formation.

A significant feature of e-business is the ability to communicate and transfer information via the Internet. Many companies use e-mail servers that allow managers and employees to send internal messages or information through e-mail communication mediums [Pavlov P., Steward D., 2000: N 1]. Companies also have developed business websites that allow consumers to review information about the company and its products before making purchases. These websites also provide consumers with a means for communicating with the company.

The success of commercial activity in an environment like Internet can be determined only by the fact exactly how and in what degree business takes into account customers interests. Moreover, it is necessary to know who they are, and what kind of needs, desires, behavior patterns and other features they have.

With the development of informational and communication technology world is becoming much smaller, so that connection between two subjects in different parts of the world is established within a few seconds [თოდუა ნ., უროტაძე ე.,... 2009]. Digitalization shall undoubtedly be confirmed as one of all-present generic trends, which to a large extent brought forth appearance of the rest of them.

The Internet also has allowed companies to find ways for lowering operational costs and saving capital on production of goods or services. Companies often implement business software to track various business operations and review the efficiency and effectiveness of each department. These business software packages help managers review information in a real-time format and make better or more-informed decisions regarding the efficiency of operations. Companies also can enhance their supply chain by communicating information to the distributors, warehouses and retailers that handle the company's products.

Nowadays new product are created on the informational market, which are necessary features of the economical development and significant factor of social life. The informational marketing is the foundation and basis of the e-society and led countries and governments to the integration in the global world network. With the help of informational marketing are implemented new ways of informational products offering to variety of audience (customers), considering their needs and demands. Prior to the global informational system establishment the main source of the information retrieval was personal relationships. Today information retrieval on the international scale are highly accessible through the global informational marketing, where, despite the capacity any kind of information could be gained.

One of the main function of the World Wide Web is e-Commerce, which provides sorts of marketing activities, sale and purchase of goods and services, setting relationship between the customers, the market growth, reduction of the necessary spending for the mediators. E Commerce contributes the development and growth of Internet marketing.

There are 4 main functions of the Internet marketing. These include: communication, information, entertainment and e Commerce [Wedopedia-On line....]. Marketing specialists consider communication as a part of the management of relations with customers. Its effective, pragmatic ways and channels represent Internet. Here communication is interactive , the initiators of which are t buyers as well as sellers. Modern organizations are actively using the Internet for communication policy.

The essential circles of the internet marketing are also the following subjects: institutions, individuals, informational intermediaries, the Internet providers, government agencies, different forms of organizations and unions, which are working on the market [თოდუა ნ., აბულაძე რ., 2011].

Internet-space displays the models of business potential, the new types of products in circulation, production realization processes, marketing, trade, transactions, data exchange, the usage of the communication technologies



and creation of a culture of communication, the development of local and international scientific communications, and shaping of the internet communication technologies [<http://rs.ge>].

Any business or organization that carries out activities through the Internet are called the internet market operating organizations. Such as : transport organizations, logistics and other organizations.

There are several methods of business communication, including:

- Web-based communication – for better and improved communication, anytime anywhere...
- Video conferencing which allow people in different locations to hold interactive meetings;
- Reports – important in documenting the activities of any department;
- Presentations – very popular method of communication in all types of organizations, usually involving audiovisual material, like copies of reports, or material prepared in Microsoft PowerPoint or Adobe Flash;
- Telephone meetings, which allow for long distance speech;
- Forum boards, which allow people to instantly post information at a centralized location; and
- Face-to-face meetings, which are personal and should be succeeded by a written follow up [<http://gss.ge>].

Good business communication is key for efficient business decision making and the running of everyday processes. Choosing the right means and mode of communication plays a vital role in the effectiveness of the message being communicated and such a choice depends on various factors such as; If the organization is small, probably more communication will be oral, than in larger organizations where it may be in writing. The policy for communication also would play a major role in influencing one's choice of mode of communication. The main point to be considered here would be to evaluate whether the cost involved in sending the message would be commensurate with the results expected. Whether the message is confidential in nature, urgent or important etc. and whether a matter would require hand delivery or be set by registered post etc. also influences the choice of mode and means of communication. Whether the message to be sent is also another vital factor which could influence the choice of means and modes of communication. For example, if a letter is to be sent to a partner in a joint venture in Japan and it is urgent, you would not think of sending someone to personally deliver it. The resources available to both the sender and receiver would also influence your choice. You can only send a fax if the other person/organization has a fax machine. Therefore we can see that the choice of a particular mode and means of communication will depend on a case to case basis and is influenced by various factors.

Means and Mode of Communication are: 1.Face-to-Face Meeting; 2.In-Person Oral Presentation; 3.Online Meeting ; 4.Videoconferencing 5.Teleconferencing 6.Phone Call 7.Voice Message 8.Video 9.Blog 10.Report 11.Brochure 12.Newsletter 13.Flier 14.Email 15. Мемо [Хэнсон У., 2002].

Many companies in the traditional business environment were unable to directly sell goods or services to consumers and other businesses. These companies, such as manufacturing and intermediate goods producers, often needed a middleman to help sell goods in the business environment. The Internet allows these companies to set up websites or other electronic order systems to sell products and generate a pipeline for future business sales.

Business activities on the Internet are much more effective than traditional activities. Company doing business on the Internet represent the part of electronic transfer of business activity in the network, i.e., The company uses traditional methods of business through the E-business by adding to them virtual opportunities. E-shops are the key directions of E-business, which are largely determining the dynamics of its development and growth [Успенский И., 2003]. The latest innovative approaches are looming out through the information technologies and economy that contribute E-business development. E-business represents its socio-economic development's powerful incentive in the developed countries around the world. It should be noted that the e-business market is rapidly changing. Georgia's first on-line prototypes store appeared in 2001. However then it was only an attempt of e-business developing and the majority of them was limited to the applications of sales and purchases. Nowadays gradually we are starting to use actively information resources in almost all areas of e-business.

Effective communication helps get the job done on time and within budget. Managers and team leaders who can communicate, and relay objectives, reasoning and specific tasks in a concise and coherent manner, using the right tools fit for purpose, contribute significantly more to the success of a business than those who fail to communicate efficiently during day-to-day business activities.

Thanks to smart phones, laptops and tablets, present day communication is expected to be instantaneous. Businesses use intranets, apps, emails and video calls to communicate with employees across departments and locations. With so many communication options available these days, it can be hard for businesses to know what tools to use and how to use them most effectively.





This is not a new trend but this year it will be as important as ever. With many business organizations continuing to take advantage of mobile and cloud solutions, the rise in number of associated devices means it is more likely to have breakpoints. High profile cyber-attacks have emphasized how exposed any system network can be. The technological advancements that continue to provide the business community with relevant and helpful tools also means that new opportunities will continue to rise for hackers. Why? Because each new technology will have weak points before they are identified fixed, and secured. The fast-changing threats to many communication applications need dedicated efforts to ensure integrity and security.

Despite the proven savings and operating web-based communication solutions, implementing and maintaining the security of the network will contribute to an increase in overall IT spending this year. And with the positive signs of economic growth, many businesses are looking to keep up. More personnel will be hired and spending on cloud and web solutions will allow businesses access to the latest technologies, software updates and patches, ensuring the business is technologically competitive.

Business communication trends will always be changing. It's up to businesses to keep up with technology. Having the right tools and technology will facilitate making your business competitive in your field and improving overall business communications.

The Internet is not an end-all, be-all solution for business. Many businesses, small and large, often face significant upkeep charges for maintaining current technology in their business operations. Failing to maintain current technology in business may allow a competitor to use new Internet-based technology for creating a competitive advantage in the economic marketplace. Companies also must be careful to invest in technology that will be supported and commonly used in the business environment.

### References

1. ნ. თოდუა, რ. აბულაძე, “ინტერნეტ მარკეტინგი”. 2011.
2. ნ. თოდუა, ე. უროტაძე, რ. აბულაძე “გლობალური კრიზისის გავლენა ინტერნეტ ბაზრის განვითარებაზე.” საუნივერსიტეტო შორისო სამეცნიერ-პრაქტიკული კონფერენცია “ მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო” გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი. 2009.
3. Paul A. Pavlou, David W. Stewart. Measuring the Effects and Effectiveness of Interactive Advertising//Journal of Interactive Advertising, 2000. №1.
4. Webopedia-On line Computer Dictionary for Computer and Internet Terms and Definitions ([www.webopedia.com](http://www.webopedia.com))
5. <http://rs.ge>
6. <http://gss.ge>
7. Хэнсон У. Интернет-маркетинг: учебное пособие для студ. вузов. Пер. с англ. Под ред. Ю.А. Цыпкина. – М.: Юнити, 2002.
8. Успенский И.В. Интернет-маркетинг. Изд-во СПбГУЭиФ. Санкт-Петербург. 2003.



## I. Bochorishvili

### The Internet and electronic communications in Business Summary

Information technology has transformed the way companies conduct business. Technology allows businesses to automate manual operations and process information much faster. Personal computers, server storage and point-of-sale or cash register systems, another major technological advancement is the Internet, which has created new communication forms and other business methods that companies use when processing financial and business information.

The article overviews internet shops' new web platform, which ensures far better performance of online buying and selling transactions. Online payment system is simplified between enterprises, sellers and customs service. Moreover, it gives opportunity to increase speed of trade operations, by providing simplification and unification of trade and tax statement. Online trading will facilitate economic growth in Georgia. Definitely, it could be said, that online shopping in the near future will develop much faster throughout the world. Internet shopping is a good way for companies conduct trading operations easily and swiftly.

## ი. ბოჭორიშვილი

### ინტერნეტი და ელექტრონული კომუნიკაციები ბიზნესში რეზუმე

საინფორმაციო ტექნოლოგიებმა შეცვალა კომპანიების მიერ ბიზნესის მართვის მეთოდები. ის საშუალებას იძლევა გაცილებით სწრაფად მოხდეს ინფორმაციის გადამუშავება. ესენია: პერსონალური კომპიუტერები, სერვერის შენახვისა და პუნქტ-რეალიზაციის ან სალარო აპარატების სისტემა, სხვა მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური წინსვლა. ზემოთ ჩამოთვლილმა ახალმა საკომუნიკაციო საშუალებებმა შესაძლებლობა მისცეს კომპანიებს გაეადვილებინათ და დაეჩქარებინათ ფინანსური და ბიზნეს ინფორმაციის დამუშავება.

ნაშრომი განიხილავს ინტერნეტმაღაზიის ახალ ვებპლატფორმას, რომელიც გაცილებით უკეთ უზრუნველყოფს ონლაინ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს; გამარტივებულია საწარმოების, რეალიზატორებისა და საშემოსავლო სამსახურების ერთმანეთთან ონლაინ ანგარიშგება. იგი საშუალებას იძლევა გაიზარდოს სავაჭრო ოპერაციების სიჩქარე, უზრუნველყოფს ვაჭრობისა და საგადასახადო ანგარიშგების გამარტივებას, უნიფიცირებას. ონლაინვაჭრობა ხელს შეუწყობს საქართველოში ეკონომიკური აქტივობის ზრდას. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტმაღაზიები უახლოეს პერიოდში კიდევ უფრო სწრაფად განვითარდება მთელ მსოფლიოში.



**დ. ვეკუა**

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების პარადიგმა**

დღეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების პარადიგმას მნიშვნელოვანწილად აყალიბებს თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია, რაც პირველ რიგში მენარმეების ხელშეწყობას, სახელმწიფო რეგულაციების შემცირებას და ლიბერალური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობს. ამ გზით საქართველოში იგეგმება საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, ეკონომიკაში დამატებითი კაპიტალის მოზიდვა, სამუშაო ადგილების შექმნა, დასაქმების პრობლემის მოგვარება და სხვა სოციალური საკითხების რეგულირება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პარადიგმა ასევე გულისხმობს საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანობას, დაბალანსებულ ბიუჯეტებს, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას, მონოპოლიების შეზღუდვას და ეკონომიკურ სუბიექტებისთვის თანაბარი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას.

ლიბერალური ფასეულობები თავისუფალი ბაზრის ფუნდამენტი და მისი კონცეფციის ორგანული ქსოვილია. ამ ფასეულობების გათვალისწინებით თავისუფალი ბაზარი ხდება პრაგმატული და რეალისტური, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს ადმინისტრაციული მმართველობა ყოველთვის იძალადებს ეკონომიკური სუბიექტების თავისუფლებას, სახელმწიფო მოხელეები კი აქტიურად ჩაერევიან რესურსების განაწილების პროცესში.

ბევრი პოსტკომუნისტური ქვეყნის მსგავსად, საქართველოშიც, ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის გარკვეულ ეტაპზე მოხდა ფასეულობათა სისტემის აღრევა და გადაფასება, რაც უთუოდ მსოფლმხედველობითი დუალიზმის შედეგია და გარდაქმნების გზაზე წარმოადგენს სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორს, რადგან გლობალური რეფორმირების განხორციელება შინაგანი რწმენის გარეშე შეუძლებელია.

ამავე დროს, ეკონომიკური თავისუფლება, არის სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ბაზისი, მისი მატერიალური და ფინანსური ფუნდამენტი, რის გამოც საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის ტრანსფორმაციის პროცესებმა აქტიურად მოითხოვა ეკონომიკური პოლიტიკის თვისობრივად ახლებური გააზრება. ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით გასული დაახლოებით ორი ათეული წელი არასათანადოდ არის შესწავლილი. მაკროეკონომიკური ანალიზის დროს მეტი ყურადღება ექცევა გარე რისკებსა და გამონეგვებს, ნაკლები შიდა პრობლემებს, რაც ემსგავსება ისეთ მდგომარეობას, როდესაც ვაფასებთ სხვის ცხოვრებას და აღმოვაჩინებთ, რომ ნაკლებად ვართ ჩახედული საკუთარში.

უცხოური ქვეყნებიდან გამზადებული მოდელების გადმოტანა და მათი მორგების მცდელობა ხშირად წარუმატებლად მთავრდება, ვინაიდან ამ შემთხვევაში სწორად არ ფასდება ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი, ადამიანური, ინტელექტუალური, მატერიალური რესურსები და პოტენციალი.

ეკონომიკური თავისუფლება პირველ რიგში მომავლის ფილოსოფიაა, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომიკას, როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებას აქვს საკუთარი ისტორიული მეხსიერება, რისი ცოდნაც მომავლის სწორი განჭვრეტისთვის უმნიშვნელოვანესია. ეს ცოდნა მომავლის პროგნოზირებისა და რისკების ნეიტრალიზაციისთვის უნდა იქნას გამოყენებული. წარსულზე ზემოქმედება და მისი გადაწერა შეუძლებელია. თუმცა წარსულის გამოცდილება უდაოდ დაგვეხმარება იმაში, რომ სწორად დავგეგმოთ მომავალი, ერთი ცნობილი გამონათქვამისა არ იყოს, ის რაც არ გვკლავს გვაძლიერებს.

რეფორმების პროცესში თავისუფლების სერიოზული ხელის შემშლელი ფაქტორია არაეფექტური სახელმწიფო აპარატი, ხშირად სახელმწიფო ჩინოვნიკები ბიზნესს ერთის მხრივ აქტიურობისკენ მოუწოდებენ, ამავე დროს კი საკუთარი არაპროფესიონალიზმის ან სხვა პირადი ინტერესების გამო, ხელს უშლიან ბიზნესს ეკონომიკური აქტიურობის განხორციელებაში.

დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობს, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების პოლარიზაციის ფონზე, გამრავლდა ქონებრივი მდგომარეობის და შემოსავლების მიხედვით საზოგადოების დიფერენციაცია და ქვეყანაში ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა სოციალური უთანხმოებისა და უკმაყოფილებისათვის. ეკონომიკური რეფორმების ეფექტი, როგორც წესი, მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდება თვალსაჩინო და ხელშესახები, რაც მოქალაქეებისათვის ძნელი აღსაქმელია. ასევე, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს კვლავ მოჰყვება ნოსტალგია წარსულისადმი, რაც მთლიანობაში აძლიერებს აპათიურ განწყობილებებს საზოგადოებაში.



ცნობილი გერმანელი ეკონომისტი და სახელმწიფო მოღვაწე ლუდვიგ ერხარდი თავის ნაშრომში „კეთილდღეობა ყველასათვის“ ამბობს: „მარჩენალი სახელმწიფო თანამედროვე ილუზიაა.“<sup>1</sup> იგი აღნიშნავს: „როდესაც ადამიანი საგულდაგულოდაა დაცული ცხოვრებისეული მოულოდნელობებისგან, ბუნებრივია მისგან ვერ მოვითხოვთ სასიცოცხლო ძალის და გარკვეული ინიციატივების გამოჩენას“<sup>2</sup>.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის ტრანსფორმაციის პროცესებმა აქტიურად მოითხოვა სოციალური პოლიტიკის თვისობრივად ახლებური გააზრება.

თავისუფალი ბაზარი დაფუძნებულია ღრმა ინდივიდუალიზმზე და ნაწილობრივ ქმნის ადამიანების განმარტოებისა და გაუცხოვების წინაპირობებს. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება დიდი კოლუმბიელი მწერლის გაბრიელ გარსია მარკესის ცნობილი გამონათქვამი „მე არ ვარ მდიდარი, მე ვარ ღარიბი კაცი, რომელსაც აქვს ფული-ეს ორი ცნება კი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან“<sup>3</sup>. მაგრამ ამავე დროს ინდივიდუალიზმი ენერჯის წყაროც არის, რაც გულისხმობს მოსახლეობაში ახალი სიცოცხლის შთაბერვას, რადგან მარტოობა მთავრდება მაშინ, როდესაც ადამიანებში მომავლის პერსპექტივის იმედი ჩაისახება. ადამიანებს საკუთარი კრეატიული შესაძლებლობების გამოვლენა ხანდაზმულ ასაკშიც სჭირდებათ, რაც არის შრომისუნარიანი ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება.

ეკონომიკური თავისუფლების ფილოსოფია, როგორც ეკონომიკური განვითარების პარადიგმა, სათავეს იღებს ევროპაში ვოლტერის, დიდროს, რუსოს და სხვა დიდი განმანათლებლების ეპოქაში. ამ იდეების ინსტიტუციონალიზაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრება დღემდე მიმდინარეობს და ის ევროპული ეკონომიკის მართვის კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა.

დღეს ევროკავშირი, როგორც ჩინეთი ან ინდოეთი, დიდი მეგაპოლისი გახდა, სადაც ცხოვრობს მრავალი მცირე თუ მრავალრიცხოვანი ერი, რომლებსაც აქვთ საკუთარი ისტორიული ფესვები, ენა და სარწმუნოება. ჩვენც ვადგავართ ევროკავშირში ინტეგრაციის ამ რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე გზას, სადაც ერთის მხრივ უნდა მოვახდინოთ თავისუფალი ბაზრის სივრცეში ადაპტაცია, მეორეს მხრივ კი გლობალიზაციის პირობებში შევინარჩუნოთ ეროვნული იდენტობა.

საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე პარადიგმის ანალიზის დროს ხშირად ვაწყდებით მოსაზრებებს, რომ ჩვენი ეკონომიკური პრობლემები გარე ინვესტიციების ნაკლებობას და მაღალ პოლიტიკურ რისკებს უკავშირდება, ვერ ხერხდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რის გამოც მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ნაწილი ტოვებს ქვეყანას. ეს პროცესი რა თქმა უნდა განპირობებულია ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან მხოლოდ ფულის დეფიციტი კი არა, არამედ მოტივირებული და განათლებული ადამიანების სიმცირე ქმნის საზოგადოებაში უიმედობის განცდას. მაღალი მოტივაციის და პროფესიონალიზმის ნათელი მაგალითია ომის შემდგომი გერმანია, როდესაც ორად გაგლეჯილი, მორალურად, ეკონომიკურად და ფიზიკურად განადგურებული ქვეყანა სწორედ ასეთმა გონიერმა და თავის ქვეყნის მომავალში დარწმუნებულმა ადამიანებმა დააყენეს ახალი განვითარების გზაზე. გერმანია უკვე 50-იანი წლების ბოლოს ევროპის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ინვესტორი გახდა, ხოლო დღეს ის ევროკავშირის და მსოფლიო გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოა, რაც არის შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორი გავლენა შეიძლება მოახდინოს მოსახლეობის მორალურმა და სულიერმა კონსოლიდაციამ ეკონომიკის განვითარებაზე.

თავისუფლება ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულაციების მინიმიზაციაა. ეს პირველ რიგში საკანონმდებლო სივრცის მოწესრიგებას გულისხმობს. კანონებმა უნდა ნაახალისონ და არა შეზღუდონ ეკონომიკური აქტიურობა. ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება მოითხოვს ევროპულ კანონმდებლობასთან ჩვენი საკანონმდებლო სივრცის სინქრონიზაციას და ეკონომიკის სფეროში ბიზნესის თავისუფლების მიზნით კანონების რაოდენობის შემცირებას. დიდი ფრანგი განმანათლებელი ვოლტერი ამბობს, „რომ სახელმწიფოში კანონების მრავალრიცხოვნება იგივეა, როგორც ექიმების დიდი რაოდენობა, რაც ქვეყანაში მოსახლეობის ავადმყოფობის და უძლურობის ნიშანია“<sup>4</sup>.

თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია, ეფუძნება რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომლის დაცვა უპირობოდ აუცილებელია იმისათვის, რომ არ დაირღვეს ეკონომიკური რეფორმების თანმიმდევრობის ლოგიკა. ეს პრინციპები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: პოლიტიკური პოპულიზმისგან თავშეკავება და ეკონომიკური რეფორმების თანმიმდევრულობა; ეკონომიკურ ურთიერთობების პროცესში წესრიგიანობა; მართვის პროცესში გადაწყვეტილებების კვალიფიციურად მომზადება და მათი დროული იმ-

<sup>1</sup>ერხარდი ლ. კეთილდღეობა ყველასათვის. თბილისი, 2011 გვ. 286

<sup>2</sup>ერხარდი ლ. კეთილდღეობა ყველასათვის. თბილისი, 2011 გვ. 287

<sup>3</sup>[https://ka.wikiquote.org/wiki/გაბრიელ\\_მარკესი](https://ka.wikiquote.org/wiki/გაბრიელ_მარკესი)

<sup>4</sup><https://ka.wikiquote.org/wiki/ვოლტერი>



პლემენტაცია; მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ხარჯვის ოპტიმიზაცია; რეფორმების განხორციელების პროცესში ზომიერება და კეთილგონიერება.

პოლიტიკური პოპულიზმისგან თავშეკავება პირველ რიგში თავისუფალ ბაზარზე პოლიტიკური რისკებისგან გავლენების მინიმიზაციას გულისხმობს. ეს ეხება, როგორც საგარეო რისკებს, მაგალითად ისეთს, როგორცაა პოლიტიკური კონიუქტურიდან გამომდინარე ამა თუ იმ ქვეყნებთან სარფიან პარტნიორობაზე უარის თქმა, ასევე შიდა პოლიტიკურ რისკ-ფაქტორებს, კერძოდ: არჩევნებში გამარჯვების მიზნით ამომრჩევლების გულის მოგების გამო, ამა თუ იმ აუცილებელი გადაწყვეტილებების გადადებას ან მათზე უარის თქმას. ასეთ დროს ფერხდება რეფორმები და სახელმწიფო კარგავს უნარს სწრაფად გაუმკლავდეს თავისუფალი ბაზრის გამოწვევებს, კერძოდ: გაზრდილი ბიუროკრატიული აპარატის მოუქნელობას, პოლიტიკური ჯგუფების არაჯანსაღ დაინტერესებას პრივატიზაციის პროცესით, რესურსების განაწილებაში დისკრიმინაციას და ლობიზმს, დაბეგვრაში ეტატიზმს, ბიუჯეტში არაეფექტური ხარჯების პროგრამირებას, სხვადასხვა რეგიონების ჭარბ სუბსიდირებას, ე. წ. „ფოკუს“ ჯგუფების ბიუჯეტიდან გაუმართლებელ დაფინანსებას და სხვა.

გადაწყვეტილებების მიღების თანმიმდევრულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური პოპულიზმის თავიდან ასაცილებლად, პოპულიზმი აჩენს არაჯანსაღ მოლოდინებს დასაქმების, საპენსიო უზრუნველყოფის, განათლების, მედიცინის და ეკონომიკის სხვა სფეროებში.

შემდეგი მნიშვნელოვანი პრინციპი ეკონომიკურ ურთიერთობებში არის ნესრიგიანობის დამყარება. ნესრიგი პირველ რიგში გულისხმობს თავისუფალი ბაზრისათვის დამახასიათებელი საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის შექმნას, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში შეჯიბრებითობის, სამართლიანობის და ეკონომიკური მიზანშეწონილობის გარემოს ჩამოყალიბებას.

საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის ცვლილება უნდა შეეხოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობას, საბიუჯეტო კოდექსს, ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობის, იმპორტისა და ექსპორტის რეგულირებას, ინვესტიციებს, სუბსიდირებას და სუბვენციებს, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის სფეროს და სხვა.

ნესრიგიანობამ უნდა გამორიცხოს საწარმოო შპონაჟი, კომერციული ინფორმაციების გაჟონვა, სახელმწიფო მოხელეების მხრიდან ბიზნესზე ზეწოლა, შანტაჟი, გამოძალვა და კორუფცია.

გადაწყვეტილებების მომზადების და მათი იმპლემენტაციის უნარი არის ის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელმაც უნდა შექმნას წარმატების წინაპირობა.

ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას უკავშირდება უნდა ეფუძნებოდეს გასული წლების შეცდომებისა თუ წარმატებების ღრმა ანალიზს, რისკების აქტუალურ გათვლას, პერსპექტივის განჭვრეტას, ეკონომიკის განვითარების პროგრამების კვალიფიციურ მომზადებას და ა.შ.

ამ უზარმაზარი სამუშაოს განევის შემდეგ დგება მოქმედების დრო და იწყება გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია, სადაც მენეჯერთა გუნდს და მთავრობას არ უნდა ჰქონდეს გაორებული განწყობილება, მათი შინაგანი რწმენა უნდა იყოს მყარი, რადგან თუ შენ არ გჯერა წარმატების, ძნელად დასაჯერებელია იქნება ის იმ ადამიანებისათვის ვინც ამ პროცესის თანამონაწილეა.

მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციის პრინციპი გულისხმობს ამ რესურსების დაზოგვას, რადგან რესურსი შეზღუდულია, ხოლო სწორედ კონკურენცია მსოფლიოში ამ რესურსების მოპოვებასა და განკარგვისთვის ბრძოლას უკავშირდება.

ეკონომიკურ განვითარებას მუდმივად სჭირდება ინვესტიციები, რომლებიც სასურველია ძირითადად წარიმართოს ადამიანური კაპიტალის და ახალი ტექნოლოგიების დასაწერად, რადგან ეს არის გზა ბაზრის ეფექტურობისკენ. როგორც დიდი ფრანგი მოაზროვნე ჟან-ჟაკ რუსო ამბობს „ათასი გზა მიდის დაბნეულობისკენ და მხოლოდ ერთი ქვამარიტებისკენ“<sup>1</sup>.

ზომიერების და კეთილგონიერების პრინციპი პირველ რიგში ეკონომიკის მართვაში რეალიზმს უკავშირდება. ეს პრინციპი უნდა დავიცვათ კორპორაციებში აქტივების მართვის, ფინანსური ბაზრებზე დამკვიდრების, ფინანსების მენეჯმენტის განხორციელების პროცესში, საბანკო, სადაზღვევო და საინვესტიციო ფონდების ეფექტურად მართვის, ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში ფინანსური რესურსების განაწილების დროს. ზომიერება და კეთილგონიერება ასევე გულისხმობს გადაწყვეტილებების იმპლემენტაციის დროს ამპარტავნობის, მისიონიზმის და შეუცდომლობის კომპლექსები დაძლევის.

თავისუფალი ბაზარი ვერ ეგუება პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ნიაღვრებს და ის ეკონომიკური კანონზომიერებებითა და რეალური განზომილებებით ვითარდება. ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია ის, რომ რეფორმების პროცესში ჩვენ ახალ უკიდურესობას, ფსევდო ლიბერალიზმის გზას არ დავადგეთ.

<sup>1</sup>[https://ka.wikiquote.org/wiki/ჟან-ჟაკ\\_რუსო](https://ka.wikiquote.org/wiki/ჟან-ჟაკ_რუსო)





ჩვენი ქვეყნის ისტორიულმა წარსულმა დაგვანახა, რომ დამოუკიდებლობას სჭირდება სიმტკიცე, ამას კი მყარი ნება სჭირდება. გარდაქმნების ამ რთულ გზაზე უნდა გვახსოვდეს ძველი ინდური გამონათქვამი: „გეზის სისწორე თუ არ გვექვება, მაშინ მანძილიც არაფერია“.<sup>1</sup> საუკეთესო გამოსავალი სწორი გზით სიარულია. საქართველომ მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს საკუთარი ნებელობა და თავი დააღწიოს გარედან რიგ შემთხვევაში წინააღმდეგობრივ რეკომენდაციებს და აქედან გამომდინარე არ უნდა გადაიხაროს არც ზედმეტი კონსერვატივიზმისკენ, არც ფსევდო ლიბერალიზმისკენ, სხვა შემთხვევაში ზუსტად მოგვესადაგება ბერძენი ფილოსოფოსის დემოსთენეს ცნობილი ფრაზა „ბრიყვი საზოგადოება ჯობია იყოს მორჩილებაში ვიდრე თვითონ მართავდეს ქვეყანას“.<sup>2</sup>

დღეს, როდესაც ამდენი რამ იცვლება მსოფლიო ეკონომიკაში, პოლიტიკაში, საზოგადოების ცხოვრებასა თუ ცნობიერებაში, დემოკრატიულ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოება და მთავრობები ცდილობენ გაიაზრონ და გადააფასონ ის ახალი გამოწვევები რაც თითქოსდა მუდმივ, ქვეყნარსებ ფასეულობათა სისტემას გაუჩნდა.

რა არის და რა იყო ეს მსოფლმხედველობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკაში, რამაც ასე ღრმად გაიდგა ფესვები, აშშ-ში, ევროპაში და მთელ ცივილიზებულ სამყაროში? ეს არის ლიბერალური დემოკრატია – ზოგადად და კონკრეტულად კი თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია ეკონომიკაში. მას შემდეგ, რაც ამ მიმართულებით ბოლო 25 წელია საქართველოში მიმდინარეობს პერმანენტული რეფორმები, ისმის კითხვა: ხომ არ მოვწყდით ბუნებრივ განვითარებას და სასურველი ხომ არ წარმოვიდგინეთ რეალობად? ლიბერალიზმი მართლაც ადამიანთა თანაცხოვრების და საქმიანობის საუკეთესო ფორმაა თუ ილუზია, რომელსაც ოსტატურად იყენებენ ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები ბაზრების გლობალიზაციის და ამ ბაზრების მონოპოლიების შექმნის მიზნით. ცხადია ეს კითხვა მაქვს არა მარტო მე, არამედ აქვს ჩვენს ბევრ მოქალაქესაც. „მსოფლიო მოქალაქის“ იდეით აღტკინებულები, ხომ არ მოვწყდით ჩვენს ფესვებს, იმას, რასაც საქართველოში ტრადიციულ ფასეულობებად მიგვაჩნია? ხომ არ მივაგდეთ სადღაც ბნელი ბიბლიოთეკების საცავებში ჩვენი ქართველი და ბევრი უცხოელი მოაზროვნის შეგონებები ეროვნულ ფასეულობების მოფრთხილებისა და მისი განვითარების შესახებ?

სამყაროში ადამიანის ინდივიდუალიზმსა და განუმეორებლობას ფილოსოფიის ავტორი, გერმანელი ფილოსოფოსი, მარტინ ჰაიდეგერიც კი, რომელიც XX-ში ლიბერალიზმის „ახალი ტალღის“ ფუძემდებელია ამბობს, რომ „ყველაფერი არსებითი და დიდი წარმოიქმნება იქიდან, რომ ადამიანს ჰქონდა სამშობლო და იგი იყო ფესვგადგმული ტრადიციაში“.<sup>3</sup>

საკუთარი ეკონომიკური სივრცისა და ტრადიციების დაცვის მიზნით ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლამ, აშშ ნეო-კონსერვატიული და პროტექციონისტული შეხედულებების მომძლავრებამ, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ამ მიმართულებით დაწყებულმა მოძრაობებმა დაგვანახა, რომ თავისუფალ სამყაროში ყველაფერი წესრიგში ვერ არის. ეს თავდაცვითი ინსტინქტებია, რომელიც ამ ქვეყნებიდან წამოსული ზემოქმედების ტალღების სახით შეუქცევადად ვრცელდება მთელს მსოფლიოში. ალბათ მომავალში ლიბერალიზმის და პროტექციონიზმის სწორი შეხამება ისეთივე ბედის განმსაზღვრელი აღმოჩნდება კაცობრიობისათვის, როგორც ყველა დიდი ისტორიული ხდომილება.

ერთი რამ ცხადია, ჩვენს ეკონომიკაზე დასავლეთიდან წამოსული ზემოქმედების ეს ტალღები აუცილებლად მოითხოვს ჩვენთან ჩამოყალიბებული სტერეოტიპების ტრანსფორმაციას, რასაც უმაღლეს მოყვება ქართული ეკონომიკის პარადიგმის სერიოზული კორექტირება.

პროტექციონიზმი არამც და არამც არ მოდის წინააღმდეგობაში თავისუფალი ბაზრის ფილოსოფიასთან, როგორც ეს ლიბერალიზმის აპოლოგეტებს წარმოუდგენიათ, პირიქით ეს გულისხმობს შიდა ბაზრის დივერსიფიკაციას და კონკურენციის ამაღლებას, მონოპოლიების შეზღუდვას, ადგილობრივი და ტრადიციული მწარმეების ხელშეწყობას, მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებას, განაწილებაში სოციალური სამართლიანობის დამყარებას და ზოგადად ყველაფერს, რაც საბაზრო მექანიზმების და ინსტრუმენტების გამოყენებით შეიძლება ემსახურობოდეს საქართველოს ინტერესებს. მაშინ ლიბერალიზმიც იქნება საზოგადოებისთვის უფრო გასაგები, სხვა შემთხვევაში ჩვენი დარგული ვენახიდან მოწეული მოსავალი არც ჩვენი გლეხის კეთილდღეობას მოხმარდება და არც ქართულ სახელმწიფოს. სწორი პროტექციონისტული პოლიტიკის ერთ-ერთ მაგალითად მიგვაჩნია ბრიტანეთში მარგარეტ ტეტჩერის მმართველობა, როდესაც თანმიმდევრული პროტექციონისტული პოლიტიკის შედეგად ტრადიციულ დარგებს ხელშეწყობით ბრიტანეთმა თავი დააღწია ქვეყანაში გამეფებულ ქაოსსა და განუკითხაობას.

<sup>1</sup>Мусский И. А. Сто великих мыслителей. Москва, „ВЕЧЕ“ -2000г. ст.10

<sup>2</sup>Мусский И. А. Сто великих мыслителей. Москва, „ВЕЧЕ“ -2000г .ст.13

<sup>3</sup>ირაკლი ბათიაშვილი., მარტინ ჰაიდეგერი :სხვა გზა” გვ.26



როცა ლიბერალიზმის პოზიტივებზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ის რეციდივები, რომელიც მას ახლავს. მაგალითად: ბაზრის მონაწილე მსხვილი კომპანიები ლიბერალიზმის პირობებში, საკუთარი კაპიტალის სიძლიერის გამო ზღუდავენ ჯანსაღ კონკურენციას და ადვილად ერევიან ჩვენს მენარმებს, როგორც შიდა ისე გარე ბაზრებზე. ამ პრობლემის დაძლევა სახელმწიფო რეგულაციების გარეშე შეუძლებელია. ეკონომიკის დივერსიფიცირება, ანტიმონოპოლიური საქმიანობა, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, მიწის საკუთრების საკითხები, დასაქმების სტიმულირება, სამუშაო ძალის მიგრაციის პრობლემები ის თემებია, სადაც სახელმწიფოს პროტექციონისტური ჩარევა გარდაუვალია.

ამასთან, ლიბერალურმა ეკონომიკამ მოგვცა დოლარიზებული ეკონომიკა, სრულად დაუცველი ფინანსური ბაზარი, სადაც სამწუხაროდ ბევრი რამ არა ჩვენზე, არამედ მსოფლიოში დოლარის გამყარებასა თუ ინფლაციაზე არის დამოკიდებული.

თუმცა აქ სამართალი მოითხოვს ითქვას, რომ დოლარი გავლენას ახდენს არა მარტო ჩვენი მასშტაბის ქვეყნის, არამედ მეგაპოლისებისა თუ სუპერქვეყნების ეკონომიკაზე. ეს ყველას თავსატეხივარი გახდა, რადგან ფინანსური სტაბილიზაციის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკურ განვითარებაზე ფიქრიც კი.

ეკონომიკა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაა და ამიტომ ის ცოცხალი ორგანიზმია, და ადამიანის მსგავსად, ისიც ინდივიდუალური და უნივერსალურია. მისი სტანდარტიზაცია და უნიფიკაცია ზოგად უნივერსალური ჩარჩოს მეშვეობით სავსებით დაუშვებლად მიმაჩნია, რადგან თანამედროვე სამყაროში ყველამ უნდა გააცნობიეროს საკუთარი რეალობა და თითოეული ქვეყნის განუმეორებლობა. შესაძლოა ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა, მაგრამ მიმაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პარადიგმა კარგავს კრეატიულ იმპულსებს და მთლიანად საერთაშორისო ექსპერტების და ორგანიზაციების რეკომენდაციებზე დამოკიდებული ხდება. ლიბერალიზმი ეკონომიკაში კრეატიული მიდგომების გარეშე მიტოვებულ ციხე-სიმაგრეს ემსგავსება, სადაც არაფერი არ ხდება გარდა უბედურებისა. უპრიანი იქნება ეკონომიკის კრეატიულობასთან დაკავშირებით გავისხენოთ დიდი ჩინელი ფილოსოფიის კონფუციუსის სიტყვები: როცა გარდაქმნების ქარიშხალი ამოვარდება, ჩინეთის დიდი კედელი კი არა, ხიდეები და ქარის წისქვილები უნდა ვაშენოთო. ვფიქრობ, საზოგადოების განვითარების ისტორიამ, ეს მოსაზრება არა ერთხელ დაადასტურა და ცუდი არ იქნება, თუ ჩვენც ამ საკითხებზე დავფიქრდეთ.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება. თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია. თბილისი, 2004;
2. გაბელაია ა. ფინანსები. თბილისი, 2011;
3. ერხარდი ლ. კეთილდღეობა ყველასათვის. თბილისი, 2011;
4. ვეკუა დ. მოსახლეობის სოციალური დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. თბილისი, 2003;
5. იაკობიძე დ. გლობალური დინამიზმის ქართული სინამდვილე. თბილისი, 2011;
6. კაკულია რ., ბახტაძე რ. ჯიბუტი ა. საჯარო ფინანსები. თბილისი, 2010;
7. დ. ვეკუა ი. ვეკუა საქართველოში მოსახლეობის სოციალური დაზღვევის მაკროეკონომიკური რეგულირების გზები და მიმართულებები. თბილისი 2013 წ.
8. ვეკუა. დ. ფისკალური პოლიტიკის სრულყოფის და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების გზები საქართველოში გ. თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული N1, თბილისი 2011 წ.
9. ირაკლი ბათიაშვილი. მარტინ ჰაიდგერი : სხვა გზა თბილისი 2016 წ.
10. Мусский И. А. Сто великих мыслителей. Москва., "ВЕЧЕ"-2000 г.
11. <https://ka.wikiquote.org/wiki>



**დ. ვეკუა**

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების პარადიგმა რეზიუმე**

სტატიაში განიხილება საქართველოს ეკონომიკური განვითარების პარადიგმა, რომელიც მნიშვნელოვანწილად ეფუძნება თავისუფალი ბაზრის ფილოსოფიას.

სტატიაში განსაზღვრულია თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირების რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომლის დაცვა უპირობოდ აუცილებელია იმისათვის, რომ არ დაირღვეს ეკონომიკური რეფორმების თანმიმდევრობის ლოგიკა და ტრანსფორმაციის პროცესი.

გაანალიზებულია ეკონომიკური პარადიგმის პოზიტიური და ნეგატიური შედეგები. ის ახალი გამოწვევები, რაც პროტექციონიზმის მომქავერებას და შიდა ბაზარზე თავდაცვითი ინსტინქტების გაძლიერებას უკავშირდება.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჩვენს ეკონომიკაზე დასავლეთიდან წამოსული პროტექციონიზმის ტალღა აუცილებლად მოითხოვს არსებული ლიბერალური სტერეოტიპების ტრანსფორმაციას, რასაც უმაღლეს მოყვება ქართული ეკონომიკური სტრატეგიის სერიოზული კორექტირება. ჩამოყალიბებულია ეკონომიკის მართვის გაუმჯობესების რამდენიმე კონკრეტული წინადადება.

**D. Vekua**

**Paradigm of Georgian Economic Development  
Summary**

The article reviews the paradigm of economic development of Georgia that is

The article ascertains several most predominantly based on the philosophy of free market. Important principles of the functioning of free market that should be unconditionally applied in order not to break the logic of sequence of economic reforms and the process of transformation.

Positive and negative results of the economic paradigm have been analyzed as well as the new challenges that are associated with rise of protectionism and strengthening of instincts to defend the internal markets.

A consideration is expressed that the wave of protectionism coming from the West necessitates certain transformation of existing liberal stereotypes. This would be instantly followed by a significant correction of the Georgian economic strategy. The author offers several specific suggestions on how to manage the country's economy more effectively.





## ქ. ზაქარაიშვილი

### ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბუნდოვანი ტექსტის განმარტება

ხელშეკრულების განმარტების მთავარი მიზანი ხელშეკრულების შინაარსის დადგენაა. ხელშეკრულები მხარეები მართალია თავად განსაზღვრავენ ხელშეკრულების ყველა პირობასა და ნიუანსს, თუმცა შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ერთი მხარის მიერ მიზანმიმართულად, მეორის მიმართ უპირატესობის გამოყენების მცდელობას. სწორედ ამის პრევენციას ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გაბნეული ნორმების ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს ხელშეკრულების იმგვარად განმარტებას, რომ მეტ-ნაკლებად დაცული იყოს მხარეთა შორის უფლებრივი ბალანსი და ამავდროულად, მიღწეულ იქნას ის მიზანი, რომლისთვისაც დაიდო ხელშეკრულება. თუმცა, პრაქტიკაში საკმაოდ რთულია განისაზღვროს ორივე მხარის ჭეშმარიტი ნება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კონკრეტულად არ განსაზღვრავს განმარტების თუ რომელი მეთოდები და წესები უნდა გავრცელდეს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე. ანალოგიის პრინციპიდან გამომდინარე, მას შემდეგ რაც აღნიშნული ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი გახდება, მათი განმარტების მიმართ იგივე წესები გამოიყენება, რაც გარიგებათა განმარტების დროს.<sup>1</sup> ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ხელშეკრულების ინდივიდუალურად განსაზღვრული და სტანდარტული პირობების ურთიერთმიმართებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცალსახად ადგენს, რომ „უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან“,<sup>2</sup> რაც განპირობებულია იმით, რომ ინდივიდუალურად შეთანხმებული პირობა მხარეთა საერთო ნებას გამოხატავს, ხოლო სტანდარტული დებულება ერთ-ერთის მიერაა ხელშეკრულებაში შეტანილი.

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 5:104-ე მუხლი, ასევე განსაზღვრავს რომ „იმ პირობებს, რომლებზეც მხარეები ინდივიდუალურად შეთანხმდნენ, ენიჭებათ უპირატესობა იმ პირობებთან შედარებით, რომლებზეც ასეთი შეთანხმება არ მიღწეულა.“<sup>3</sup> ანალოგიური მიდგომა აქვს საკითხისადმი ევროპული კერძო სამართლის პრინციპებს, განმარტებებსა და ჩარჩო მოდელსაც (ე.წ. DCFR). კერძოდ, 8:104 -ე მუხლი<sup>4</sup> აღიარებს ინდივიდუალურად შეთანხმებული პირობების უპირატესობას და განსაზღვრავს, რომ თუკი ხელშეკრულება დადებულია სტანდარტული პირობებით, მაგრამ მათ შორის გვხვდება ერთი შეთანხმებული პირობაც კი, ივარაუდება რომ სწორედ ეს უკანასკნელი გამოხატავს მხარეთა ნებას.<sup>5</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, განმარტებისას უმთავრესია მხარეთა საერთო ნების დადგენა. სტანდარტული პირობების მიუხედავად, მხარეთა საერთო განზრახვა მაინც შეიძლება არსებობდეს, იმ ვითარებაში, როცა მხარე, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა ხელშეკრულების ტექსტის შედგენაში, საკმარის ცოდნას ფლობდა და ეთანხმებოდა ამ დებულებას.<sup>6</sup> საკმარის ცოდნაში შესაძლებელია სპეციალური ცოდნა მოიაზრებოდეს, რომელიც მომხმარებელთა ფართო წრეს კი არ აქვს, არამედ კონკრეტულ ურთიერთობათა სპეციფიკაში კარგად გარკვეულ პირს<sup>7</sup>. ამიტომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განმარტებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება იქონიოს მხარის სტატუსმა – ჩვეულებრივი ფიზიკური პირი (სა-

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 337-340 მუხლები

<sup>2</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის მესამე ნაწილი; ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>

<sup>3</sup>The principles of European Contract Law (prepared by the Commission on European Contract Law 1999 text in English) – Article 5:104 „Preference to Negotiated Terms” – “Terms which have been individually negotiated take preference over those which are not”.

<sup>4</sup>Principles, Definitions and Model Rules of European Private Law – Draft Common Frame of Reference DCFR – Article 8:104: Preference for negotiated terms: “Terms which have been individually negotiated take preference over those which have not”.

<sup>5</sup> იგივე მიდგომაა ხელშეკრულების შეცვლილი პირობებისადმი, რადგან პირობის შეცვლა მხარეების მოლაპარაკებების გარეშე გამოორიციხულია, რაც თავისთავად ერთიან ნებაზე მიუთითებს. ამასთანავე, არ აქვს მნიშვნელობა პირობა შეცვლილია წერილობითი ფორმით თუ ზეპირად.

<sup>6</sup> ბაჩიაშვილი ვ., ხელშეკრულების განმარტება ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის მიზანშეწონილობა, სამართლის ჟურნალი N 1, 2013. ციტირებულია: „von Bar C. Zimmermann R. Grundregeln des Europäischen Vertragsrechts, Teile I und II (Studienaufgabe), München, 2002, 342

<sup>7</sup> იქვე, გვ.9



შუალო დონის) მომხმარებელია თუ მენარმე, რომელიც ერკვევა იმ კონკრეტული ურთიერთობის თავისებურებებში, რომელშიც შევიდა შემთავაზებელთან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სტანდარტული პირობების მომწესრიგებელი მუხლები<sup>1</sup> პირდაპირ არ გვთავაზობს, განმარტების წესს. ერთადერთი გამონაკლისია კოდექსის 345-ე მუხლი, რომლითაც დადგენილია ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბუნდოვანი ტექსტის განმარტების სპეციალური წესი, რომელიც განსაზღვრავს, რომ: „თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ტექსტი ბუნდოვანია, მაშინ იგი განმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ.“<sup>2</sup> აღნიშნული დებულება სრულად იზიარებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიდგომას, რომელიც ადგენს, რომ „ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განმარტებისას ბუნდოვანება განმარტება შემთავაზებლის საწინააღმდეგოდ.“<sup>3</sup>

აღნიშნული ცივილისტიკაში ცნობილია „contra preferentem rule“ -ის სახელწოდებით და გულისხმობს საწინააღმდეგო განმარტების პრინციპს, რომლის შესაბამისად, ერთ-ერთი მხარის მიერ შეთავაზებული პირობების ბუნდოვანების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება შემთავაზებლის საწინააღმდეგო განმარტებას.<sup>4</sup> „მისი გამოყენება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნათელია თუ ვის მიერ არის ჩამოყალიბებული შეთავაზებული პირობა.“<sup>5</sup>

საგულისხმოა, რომ პრაქტიკაში ხელშეკრულებათა განმარტებისას, ხსენებული პრინციპი გამოიყენება, როგორც საკითხის გადაწყვეტის უკიდურესი საშუალება (the last resort to resolve ambiguous contract),<sup>6</sup> მაგრამ მაგალითად, სადაზღვევო ხელშეკრულების დებულებების შინაარსის დადგენა – პირველ რიგში სწორედ რომ საწინააღმდეგო განმარტების პრინციპის საშუალებით ხდება,<sup>7</sup> რაც განპირობებულია იმით, რომ სადაზღვევო ხელშეკრულებები ძირითადად სტანდარტული პირობებით იდება და დაზღვეული მოკლებულია შესაძლებლობას, გაეცნოს ან ბოლომდე გაიაზროს დებულებები. ამიტომ კანონმდებლისა და შესაბამისად, სასამართლოს მიდგომა ერთგვარად, მომხმარებლის დაცვის გარანტიაცაა.<sup>8</sup>

აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია თითქმის ყველა საერთაშორისო აქტში, რომელიც გვთავაზობს ხელშეკრულების განმარტების ინსტიტუტის მომწესრიგებელ რეგულაციებს. კერძოდ, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 5:103-ე მუხლი ადგენს, რომ „თუ არსებობს ეჭვი ხელშეკრულების იმ პირობის შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც მხარეებს ინდივიდუალურად არ შეუთახმებიათ, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირობის წამომყენებლის ნების საპირისპირო განმარტებას.“<sup>9</sup> შესაბამისად, იკვეთება ცალსახა მიდგომა – საპირისპირო განმარტების მეთოდი გამოიყენება მხოლოდ სტანდარტული პირობების მიმართ და მთავარი მიზანია არა მხარეთა საერთო ნების დადგენა, არამედ ხელშეკრუ-

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-348 -ე მუხლები

<sup>2</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 345-ე მუხლი

<sup>3</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 305-ე პარაგრაფის მეორე ნაწილი.

<sup>4</sup> ჯანაშია ლ.- „სახელშეკრულებო სამართალი“ სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გვ. 155, თბ. 2014 წ. გამომცემლობა „მერიდიანი“

<sup>5</sup> Cserne Peter “Policy considerations in contract interpretation: the contra proferentem rule from a comparative law and economic perspective” – Hungarian Association for Law and Economics, University of Hull, Working Papers, No 5, 2007, p. 9. [www.works.bepress.com/peter-cserne/28/](http://www.works.bepress.com/peter-cserne/28/)

<sup>6</sup> Johnson Scott, “Court Split Over Contra Proferentem Doctrine Widens” -“Law360” , New York, January 06, 2014 [www.law360.com](http://www.law360.com)

<sup>7</sup> Johnson Scott, “Court Split Over Contra Proferentem Doctrine Widens” -“Law360” , New York, January 06, 2014 [www.law360.com](http://www.law360.com)

<sup>8</sup> Howard B. Epstein and Theodore A. Keyes, “ ContraProferentem: Sophisticated Entities Negotiating” – New York Law Journal, N 42, August 30, 2006. [www.nylj.com](http://www.nylj.com)

<sup>9</sup> ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ერთიანი კარძო სამართლებრივი ხასიათის კანონის მოდელი – „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ – (თარგმანი) – თბილისი, 2014 წ. გამომც. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, გვ. 44. ასევე, The principles of European Contract Law (prepared by the Commission on European Contract Law 1999 text in English) – Article 5:103 “Contra Proferentem Rule” – “Where there is doubt about the meaning of a contract term not individually negotiated, an interpretation of the term against the party who supplied it, is to be preferred.”



ლების “სუსტი“ მხარის დაცვა.”<sup>1</sup> სწორედ ამიტომ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბუნდოვანი დებულების განმარტებისას უპირატესობა ობიექტურ (გონივრული) განმარტებას ენიჭება და არ არის საკმარისი მხოლოდ „განზრახული“ ნების შინაარსის დადგენა.

ევროპული კერძო სამართლის პრინციპების, განმარტებებისა და ჩარჩო მოდელების (ე.წ. DCFR) დებულებები<sup>2</sup> ასევე ადგენს, რომ ბუნდოვანი პირობის შემთავაზებელია განმარტების რისკის მატარებელი და თუ ბუნდოვანი პირობა შედგენილია შესაბამისი ძალაუფლების მქონე (დომინირებული) მხარის ზეგავლენით, პირობა განმარტება მისი განმარტების საწინააღმდეგოდ.<sup>3</sup> შესაბამისად, აღნიშნული აფართოებს „contra proferentem“-ის მოქმედების სფეროს და საწინააღმდეგო განმარტების პრინციპს გეთავაზობს იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირობა ინდივიდუალურადაა შეთანხმებული. თუმცა, წინაპირობად აყენებს ხელშეკრულები მხარის „ძალაუფლებას“ – დომინირებულ მდგომარეობას, როდესაც მეორე „იძულებულია“ დადოს ხელშეკრულება. ნიშანდობლივია, რომ მსგავსი მიდგომა ვრცელდება როგორც იმ ხელშეკრულებებზე, სადაც მხარეებმა გამოდიან ბიზნესი და მომხმარებელი, ასევე ფიზიკურ პირებს შორის დადებულ ხელშეკრულებებზეც.<sup>4</sup>

აღსანიშნავია, რომ 8:103 -ე მუხლის რეგულაციები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როცა ხელშეკრულების რომელიმე პირობა ბუნდოვანია და იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას ან საერთოდ ართულებს (გამორიცხავს) შინაარსის დადგენის შესაძლებლობას. ამიტომ, აღნიშნული ნორმის მოქმედების სფერო შეზღუდულია და არ ვრცელდება ხელშეკრულების პირობების განმარტების ყველა შემთხვევაზე.

თითქმის იდენტურია ე.წ. „უნიდროას“ პრინციპების მიდგომაც,<sup>5</sup> რომელიც განსაზღვრავს, რომ მხარე პასუხისმგებელია ხელშეკრულების იმ კონკრეტული დებულების შინაარსზე, რომლის შემთავაზებლადაც გვევლინება. შესაბამისად, იგი ატარებს შეთავაზებული დებულების განმარტების სიცხადისა და ბუნდოვანების რისკს. თუმცა, ყოველი ჩანაწერის განმარტება კონკრეტული შემთხვევის ღრმა და სისტემური ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს და თუ დადგინდა, რომ შეთავაზებული პირობა, ყოველგვარი განხილვის გარეშე – სტანდარტული პირობის სახით, იქნა შეტანილი ხელშეკრულებაში და შინაარსის დადგენა ერთმნიშვნელოვნად რთულდება, მისი განმარტება მოხდება შემთავაზებლის ნების საწინააღმდეგოდ, რაც ერთგვარად „კეთილსინდისიერი“ პირობის მიმღების დაცვის მექანიზმიცაა.

საინტერესოა 93/13/EEC ევროდირექტივის ჩანაწერიც აღნიშნულთან დაკავშირებით. ზოგადად, დირექტივის მიზნიდან გამომდინარე – დაიცვას მომხმარებელთა უფლებები, არც არის გასაკვირი, რომ მე-5 მუხლის მეორე წინადადება, პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ „თუ კი საეჭვოა პირობის შინაარსი, მისი განმარტება უნდა მოხდეს მომხმარებლის სასარგებლოდ“. თუმცა, თუ რა უნდა ჩაითვალოს მომხმარებლის სასარგებლოდ განმარტებად, კონკრეტული ფაქტის შეფასებისას უნდა დადგინდეს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ფაქტია, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სწორად განმარტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს – ერთი მხრივ, ხელშეკრულების შინაარსის დასადგენად და მეორე მხრივ, იმ მიზნის მისაღწევად, რაც განზრახული ჰქონდათ მხარეებს შეთანხმების დადებამდე. ერთადერთი სპეციალური რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს სტანდარტული პირობის ბუნდოვანი ტექსტის განმარტების წესს, მომხმარებლის დაცვის გარანტიაა კონკრეტული სამართალურთიერთობის დროს და არ იძლევა განზოგადების საშუალებას.

<sup>1</sup> ბაჩიაშილი ვ., ხელშეკრულების განმარტება ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის მიზანშეწონილობა, სამართლის ჟურნალი N 1, 2013. გვ. 15.

<sup>2</sup>Principles, Definitions and Model Rules of European Private Law – Draft Common Frame of Reference DCFR – Article 8:103: Interpretation against supplier of term or dominant party: “(1) Where there is doubt about the meaning of a term not individually negotiated, an interpretation of the term against the party who supplied it is to be preferred.”

<sup>3</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law – Draft Common Frame of Reference DCFR – Article 8:103: Interpretation against supplier of term or dominant party: “(2) Where there is doubt the meaning of any other term, ad that term has been established under the dominant influence of one party, an interpretation of the term against that party is to be preferred.”

<sup>4</sup>Principles, Definitions and Model Rules of European Private Law – Draft Common Frame of Reference DCFR – Article 8:103: Interpretation against supplier of term or dominant party, Comments, p. 591

<sup>5</sup>Unidroit Principles of International Commercial Contracts (International Institute for the Unification of Private law, 2010) – Article 4.6. (Contra Proferentem Rule) : “If contract terms supplied by one party are unclear, an interpretation against that party is preferred.”



ვალდებულებით სამართალში დამკვიდრებული პრინციპების მიხედვით, განმარტების ზოგადი წესები ვრცელდება ყველა ტიპის ხელშეკრულებაზე, თუ თავად კანონმდებლობით განსხვავებული წესი არ არის დადგენილი. თუმცა, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელშეკრულების განმარტების ზოგადი პრინციპების გავრცელება სტანდარტული პირობების მიმართ, ცალსახად არ არის განსაზღვრული. ზოგადად, ხელშეკრულების განმარტების მიზნიდან გამომდინარე – დადგენილ იქნას შეთანხმების რეალური შინაარსი – შესაძლოა, მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ზოგადი მიდგომების გავრცელება კონკრეტულად სტანდარტულ პირობებზე, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებათა გათვალისწინებით.

ამიტომ, განმარტებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ მაქსიმალურად დაცული იყოს საკანონმდებლო რეგულაციები, ხელშეკრულების განმარტების ზოგადი წესები და მთავარ ამოცანას წარმოადგენდეს მხარეთა მიერ გამოხატული ნების დადგენის საფუძველზე იმ მიზნის მიღწევა, რაც მათ ამოძრავებდათ, როდესაც სამართალურთიერთობაში შევიდნენ ერთმანეთთან. ხოლო, ზემოთ ხსენებული საწინააღმდეგო განმარტების პრინციპი გამოყენებულ უნდა იქნას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება, რომ შემთავაზებელმა მიზანმიმართულად შეიტანა ბუნდოვანი ტექსტი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში და მიმღები მოკლებული იყო შესაძლებლობას, რეალურად გაეგო გამოხატული ნების არსი და შესაბამისად შეეცვალა იგი.

### დამონებული წყაროები და ლიტერატურა

1. კროპჰელერი იან, „გერმანიის სამოქალაქო კოდექსი“ სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014 წ. გამომც: საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი და GIZ;
2. ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ერთიანი კარძო სამართლებრივი ხასიათის კანონის მოდელი – „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ – (თარგმანი) – თბილისი, 2014 წ. გამომც. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი ნაწილი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001 წ. გამომც. „სამართალი“.
4. ბაჩიაშვილი ვ., ხელშეკრულების განმარტება ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის მიზანშეწონილობა, სამართლის ჟურნალი N 1, 2013.
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
6. The principles of European Contract Law (prepared by the Commission on European Contract Law 1999 text in English). <http://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002/>
7. Principles, Definitions and Model Rules of European Private Law – Draft Common Frame of Reference DCFR. <http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law-en.pdf>
8. Unidroit Principles of International Commercial Contracts (International Institute for the Unification of Private law, 2010). <http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2010/integralversionprinciples2010-e.pdf>
9. Cserne Peter “Policy considerations in contract interpretation: the contra proferentem rule from a comparative law and economic perspective” – Hungarian Association for Law and Economics, University of Hull, Working Papers, No 5, 2007. [www.works.bepress.com/peter-cserne/28/](http://www.works.bepress.com/peter-cserne/28/)
10. Johnson Scott, “Court Split Over Contra Proferentem Doctrine Widens” – “Law360”, New York, January 06, 2014 [www.law360.com](http://www.law360.com)
11. Howard B. Epstein and Theodore A. Keyes, “Contra Proferentem: Sophisticated Entities Negotiating” – New York Law Journal, N 42, August 30, 2006. [www.nylj.com](http://www.nylj.com)



**ქ. ზაქარეიშვილი**

**ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბუნდოვანი ტექსტის განმარტება რეზიუმე**

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განმარტების დროს საკმაოდ რთულია მხარეთა რეალური ნების დადგენა და უფლებრივი ბალანსის დაცვა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს სპეციალურ მარეგულირებელ წესებს სტანდარტული პირობების შინაარსის დასადგენად. თუმცა, ე.წ. „სუსტი მხარის“ დაცვის მექანიზმად გვთავაზობს „საწინააღმდეგო განმარტების“ წესს, რომელიც ბუნდოვანი ჩანანერის მიმართ გამოიყენება.

საკითხის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ საერთაშორისო უნიფიცირებული წესები ცალსახად ადგენს საწინააღმდეგო განმარტების წესს, თუ დასტურდება, რომ შემთავაზებელმა მიზანმიმართულად შეიტანა ბუნდოვანი ტექსტი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში და მიმღები მოკლებული იყო შესაძლებლობას, რეალურად გაეგო გამოხატული ნების არსი.

ამიტომ, ზოგადად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების და მით უფრო, ბუნდოვანი ჩანანერის განმარტება, სპეციალური დანაწესის მიუხედავად, საჭიროებს საკმაოდ ფრთხილ და კომპლექსურ მიდგომას, რათა არ მოხდეს ერთი მხარის უფლებების არათანაზომიერი შეზღუდვა, მეორის ხარჯზე.

**K. Zakareishvili**

**Definition of Vague text of Standard Terms of the Agreement  
Summary**

During the definition of the standard terms of the agreement it is rather difficult to determine the real will of the parties and maintaining the legal balance. Current legislation of Georgia does not recognize special regulatory rules to determine the contents of the standard terms. Although, the rule of the “contra preferentem” is offered as a defence mechanism for so-called “weaker party” which is used for vague records.

The importance of the issue is also evidenced by the fact that international unified rules clearly define the rule of the “contra preferentem”, if it is confirmed that the Offeror intentionally introduced the vague text in standard terms of the agreement and the Recipient was deprived of the opportunity to really understand the meaning of the expressed will.

Therefore, in general, clarification of the standard terms of the agreement and moreover, of vague records, despite the special writ, requires a thorough and integrated approach, in order to avoid disproportionate restriction of the rights of one party, at the expense of another.





## ს. თავართქილაძე

### ციფრული ეკონომიკა – მომავლის ეკონომიკა

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის ფონზე, ელექტრონული კომერციის, ორგანიზაციული პროცესების კომპიუტერიზებული მართვისა და ციფრული ინფრასტრუქტურის ზრდის ტემპი მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარ სტიმულატორად იქცა. სოციალური მედია, მობილური ვებგვერდები, კომპიუტერიზებული ქლაუდ-სისტემები და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ბიზნესის მართვის იმ ფორმებს, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოში ინერგება. 2016 წლიდან მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარს ანუ 3 მილიარდ ადამიანს აქვს წვდომა ინტერნეტთან. ხოლო ცნობილი ტრანსნაციონალური კომპანია SpaceX-მა 2017 წლის 3 მაისს, აშშ სენატს ამბიციური გეგმა გააცნო: SpaceX-ი 2019 წლიდან ინტერნეტის მიწოდებას სატელიტების მეშვეობით მთელი მსოფლიოსათვის აპირებს.<sup>1</sup> ეს თავისთავად გულისხმობს ციფრული ცოდნის გავრცელების გამარტივებულ პროცესებს, საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სიმარტივეს და ა.შ.

რთულია განვსაზღვროთ, რამდენად მიჰყვება საქართველო თანამედროვე ეკონომიკურ ტენდენციებს, თუმცა უპირობოდ შეიძლება ითქვას, რომ ციფრული ეკონომიკა ქვეყნების ეკონომიკური სირთულეებიდან გამოყვანის უახლესი და ძალზე ეფექტური საშუალებაა.

**როგორ დაიწყო? 1966 წელს, ნობელის პრემიის ლაურეატმა ეკონომიკის დარგში ჩარლზ კაომ აღმოაჩინა სინათლის დიდ მანძილზე გადაცემის საშუალება, იყენებდა რა ზენმინდა მინას ოპტიკურბოჭკოვან მასალად.<sup>2</sup>**

პირველი ზენმინდა ბოჭკო აწარმოეს უკვე ოთხი წლის შემდეგ, 1970 წელს. დღეს, ოპტიკურბოჭკოვანია: ინტერნეტი, ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია და სხვა.

პარალელურად, ამერიკელებმა უილარდ ბიოლმა და ჯორჯ სმიტმა, გამოიგონეს ანალოგური მიკროსქემა ზემუქმგრძობიარე ფოტოდიოდებიდან. მუხტით კავშირიანი ხელსაწყო რევოლუციურად იქცა და გახდა შეუცვლელი კვლევათა საგანი ყველა დარგსა და სფეროში. ბევრი ელექტრონული მონოპოლიზის, რომელთა შორისაა პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, ფოტოაპარატები, თამაშის პულტები, ციფრული ჩამწერები, პლენერები და სხვ., ფუნქციონირება სუპერმაგნიტორეზისტულობის ეფექტის შედეგია.<sup>3</sup>

1988 წელს, ამ აღმოჩენიდან ათი წლის შემდეგ დაიწყო ამ ეფექტის კომერციული გამოყენება, დაიწყო ისეთი პოპულარული მობილური მონოპოლიზების ერა, როგორცაა ნოუთპედები, mp3 პლენერები და iPod-ები, რომლებმაც შეიძლება წარმოდგენა შეგვიქმნას ამ აღმოჩენის კომერციულ ღირებულებაზე.

დღეს, ციფრული ეკონომიკა აღიარებულია, როგორც მომავლის ეკონომიკა. 2016 წელს მსოფლიოში ციფრული ეკონომიკის მაჩვენებელი 1 ტრილიონი დოლარია.

„**ციფრულ ეკონომიკაში** უკვე დასაქმებულია 300 მილიონი ადამიანი. 2020 წლამდე ეს რიცხვი 50%-ით გაიზრდება; **ევროპის მასშტაბით**, 2020 წელს, ციფრულ ეკონომიკაში იმუშავენ და მათგან 25 მილიონი ადამიანი; **Intel-ის მონაცემებზე** დაყრდნობით, მსოფლიოში 19 მილიონი პროგრამისტია, მათი რიცხვი 2019 წელს 25 მილიონამდე გაიზრდება; **2020 წელს** 50 მილიარდი უკაბელო მონოპოლიზა დაუკავშირდება ერთმანეთს, ეს კი 15-ჯერ გაზრდის გადაცემული ინფორმაციის მოცულობას; მცირე ბიზნესის ზრდის ტემპი საშუალოდ 3-ჯერ მაღალია, თუ ორგანიზაცია ციფრული ტექნოლოგიებით ხელმძღვანელობს. მძლავრი კონკურენცია მარტივად განდევნის ბაზრიდან სუსტ ერთეულებს.“<sup>4</sup>

**და ბოლოს, 2020 წელს** ახალი სამუშაოს დაწყების მსურველი კანდიდატების 90% დადგება სავალდებულო მოთხოვნის წინაშე, რომ მათ უნდა იცოდნენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება;

**პირველი მასშტაბური შეხება საქართველოს ციფრული ტექნოლოგიის უცილობელი დანერგვის თაობაზე სატელეკომუნიკაციო სექტორში მოხდა.** ჟენევის 2006 წლის ხელშეკრულების (GE-06) ფარგლებში ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუნყებლობაზე გადასვლა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) ნევრი ქვეყნების, მათ შორის – საქართველოს, საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენდა. პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კონკრეტული ქვეყნისთვის მაუნ-

<sup>1</sup> <https://on.ge/>.

<sup>2</sup> ნობელის პრემიის ლაურეატები – SlideShare <https://pt.slideshare.net/ferfero/ss-2656903>.

<sup>3</sup> <http://prainghand.blogspot.com/2013/01/blog-post-2534.html>.

<sup>4</sup> ციფრული ეკონომიკა: კრიზისიდან გამოსვლის ინოვაციური გზა ნინო ენუქიძე, მიხეილ ბატიაშვილი [forbes.ge/.../cifruli-ekonomika%3A-krisidan-gamosvlis-inovaciur...](http://forbes.ge/.../cifruli-ekonomika%3A-krisidan-gamosvlis-inovaciur...)



ყებლობისთვის გამოყოფილი სიხშირეები დაუცველი აღმოჩნდებოდა – ძველი სიხშირეები მეზობელი ქვეყნების ციფრული სიგნალით გადაიფარებოდა და ქვეყანა მაუნყებლობის გარეშე დარჩებოდა.

მოცემული ხელშეკრულება არეგულირებდა ციფრულ მინისზედა საეთერო მაუნყებლობასა და ანალოგური რადიო სიხშირული რესურსის გამოყენების ნორმებს, ვადებს და კოორდინაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. თუმცა ჩვენთან ციფრულ მაუნყებლობაზე საზოგადოებრივი დისკუსია ოთხი წლის დაგვიანებით, მხოლოდ 2010 წლის მინურულს დაიწყო. ხოლო საერთაშორისო ვალდებულებიდან შვიდი წლის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2013 წელს, ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლის სტრატეგია შეიმუშავა. 2014 წელს საქართველოს მთავრობამ ფორსმაჟორულ სიტუაციაში ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. ნაჩქარევად განხორციელდა ციფრულ მაუნყებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებიც. საბოლოოდ, 9 წლის შემდეგ, **2015 წლის ივლისში საქართველო ციფრულ მაუნყებლობაზე გადავიდა.**

**საქართველოში არსებული ტექნოლოგიური თუ ადამიანური ბარიერი მნიშვნელოვანწილად აფერხებს ციფრული ეკონომიკის პრინციპების დანერგვის შესაძლებლობებს. საერთაშორისო გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ციფრული ეკონომიკა ქვეყნის მშპ-ის ზრდის ყველაზე სწრაფ და ეფექტიან გზას წარმოადგენს.**

2014 წელს, საერთაშორისო ორგანიზაცია „დელოიტის“ მიერ, ევროკომისიის დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგად, იდენტიფიცირებულია რიგი აქტივობისა, რაც გადაწყობს ქვეყნის ეკონომიკას ციფრულ პლატფორმაზე და ამ გზით უზრუნველყოფს ეკონომიკურ წინსვლას. რეკომენდაციებს შორისაა:

- **სპეციფიკური ინდუსტრიებისთვის შესაბამისი ციფრული პლატფორმების შეთავაზება და გაძლიერება;**
- **ციფრული მენარმეობის შესახებ ცნობადობის ამაღლება;**
- **სწავლების კომპონენტის გაძლიერება;**
- **სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ნახალისება ციფრული ბიზნესის დასაწყებად და სხვა.<sup>1</sup>**

**ყველა სფერო, იმისდა მიუხედავად, რამდენად ტრადიციულია ის – სოფლის მეურნეობა, ავიაცია, ენერჯია, თუ საფინანსო ინდუსტრია – სხვადასხვა სენსორების, ინტერნეტ-კავშირის და პროგრამული უზრუნველყოფის წყალობით მთლიანად იცვლება. ამ გარემოში წარმატება უფრო მეტად უკეთესი ციფრული პროდუქტების შექმნაზე, ეკოსისტემების დონის სტრატეგიების მშენებლობაზე იქნება დამოკიდებული, რაც თითქმის ყველაფერს აერთიანებს ახალი ღირებულების განაცხადისთვის.**

**ციფრული სოფლის მოდელი, რომელიც ამინდისა და გარემოს ზემოქმედების მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრავს BASF-ის ჰერბიციდების და სხვა პრეპარატების შეტანის ზუსტ დროსა და რაოდენობას, რათა მათი ეფექტიანობა მაქსიმალური, ხოლო გამოყენებული პრეპარატების ოდენობა მინიმალური იყოს. უდაოა, რომ ბუნებრივი კლიმატური პირობები, ნიადაგის ტემპერატურა, ქარის სიჩქარე და ა.შ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე მოქმედებს. ციფრული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა დაეხმაროს გლეხობას თავიანთი რესურსების უფრო ეფექტიანად და თამამად გამოყენებაში. მაგალითისათვის რამდენიმე წამყვან ქვეყანაში დანერგილია სოფლის მეურნეობის ონლაინ- პლატფორმა, რომელიც მწარმოებლებს საშუალებას აძლევს: შეაგროვონ, დაახარისხონ, თვალყური ადევნონ და გააანალიზონ მეურნეობის სრული მონაცემების ფართო სპექტრი, მიიღონ საუკეთესო აგრონომიული თუ მარკეტინგული გადაწყვეტილებები.**

**დღეს, უფრო სწორად უკვე გუშინ, წარმატებული კონკურენტუნარიანი სასოფლო სამეურნეო ტრენდები აწარმოებენ სუპერკონკურენტულ პროდუქტს იქ, სადაც არც თუ ისე საუკეთესო ნიადაგია, არც ჰავა და კლიმატური პირობებია სახარბიელო და არც ბუნებით მონიჭებული სხვა უპირატესობა. მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნადია მკაცრი ჰავით გამორჩეული ჰოლანდიური ყვავილები, წყლის რესურსებით ღარიბი ისრაელის კურკოვანი ხილი, მწირი მიწის იაპონური ბოსტნეული და სხვა პროდუქტები, რომელთა მოყვანა-მოშენება მთლიანად ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით და თავიანთი რესურსების უფრო ეფექტიანად და თამამად გამოყენების კონცეფციაში ხორციელდება.**

<sup>1</sup> www.deloitte.com/about.



საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია შვიდ ძირითად მიმართულებას მოიცავს. ესენია: ფერმერთა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება; დამატებითი ღირებულებების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა; ინსტიტუციური განვითარება და ტრენინგები; რეგიონული და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება; სასურსათო უსაფრთხოება; სურსათის უვნებლობა; გარემო და ბიო-მრავალფეროვნება.<sup>1</sup>

**ყველა ამ მიმართულების „განვითარება“, წინსვლა შეუძლებელია ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისა და მოხმარების გარეშე. დააკვირდით, განა შესაძლებელია აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ან სასურსათო უსაფრთხოება და სურსათის უვნებლობა ციფრული ტექნოლოგიების გარეშე. მიმაჩნია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში აუცილებლად უნდა წარმოჩინდეს „ციფრული სოფლის“ მოდელური განვითარება. საყურადღებოა, რომ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის ENPARD-ის 2013-2019 წლების ბიუჯეტი საქართველოში 102 მილიონი ევროა.“<sup>2</sup> ამ პროგრამის ეფექტური გამოყენებაა საჭირო.**

ეკოსისტემის დონის ცვლილების აუცილებლობის გაგება და გავრცელება XXI საუკუნის მთავარი გამოწვევა იქნება. იან ტინბერგენს ნობელის პრემია ეკონომიკაში მიენიჭა 1969 წელს ეკონომიკური პროცესების ანალიზის მათემატიკური მეთოდების დამუშავებისათვის. მან წამოაყენა „ოპტიმალური ნყობილების“ თეორია, რომელშიაც **ოპტიმალური ნყობილების საზოგადოებრივ განვითარების მოდელს – პროგრესის, ცვლილებების აუცილებლობის გააზრების და შესატყვისი ქმედებების განხორციელებაში ხედავს.**

ტრადიციული ცვლილების მიღმა ფოკუსის გაფართოების, სიახლის ძიების აუცილებლობის ილუსტრირებას მსოფლიო ბრენდის „კოდაკის“ მაგალითზე უკეთ ვერც ერთი სხვა ვერ ახდენს. დასავლეთში ეს შემთხვევა – „შორს ხედვის“ უუნარობის კლასიკურ მაგალითად არის წარმოდგენილი.

1975 წელს პირველი ციფრული კამერის გამოგონების შემდეგ, წარმატების ზენიტში მყოფმა კომპანიამ განვითარება ციფრულ სამყაროში ფოტო ქაღალდის და საბეჭდი მელნის სფეროში დაიწყო. 1000-მა პატენტმა, სალიცენზიო შემოსავლების სახით, მას მილიარდობით დოლარი მოუტანა, თუმცა, მაინც დამარცხდა. „კოდაკი“ ჯიუტად ებლაუჭებოდა მაღალი რენტაბელობის, ფოტოგრაფიის და ბეჭდვის ხარისხის ბიზნესის ილუზიას, სონის და HP-ის პროგრესის მიმართულებას ყურადღებასაც არ აქცევდა და შედეგად წარუმატებელი ციფრული ტრანსფორმაციის მცდელობის დროს ჩამოინგრა. **იგი ვერ გასცდა ფოტო ქაღალდის და საბეჭდი მელნის „ახლოსედვის“ პროგრესს. უბრალოდ დრომ მოიტანა და მომხმარებლების ლომის წილი ფოტოებს საკუთარ მობილურებში და კომპიუტერებში ათვალიერებდა და იშვიათადღა ბეჭდავდა.**

კლასიკური მაგალითია, როცა ეკოსისტემურ გლობალურ გარემოში გინვეთ კონკურენცია, თქვენს ინოვაციურ ძალისხმევას და კონკურენტ-ინოვაციორების პროგრესს თანაბარი ყურადღება უნდა დაეთმოს.

ნობელის პრემიის ლაურიატი ჯონ ფორბს ნეში – „თამაშის თეორიის“ ავტორია, რომელმაც თამაშებში ოპტიმალური სტრატეგიის შესწავლის მათემატიკური მეთოდი შესთავაზა სამყაროს. ამ თამაშის ქვეშ იგულისხმება პროცესი, რომელშიც მონაწილეობს ორი ან მეტი მხარე, რომლებიც იბრძვიან საკუთარი ინტერესების რეალიზაციისთვის. თითოეულს აქვს თავისი მიზანი და იყენებს გარკვეულ სტრატეგიას, რომელიც, სხვა მოთამაშეთა ქმედებებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მისთვის მომგებიანი ან წამგებიანი იყოს.

„აიღეთ მოსავალი და დაზოგეთ: თუ თქვენი მოქმედებების პოზიტიური შედეგი ჯერ არ ჩანს, თქვენი რესურსები იქამდე შეინახეთ, სანამ ერთს მაინც არ დაინახავთ. უარეს შემთხვევაში უკან დასახევი გზა მაინც მოიტოვეთ.“<sup>3</sup> **კოდაკმა მთელი რესურსები ფოტოქაღალდის ციფრულ ბეჭდვაში ჩადო და საბოლოოდ თავდაცვისა და ხელახალი სტარტისთვის კაპიტალი აღარ ეყო.**

**ის, რაც დღეისათვის წარმატებულმა ქართულმა კომპანიებმა კოდაკისგან შეიძლება ისწავლონ, არის ის, რომ სარისკოა, როგორც ცვლილებებისთვის ნაკლები მნიშვნელობის მინიჭება, აგრეთვე მათი არასწორი ნაწილის მოცვა.**

<sup>1</sup> საქართველოს სოფლის განვითარების 2017 -2020 წლების სტრატეგია და 2017 წლის სამოქმედო გეგმა.

<sup>2</sup> სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) საქართველოში.

<sup>3</sup> ჯონ ფორბს ნეში მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია



ეკოსისტემური ცვლილებების ეს გზა – პირდაპირი კონკურენციის ნაცვლად ცალკეული მიმართულების განვითარებით გამონეული მარცხი – სულ უფრო და უფრო ხშირი გახდება. სწორედ ამაზე მიუთითებს ჯონ ფორბს ნეში თავის წიგნში – „თამაშის თეორია“. „ციფრული რევოლუცია მთლიანად შეცვლის კონკურენტულ პოზიციებს და სტრატეგიებს.“<sup>1</sup> კონრად ლორენცი – კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, ნობელის პრემიის ლაურიატი, 1974 წელს გამოსულ წიგნში "ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა", სხვა პრობლემათა შორის ეხება საკითხს, როგორ შეიძლება კაცობრიობის გაუმჯობესება. იმ რვა „მომაკვდინებელი ცოდვიდან“ – საკუთარ ნაჭურჭში(აზრებში) ჩაკეტვას, სხვისი აზრის მიუღებლობას, თვითკმაყოფილებას, მიღწეული თუ ბოძებული ტიტულატურით ტკბობას, უძრაობას და უმოქმედობას, მუდმივი მომავალი განვითარების უარყოფას – ცივილიზებული კაცობრიობის ცოდვად თვლის. კვლავ გავიხსენოთ კოდაკის მაგალითი – ის კომპანიები, რომლებიც კოდაკისგან სათანადოდ გაკვეთილს მიიღებენ, რომლებიც სხვისი აზრის მიუღებლობის, თვითკმაყოფილების, მიღწეული ტკბობის ნაცვლად თავიანთ სტრატეგიას სიახლეთა ძიების დინამიკის გამადიდებელი შუშით დააკვირდებიან, გაცილებით ადეკვატურად უპასუხებენ ახალ გამოწვევებს.

კარგად გავიაზროთ ყოველივე. დღეს ციფრული – სიახლეებზე დამყარებული განვითარება ისეთივე მარტივი და სასიცოცხლო მოთხოვნაა, როგორც მრავალი საუკუნის წინ ბორბლის, შემდგომში ორთქლის მანქანის და სხვა გამოგონება და განვითარება. გავიაზროთ იმ მასშტაბში, დარგში თუ სფეროში სადაც ვართ.

ქვეყანაში ციფრული განათლების ეტაპობრივი განვითარების გარეშე ჩვენ ვერ მივიღებთ კონკურენტუნარიან და მოთხოვნად „პროდუქტს“-სპეციალისტს. გვეყოლება ასეულ ათასობით „მარიაჟული დიპლომირებული“ ადამიანი სამუშაო ადგილის გარეშე. ეს ტენდეციები ახლაც კარგად ჩანს.

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ელექტრონულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, უნივერსიტეტებს შორის ქსელების შექმნა და საგანმანათლებლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენების ხელშეწყობაა.

უაღრესად მისასალმებელია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდი [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge) ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაცემთა ბაზაა საქართველოში, რომელიც მოიცავს როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების ელექტრონულ კატალოგებს, ისე სხვადასხვა ტიპის ციფრულ ბიბლიოთეკებსა და კოლექციებს (ფოტოებს, პერიოდიკას). ბაზები იმდენად მრავალფეროვანი და თემატურად ყოვლისმომცველია, რომ უნიკალური შესაძლებლობაა როგორც პედაგოგებისთვის, მკვლევარებისთვის, მეცნიერებისთვის, სტუდენტებისთვის, ისე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ამ მიმართებით, ძალზე სასურველი იქნებოდა საქართველოს როგორც სახელმწიფო ისე კერძო უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების ელექტრონული ბაზების ფონდების გართიანება, რომელიც ხელს შეუწყობდა სხვადასხვა ტიპის და შინაარსის მრავალფეროვანი ელექტრონული სახელმძღვანელოების, სასწავლო კურსების, სავარჯიშოების, მეთოდური და სასწავლო ელექტრონული რესურსების სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობას, პროფესორ-მასწავლებელთა შორის ინფორმაციისა და მასალების გაცვლას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ უნივერსიტეტებს შორის კავშირების დამყარებას.

ეს ის საკითხია, რომელიც შესაძლებელია ოპერატიულად და მარტივად გადაწყდეს, როცა უნივერსიტეტები, უწყებრივი ინტელექტუალური საკუთრების ფორმალური ბარიერის მიუხედავად, თანხმდებიან ამ საკუთრების ერთობლივ გამოყენებაზე. ასეთი პრაქტიკა – ერთიანი საუნივერსიტეტო-თაშორისო ელ-ბიბლიოთეკები არსებობს განათლების დონით ყველაზე გამორჩეულ ქვეყნებში, როგორიცაა ნორვეგია, გერმანია, იაპონია და სხვა. კარგად გავიაზროთ ყოველივე, სადაც რომელიმე უნივერსიტეტში უფრო ახალი და უკეთესი სახელმძღვანელოა, სალექციო კურსი თუ სხვა მასალა, რატომ ჩაკეცილი და არ მივცეთ სხვა უნივერსიტეტის სტუდენტს მისი გამოყენების საშუალება, განა თითოეული პროფესორის/ავტორის ღირსება და პატივი არ არის ის, რომ რაც შეიძლება ფართოდ გავრცელდეს მისი ნაშრომი?

"გახდი საქართველოს ციფრული ელჩი" – ასე ჟღერს კამპანიის #ShareGeorgia მოწოდება, რომელიც ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთობლივი სოციალური პროექტია. ის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიის, გეოგრაფიუ-

<sup>1</sup> მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია თამაშის თეორია





ლი მრავალფეროვნების და სხვა ღირსშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციის ციფრულ მედიაში ვირუსულად ჰემთეგით #ShareGeorgia გავრცელებას გულისხმობს.

**აღნიშნული პროექტი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ შესაძლებლობები ხელოვნებაში, რომელსაც თანამედროვე ტექნოლოგიები გვაძლევს. სოციალური ქსელის საშუალებით, მაქსიმალურად ბევრ ადამიანს მიწვდება ინფორმაცია საქართველოსა და მისი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.**

დღეს მსოფლიო ამ გზით მიდის, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი ასეთ მიდგომებს მოითხოვს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გაცვლა, ღიაობა ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებაა. ამ ვალდებულებას შესრულება სჭირდება და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მარტივადაა შესაძლებელი.

**განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე** – ინსტრუმენტები შეიძლება მოგეჩვენოთ ძალიან მარტივი, მაგრამ Google Drive-ის და Microsoft Office-ის შესაძლებლობების სრულყოფილად ცოდნა, ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და სასარგებლო ციფრული უნარის შექმნაა, რომელიც თანამედროვე ცხოვრებაში შეიძლება გქონდეთ. Google Drive-ს უკვე თან ერთვის დოკუმენტები, ცხრილები, სხვადასხვა მზა ფორმები, ერთი და იმავე დოკუმენტზე რამოდენიმე მომხმარებლის მუშაობის საშუალებას იძლევა. **ამიტომ კვალიფიკაციის ამაღლების, სხვადასხვა მომზადების თუ გადამზადების, ტრენინგების სასწავლო გეგმებში, რომელსაც უმაღლესი სასწავლებლები ახორციელებენ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ტიპის საიტების მუშაობის პრინციპებს უნდა დაეთმოს.**

„ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი“ ჩაატარა მასშტაბური გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც, გამოკითხულთა 91 პროცენტი თანახმაა, რომ გაიაროს გადამზადება, თუ დასაქმების პერსპექტივას დაინახავს.

აღნიშნული ტენდენციის დასამკვიდრებლად ამოქმედებულია რამდენიმე გლობალური პროექტი: “ ევროკავშირის ინიციატივა – Digital Agenda For Europe, Europe 2020 Initiative“; “ეკონომიკური ფორუმის ინიციატივა – Grand Coalition for Digital Jobs-ი და სხვა. ევროკავშირის მხრიდან იგეგმება მილიონიანი ინვესტიციების განხორციელება პერსონალის გადამზადებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისებისათვის.

**ამიტომ, სახელმწიფო პროგრამა „განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე“ სწორედ ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების შესწავლის და გადამზადების ტრენდებითა და პროგრამებით უნდა დაიჭვივდეს. ასეთ სასწავლო კურსებსა და პროგრამებს კი უმეტესწილად უნივერსიტეტები ახორციელებენ, ანუ მათი საქმიანობის არეალში ციფრულმა განათლებამ უპირატესი ადგილი უნდა დაიმკვიდროს.**

**პროფესიული განათლება** – მსოფლიო ბანკი საქართველოში ერთ-ერთ გამოწვევად სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების შრომის ბაზართან შეუსაბამობას ასახელებს. ეკონომიკა გლობალურად იცვლება და ის მეტად ციფრული ხდება, სწორედ ამიტომ ქვეყანამ ისეთი კადრების გადამზადება უნდა უზრუნველყოს, ვისი უნარებიც თანამედროვე ეკონომიკის გამოწვევებს და მოთხოვნებს უპასუხებს. სულ უფრო და უფრო იზრდება კომპიუტერულ-ელექტრონული ციფრული დანადგარების და აპარატურის ხვედრითი წილი წარმოებაში, მომსახურებაში და ყოფით ცხოვრებაში. შესაბამისად მკვეთრად მატულობს მოთხოვნა მისი მოხმარების, მონტაჟის საგარანტიო მომსახურების, დიაგნოსტიკის და რემონტის სპეციალისტებზე. ეს ის სექტორია, რომელზედაც სერიოზული მოთხოვნაა დღეს და ხვალ კიდევ უფრო გაიზრდება. სწორი შეფასება გააკეთა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალ. ჯეჯელავამ მ.წ. 3 ივნისს **EDU.ARIS.GE**-სთან მიცემულ ინტერვიუში „ **უნდა ვიმუშავოთ, რათა ეს ხალხი მიხვდეს, რომ დაუსაქმებლობისკენ მიმავალი გზის ინვესტირება კარგი არ არის. მაგალითად საერთაშორისო ურთიერთობებზე წელიწადში 3 ათას ადამიანს ვაწარმოებთ, სამუშაო ადგილი კი მაქსიმუმ სამასია. ანუ გარანტირებულად ვიცით, რომ 2700 მათგანი პროფესიით ვერ იმუშავებს“.** სანაცვლოდ გარანტირებულად ვიცით, რომ თანამედროვე აპარატურის (მათ შორის საოჯახო ტექნიკის) მწარმოებელ მსოფლიო ბრენდებს სერიოზული პრობლემები აქვთ რეგიონში და საქართველოში გაყიდული ტექნიკის საგარანტიო-სერვისული მომსახურების სექტორში. უბრალოდ სპეციალისტები არ არიან და უცხოელების მოწვევა ან დიაგნოსტიკისა და შეკეთებისათვის აპარატურის მწარმოებელ ქვეყანაში გაგზავნა უწევთ.

ვფიქრობ, საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013– 2020 წლები) რომელიც პროფესიული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია, გარკვეულ ცვლილებებს და ციფრული ტექნიკური პროფესიული განათლების კომპონენტის გაძლიერებას საჭიროებს.





**კვლევისა და მეცნიერების ხელშეწყობა.** უაღრესად სასარგებლოა და საჭირო ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამა „ჰორიზონტი 2020“, რომლის ასოცირებული წევრია საქართველო, პროგრამა დაახლოებით 80 მილიარდი ევროს ბიუჯეტით. აღნიშნული თანხა 7 წლის განმავლობაში (2014-2020) სხვადასხვა სფეროებისთვის განკუთვნილი გრანტების სახით ხმარდება და მოხმარდება სამეცნიერო, კვლევით აღმოჩენებს, გამოგონებებსა და ინოვაციებს.

**უზარმაზარი შესაძლებლობები ექმნება უმაღლეს სასწავლებლებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც თავის სტრუქტურაში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი აქვს.** ეს არის საჩუქარი, წახალისება ჩვენნაირი განვითარებადი ქვეყნებისათვის, უზარმაზარი დაფინანსებით და ხელშეწყობით, რომელზედაც უნივერსიტეტების მეცნიერ-მკვლევარები „სოციალიზმის“ ეპოქაშიც კი ვერ იოცნებებდნენ. ოღონდაც ამ საჩუქარს გამოყენება ჭირდება, უმაღლეს სასწავლებელთა მეტი აქტივობა და ჩართულობა.

ლარს პიტერ ჰანსენი ამერიკელი ეკონომისტი და ეკონომეტრისტი. „მომენტების განზოგადებული მეთოდის“ ერთ-ერთი შემქმნელი. მას 2013 წელს მიენიჭა ნობელის პრემია ეკონომიკაში. იგი კონკრეტულ ვითარებაში კეთილსასურველი მომენტის/სიტუაციის ეფექტური გამოყენების მეთოდების უპირატესობაზე საუბრობს. „ჰორიზონტი 2020“ კეთილსასურველი შვიდწლიანი პროგრამაა, რაშიც ჩართულობა და რომლის ეფექტურად გამოყენება სწორედ მომენტის/დროის შეგრძნების უნარის მაჩვენებელია. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ინტერნეტ-ციფრულ გარემოს განვითარებას საკმაოდ დაავიანდა სწორედ „მომენტის/დროის შეგრძნების უნარის“ არქონის გამო.

ციფრული შესაძლებლობების სრულად რეალიზაციის მიზნით, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციას საქართველოში საქმიანობებისა და აქტივობების გაღრმავება და დაჩქარება: ციფრული ჩამორჩენის დაძლევა ინტერნეტის საყოველთაო ხელმისაწვდომობის, ლიაობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფით; ამიტომ, რა თქმა უნდა, მისასალმებელია მთავრობის ინიციატივა „ინტერნეტი ყველასათვის“, იგი იძლევა შესაძლებლობას რეგიონებსა და სოფლებში გაჩნდეს წვდომა ინტერნეტსა და თანამედროვე ტექნოლოგიებთან. მაგრამ ყოველივეს კიდევ 2 წელი დაჭირდება (ფონდ „ქართუს“ დაფინანსება 150 მლნ დოლარი) ქვეყნის ინტერნეტიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროცესის დასასრულებლად. ამასთან, პარალელურად ბევრი საქმის კეთება შეიძლება, შესამუშავებელია საქართველოს ციფრული პოლიტიკა და სტრატეგია, შესაბამისობაშია მოსაყვანი ციფრული გარემოს ნორმატიულ სამართლებრივი სივრცე და სხვა. ეს ის ვალდებულებაა, რომელიც საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აიღო.

21-ე საუკუნეში ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ეს არის დიდი ჯაჭვი, რომელიც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ თუ ერთი მათგანი- „ციფრული განათლება“ განვითარდა, დანარჩენებსაც ეძლევათ განვითარების საშუალება.

ცვლილებების ბუნება მუდმივად ცვალებადია. ადრე ცვლილება ცალკეულ პროდუქტებს და სერვისის ტექნოლოგიებს ეხებოდა. დღეს და „ხვალ“ კი ეს ყველაფერი ეკოსისტემების დონეზე მოხდება. დღეს უნდა დავინახოთ ის, რაც „ხვალ“ მოხდება და დღეს გასააზრებელი და გასაკეთებელი დღეს გავაკეთოთ.

„ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას, მის მიკრო და მაკრო დონეზე მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ “გაციფრულება“ არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ მაღალტექნოლოგიური სანარმოების გაჩენას. მთავარია, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ყველა შესაძლო სექტორში მოხდეს.“<sup>1</sup>

ისტორიის ხაზოვანი, პროგრესული განვითარების კონცეფციის ფარგლებში ერთ-ერთ საყურადღებო საფეხურს წარმოადგენს ტექნოლოგიური ფორმაციული თეორია. დღეს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ციფრულ განვითარებასთან ერთად მიმდინარეობს კიდევ ერთი გლობალური ტრანსფორმაცია – ეკოლოგიური რევოლუცია. ცნობილი მეცნიერი შუნტიო იტო აღნიშნავს, რომ „თუ საქალაქო რევოლუციამ შექმნა ნამდვილი ცივილიზაცია, ციფრულისა და ეკოლოგიური ეკონომიკის თანაარსებობამ უნდა წარმოშვას ახალი ტიპის ცივილიზაცია.“<sup>2</sup>

**ბარიერები, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს, აერთიანებს ციფრული სამენარმოეკულტურის არარსებობასა და რიგ სამართლებრივ რეგულაციას, რომელთა მოგვარება მხოლოდ სახელმწიფოს, საზოგადოების და უმაღლეს სასწავლებელთა აქტიური ჩართულობითაა შესაძლებელი.**

<sup>1</sup> ციფრული ეკონომიკა: კრიზისიდან გამოსვლის ინოვაციური გზა ნინო ენუქიძე, მიხეილ ბატიაშვილი forbes.ge/.../cifruლი-ekonomika%3A-krizisidan-gamosvlis-inovaciur...

<sup>2</sup> შუნტარო იტო (Shuntaro Ito) ნაშრომები “ცივილიზაციათა დაბადება”, გვ. 46. Institute of Cultural 2016 წელი...www.culturedialogue.com/resources/library/schools/socialur-kulturuli.shtml.



დრო მიდის, დასაჩქარებელია „ციფრული განათლების სტრატეგიის“, სასწავლო პროგრამების შემუშავება, ინპლემენტაცია, არსებულ სასწავლო კურსებში ციფრული კომპონენტის გაძლიერება, სტუდენტობასა და ახალგაზრდებში ციფრული სამეწარმეო კულტურის განვითარება და სხვა.

ამ წერილსაც უფრო ახლის ძიების, ციფრული განათლებისა და ცოდნის საბაზო სისტემების განვითარების აუცილებლობის, ციფრული ბიზნეს გარემოს სტიმულირებისა და მხარდაჭერის, ციფრული სამეწარმეო კულტურის გაძლიერებისა და პოპულარიზაციის მიზანი გააჩნია.

#### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს სოფლის განვითარების 2017 -2020 წლების სტრატეგია და 2017 წლის სამოქმედო გეგმა.
2. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) საქართველოში.
3. ციფრული ეკონომიკა: კრიზისიდან გამოსვლის ინოვაციური გზა ნინო ენუქიძე, მიხეილ ბატიაშვილი [forbes.ge/.../cifruli-ekonomika%3A-krizisidan-gamosvlis-inovaciur](http://forbes.ge/.../cifruli-ekonomika%3A-krizisidan-gamosvlis-inovaciur).
4. ციფრული ეკონომიკა: კრიზისიდან გამოსვლის ინოვაციური გზა ნინო ენუქიძე, მიხეილ ბატიაშვილი [forbes.ge/.../cifruli-ekonomika%3A-krizisidan-gamosvlis-inovaciur...](http://forbes.ge/.../cifruli-ekonomika%3A-krizisidan-gamosvlis-inovaciur...)
5. შუნტარო იტო (Shuntaro Ito) ნაშრომები “ცივილიზაციათა დაბადება”, Institute of Cultural 2016 წელი. [www.culturedialogue.com/resources/library/schools/socialur-kulturuli.shtml](http://www.culturedialogue.com/resources/library/schools/socialur-kulturuli.shtml).
6. [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).
7. [www.wikipedia.ge](http://www.wikipedia.ge).
8. <https://on.ge/>
9. SlideShare <https://pt.slideshare.net/ferfero/ss-2656903>.
10. <http://prainghand.blogspot.com/2013/01/blog-post-2534.html>.



**ს. თავართქილაძე**

**ციფრული ეკონომიკა – მომავლის ეკონომიკა  
რეზიუმე**

დღეს, ციფრული ეკონომიკა აღიარებულია, როგორც მომავლის ეკონომიკა. ყველა სფერო, იმისდა მიუხედავად, რამდენად ტრადიციულია ის – სოფლის მეურნეობა, ავიაცია, ენერჯია, თუ საფინანსო ინდუსტრია – სხვადასხვა სენსორების, ინტერნეტ-კავშირის და პროგრამული უზრუნველყოფის წყალობით მთლიანად იცვლება. ამ გარემოში წარმატება უფრო მეტად უკეთესი ციფრული პროდუქტების შექმნაზე, ეკო-სისტემების დონის სტრატეგიების მშენებლობაზე იქნება დამოკიდებული.

საქართველოში დღეისათვის არსებული ტექნოლოგიური თუ ადამიანური ბარიერი მნიშვნელოვანწილად აფერხებს ციფრული ეკონომიკის პრინციპების დანერგვის შესაძლებლობებს. ამასთან, საერთაშორისო გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ციფრული ეკონომიკა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ყველაზე სწრაფ და ეფექტიან გზას წარმოადგენს.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას, მის მიკრო და მაკრო დონეზე მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ “გაციფრულება“ არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ მაღალტექნოლოგიური სანარმოების გაჩენას. მთავარია, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ყველა შესაძლო სექტორში მოხდეს. დღეს მსოფლიო ამ გზით მიდის, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი ასეთ მიდგომებს მოითხოვს.

ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ეს არის დიდი ჯაჭვი, რომელიც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ თუ ერთი მათგანი- „ციფრული განათლება“ განვითარდა, დანარჩენებსაც ეძლევათ განვითარების საშუალება. ქვეყანაში ციფრული განათლების ეტაპობრივი განვითარების გარეშე ჩვენ ვერ მივიღებთ კონკურენტუნარიან და მოთხოვნად „პროდუქტს“- სპეციალისტს.

კარგად გავიაზროთ ყოველივე, დღეს – ციფრულ სიახლეებზე დამყარებული განვითარება ისეთივე სასიცოცხლო მოთხოვნაა, როგორც მრავალი საუკუნის წინ ბორბლის, შემდგომში ორთქლის მანქანის გამოგონება და განვითარება. გავიაზროთ ეს იმ მასშტაბში, დარგში თუ სფეროში სადაც ვართ.

**S. Tavartkiladze**

**Cyber Economics – Economics of the Future  
Summary**

Nowadays cyber economics is recognized as economics of the future. All walks of life, irrespective of how traditional it is, – agriculture, aviation, energy or financial industry – thanks to various sensors, Internet communication or software, is in complete makeover. In this environment, success will be mostly dependent on better cyber products, development of better level economic systems.

In today’s Georgia the existing technological or human barriers is the most serious hurdle in development and implementation of the principles of cyber economics. At the same time, deriving from the international experience, cyber economics is the fastest and the most effective instrument in rising Gross Domestic Product (GDP).

While determining economic policy of the nation on its micro and macro levels, it is important to think about that ‘cyberization’ does not imply emergence of highly technological enterprises only. The most important is implementation of cyber technologies in all possible sectors. Today this is the way of the development of humankind while the process of integration with the European Union follows in the footsteps of this approach.

Everything is linked with each other. This is a big chain enabling us to say that if one of it – ‘cyber education’ finds development, the rest of its components will have a chance to develop. Without furthering of the cyber education step-by-step we will not be able to achieve competitive and the most needed ‘product’ – a specialist.

We should be fully aware of the above said today – development based on the cyber innovations is as vital demand as many centuries ago was demand for a wheel, later on, invention and development of a steam engine. We should understand it within the scope and sphere where we are.



**დ. კვილაქი, შ. მებრევილი**

**სურსათის ნარმოებისა და მოხარების ისტორიულ-სტატისტიკური  
ასპექტები საქართველოში**

„ერის ბედი დამოკიდებულია იმაზე,  
თუ როგორ იკვებება“<sup>1</sup>  
ა. ბრიია-სავარენი

საქართველოში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა ისტორიულად მეტად მწვავე იყო. უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველოს ისტორიული არჩევანი ევროპასთან სიახლოვე და მასთან თანაცხოვრება იყო. თუმცა ეს ვერ ხერხდებოდა ჩვენი ქვეყნის წინაშე წარმოებული დამპყრობლური ომების და ქართული მინა-წყლის სისტემატური შევიწროების გამო.

ქართველი ხალხის ევროპული არჩევანი და ევროპისაკენ გადადგმული ნაბიჯები დამძიმებულია იმ რთული მემკვიდრეობის თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელიც თან ახლდა განვლილ გზას.

ისტორიულად ამ განვლილ გზაზე საზოგადოების განვითარების ყველა საფეხურზე ადამიანებს ესაჭიროებოდათ უპირველესყოფისა: ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა, ბიოლოგიური არსებობა-განვითარება და სულიერი ცხოვრება. მოცემული კომპონენტები ქართული საზოგადოების განვითარების უმეტეს პერიოდებში გამოხატულებას პოულობდენ სიღარიბეში ანუ, საარსებო მატერიალური წყაროების ნაკლებობაში. ამასთან საქართველოს ისტორიაში იყო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, კულტურისა და განათლების თვალსაზრისით წარმატებული პერიოდები, როცა ცხოვრების დონე საკმაოდ მაღალი იყო. ეს უპირველესყოფისა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მე-11 – მე-13 საუკუნეებია, რომელიც რენესანსის ხანად არის მოხსენიებული.<sup>2</sup> „შოთა რუსთაველის გადმოცემით მე-12 საუკუნის საქართველოში სიმდიდრე იმდენად დიდი იყო, ადამიანის თვალს რომ არ უნახავს; ოქრო იმდენი, რომ ვერავინ დათვლიდა. ძვირფასი თვლები ეყარა როგორც რიყე მდინარის ან ზღვის პირას, განუზომელი, უთვლელი. განსაკუთრებით საყურადღებოა მარგალიტების უნახავი სიდიდე – საბურთაღი ბურთის ოდენა“<sup>3</sup>.

იმდროინდელი საქართველო იკვებებოდა საკუთარი მარცვლეულით. იმართებოდა ფართომასშტაბიანი სმა-ჭამა, ღრეობა, ნადიმები, რომლებშიც მასებიც მონაწილეობდნენ.

შოთა რუსთაველი ახასიათებს სიღატაკესაც. იგი აღნიშნავს იმდროინდელ ხელისუფალთა გონიერებას სიღატაკის წინააღმდეგ ბრძოლაში. კერძოდ, სახელმწიფოს შემოსავლების 10 % ხმარდებოდა ღარიბ-ღატაკებს. ისინი დასაქმებულნი იყვნენ სახელმწიფო სანარმოებში და ა.შ.

მე – 16- მე – 17 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერალი და მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანი ალეგორიული ფორმით მიანიშნებდა, რომ „არქონება არ ვარგა და ავად-ქონება უარესია“<sup>4</sup>.

იგივე პერიოდის საქართველოს სიღარიბისა და სიმდიდრის პრობლემატიკას ახასიათებს ვახუშტი ბაგრატიონი (ბატონიშვილი) „ქართლის ცხოვრებაში“.

დიდმა ილია ჭავჭავაძემ მე-19 საუკუნის მიწურულს საზოგადოებისა და მთავრობის ყურადღება მიაპყრო მამა-პაპის ადგილებიდან მოსახლეობის აყრაზე და სხვაგან გადასახლებაზე მამულების საშოვრად, რაც გამოწვეული იყო ადგილ-მამულის სიცოტავით და კვების უკმარისობით. ილია ჭავჭავაძის ნაშრომში „სტატისტიკის შესახებ“ გადმოცემულია საქართველოს ერთ-ერთი შესანიშნავი კუთხის – რაჭის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამსახველი მასალა და კერძოდ ის დუხჭირი ცხოვრება რაც იმდროინდელ მოსახლეობას მიწის სიმცირის გამო აიძულებდა ტყის ნაწილი გამოეყენებინათ ახრებად და უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი ოჯახის გამოსაკვებად გადასახლებულიყო ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ ალაგირში, ვერცხლის მწარმოებელ ქარხანაში სამუშაოდ. „პირველი შემთხვევა გადასახლებისა მოხდა 1879 წელს. ამ წელიწადს აყრილა და გადასულა ალაგირში (ალაგირი ერთი პატარა ადგილია თერგის ოლ-

<sup>1</sup>Наталья Свирейко. Продовольственная безопасность: методы исследования, пути достижения. Белорусский журнал международного права и международных отношений. 2004 – N 4.

<sup>2</sup>ვასილ ჩანტლაძე, შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“. 1992წ. გვ. 10.

<sup>3</sup>ვასილ ჩანტლაძე, შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“. 1992წ. გვ. 61.

<sup>4</sup>ბიკენტი გაბიძაშვილი, სიღარიბის პორტრეტი საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006 წ. გვ. 9.



ქში, არდონის წყლის ახლო. აქ არის ვერცხლის მადანი და ქარხანა, რომელიც თუ არა ვცდებით, დღესაც მოქმედებაშია -ი.ჭ.) მარტო ერთი კაცი ონიდან. მერე 1880 წლიდან ეს აყრა და გადასახლება გახშირდა. ასე, რომ 1882 წლის დამლევამდე 120 კომლი გადასულა(Материалы для изучения экономического быта Государственных крестьян Закавказского края, Т. 11 стр. 93)<sup>1</sup>.

მოსახლეობის ცხოვრების დონის უკეთესი პირობები არსებობდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის პერიოდში. ასეთი სიტუაცია აღინიშნებოდა სოციალიზმის ბოლო ეტაპზე. რაც შეეხება საქართველოს იძულებით გასახლების საწყის ეტაპსა და მეორე მსოფლიო ომის პერიოდებს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა უკიდურესად მძიმე იყო. ამ მხრივ შექმნილ სიტუაციას ართულებდა მოუსავლიანი წლებიც. „ცალკეულ მოუსავლიან წლებში საქართველოს თავისი ძალით უჭირდა მოსახლეობის ხორბლით გამოკვება. აღსანიშნავია, რომ 1948 წელს გვალვის გამო მარცვლის (ძირითადად ხორბლის) საკმარისი მარაგი რესპუბლიკას არ ქონდა. როგორც, საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელი, კ.ჩარკვიანი წერს, მან თხოვნით ი.სტალინს მიმართა გამოეყოთ 30 ათასი ტონა ხორბალი. ნუთუ ასე ბევრი? უკითხავს სტალინს და მიუცია თანხმობა წერილი გამოეგზავნათ. რა თქმა უნდა, თხოვნა დაკმაყოფილდა. მაგრამ, როგორც კ.ჩარკვიანი იგონებს, ი.სტალინმა კატეგორიულად მოითხოვა საქართველოს საჭირო რაოდენობის ხორბალი თვითონ ეწარმოებინა და მოუთხოვია ხორბალი დაეთესათ 1 მლნ.ჰექტარზე. მაშინ, როცა იმ დროს რესპუბლიკაში სულ 1200 ათასი ჰა დამუშავებული მიწა იყო. აქედან 300 ათასზე მეტი მრავალწლიან ნარგავებს ეკავა. 40 ათასი ჰა – ტექნიკურ კულტურებს, ხორბალს -265,5 ათასი ჰა. ასეთი დავალების შესრულებისთვის საჭირო იყო 735 ათასი ჰა ახალი ფართობის გამონახვა.

ამოცანის პოლიტიკური მნიშვნელობისა და შესრულების სიძნელების გათვალისწინებით კ. ჩარკვიანს განუცხადებია: „ამხანაგო სტალინ, ამდენი ასათვისებელი მიწის გამონახვა საქართველოში შეუძლებელია. ასეთი დავალების შესრულება გაგვიჭირდება“<sup>2</sup>.

საინტერესოა სტალინის პასუხი:

„დავალეხა ერთი წლისათვის ხომ არ გეძლევათ, ავიღოთ შვიდწლიანი პერიოდი. დასავლეთ რაიონების მთიან ადგილებში სიმინდის მაგივრად ხორბალი დათესეთ. ეს ეროზიასაც შეანელებს. ზესტაფონის რაიონში კარგი ვაკეები გაქვთ, იქაც ხორბალი დათესეთ. გადადით მინათმოქმედების ქიმიზაციაზე. მინერალურ სასუქებს მოგცემთ. ამით სათესი ფართობის შემცირებას თავიდან აიცილებთ. საკუთარი პურეული რომ გექნებათ მეცხოველეობასაც განავითარებთ. მართლა, ღონისძიებებში, რომელსაც მოამზადებთ, მეცხოველეობის ზრდის დავალებებიც უნდა შევიდეს.“<sup>3</sup>

სსრკ მინისტრთა საბჭომ დასმულ საკითხთან დაკავშირებით 1950 წლის 5 ოქტომბერს მიიღო შესაბამისი დადგენილება „ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ხორბლის წარმოების გადიდების, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შემდგომი ზრდისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების ზომების შესახებ“<sup>4</sup>.

მოსახლეობის სურსათის უზრუნველყოფის კრიზისულ სიტუაციაში დახმარების მიზნით 1945 წელს დაარსდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). გაერომ 1974 წელს მიიღო რეზოლუცია „მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ვალდებულებები“. ამასთან მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმებოდა სასურსათო საქონლის ბაზრებზე ყველა ქვეყნისათვის საბაზისო პროდუქტებზე წვდომის სტაბილურობის შენარჩუნება. მოცემული ორგანიზაცია საქართველოსთან თანამშრომლობს და შესაბამის პროექტებს ახორციელებს 1995 წლიდან. მიუხედავად ამისა, ამჟამად მსოფლიოში მცხოვრები 7,5 მილიარდი ადამიანიდან შიმშილობს 744 მილიონი.<sup>5</sup>

არაერთგვაროვანი სიტუაცია გამოიკვეთა მოსახლეობის სურსათის უზრუნველყოფასა და ცხოვრების დონის მხრივ გასულ საუკუნეში. ამის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი იყო 1976 წლიდან მოყოლებული 1990 წლის ჩათვლით მთლიანად საბჭოთა კავშირის მასშტაბით წარმოებისა და მოხმარების მაჩვენებლების მნიშვნელოვანი დაქვეითება, რაც ნათლად ჩანს წარმოდგენილი ცხრილიდან.

ცხრილი N I

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე „სტატისტიკის შესახებ“. გაზეთი „ივერია“. N 12. 1888 წ. 18 იანვარი.

<sup>2</sup> კ. ჩარკვიანი. განცდილი და ნააზრევი. თბილისი. 2004. გვ.616

<sup>3</sup> ნ. ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი. გამომცემლობა „ივერიონი“. 2015 წ. გვ. 67-68.

<sup>4</sup> ნ. ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი. გამომცემლობა „ივერიონი“. 2015 წ. გვ. 68.

<sup>5</sup> [www.thenextweb.com](http://www.thenextweb.com)





ეკონომიკურ მაჩვენებელთა საშუალოწლიური მატების ტემპები სსრ კავშირში (%)<sup>1</sup>

მაჩვენებლები	1976-1980	1981-1985	1986-1990
მთლიანი ეროვნული პროდუქტი	44.8	33.7	22.4
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	44.3	33.2	11.3
მონმარებასა და დაგროვებაზე გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	33.8	22.9	11.7
ძირითადი საწარმოო ფონდები	77.4	66.4	44.8
მრეწველობის პროდუქცია	44.4	33.6	22.5
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	11.7	11.0	11.9

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საწყის ეტაპზე კიდევ უფრო განმწვავდა მოსახლეობის სიღარიბის მატებისა და სურსათით უზრუნველყოფის პრობლემები, რაც ეკონომიკის ტრანსფორმაციაში დაშვებული ობიექტური და სუბიექტური შეცდომებით იყო განპირობებული. ეკონომიკის თითოეული დარგის განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სისტემურ კრიზისში შესვლის გამო, კვების პროდუქტების წარმოება და მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც ასახულია ქვემოთმოტანილ ცხრილში.

ცხრილი N 2

მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული პროდუქციის მოცულობა (კგ)<sup>2</sup>

მაჩვენებელი	1990	1995	2000	2003	2008	2013	2015 <sup>3</sup>
მარცვლეული	122	109	91	169	108	108	115
ხორბალი	47	16	19	51	18	18	36
სიმინდი	49	81	64	106	75	81	62
კარტოფილი	54	74	66	96	44	66	56
ბოსტნეული	88	93	94	98	38	46	44
ჩაის ფოთოლი	92	7	10	6	1	0.74	0.57
ყურძენი	127	78	47	46	40	50	72
ხორცი	31	24	24	20	13	11	17
რძე (ლიტრი)	121	100	138	168	146	135	182
კვერცხი (ცალი)	141	57	80	97	100	110	162

მოტანილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1990 წელთან შედარებით 2015 წელს ათი დასახელების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში, გარდა კარტოფილის, სიმინდის, კვერცხისა და რძისა ყველა დანარჩენი პოზიციის მიხედვით 25 წლის მანძილზე აღინიშნება მნიშვნელოვანი დაქვეითება. კერძოდ, ყოველწლიური კლების ტემპი საშუალოდ შეადგენდა: ჩაის ფოთოლში 19.1%; ბოსტნეულში 2.8%; ხორციში 2.5%; ყურძენში 2.3%; ხორბალში 1.1% და მარცვლეულში 0.2%.

აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებით ძირითადი სასურსათო პროდუქტების მოხმარების რეკომენდირებული ნორმა შეადგენს 2450 კ/კალორიას დღეში. საქართველოში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2003 წლის 8 მაისის N 111 ბრძანებით, სურსათის მოხმარების კალორიულობის ნორმა განსაზღვრულია 2300 კ/კალორია, ანუ 150 კ/კალორით ნაკლები. ხორცის მოხმარების მაჩვენებლად მიჩნეულია დღე-ღამეში 80 გრამი (200 გრამის ნაც-

<sup>1</sup> ბ. გაბიძაშვილი, სიღარიბის პორტრეტი საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006 წ. გვ. 10.

<sup>2</sup> ნ. ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი. გამომცემლობა „ივერიონი“. 2015 წ. გვ. 81.

<sup>3</sup> [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)



ვლად), რძის ნორმად – 215 გრამი (4.5 ჯერ ნაკლები), ბოსტნეულის – 182 (370 გრამის ნაცვლად), შაქარი 55 გრამი (100 გრამის ნაცვლად). პურის მოხმარების ნორმა გაზრდილია 350 გრამიდან 400 გრამამდე.<sup>1</sup>

ცხრილი N 3

კვების პროდუქტების მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე<sup>2</sup>

პროდუქცია	1990	1995	2006	2012	2015
სიმინდი	-	-	29	22	36.6
ხორცი და ხორცის პროდუქტები	36.4	12.5	16.4	26	35.7
რძე და რძის პროდუქტები	311.3	97.9	162	138	200
კვერცხი	140	66.1	60	99	146
კარტოფილი	37.3	26.7	44	52	57
ბოსტნეული	81.1	60.8	55	55	66.5

როგორც მოტანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს საქართველოში კვების პროდუქტების მოხმარების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩვენი ქვეყნის ნორმატიულ მაჩვენებლებს. ეს იმ პირობებში, როცა თავად ნორმატიული მაჩვენებლები როგორც უკვე აღვნიშნეთ მნიშვნელოვნადაა შემცირებული ჯამრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდირებული მაჩვენებლებისაგან.

მოსახლეობის ერთ სულზე კვების პროდუქტების ზემომოტანილ მოხმარების მაჩვენებლებში ლომის წილი უჭირავს ცალკეული პროდუქციის იმპორტს.

ამრიგად, სურსათის წარმოებისა და მოხმარების საკითხებში მრავალი პრობლემა არსებობდა და არსებობს საქართველოს დიდი პერიოდების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მანძილზე.

#### დამონებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბ.გაბიძაშვილი, სიღარიბის პორტრეტი საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006 წ. გვ. 9.
2. ვ. ჩანტლაძე, შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“. 1992წ.
3. კ. ჩარკვიანი. განცდილი დანაზრევი. თბილისი. 2004.
4. ი. ჭავჭავაძე „სტატისტიკის შესახებ“. გაზეთი „ივერია“. N 12. 1888 წ. 18 იანვარი.
5. ნ. ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი. გამომცემლობა „ივერიონი“. 2015 წ.
6. Н.Свиричко. Продовольственная безопасность: методы исследования, пути достижения. Белорусский журнал международного права и международных отношений. 2004 – N 4.
7. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
8. [www.thenextweb.com](http://www.thenextweb.com)
9. [www.sazogadoeba.ge](http://www.sazogadoeba.ge)

<sup>1</sup>ნ. ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი. გამომცემლობა „ივერიონი“. 2015 წ. გვ. 83. [www.sazogadoeba.ge](http://www.sazogadoeba.ge)

<sup>2</sup>ნ. ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი. გამომცემლობა „ივერიონი“. 2015 წ. გვ. 82. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)



## დ. კბილაძე

### სურსათის წარმოებისა და მოხმარების ისტორიულ-სტატისტიკური ასპექტები საქართველოში რეზიუმე

სურსათის წარმოების, ექსპორტ-იმპორტისა და მოხმარების პრობლემა ყოველთვის აქტუალური იყო საქართველოს მრავალწლიანი არსებობის მანძილზე. საზოგადოების განვითარების ყველა საფეხურზე ადამიანებს ესაჭიროებოდათ ჭამა-სმა და სხვა ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქვეყანა თავისი ძალებით ხორბალზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მხოლოდ შოთა რუსთაველის ეპოქაში ახერხებდა.

ძირითადი კვების პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და კვების ძირითადი პროდუქტების რაციონალურ ნორმებთან დაახლოება ყველა დროის ხელისუფალთა ძირითადი ამოცანა იყო და კვლავაც რჩება.

## D. Kbiladze

### Historic and Statistic Aspects of Food Production and Consumption in Georgia Summary

Problem of food production, export-import and consumption was always actual during existence of Georgia. At every level of society development, humans needed to eat, drink and satisfy other basic demands. Attention should be paid to the circumstance that society only was able to satisfy demand on wheat by own force only in the era of Rustaveli.

Satisfaction of population demand with main food products and getting closer of main products with the rational norms is the main task of authorities.



## 6. კვარაცხელია, გ. ყუფარაძე

### ჰიდროთერაპიული სპაინდუსტრიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი მსოფლიოსა და საქართველოში

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ყველა ადამიანის სანუკვარი სურვილია, მიუხედავად მათი ასაკის, სქესის, ფინანსური შესაძლებლობებისა და რელიგიური მრწამსისა. დაბერება კარგია, რადგან ნიშნავს, რომ დიდხანს ვცოცხლობთ. ხოლო სურვილი იმისა, რომ ჩვენმა სხეულმა, სულმა და გონებამ მაქსიმალურად ამოწუროს თავისი პოტენციალი, ისეთივე ძველია, როგორც ცივილიზაცია.

„ჰიდრო“ ნიშნავს წყალს, ხოლო "თერმული" თბილს, მაღალ ტემპერატურას. ადამიანები მთელს მსოფლიოში ყოველთვის ეძებდნენ და, დღესაც, სულ უფრო ხშირად, ისწრაფვიან წყალისა და სითბოს ერთად გამოყენებისაკენ, იქნება ეს ბუნებაში, სახლში თუ კურორტზე, რათა იმკურნალონ, ან უბრალოდ, დაისვენონ და დატკბნენ ცხოვრებით.

ინვოლუციასთან (დაბერებასთან) ბრძოლისა და ახალგაზრდობის გახანგრძლივების საუკეთესო საშუალება ფიზიკური რეკრეაცია და სპაპროცედურებია. ამიტომაც სულაც არაა გასაკვირი, რომ გამაჯანსაღებელი ანუ ველნეს ინდუსტრიის (wellness industry) მოცულობამ 2013 წლის მონაცემებით 3,4 ტრილიონი აშშ. დოლარი შეადგინა, რაც ძალიან შთამბეჭდავი ციფრია. აქედან ველნესის ტურიზმის წილი 494 მლრდ. აშშ დოლარს აღწევს, სპაინდუსტრიისა 94 მილიარდს, ხოლო თერმული წყლების ბიზნესისა 50 მილიარდ აშშ. დოლარს [Clobal Spa...,2014: 13].

მსოფლიო ველნეს და სპაეკონომიკა უკანასკნელ წლებში სწრაფად იზრდება და ამის მიზეზი ისეთი გლობალური ტენდენციებია, როგორიცაა: პლანეტის მოსახლეობის დაბერება, განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური კეთილდღეობის განუხრელი ზრდა, იმ დაავადებების გახშირება, რომლებიც დაკავშირებულია ჰიპოდინამიასთან და სტრესებით აღსავსე თანამედროვე ცხოვრების რიტმთან, ასევე, ტრადიციული მედიცინის პარადიგმასთან, რომელიც ორიენტირებულია დაავადებების მკურნალობაზე და არა მათ თავიდან აცილებაზე.

იმის გამო, რომ სულ უფრო მეტი და მეტი მომხმარებელი ირჩევს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რათა შეინარჩუნოს გონებისა და სხეულის ჯანმრთელობა, თავიდან აიცილოს დაავადებები და იცოცხლოს დიდხანს, გამაჯანსაღებელ პროდუქტებსა და მომსახურებებზე მოთხოვნა მუდმივად მზარდი იქნება.

თუკი სპაინდუსტრიაში უკანასკნელი წლების ტრენდებს მივადევნებთ თვალს, აღმოვაჩინებთ, რომ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მოკლედ ასე ხასიათდება – „უკან ბუნებისაკენ“. ჰიდროთერმული აბაზანები, რომლებიც აუმჯობესებენ იმუნურ სისტემას, არეგულირებენ მაღალ არტერიულ წნევას, ახდენენ სხეულის დეტოქსიკაციას და უამრავი სხვა სარგებელი მოაქვთ ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ერთ-ერთი ყველაზე ძველი და აპრობირებული სამკურნალო პროცედურებია.

#### 1. ჰიდროთერმული პროცედურების ისტორია მსოფლიოში

ათასწლეულების მანძილზე სხვადასხვა კულტურები ესწრაფოდნენ გამოეყენებინათ წყალი და სითბო სისუფთავისა და მკურნალობისათვის, თუმცა, ორივე მათგანი ძნელად ხელმისაწვდომი იყო და ფუფუნების საგნად ითვლებოდა. ამან განაპირობა ის, რომ შედარებით ცივილიზებული საზოგადოებები მუდმივად ესწრაფოდნენ, რათა გამოეძებნათ გზები, რომ "ჰიდრო" და "თერმული" თერაპია ხელმისაწვდომი გაეხადათ რიგითი ადამიანებისათვის.

ხშირად, ყველაზე იოლი გზა ამის მისაღწევად იყო ბუნებრივი ცხელი წყლის წყაროები. მთელი მსოფლიოს მასშტაბით თერმული წყლების სიმრავლემ, ბევრ კულტურაში შესაძლებელი გახადა ამ ინტერესებისათვის გამოეყენებინათ ასეთი ადგილები და მათ გარშემო აეშენებინათ სპეციალური ნაგებობები, რომელთა დანიშნულებაც საზოგადოებრივი აბაზანები იყო.

დღეისათვის უკვე მეცნიერულად დადასტურებულია, რომ დედამიწის გულიდან ამოფრქვეული გეოთერმული წყლები გამოიყენებოდა, არა მხოლოდ მომხმარებელთა ჰიგიენისათვის, არამედ აგრეთვე მათი ორგანიზმის სხვადასხვა მინერალებით შესავსებად, კანის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სახსრებისა და კუნთების დაავადებებით გამოწვეული ტკივილების შესამცირებლად. ჩინურ ისტორიულ წყაროებში, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-7 საუკუნეში, ნახსენებია "წყარო, რომელიც შეიცავს გოგირდს დაავადებების სამკურნალოდ".



ძველად, კერძო და ინდივიდუალური აბაზანები პრაქტიკულად არ არსებობდა, ამიტომ დაბანის ყველაზე ეფექტური საშუალება იყო საზოგადოებრივი აბანოები. ალბათ, მათი ყველაზე ცნობილი მაგალითი რომაული აბანოებია, თავისი მოწინავე ტექნოლოგიებითა და დიდებული არქიტექტურით. საისტორიო წყაროების მიხედვით, ჯერ კიდევ ძვ. წ. 339 წელს, ზოგიერთი რომაული აბანო სპეციალურად გამოიყენებოდა სამკურნალო მიზნებისათვის და ადამიანები მათ სტუმრობდნენ ტრავმების რეაბილიტაციისათვის, რევმატული დაავადებებისა და დამბლის მკურნალობისათვის. სწორედ, რომაული აბანოები უნდა მოვი-აზროთ თანამედროვე ჰიდროთერმული სააბაზანოების წინამორბედებად. თუმცა, არსებობენ სხვა კულტურებიც, რომლებიც, ასევე, აცხადებენ პრეტენზიას თანამედროვე პოპულარული ჰიდროთერმული პროგრამების გამოგონებაზე.

მაგალითად, ძალიან პოპულარული და ხანგრძლივი ჰიდროთერმული ზემოქმედების მქონე ფინური საუნა. მაღალი ტემპერატურის შექმნა საკმაოდ ძვირადღირებულია ცივი კლიმატით ცნობილ ფინეთში, ამიტომ ფინელებმა გამოიყენეს საშუალება, ხის კაბინის მაღალ ტემპერატურამდე გასაცხელებლად და შედეგად მასში მყოფი ადამიანების მაქიმალურად გასახურებლად. კაბინის დატოვების შემდეგ, გაოფლილი ფინელები იყენებდნენ გარეთ არსებულ თოვლს, რათა მოეცილებინათ ოფლი და ჭუჭყი. ეს პროცესი მეორდებოდა რამდენჯერმე, სანამ არ მიიღწეოდა სისუფთავის საჭირო დონე. სწორედ ამიტომ ფინელები, დღესაც, როგორც წესი, საუნის მიღების შემდეგ მიმართავენ თოვლით სხეულის დახეღვას. ძველად თოვლის გამოყენების პრაქტიკული მიზეზი ისაა, რომ ჩრდილოეთში დიდი ყინვების გამო გამდინარე წყლის დეფიციტი იყო. თუმცა, შედეგად მივიღეთ გასუფთავება/დეტოქსიკაციის რიტუალი, რომელიც დღესაც დიდად ფასობს და უკვე დამტკიცებულია, რომ ის აუმჯობესებს იმუნური სისტემის მდგომარეობას და ამცირებს არტერიულ წნევას.

მიუხედავად იმისა, რომ ფინეთი აღიარებულია საუნის სამშობლოდ, მთელ ჩრდილოეთ ევროპაში არსებობდა ანალოგიური ტიპის აბაზანები, მაგალითად, რუსული „ბანია“ პრაქტიკულად მათი იდენტურია კონსტრუქციითა და მიზნებით.

ამერიკის კონტინენტზე, არსებობს ადრეული მტკიცებულებები იმისა, რომ "ოფლიანობა" გამოიყენებოდა სხეულის განმენდისა და გასუფთავებისათვის, მათ შორის, არომატული მცენარეებითა და ყვავილებით (ანუ "არომათერაპია", როგორც დღესაც მიღებული). აცტეკების ტომები, განსაკუთრებით წარმატებულნი იყვნენ ამ მხრივ. მათ შექმნეს ორსართულიანი თიხით გაგლესილი თივის ნულისაგან გაკეთებული ორთქლის ოთახი (wattle-and-daub sweat rooms). მექსიკაში ტემაზკალი (Temazcal) ან "ორთქლის ოთახი" არის თერმული აბაზანის კიდევ ერთი მაგალითი. დღეს, შეგიძლიათ ეწვიოთ მაიას ორთქლის ოთახის შესანიშნავ მაგალითს ჩიჩენ-იცაზე (Chechen Itza), მექსიკის იუკატანის ნახევარკუნძულზე.

მე-16 საუკუნეში ოსმალეთის იმპერიაში წარმოიშვა საყოველთაოდ ცნობილი „ჰამამი“ ანუ თურქული აბანო. თუმცა, არსებობს მტკიცებულებები, რომ ამ ტიპის აბაზანები ოსმალელებამდე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ისლამის წარმოშობამდე, ფართოდ გამოიყენებოდა ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. ტრადიციული ჰამამი განსაკუთრებით პოპულარული გახდა მეჩეთის მონახულების წინ, როგორც ოფლის მეშვეობით განმენდის საშუალება. სტამბულის ძველ ჰამამებს შესანიშნავი ინტერიერები აქვთ, სადაც წარმოდგენილია ფანტასტიკური ტრადიციული მუსულმანური კერამიკული და მოზაიკური ხელოვნება, ხშირად, ყურანიდან ამოღებული კედელზე გაკეთებული წარწერებით. ასევე შეგიძლიათ ნახოთ ჰამამების შესანიშნავი მაგალითები სირიაში, ლიბანში, იორდანიაში, ტუნისში, ლიბიაში, ალჟირსა და მაროკოში [Cavanah C., 2016: 9]

იაპონია, ასევე, ცნობილია ბანაობის დიდი ტრადიციით და შესაბამისად სისუფთავის ეთიკას ღრმად აქვს გადგმული ფესვები მის კულტურაში. ჯერ კიდევ III საუკუნის ისტორიულ წყაროებში გვხვდება მითითება სხეულის სისუფთავის იაპონურ ჩვევებზე, ხოლო VI -VII საუკუნეებში, კონფუციანიზმისა და ბუდიზმის გაბატონებამ ზოგადად გააძლიერა სისუფთავის კულტი, ბანაობის რიტუალის სიყვარულთან ერთად.

იაპონიაში 20 ათასზე მეტი (ზოგი მონაცემით 26000-მდე) ბუნებრივი ცხელი წყლის წყაროა, რომელთა ბაზაზე ჩამოყალიბდა იაპონური ონსენები (ინგლ. Onsen, იაპონურად 温泉). ონსენი - ცხელი წყლის წყაროს სახელწოდებაა იაპონიაში. ხშირად ასევე უწოდებენ ცხელი წყლის წყაროსა და მასთან დაკავშირებულ ტურისტული ინფრასტრუქტურასაც – სასტუმროებს, რესტორნებს, რომლებიც წყაროს გარშემოა აშენებული. ონსენი შეიძლება იყოს ღია, როცა ბანაობა ხდება ცხელი წყლის ბუნებრივ წყალსატევში და დახურული, როცა ცხელი მინერალური წყლებით ავსებენ სპეციალურ აბაზანებს – ფუროს [www.japan-guide.com]





იაპონიაში ასევე განვითარებულია ორთქლის აბანოები, რომელთაც სენტო (შენტო) ეწოდება. მათში გამოყენებულია არომათერაპიის ელემენტები და კანის სველი სკრაბი. და ბოლოს, ფურო (furo) – ხის აბაზანა, რომელშიც საკმაოდ დიდხანს წევს ადამიანი; ის უფრო ხშირად გვხვდება კერძო სახლებში.

სხვა ტიპის თერმული ბანაობა – საბანაო ტალახები წარმოიშვა ახლო აღმოსავლეთში რამდენიმე ათასი წლის წინ. აბაზანის ეს ფორმა არ იყო შემუშავებული მაინც და მაინც "მასების განმენდისათვის", მაგრამ, სამაგიეროდ, იყო სამკურნალო ხასიათისა და ამშვენებდა მინერალებით მდიდარი მკვდარი ზღვის ლამით კანის მკურნალობის რიტუალს. ანალოგიურად, ძველი ეგვიპტელები დიდად აფასებდნენ ნილოსის დელტის სამკურნალო ტალახებს, რომელიც მდიდარი იყო ეთიოპიის მაღალი მთებიდან ჩამოტანილი მინერალებითა და ნიაღისეულით.

შემდეგ, 1900 წლიდან, ფრანგებმა დაიწყეს ზღვის წყლის სამკურნალო-აღდგენითი თვისებების გამოყენება. ზღვის წყალი მდიდარია არამხოლოდ ნატრიუმის ქლორიდის მარილით, არამედ მინერალებითა და მიკროელემენტებით. "თალასოთერაპიის" სახელით ცნობილი მკურნალობა განვითარდა ზღვის კლიმატის და თბილი წყლის გამოყენებით [Cavanah C., 2016]

## 2. სამკურნალო ტურიზმი, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა

ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ შეუძლებელი იქნებოდა ასეთი შინაარსის წინადადების წაკითხვან გაგონება, რადგან კულტურული მემკვიდრეობა არ იყო გაყოფილი ორ ნაწილად: მატერიალურ და არამატერიალურ მემკვიდრეობად, ხოლო მედიცინა არც კი განიხილებოდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტად. თუმცა, ამის დამადასტურებელი მაგალითები დღესაც მწირია. ერთი იშვიათი მაგალითია გერმანიაში, სადაც 2016 წელს „კნაიპჰე“ შეტანილ იქნა გერმანიის არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში. [ცნობილი გერმანელი ექიმი სებასტიან კნაიპჰე, რადგან გერმანულში მისი გვარი ორი ასო-ბგერა „P“-თ იწერება, ჩვენც პირდაპირ გადმოვიტანეთ ქართულ ტექსტში, რომ არავის შეეშალოს Kneipe-ში, რაც ლუდხანას, ანუ პაბს აღნიშნავს]

კნაიპჰე სამკურნალო აბაზანები (Kneippheilbad) ან კნაიპჰეკურორტები (Kneippkurort) ანალოგებისგან იმით გამოირჩევა, რომ ამ შემთხვევაში წყლით მკურნალობა ხორციელდება ბავარიელი მღვდლის, სებასტიან კნაიპჰეს (1821-1897) მეთოდით, რომელმაც გაითქვა სახელი, როგორც "წყლის ექიმმა" და მე -19 საუკუნის 50-იან წლებში დაიმკვიდრა ცივი აბაზანებით უებარი მკურნალის სახელით. ის წყლის სამკურნალო თვისებების გამოყენებით კურნავდა ტუბერკულოზით დაავადებულებს. კვლევას იგი ატარებდა ფარულად, ძირითადად მკურნალობდა სტუდენტებს, მან დააგროვა დიდი ცოდნა ჰიდროთერაპიაში და ჩამოაყალიბა კნაიპჰეთერაპიის ახალი მიმართულება. 1855 წელს მან შეგნებულად დატოვა ეკლესია, როგორც მოძღვარმა, რომ დარჩენილი სიცოცხლე მიეძღვნა წყლით მკურნალობისთვის და ახალი მიმართულების ჩამოყალიბებისათვის, მან ასევე ჩაუყარა საფუძველი პირველ კნაიპჰეკურორტს.

გერმანიის კნაიპჰეკურორტების და კნაიპჰეაბაზანების გაერთიანებამ, რომელიც ქალაქ Bad Münstereifel-ში მდებარეობს 2016 წლის მთავარ წარმატებად მიიჩნია გერმანიის არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში კნაიპჰეკურორტების და კნაიპჰეაბაზანების შეტანა. "დღეს არის განსაკუთრებული დღე", – განაცხადა აქიმ ბედორფმა, კნაიპჰეკურორტების და კნაიპჰეაბაზანების გაერთიანების აღმასრულებელმა თავმჯდომარემ. ეს გაერთიანება მოიცავს მთელი გერმანიის მასშტაბით დაახლოებით 60-ზე მეტ უდიდეს სამკურნალო საწარმოს. ამ სისტემის აბაზანები და კურორტები მოიცავს მთელს გერმანიას ბალტიის ზღვიდან ალპებამდე და აიფელიდან საქსონიამდე. გარდა კურორტებისა არსებობს ასობით კნაიპჰეკლუბი. იუნესკოს გერმანიის კომისიამ და კულტურის სამინისტროს მუდმივმოქმედმა კონფერენციამ (KMK) ერთობლივად შეძლეს დაემტკიცებინათ სებასტიან კნაიპჰეს ტრადიციული ცოდნასა და პრაქტიკაზე დაფუძნებული სამკურნალო პროცედურების განსაკუთრებული ადგილი და როლი გერმანელი ხალხის ისტორიაში. კნაიპჰე იყო პირველი, ვისი გამაჯანსაღებელი პროცედურების და მეთოდის ინკორპორაცია გახდა შესაძლებელი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში და შეძლო მოეხდინა დადებითი გავლენა ექსპერტთა ინტერდისციპლინარული კომისიის გადაწყვეტილებაზე. იუნესკოს ნუსხაში იგი შევიდა შემდეგი რედაქციით: "ექსპერტთა კომიტეტი აფასებს თქვენ წინადადებას, როგორც პრიორიტეტულს, რომლის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის ტრადიციული მეთოდებით აღდგენა. ტრადიციული მედიცინა მუდმივად უნდა განვითარდეს და მისი ბაზა გაუმჯობესდეს. ეს იდეა შესაძლებელია მსოფლიოში გავრცელდეს და ღრმა ფესვები გაიდგას, მითუმეტეს, რომ არსებული კნაიპჰეკლუბების ქსელი, აბაზანები და კურორტები იძლევა გარანტიას, რომ მომავალში ეს გამოცდილება იქნება გამდიდრებული და განვითარებული" [tourismus.bad]



### 3. ჰიდროთერმული პროცედურების ისტორია საქართველოში

ანტიკური ხანის ქართულმა მედიცინამ წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო მედიცინის ისტორიაში. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ სიტყვა მედიცინა დაკავშირებულია კოლხეთის ლეგენდარული მეფის, აიეტის ქალიშვილის, მედეას სახელთან, რომელიც თავისი ეპოქის სახელგანთქმულ მკურნალად ითვლება. მის სახელს უკავშირებენ ისეთ სამედიცინო-ბიოლოგიური ცნებებს, როგორიცაა "გაახალგაზრდავება" და "სისხლის გადასხმა".

როგორც ირკვევა, საქართველოში მინერალურ წყლებს სამკურნალო მიზნით უძველესი დროიდან იყენებდნენ, რასაც ადასტურებს ბორჯომში აღმოჩენილი უძველესი აბაზანის ნაშთები, აგრეთვე არმაზის აბანო, რომელიც სამკურნალო მინერალური წყლებით მარაგდებოდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქსნის ხეობის, კლდეეთის, არმაზის, ურეკის, ვანის სამაროვნებში აღმოჩენილი ნივთების, აგრეთვე კომუნალურ ნაგებობათა და სანიტარულ-ჰიგიენური ტექნიკის ნაშთების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ ეპოქაში მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეზე და, შესაბამისად, მაღალ ჰიგიენურ კულტურაზე.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ძალისის ნაქალაქარი. ძალისის არქიტექტურა, განსაკუთრებით აბანოებისა და აუზების გეგმარება, ცივი და ცხელი წყლით მომარაგებისა და ჰიპოკაუსტების პრინციპზე აგებული გათბობის სისტემები, კანალიზაცია, იატაკის მოზაიკით მოპირკეთების ტექნიკა, აუზის შესაღვსად ჰიდრაულიკური ხსნარისა და სხვა იმ დროისთვის მაღალტექნოლოგიური სამშენებლო მასალების გამოყენება უდავოდ აღტაცებას იწვევს მნახველებში. აღნიშნული ძეგლის შესახებ დანვრისებით გადმოცემულია პროფესორ ირაკლი ციციშვილის ნიგნში „ქართული ხელოვნების ისტორია“. მუხრანის ველზე მდ.ნარეკავის მარცხენა ნაპირას, სოფელ ძალისას მიდამოებში მიკვლეულ იქნა ნაქალაქარი. აქ აღმოჩნდა გათლილი ქვებით ნაგები მსხვილ შენობათა ნაშთები, რიყის ქვით ნაგები საძირკვლები ალიზის კედლებისათვის, წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელები, ქვის ბაზისები და სვეტისთავები. უკეთ შემორჩენილია აბანო, რომელიც თითქოს, სასახლის კომპლექსში შედიოდა. რომაული ტიპის აბანო სამი განყოფილებისაგან შედგებოდა ცივი, თბილი და ცხელი წყლის აბაზანებით და კარგად შემონახული გათბობის ჰიპოკაუსტების სისტემით. თბილი და ცივი აბაზანების, ასევე, უკანასკნელის მომიჯნავე გასახდელის იატაკები დაფარულია მოზაიკით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზაიკური იატაკი "დიონისეს სახლში", რომელიც უშუალოდ უკავშირდება აბანოს გასახდელს. აბანო აგებული უნდა იყოს ახ.წ. III საუკუნის დასაწყისში. ამ აბანოს მახლობლად აღმოჩნდა მეორე უფრო დიდი (ფართობით 1500 კვ.მ) უკვე საზოგადოებრივი დანიშნულების აბანო. მასში გარდა ტრადიციული სააბაზანო განყოფილებებისა, შედის ატრიუმი, ღია ეზო და ეგებ სატაძრო ნაწილიც. ყველაზე დიდ ნაგებობას ძალისაში წარმოადგენს სასახლე (მისი ნანგრევის ფართობი 2500 კვ.მ. აღემატება). მასში შედიოდა სამ ათეულზე მეტ სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის ოთახი, რომელთა ცენტრში მოთავსებული ყოფილა ეზო – ატრიუმი. ატრიუმის ცენტრში შეიმჩნევა ქვის შადრევნის კვალი. სადგომთა შორის გამოიყოფა დარბაზი, საძინებელი ოთახები და ორგანყოფილებიანი საპირფარეოც საკუთარი წყალსადენითა და კანალიზაციით. საყურადღებოა, რომ სასახლეს ჰქონია ცენტრალური გათბობის სისტემის ცალკე მდგარი შენობა ჰიპოკაუსტების პრინციპზე.

აბანოს გვერდით აღმოჩნდა საქართველოში პირველი საცურაო აუზი. იგი გეგმაში სწორკუთხედის ფორმისაა და ოთხივე არეს, კედლების ცენტრში ახლავს ნახევარწრიული აფსიდები (აუზის ზომებია: სიგრძე 33,4 მ. აფსიდებით 39,6 მ. სიგანე 11,5 მ. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 2,07 მ). აუზის კედლები ამოშენებულია რიყის ქვით კირხსნარზე და შიგნიდან მოპირკეთებულია კარგად გათლილი თეთრი ქვის ფილებით. ჩრდილოეთის აფსიდში, რომლითაც აუზი უკავშირდებოდა აბანოს, მოწყობილია – ცხრა საფეხურიანი ჩასასვლელი კიბე. სამხრეთ – აღმოსავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში მოწყობილია ქვის მერხები დასასვენებლად. ჩრდილო – აღმოსავლეთის კუთხეში მოთავსებული ყოფილა ტრაპი და ჩამკეტი ნაგებობა, რომელიც უკავშირდებოდა კანალიზაციის კოლექტორს. აუზის იატაკი შელესილი იყო ჰიდრაულიკური ხსნარით, ასევე იყო შელესილი, აუზის კედლები გარედან. საცურაო აუზს სამხრეთიდან მიშენებული აქვს კიდეც ერთი დიდი ნაგებობა. მას შვიდი დარბაზი ჰქონია, აქედან სამს შვერილი აფსიდები ახლავს – შუაში სამწახნაგოვანი, გვერდებზე კი ნახევარწრიული. აფსიდიანი ოთახების ჩრდილოეთის კედელში მოწყობილია ვიწრო გამჭოლი თალები, საფიქრებელია – გათბობისათვის ცხელი ჰაერის გასატარებლად. ამ შენობის დანიშნულება ჯერ არაა დადგენილი, საფიქრებელია რომ აქ რომაული კურიების ტიპის დარბაზები იყო. ვინაიდან ამ შენობას მშებებლობისას დაუზიანებია სასახლის წყალსადენის ამდენად იგი მოგვიანო ხანისაა, ალბათ IV-V სს. ძალისას კომპლექსი თავისი შენობების მიხედვით წარ-



მოადგენდა დიდი, მაღალი რანგის მოხელის რეზიდენციას, როგორც ირკვევა, ძალისას დასახლება ძვ.წ. მიწურულში გადაქცეულია რეზიდენციად, რომლის განვითარება მოდის ახ.წ. I-III სს. ხოლო შემდეგ საუკუნეებში იგი განადგურდა. ძალისის მოზაიკა ხასიათდება აგების ტექტონიკით. ნაკვეთებში ჯერ კიდევ იგრძნობა ელინისტური ხელოვნების ტრადიციები მოძრაობა ცოცხალია, ფორმა გამოსახულია შუქრდილით, მაგრამ ძირითადი უკვე არა პლასტიკური ძერწვაა, არამედ ხაზოვანი ნახატი. ...ძალისის მოზაიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს დიონისეს კულტის პოპულარობას საქართველოში, სადაც განვითარებულია მევენახეობა და მეღვინეობა. მარტო უკანასკნელ წლებში აღმოჩენილია: პანის ბრინჯაოს ქანდაკება მცხეთის აკლდამაში, დიონისეს და არიადნეს ტერაკოთული ქანდაკებები სარკინეთში, დიონისეს ბრინჯაოს ქანდაკება სოფელ კოდისწყაროდან, ვერცხლის სარკემემკული დიონისეს მიერ არიადნეს გაღვიძების რელიეფით სამთავროდან და სხვა. ძალისის მოზაიკა კვლავ გვიჩვენებს იბერიის მჭიდრო კონტაქტებს დასავლურ – რომის სამყაროსთან და ელინისტურ კულტურასთან აღმოსავლეთის ქვეყნებში [ციციშვილი ირ., 1995: 33-34; 41-43].

აღორძინების პერიოდის უმნიშვნელოვანეს სამედიცინო ძეგლს მიეკუთვნება დავით ბატონიშვილის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი "იადიგარ დაუდი", რომელიც მაშინდელი მედიცინის თითქმის ყველა ძირითად საკითხს ეხება. ძეგლში, სხვა საკითხებთან ერთად, გამახავილებულია ყურადღება ბუნებრივი ფაქტორებით გაჯანსაღების, კლიმატურ-ბალნეოლოგიური მკურნალობის პრინციპების მნიშვნელობაზე. მზით მკურნალობა გამოყენებულია „ისისხის სენით“, ანუ წყალმანკის სენით (ტუბერკულოზური პერიტონიტი) დაავადების დროს: „ან მზე შიგა ცხელსა ალაგსა უნდა დაჯდეს, რომე ამა კაცსა თავი ჩრდილშიგა უნდა ჰქონდეს და სრულად ტანი მზეშიგა ჰქონდეს. და თუ მზე არ იყოს ამავე რიგად ცეცხლის პირსა და ან თორნის პირსა დაჯდეს“. კარგად იცის ავტორმა ზღვისა და მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები: „ან ზღვის წყალშიგა, ან გოგირდის ან ქანის (მინერალურ) წყალშიგა ყელამდის ჩასვან და თუ ესეები არცერთი იყო, ამავე რიგად ყელამდის მარილს წყალშიგა ჩასვან“, ან კიდევ: „და თუ ასეთსა თბილსა აბანოშიგა იბანონ რომე მიწინადამან თვითონ თბილი გამოდიოდეს ამრიგსა ილიაჯაშიგა (აბაზანა) ბანება და შიგ ჯდომა სისხისა სენსა და სიმსივნესა მწოვეს არგებს და კარგად მოუხდების“.

დღეს უაღრესად პოპულარული ხდება ე.წ. პოლისტიკური განმარტოება, მოსასვენებელი სავანეები, იოგა, მედიტაცია და სხვა (ავსტრალია, ტაილანდი, ახალი ზელანდია). დავით ბატონიშვილი „იადიგარ დაუდი“ მეღანქოლის, სევდიანობისა და, საერთოდ, ნერვულ დაავადებათა დროს ურჩევს ავადმყოფთ ლამაზი სავანების ხილვას, ტკბილ საუბარს, მუსიკის მოსმენას და სხვ.: „კაის საკრავისა, ან კაის ხმის გაგონება, და ლამაზის ალაგის ნახვა, და ყოვლის წამლისაგან მეტადრე თავის საყუარლის ნახვა, დაჭურეტა, ყოვლის სენისა და ჭირისა წამალ და აქიმი არის“ [შენგელია რ., [www. modernpublishing.ge](http://www.modernpublishing.ge)].

მედიცინისა და საკურორტო საქმის ისტორიის თვალსაზრისით XIX საუკუნე საქართველოში ხასიათდება სამედიცინო-სანიტარული მომსახურების ორგანიზაციისა და სააფთიაქო საქმის განვითარებით, ეპიდემიების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით, საკურორტო-ბალნეოლოგიური რესურსების ათვისება-გამოყენებით, ხალხური მედიცინის ტრადიციების გაგრძელებით.

ამ პერიოდს ემთხვევა კურორტების გაგრის, აბასთუმანისა და ბორჯომის დაარსება და განვითარება.

საქართველოში სახელგანთქმული კურორტის ბორჯომისა და მისი წყლების ისტორია თითქმის 2000 წელიწადს ითვლის. მკვლევარების მტკიცებით, ბორჯომს არამხოლოდ სვამდნენ, არამედ სამკურნალო აბაზანების მისაღებადაც იყენებდნენ. ამაზე მეტყველებს ქვის აბაზანები, რომლებიც ნაპოვნია არქეოლოგიური გათხრების დროს და ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულით თარიღდება. ვახუშტი ბაგრატიონის და აგრეთვე მრავალი სხვა წერილობითი წყაროს თანახმად, ბორჯომის მინერალური წყლები სამკურნალოდ უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან მე-16 საუკუნის ბოლომდე გამოიყენებოდა [ვახუშტი, 1941: 83] ნაპოვნი იქნა ბორჯომის წყლის საბადოს მიერთებული თიხის მილები, რომლებითაც შუასაუკუნეებში სარგებლობდნენ. მრავალრიცხოვანი ომების გამო XVI-XVII საუკუნეებში, აღნიშნული წყაროები დაივიწყეს, ხოლო ადგილები მიატოვეს. სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ ამ წყაროებს მეორე სიცოცხლე სამხედროებმა აჩუქეს.

1816 წლის გაზაფხულზე ხერსონის გრენადერთა პოლკი ბორჯომში განთავსდა. ერთხელ, ჯარისკაცებმა მდინარე ბორჯომულას მარჯვენა სანაპიროზე ნაპრალიდან ვერტიკალურად ამომავალი წყარო აღმოაჩინეს. მათ ამ თბილი წყაროს წყალი პოლკის მეთაურს პოლკოვნიკ პოპოვს მიუტანეს, რომელსაც კუჭის დაავადება აწუხებდა. მან თავის თავზე გამოსცადა წყლის სამედიცინო თვისებები და შედეგმა იმდენად განაცვიფრა, რომ ბრძანება გასცა წყარო ქვებით შემოეღობათ და მის ახლოს პატარა ქოხი აეშენებინათ. პოლკოვნიკი პოპოვი პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ურჩია თავის ახლობლებს ჯანმრთე-



ლობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ამ წყაროს წყალი დაელიათ. 1837 წელს ხერსონის პოლკი ჩანაცვლა ქართველ გრენადერთა პოლკმა. პოლკის ექიმმა ამიროვმა დაიწყო წყლის შემადგენლობის გამოკვლევა და მისი ზემოქმედების შესწავლა. მანვე გააგზავნა წყლის პირველი სინჯები სანქტ-პეტერბურგსა და მოსკოვში.

«ბორჯომის» მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები რუსეთში მთავარი სასაუბრო თემა გახდა. სწორედ ამან უბიძგა კავკასიის მთავარმართებელს, გენერალ-გუბერნატორ ევგენი გოლოვინს ბორჯომში თავისი ქალიშვილი ეკატერინე ჩაეყვანა. მართალია, ისტორიული წყაროები არ აზუსტებენ ინფორმაციას გენერლის ქალიშვილის დაავადების თაობაზე, მაგრამ ფაქტია, რომ იგი «ბორჯომის» წყლებით მკურნალობის შემდეგ სწრაფად განიკურნა. მინერალური წყლის პირველ წყაროს გოლოვინის ქალიშვილის საპატივცემულოდ «ეკატერინინსკი» ეწოდა, ხოლო იმავე პერიოდში ნაპოვნ მეორე წყაროს – «ევგენიევსკი».

1862 წელს ამიერკავკასიის მეფის-ნაცვალად დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი ინიშნება, რომელმაც ზაფხულის რეზიდენციად ბორჯომი აირჩია. იწყება კურორტის კაპიტალური მშენებლობის ხანა, რომელიც ინფრასტრუქტურით კარლსბადის (დღევანდელი კარლოვი-ვარი) და ვიშის მიბაძვით და მათ დონეზე ხორციელდება.

1890 წელს პირველი ჩამოსასხმელი საამქრო ბორჯომის პარკში ამოქმედდა. ბოთლები მუქი მწვანე ფერის იყო, მინისგან დამზადებული და შიგ წყალი ხელით ისხმებოდა, ლუქით იბეჭდებოდა და თივით სავსე ყუთებში თავსდებოდა, ტრანსპორტირებისთვის მოსახერხებელი რომ ყოფილიყო. მალე მინის და ტყის გადამამუშავებელი ქარხნებიც აშენდა, რომლებიც «ბორჯომის» გადასატანად ბოთლებს, ყუთებს და ნახერხს აწარმოებდნენ.

1896 წელს გაიხსნა პირველი მინის ქარხანა, 1899 წ. ბორჯომში დაიწყო პირველი, 3 000 ცხენის ძალის მქონე ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც ელექტროენერგიით ამარაგებდა ბორჯომს და სამ მეზობელ რაიონს. 1900 წ. ბორჯომში მიავლინეს ქიმიკოსი ფ. მოლდენჰაუერი, რომელმაც შეიმუშავა ბოთლებში ჩამოსხმული წყლის ფიზიკური და ქიმიური თვისებების შენახვის მეთოდი. მეცნიერმა წყალი ნახშირორჟანგის გაზით გაამდიდრა. ამ მეთოდმა შესაძლებელი გახდა წყლის ექსპორტი საზღვარგარეთ.

კურორტ აბასთუმნის მშენებლობას XIX ს-ის 70-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. ამ პერიოდში რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრე, უფლისწული გიორგი, რომელიც დაავადებულ იყო ტუბერკულოზით, იძულებული გახდა უარი ეთქვა სამეფო ტახტზე და საცხოვრებლად აბასთუმანში გადმოსულიყო. მისთვის აქ აშენდა სასახლე, ხოლო თერმული წყლების წყაროს მახლობლად – სააბაზანო. თუმცა, აბასთუმნის თერმული წყლების სამკურნალო თვისებები უფრო ადრე იყო საყოველთაოდ აღირებული. ვახუშტი ბაგრატიონი წერდა, რომ ახლანდელი აბასთუმნის ადგილას, ჯერ კიდევ, XIV საუკუნეში ყოფილა მჭიდროდ დასახლებული ქალაქი ოძრხე და არსებობდა სახელგანთქმული სამკურნალო წყლები. XVII საუკუნეში, ოსმალების ბატონობისას, აქ თურქული აბანო მოუწყვიათ.

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული კურორტი, რა თქმა უნდა, წყალტუბოა. ის ცნობილი იყო ჯერ კიდევ VII-IX საუკუნეებში. XII-XIII საუკუნეებში წყალტუბო, როგორც სამკურნალო პუნქტი, უკვე სარგებლობდა ფართო პოპულარობით. პირველი ცნობები წყალტუბოს სამკურნალო წყლების შესახებ ქვეყნდება 1782 წელს „ბერლინის საბუნებისმეტყველო საზოგადოების შრომების" გამოცემებში [ka. wikipedia.org].

1809 წელს უკვე გერმანულიდან რუსულად ითარგმნა ცნობები წყალტუბოს მინერალური წყლის შესახებ. 1897 წელს პროფესორ ალბერტ ოილენბურგის საენციკლოპედიო გამოცემაში მოყვანილია ზოგიერთი მონაცემი წყალტუბოს მინერალური წყაროების სასიკეთო თვისებების შესახებ. 1898 წელს გ. სტრუვემ ქიმიური ანალიზის საფუძველზე წყალტუბოს წყაროები მიაკუთვნა ინდიფერენტულ წყაროებს.

1920 წელს წყალტუბოს ტერიტორია გახდა სახელმწიფო საკუთრება და 1926 წელს დაიწყო ბალნეოლოგიური კურორტის გაშენება. 1931-32 წლებში ფართოდ გაიშალა კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი და ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები, დაიწყო კურორტის ხელახალი განვითარება. 1931 წლის საქართველოს მაშინდელი მთავრობის დადგენილებით, წყალტუბო კურორტად და ბალნეოთერაპიის ცენტრად გამოცხადდა. 1950-51 წლებში შემუშავდა კურორტის ახალი გენერალური გეგმა (არქიტექტორები: ი. ზაალიშვილი, ვ. კედია), რომელსაც საფუძვლად წრიული სქემა დაედო. წყალტუბო დაიყო ბალნეოლოგიურ, სანატორიულ და საცხოვრებელ ზონებად.

2007 წელს, საფრანგეთის ტურიზმის დეპარტამენტის ექსპერტი თერმალურ საკითხებში ბატონი მარკ პეპი წერდა: „რაც ყველაზე განსაკუთრებულია, ეს არის ქალაქის ურბანული მოწყობა, რომელიც თარიღდება 50-იანი წლებით სტალინის ბრძანებით. იშვიათია (შესაძლოა მთელს მსოფლიოშიც), ბალნეო-





ლოგიური კურორტი, რომლის მონყობაც ასე კარგად დბიგეგმბ შედარებით მოკლე დროში დბ არბ სბუკუნეების მბნძილზე, როგორც მოხდბ სხვბ ევროპული ბბლნეოლოგიური კურორტების შემთხვევბში.

კურორტი მდებარეობს დიდ პარკში დბ შედგებბ სბმი კონცენტრული ზონისბგბნ:

- ცენტრში, ყველბზე დბბბლ ადგილზე მდებარეობს ბბბნოები.
- შემდეგ წრეში მდებარეობს ტერიტორიბზე კარგად გბნბნილებული სბნბტორიუმები დბ სხვბ დბნესებულეებები.

• ბოლო წრეში, რომელიც ყველბზე მბლლბ მდებარეობს, გბნბბვსებულიბ თვითონ ქბლბქი.

მთელი ეს ბნსბმბლი, რომელიც ბდბმბბნის მიერბბ შექმნილი, ტოვებს სიმშვიდის შბბბექდილებბს. არსებობს ბვერი უბირბტესობბ, თუმცბ, ყურბდლება უნდბ მივბქციოთ სბმ მბთგბნს:

- ერთი ზონიდან მეორეში გბდბსვლბ სბკმბოდ იოლიბ
- ფიზიკური უსბფრთხოების დბცვბ გბბდვილებულიბ
- ყველბ შენობის გბრშემო ხშირი ბბლებიბ უიშვბბბესი მცენბრეებით, რბც დლეს დიდ ინტერესს ინვებს.“

მბრკ პეპის ბზრით, ნყბლტუბო, თბილისის ბბლნეოლოგიურ კურორტბნ ერთბდ, წბრმბბდგენს სბქბრთვლოს ყველბზე უფრო პერსპექტიულ ბბლნეოლოგიურ კურორტს.

ყველბსბბთვის ცნობილიბ, რომ თბილის-ქბლბქის ისტორიბ ინყებბ გოგირდოვბნი ნყლებით, სბუკუნეების გბნმბვლობბში ხბლბი იყენებდბ მბს ბბბნოების სბხით. გბნსბკუთრებით დიდი ინტერესი თბილისის გოგირდოვბნი ნყლის მიმბრთ შეინიშნებბ მე-18-ე სბუკუნიდან. მბს სტუმრობენ უცხოელი მეცნიერები დბ მოგზბურები, კერძოდ, ტურენფორი, დელბპორტი, პბროტი, დიუ-ბუბ დბ სხვები.

1866 ნელს კავკასიის მბბვბრმბბრთებლის ბრძბნებით თბილისის მინერბლური ნყლის ნყბროების შესნბვლბ დბინყო კომისიბმ, რომელსბც ხელმძღვბნელობდბ მსოფლიოში სბხელგბნბტქმული გეოლოგი, ბკბდემიკოსი ბბბიბ. თბვის დბსკვნებში მეცნიერი გბმბხბბვბდბ დიდ გბკვირვებბს იმის გბმო, რომ „მინერბლური ნყლები არბბ შესნბვლილი დბ ბბბნოებისბ დბ სბმრეცხბოების მომბრბგების გბრდბ, არბვბბბრბ სხვბ დბნიშნულებბ ბქვბ“. ასეთ მდგომბრეობბს იგი თვლიდბ „ბგდებულ დბმოკიდებულებბდ იმ სბმკურნბლო გბნძის მიმბრთ, რომელსბც ბუნებბ ასე ჭბრბბდ უბობებს ბქ ჩბგრულ კბცობრიობბს“ [Нодия М., 1954].

ბბბიბის კვლევის შედეგების შემდეგ დღის ნესრიგში დბდგბ თბილისის ბბლნეოლოგიური კურორტის შექმნის სბკბბბი. ნიკო ნიკოლბძის ხელმძღვბნელობით მოქმედბ კომისიბმ შექმნბ გეგმებისბ დბ პროექტების სხვბდბსხვბ ვბრბბნტები, მბგრბმ მე-20-ე სბუკუნის 30-ბბნ ნლებბმდე ბმის იქით სბქმე არ ნბსულბ. 1930 ნელს ფიზიოთერბპევტის დბ კურორტოლოგის მიხეილ ზბნდუჟელის ხელმძღვბნელობით შეიქმნბ უნიკბლური პროექტი, რომლის მიხედვითბც სბკურორტო ტერიტორიბ კრნბბნისის სბმბბვრობო რეზიდენციბმდე 3-4 კმ. უნდბ ყოფილიყო გბშლილი. 1938 წ. ექსპლობტბცბბში შევიდბ თბილისის ბბლნეოლოგიური კურორტი. დლეს მის ბბზბზე ფუნქციონირებს სბქბრთველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერბპიის, რებბილიტბცბიისბ დბ სბმკურნბლო ტურიზმის სბმეცნიერო-პრბქტიკული ცენტრი.

თბილისის მშვენებბს დბ მის ერთგვბრ ”სბვიზიტო ბბრბბს“ წბრმბბდგენს გოგირდის ბბბნოები. X სბუკუნეში, არბბი გეოგრბფი, იბნ ჰბუკბლი – „გზბბბ დბ სბმეფოთბ ნიგნში“, ბლნიშნბვს: „ქბლბქში [თბილისში], არის ტიბერიბდის ბბბნოების მსგბვის ბბბნოები, რომელბბ ნყბლიც უცეცხლოდ დულს“ [სბქბრთველოს ისტორიის ნბრკვევები..., 1973: 351]. ისტორიული ცნობებით, XIII სბუკუნის თბილისში, მინერბლური ნყლის 65 ბბბბო ყოფილბ. თბილისის ბბბნოებზე, ცნობებს გვბწვდიბნ XIII-XIV სს. ვენეციელი მოგზბური, მბრკო პოლო, XVIII სბუკუნის რუსი ვაჭბრი, ვბსილ გბგბრბ, ასევე ვბხუშტი ბბგრბტიონი. 1833 ნელს დიდი რუსი პოეტი ბ.ს. პუშკინი წერდბ: „Отроду не встречал я ни в России, ни в Турции ничего роскошнее тифлисских бань“ „ჩემ სიცოცხლეში არ შემხვედრბბ არც რუსეთში დბ არც თურქეთში უფრო დიდებული რბმ, ვიდრე თბილისის ბბბნოებბ“ [Летопись Дружбы..., 1961: 218].

დლეს, გოგირდის ბბბნოებს ქბრთველების გბრდბ ბვერი უცხოელი ტურისტი სტუმრობს. შეიძლება იბქვბს, რომ ქბლბქში, რომელიც ევროპისკენ მიილტვის, ბბბნოთუბბნი არის ის ბზიური კუბბე, რომელიც ევროპელი ტურისტის სბყვბრელი ბდგილიბ.

ბმრიგბდ, შეიძლება იბქვბს, რომ სბქბრთველოს ჰიდროთერმული სპბპროცედურების დიდი დბ მდიდარი ისტორიბ გბბჩნბბ. მბგრბმ ასევე უნდბ შევნიშნოთ ის სბმწუხბრო ფბქტიც, რომ ქვეყნის უნიკბლური ბუნებრივი ფბქტორები უფრო ბქტიურბდ უნდბ იქნბს გბმოყენებული ტურიზმის ინდუსტრიის მიერ. ტურისტული მბრკეტინგის თვბლსბზრისით ძბლიბნ ბვერი რბმ არის გბსბკეებელი ველნეს დბ სპბეკონომიკის გბნვბბბრებისბბთვის, თბნბმედროვე მბრკეტინგული მეთოდებით ინდუსტრიის წინწბწვეისბბთვის.





**დამონმებული წყაროები და ლიტერატურა**

[1] Global Spa & Wellness economy monitor, 13.  
<http://www.globalwellnesssummit.com/images/stories/gsws2014/pdf/> ბოლო ვიზიტი 13.06.2017 [2] Cassandra Cavanah -Guide to Hydrothermal Spa & Wellness Development Standards. Miami, FL 33131 United States. 2016 ბოლო ვიზიტი 13.06.2017  
 [3] Japanese hot springs (onsen). www. japan-guide.com ბოლო ვიზიტი 13.06.2017  
 [4] <https://tourismus.bad-groenenbach.de/fileadmin/eigene-dateien/tourismus/Presse/Kneippen-immateriellen-Kulturerbe.pdf> ბოლო ვიზიტი 13.06.2017  
 [5] ციციშვილი ირ. ქართული ხელოვნების ისტორია. ადრეკლასობრივი საზოგადოების პერიოდის ხელოვნება: ძალისა. თბ., 1995. გვ.33-34; 41-43..  
 [6] რ. შენგელია. მედიცინა და ქართული სამეფო კარის ტრადიციები. www.modernpublishing.ge  
 [7] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი 1941  
 [8] <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9D>  
 [9] М. Нодия. Курорты и дачные места Тбилиси. Грузмедгиз, Тбилиси 1954.  
 [10] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 2, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973  
 [11] Летопись Дружбы. Том I, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961

**ნ. კვარაცხელია, გ. ყუფარაძე**

**ჰიდროთერმული სპაინდუსტრიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი მსოფლიოსა და საქართველოში რეზიუმე**

მსოფლიო ველნეს და სპაეკონომიკა უკანასკნელ წლებში სწრაფად იზრდება და ამის მიზეზი ისეთი გლობალური ტენდენციებია, როგორცაა: პლანეტის მოსახლეობის დაბერება, განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური კეთილდღეობის განუხრელი ზრდა, იმ დაავადებების გახშირება, რომლებიც დაკავშირებულია ჰიპოდინამიასთან და სტრესებით აღსავსე თანამედროვე ცხოვრების რიტმთან, ასევე, ტრადიციული მედიცინის პარადიგმასთან, რომელიც ორიენტირებულია დაავადებების მკურნალობაზე და არა მათ თავიდან აცილებაზე.

ათასწლეულების მანძილზე სხვადასხვა კულტურები ესწრაფოდნენ გამოეყენებინათ წყალი და სითბო სისუფთავისა და მკურნალობისათვის, თუმცა, ორივე მათგანი ძნელად ხელმისაწვდომი იყო და ფუფუნების საგნად ითვლებოდა. ამან განაპირობა ის, რომ შედარებით ცივილიზებული საზოგადოებები მუდმივად ესწრაფოდნენ, რათა გამოეძებნათ გზები, რომ "ჰიდრო" და "თერმული" თერაპია ხელმისაწვდომი გაეხადათ რიგითი ადამიანებისათვის.

სხვა ტიპის თერმული ბანაობა – საბანაო ტალახები წარმოიშვა ახლო აღმოსავლეთში რამდენიმე ათასი წლის წინ. საინტერესოა კნაიპპე სამკურნალო აბაზანები (Kneippeheilbad) ან კნაიპპკურორტები (Kneippkurort) გერმანიაში, რომელიც ანალოგებისგან იმით გამოირჩევა, რომ ამ შემთხვევაში წყლით მკურნალობა ხორციელდება ბავარიელი მღვდლის, სებასტიან კნაიპპეს (1821-1897) მეთოდით, რომელმაც გაითქვა სახელი, როგორც "წყლის ექიმმა" და მე -19 საუკუნის 50-იან წლებში დაიმკვიდრა ცივი აბაზანებით უებარი მკურნალის სახელით. ეს გაერთიანება მოიცავს მთელი გერმანიის მასშტაბით დაახლოებით 60-ზე მეტ უდიდეს სამკურნალო საწარმოს. 2016 წელს გერმანიის არამატერიალური მემკვიდრეობის მთავარ ნუსხაში კნაიპპკურორტები და კნაიპპაბაზანები იქნა შეტანილი.

საქართველოში მინერალურ წყლებს სამკურნალო მიზნით უძველესი დროიდან იყენებდნენ, რასაც ადასტურებს ბორჯომში აღმოჩენილი უძველესი აბაზანის ნაშთები, აგრეთვე არმაზის აბანო, რომელიც სამკურნალო მინერალური წყლებით მარაგდებოდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქსნის ხეობის, კლდეეთის, არმაზის, ურეკის, ვანის სამაროვნებში აღმოჩენილი ნივთების, აგრეთვე კომუნალურ ნაგებობათა და სანიტარულ-ჰიგიენური ტექნიკის ნაშთების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ ეპოქაში მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეზე და, შესაბამისად, მაღალ ჰიგიენურ კულტურაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჰიდროთერმული სპაპროცედურების დიდი და მდიდარი ისტორია აქვს უნდა შევნიშნოთ ის სამწუხარო ფაქტიც, რომ ქვეყნის უნიკალური ბუნებრივი ფაქტორები



უფრო აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული ტურიზმის ინდუსტრიის მიერ. ტურისტული მარკეტინგის თვალსაზრისით ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

**N.Kvaratskhelia, G.Kuparadze**

### **Some Historic Issues of Hydrothermal Spa Industry in the World and in Georgia Summary**

World Wellness and spa economy has been growing in recent years, the reason for this are such global brands as planet population aging, steady growth of economic welfare in developed countries, frequency of diseases that are related to hemodynamic and stressful rhythm of modern life and traditional medicine paradigm as well, that focuses on its treatment not its prevention.

Different various cultures have aspired to exploit water and heat for treatment and purity, both of them were considered as luxury and were hardly available, this factor caused that, relatively civilized societies aspired to search ways to make Hydro and thermal therapy accessible to ordinary people Other types of thermal bath, medical mud were originated in the middle East thousands years ago. This form of bathing wasn't worked out, Kneippheilbad or Kneippkurt in Germany, were distinguished, that in this case water treatment was carried out by the Bavarian priest Sebastian Kneippers (1821-1897) method that gained fame as the water doctor. In the 50s of 19<sup>th</sup> century, it established itself as the name of cold bath medicine. This unity covers 60 major medical institutions in Germany. In 2016 Kneippkurs Kneippbath were listed as Intangible heritage. Mineral water were used for medical purposes in VI V centuries A.D) the evidence for it are ancient remains of a bath in Borjomi and Armazi bath, which was supplied by with mineral waters According to archaeological excavations in Kldeeti, Armazi, Ureki, Vani burial sites (II – IV centuries AD, discoveries municipal buildings and sanitary hygienic equipment, we can consider this as the evidence populations high standard of living. This paper deals with the importance of resorts in Georgia and their achievements.

Despite the fact that Georgia has rich history of hydrothermal spa procedures, it must be noted that unique natural factors should be actively used in tourism industry. Much should be done for wellness and spa economy development in the field of Tourism Marketing via the contemporary methods for industry expansion.



**ლ. ლაზვიაშვილი**

**კომპანიის მართვის თანამედროვე ფასეულობები**

ეკონომიკური, პოლიტიკური (ძალაუფლება და აღიარება) , ესთეტიკური, სოციალური (კონფლიქტის არარსებობა პერსონალს შორის და გუნდური მუშაობა) , თეორიული (რაციონალური აზროვნება და ჭეშმარიტება) და რელიგიური (თანხმობა მსოფლმხედველობაში და მორალი და ეთიკა) ფასეულობითი ორიენტირები საშუალებას იძლევა განხორციელდეს კომპანიის მისია და შესრულდეს ის ამოცანები, რომლებიც დგას კომპანიის წინაშე. მისია აუცილებელია ითვალისწინებდეს კომპანიის დაინტერესებული ჯგუფებისთვის ეკონომიკურ წარმატებას და ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფას (ანუ გრძელვადიანი შემოსავლების ოპტიმიზაცია და საიმედო ინვესტირება; პერსონალის უნარ-ჩვევების თვითგანვითარება; საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესება. ვინაიდან კლიენტურა წარმოადგენს შემოსავლების წყაროს, სწორედ ცხოვრების ხარისხი განაპირობებს იმ კონკრეტულ ლოკაციებში ბაზრის განვითარებას და შესაბამისად, რეცესიული მდგომარეობის ნიველირებას). მაშასადამე, მარკეტინგის მენეჯმენტის კონტექსტში აუცილებელია თანაფარდობა აქციონერთა ეკონომიკურ მდგომარეობასა და მომხმარებლების ხარისხობრივ მომსახურებას შორის, რაც მიიღწევა პერსონალის გუნდური მუშაობისა და მოტივირების ხარჯზე.

საბაზრო ურთიერთობებში გასათვალისწინებელია შემდეგი ფასეულობები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მნიშვნელობა:

1. რეალობა – კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ეფექტურ მმართველობით გადაწყვეტილებებს კონკრეტულ სიტუაციებში მის ხელთ არსებული ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით. 2. განხილვა – სწრაფვა ობიექტურობისკენ ანუ ლოგიკური მსჯელობა რეალური ფაქტების საფუძველზე. აზროვნების უნარი მოითხოვს ინტელექტუალურ დისციპლინას. კომპანიაში კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტა საჭიროებს რაციონალურ მსჯელობას. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში მნიშვნელოვანია ობიექტურობა, რასაც მიჰყავს კომპანია დასახული მიზნისკენ. რაციონალური აზროვნება გულისხმობს გონებრივი შესაძლებლობების და მენტალური პროცესების სრულყოფაში მდგრადობის კონცენტრაციას. მენეჯმენტმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს იმ თანამშრომლებს, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ საკუთარი შესაძლებლობების განვითარებაზე და შესაბამისად, ლოგიკური აზროვნების მიღწევაზე. 3. აზროვნების დამოუკიდებლობა – გონებრივი შესაძლებლობების ოპტიმალური გამოყენების საფუძველზე მიღებული უნდა იყოს რაციონალური გადაწყვეტილებები. კრეატიულობა შესაძლებელია მხოლოდ აზროვნების დამოუკიდებლობის პირობებში. ყოველი თანამშრომელი პასუხისმგებელია საკუთარ მოქმედებებზე (წარმატებაზე და ფიასკოზე). სწორედ კრეატიულობა არის პოზიტიური ცვლილებების წყარო. მაშასადამე, ორგანიზაციაში ინოვაციური პროცესების დიფუზიის პროცესი (იდეთა გენერირება) არის წინაპირობა წარმატებისა და მისიის განხორციელებისა. 4. ეფექტურობა – მისია ავალდებულებს კომპანიას მიიღოს სიმდიდრე. ეფექტიანობის თვალსაჩინო გამოვლინებაა კაპიტალის რაციონალური გამოყენების შედეგად მიღებული მოგება და სასარგებლო მომსახურების განევა კლიენტურისთვის. გონიერი მოგება ასახავს საქმიანობის ეფექტიანობას. კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობა თავის ასახვას ჰპოვებს დაინტერესებული ჯგუფების მდგომარეობაზე. 5. თანმიმდევრობა – მართვის პროცესში თანმიმდევრობა გულისხმობს მოკლევადიანი ინტერესების ადაპტირებას ბიზნესის გრძელვადიან პრიორიტეტებთან. პრინციპულ საკითხებთან მიმართებაში დაუშვებელია კომპრომისი, ვინაიდან პრინციპები ქმნიან წარმატებისა და წინსვლის კონცეფციას გრძელვადიან პერსპექტივაში. ორგანიზაციაში ნახალისებული უნდა იყოს პრინციპულობა. 6. სამართლიანობა – ყოველი თანამშრომელი ფასდება და ჯილდოვდება იმ კრიტერიუმების შესაბამისად, რომელიც ასახავს მათ ობიექტურ წვლილს (პოზიტიურს ან ნეგატიურს) კომპანიის მისიის განხორციელებაში. პერსონალის თითოეული წევრი უნდა იყოს კომპანიის საერთო ფასეულობების მიმდევარი. ხელქვეითების თვალსაზრისით მენეჯმენტის საქმიანობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია სამართლიანობა. მენეჯერის მხრიდან აუცილებელია განხორციელდეს ხელქვეითების აღიარება და დაფასება, შედეგად ყოველივე ეს აისახება კომპანიის ეფექტიანობაში. ადამიანურმა ურთიერთობებმა უნდა გამორიცხოს დისკრიმინაცია სქესობრივი, რასობრივი და ნაციონალური კუთვნილების თუ სხვა ნიშნის მიხედვით. დისკრიმინაციის მეთოდი უნდა ეფუძნებოდეს კომპეტენციას, ეფექტიანობას და ხასიათის თვისებებს. ინდივიდის წვლილი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად მისი დამსახურების ხარისხის მიხედვით და უარი უნდა ითქვას ეგალიტარიზმზე [Patcyula



II., 2012: 57]. 7. სიამაყე – ნარმოადგენს ფსიქოლოგიურ ჯილდოს იმის უნარზე, რომ იცხოვრო იმ ფასეულობებით, როგორცია: სამართლიანობა, თანმიმდევრულობა, აზროვნების დამოუკიდებლობა, ეფექტიანობა და რაციონალურობა. პერსონალს თავისი მუშაობის შდეგად უნდა ჰქონდეს საფუძველი იამაყოს მიღწეული შედეგებით. კომპანიით უნდა ამაყობდნენ როგორც თანამშრომლები, ისე მომხმარებლები. 8. თვითპატივისცემა ( შიდა მოტივაცია) – კარგად შესრულებული სამუშაო უნდა იყოს თითოეული თანამშრომლის საკუთარი თავის დაფასების წინაპირობა. მათი მოქმედება თანხვედრაში უნდა იყოს გრძელვადიან პირად ინტერესებთან, ხოლო მიზნები ადაპტირებული კომპანიის მისიასთან. ჯილდო პროპორციული უნდა იყოს თანამშრომლის მიერ შეტანილი წვლილის, რაც მეტყველებს შესაბამისად შიდა მოტივაციის დივერსიფიკაციაზე. 9. გუნდში მუშაობა და ურთიერთმხარდაჭერა – თითოეული თანამშრომელი თანმიმდევრული უნდა იყოს შეთანხმებული საერთო მიზნის მიღწევაში, რაც თავის გამოვლინებას ჰპოვებს ურთიერთმხარდაჭერაში. კომპანიის წინაშე მდგარი პრობლემის და დაბრკოლების გადასალახავად აუცილებელია ძალისხმევების კოორდინირება. კომპანიის ხელმძღვანელობა არჩევს ისეთ პერსონალს, რომელიც ფლობს შიდა მოტივაციას და აზროვნების დამოუკიდებლობას. გუნდის მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია საერთო წარმატების მიღწევა. ცალკეული ინდივიდუუმების მახასიათებლების კრებხითობა საფუძველს იძლევა წარმატებული და მიზანმიმართული გუნდის შექმნისა. საერთო ფასეულობები წარმოადგენს შეგნებული არჩევანის შედეგს და მთლიან სისტემას. 10. კეთილსინდისიერება – კეთილსინდისიერი პერსონალი არ უნდა შედიოდეს კონფლიქტში თანამედროვე რეალიებთან, რომლებსაც ადგილი აქვთ ბაზრის პირობებში. ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს აზრის გამოხატვაში.

კომპანიის კონცეფცია უნდა ითვალისწინებდეს: მომხმარებელზე ორიენტაციას (მსოფლიო სტანდარტების გათვალისწინებით, კლიენტი უნდა იყოს პარტნიორი და ურთიერთობებში მოგებული უნდა გამოვიდეს ორივე მხარე. მაშასადამე, მნიშვნელოვანია პიროვნების პატივისცემა და ურთიერთობების დაფასება); ხარისხზე ორიენტაციას (ხარისხი, როგორც პროცესის განუყოფელი ნაწილი. ბიზნესის ყველა ასპექტის ხარისხიანი შესრულება); ეფექტიანობას (ეფექტიანობა, როგორც სისტემის ნაწილი); ზრდას ბიზნესისთვის და თანამშრომლებისთვის (კომპანიის ცხოვრების კანონად უნდა იქცეს იდეათა მუდმივი კონცენტრაცია მიზნის მისაღწევად); მუდმივ გაუმჯობესებას (ინოვაციური გადანყვეტილებების მიმართ ფუნდამენტალური ერთგულება, თითოეულმა თანამშრომელმა უნდა გამოიყენოს ლოგიკური აზროვნების ძალა. მენეჯერებმა, რომლებიც მართავენ სისტემებსა და პროცესებს, მუდმივად უნდა ეძიონ საუკეთესო მეთოდები პრობლემების გადანყვეტისას და მომხმარებლების მომსახურებისას); ობიექტურობაზე დაფუძნებული გადანყვეტილების მიღების მოდელს (რაციონალურობა, ფაქტებზე დაყრდნობა).

კომპანიის სამზარეულოს შესახებ საერთაშორისო გამოცდილებების კონტექსტური განხილვის საფუძველზე შეიძლება ჩამოვყალიბოთ სამსახურის ზოგადი მოდელი:

სამსახურის ძირითადი განზომილებანი	ფსიქოლოგიური მდგომარეობა	პიროვნული და სამსახურებრივი შედეგები
უნარ-ჩვევების მრავალგვარობა	სამუშაოს მნიშვნელოვნების განცდა	სამუშაო მოტივაცია
ამოცანის ინდივიდუალურობა	სამუშაოს შედეგებზე პასუხისმგებლობის განცდა	სამსახურით კმაყოფილება
ამოცანის მნიშვნელოვნება	სამუშაოს რეალური შედეგების ცოდნა	სამუშაოს გარდაქმნა
ავტონომია და უკუკავშირი	ადაპტაცია სამუშაო გარემოსთან	ეფექტური სტრუქტურის შექმნა

[რობინსი ს., 2009: 50].

მენეჯმენტის სტილს წარმოადგენს შეგნებული არჩევანი კონსენსუსის და გუნდური მუშაობის სასარგებლოდ. გუნდური მუშაობა აუმჯობესებს ინფორმაციის გაცვლას. მენეჯერს, როგორც გადანყვეტილების ავტორს, შეუძლია უზრუნველყოს მისი შესრულება და გააუმჯობესოს დონე. გადანყვეტილების მიღების პროცესში ლოგიკურმა აზროვნებამ უნდა განაპირობოს ის გარემოება, რომ ამ დროს ადგილი არ ჰქონდეს პოპულარობისთვის ბრძოლას. ავტონომიური ორგანიზაცია მოქმედებს მენარმეობის სულისკვეთების შესაბამისად და გულისხმობს კომპეტენტური თანამშრომლების არსებობას (პერსონალი, როგორც ექსპერტი განსაზღვრულ პროფესიულ სფეროში) და ფილოსოფიური



პრინციპების გათვალისწინებას. კომპანიას ვალდებულებები აქვს თანამშრომლების წინაშე: ერთის მხრივ, შესაბამისობა კომპეტენციებსა და შედეგებს შორის და, მეორეს მხრივ, კომპანიის შიდა და ბაზრის პირობებს შორის; ყოვლისმომცველი კონკურენტუნარიანი პრემიალური პროგრამის შესრულების უზრუნველყოფა; პირობების შექმნა პროფესიული ზრდისთვის; შრომის შედეგების ობიექტური შეფასება, მათი წვლილისა და მათი ერთგულების დაფასება საერთო ფასეულობებისადმი. თანამედროვე პირობებში ენთუზიაზმის წყაროს წარმოადგენს რეიტინგული კომპანიის შექმნა – ფასეულობის გადიდება რაციონალური ინოვაციების და ეფექტიანი მუშაობის ხარჯზე, აზროვნების კონცენტრირება ინოვაციებზე ეფექტიანობის მიღწევის მიზნით (საქონლისა და მომსახურების ხარისხი, მენეჯმენტის ხარისხი, გრძელვადიანი ინვესტირების ფასეულობა, კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება, აქტივების გამოყენება, ფინანსური სტაბილურობა და მდგრადობა, პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე), რაც ცნობილია ხელმძღვანელობის კრედოს სახელწოდებით [Мескон М., 2007: 48].

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. რობინსი ს., ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები. „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი, 2009 წ.
2. Друкер П., Практика менеджмента. “ Вильямс” , Москва, 2015 г.
3. Мескон М., Основы менеджмента. “ Вильямс”, Москва, 2007 г.
4. Патсула П., Бизнес-планирование. “Инфра-м”, Москва, 2012 г.





**ლ. ლაზვიაშვილი**

**კომპანიის მართვის თანამედროვე ფასეულობები  
რეზიუმე**

სტატიაში აქცენტირებულია კომპანიის მმართველობით საქმიანობაში მისიის, მიზნების და ფასეულობების მნიშვნელობები. ბაზრის პირობებში ეფექტური მართვის განხორციელება უკავშირდება ინოვაციური იდეების დიფუზიას, აზროვნების თავისუფლებას, შიდა მოტივაციასა და გუნდურ მუშაობას ფასეულობითი ორიენტაციების გათვალისწინებით. კომპანიის კონცეფცია გამომდინარეობს იქიდან, რომ თანამედროვე ორგანიზაცია ორიენტირებული უნდა იყოს მომხმარებელზე, ხარისხზე, ეფექტიანობაზე, მუდმივ გაუმჯობესებაზე (ფუნდამენტური ერთგულება ინოვაციისადმი) და ობიექტურობაზე დაფუძნებული გადანყვეტილების მიღების მოდელზე. კომპანიის ფილოსოფიის არსი მიუთითებს ხელმძღვანელობის კრედოს ეფექტური მექანიზმის შედგენაზე.

**L. Lazviashvili**

**Modern Values of the Company  
Summary**

The article puts emphasis on the meaning of mission, aim and valuable in the sphere of the company management. In terms of market economy, realization of effective management is connected with an innovative idea diffusion, freedom of thinking, inner motivation and teamwork, considering value orientations. According to the company conception, modern organization is orientated towards the consumer, quality, effect, constant improvement and objectivity in management.



**ზ. ლაოპვილი**

**გაოინფორმააციული სისტემაების ტექნიკური უზრუნველყოფა**

გეოინფორმააციული სისტემები რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწილისგან (კომპონენტისგან) შედგება: სივრცითი მონაცემები, ტექნიკური მხარდაჭერა, პროგრამული უზრუნველყოფა, გის პროცედურები და გის სპეციალისტი [Caplan J., 2010: 4]. თითოეული მათგანი ფრიად მნიშნელოვანია ნე-ბისმიერი რანგის გის-ის წარმოებისთვის.


გეოინფორმააციული სისტემების წარმოებაში კომპიუტერული ტექნიკის სწორად შერჩევას არსებითი მნიშვნელობა აქვს. გის-ების განვითარების საწყის ეტაპებზე ამ საქმისთვის საკმაოდ მძლავრი და ძვირადღირებული კომპიუტერები იყო საჭირო. ამჟამად ყველა პერსონალურ კომპიუტერზე არის შესაძლებელი გის პროგრამების ინსტალაცია, რადგანაც სისტემური ბლოკის პროცესორში ბირთვების რაოდენობის გაზრდამ მათს სტაბილურად მუშაობას ხელი შეუწყო. თუმცა, ამ საკითხზე დაფიქრება მაინც საჭიროა; კომპიუტერი საგულდაგულოდ უნდა შეირჩეს.

გეოინფორმააციული სისტემების განვითარება გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო და მისი ევოლუცია მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული იყო კომპიუტერული ტექნიკის განვითარებაზე.

პირველი თანამედროვე ტიპის კომპიუტერები მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. 1939-45 წლებში ბულგარული წარმოშობის ამერიკელმა ფიზიკოსმა **ჯონ ათანასოვმა** (1903-1995) და **კლიფორდ პერიმ** (1918-1963) პირველი ელექტრონულ-ციფრული კომპიუტერის პროტოტიპი შექმნეს [ნიკოლაიშვილი დ., 2004: 12].

1942-43 წლებში ამერიკელმა ფიზიკოსმა **ჯონ მოუჩლიმ** (1907-1980) და მისმა ასისტენტმა **ჯონ ეკრტმა** (1919-1995) სამხედრო მიზნებისათვის გააკეთეს პირველი თაობის სრულყოფილი და უნივერსალური კომპიუტერი **“ენიაკი”** – ENIAC (Electronic Numerical Integrator and Calculator) – ელექტრონული ციფრული ინტეგრატორი და კალკულატორი. იგი 30 ტონას იწონიდა, 18 000 ვაკუუმურ მილაკს მოიცავდა და დაახლოებით 90 მ<sup>2</sup> ფართობი ეკავა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ დროიდან იწყება კომპიუტერების ერა. “ენიაკი” თანამედროვე კომპიუტერების უმრავლესობის პროტოტიპია [ნიკოლაიშვილი დ., 2004: 12,13].

ამერიკელმა **ჰოვარდ გაუტუეი აიკენმა** (1900-1973) **ჩარლზ ბეიბიჯის** შეხედულებებზე დაყრდნობითა და ამერიკული ფირმა IBM-ის ხელშეწყობით 1944 წელს პირველი ელექტრონული კომპიუტერი შექმნა (სურ. 1) [ნიკოლაიშვილი დ., 2004: 18]<sup>1</sup>.



სურ. 1. IBM-ის პირველი ელექტრონული კომპიუტერი ASCC Mark I (Automatic Sequence-Controlled Calculator Mark I)

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებაში რევოლუციური ნახტომი **პერსონალური კომპიუტერის** გამოგონება იყო, რომელიც ამერიკელი სტუდენტების – **სტივ ჯობსისა** და **სტივ ვოზნიაკის** სახელთან არის დაკავშირებული. მათ 1976 წელს დააარსეს ფირმა Apple Computer, რომელმაც 1977 წელს პირველი პერსონალური კომპიუტერი Apple გამოუშვა [ნიკოლაიშვილი დ., 2004: 15].

<sup>1</sup> 1804 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა **ჩარლზ ბეიბიჯმა** გამოთვლითი ოპერაციების პროგრამული მართვის „ანალიტიკური მანქანა“ შექმნა. მან ამ მანქანის პროგრამული უზრუნველყოფის შესამუშავებლად ინგლისელი **ადა ავგუსტა ლავლისი** მოიწვია. „ანალიტიკურ მანქანას“ ჰქონდა მონაცემთა შენახვის, დამუშავების, მიმღები მონყობილობები და მონაცემთა მართვის ბლოკი. მანქანას უნდა დაემუშავებინა 40-ნიშნადი რიცხვები.




პერსონალური კომპიუტერების გამოგონებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა გის ტექნოლოგიების განვითარება და ფართო მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა.

დროთა განმავლობაში იცვლებოდა კომპიუტერის მოწყობილობები, ელემენტთა ნაკრები, რასაც ელემენტურ ბაზას უწოდებენ. ამ ბაზის შეცვლის კვალდაკვალ მიმდინარეობდა კომპიუტერების გარეგნული ფორმისა და შესაძლებლობების ცვლილება. ყოველ 10-12 წელიწადში კომპიუტერულ კონსტრუქციებში მკვეთრი ნახტომი შეინიშნებოდა და კომპიუტერების ახალი მოდელები ჩნდებოდა, რომლებიც ძველს დევნიდნენ. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნა ტერმინი – კომპიუტერთა თაობები (Computer Generation, Generator). ამჟამად კომპიუტერთა 4 თაობა არსებობს [ნიკოლაიშვილი დ., 2004: 18].

კომპიუტერული ტექნიკის შერჩევა გის-ის წარმოების დონეზე და არსებულ მოთხოვნებზე არის დამოკიდებული. ლოკალური გის-ისთვის საშუალო სიმძლავრის კომპიუტერიც საკმარისია, მაშინ, როცა დიდი ორგანიზაციებისთვის ან სახელმწიფო სტრუქტურებისთვის განკუთვნილ გის სისტემებს მძლავრი კომპიუტერული რესურსი სჭირდება შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით (თანამედროვე დიგიტაიზერი, პრინტერი, პლოტერი და ა.შ.). ამასთან, უნდა ვიცოდეთ გის-ის კომპიუტერულ მონაცემებთან დამოკიდებულების სპეციფიკა. ნებისმიერი გრაფიკული რედაქტორი რომ ავიღოთ (მაგ., Adobe Photoshop), მასში რუკის (იგულისხმება რასტრი) მასშტაბირების ან გადაადგილების შემთხვევაში გამოსახულების ეკრანზე გადახატვა (გამოსახულების ახალ ზომაში ან პოზიციაში გამოსახვა) ხდება. ამ პროცესში კომპიუტერის მაკომპლექტებელი კომპონენტები არის ჩართული. განსაკუთრებით დიდი დატვირთვა ხდება ვიდეო დაფაზე, რომელიც პასუხისმგებელია გრაფიკული გამოსახულების სრულყოფილად ჩვენებაზე. გის პროგრამაში იმავე მოქმედების დროს დამატებით პროცესორი მუშაობს, რომელიც რასტრის შემთხვევაში მიმართავს და ამონმებს ყველა პიქსელის მონაცემებს (კოორდინატებს, ფერთა გამას), ხოლო ვექტორის შემთხვევაში – ყველა ვერტექსის კოორდინატებსა და ატრიბუტული ცხრილის ყველა ჩანაწერს. მხოლოდ ამის შემდეგ გადახატავს გამოსახულებას.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში გეოინფორმაციული სისტემა ორ აპარატულ საფუძველზე – პერსონალურ კომპიუტერებსა (PC) და სამუშაო სადგურებზე (Workstation) იყო ბაზირებული. პერსონალური კომპიუტერების ბაზაზე დაფუძნებულ გის-ზე საუბრისას შედარებით მცირე მოცულობის მონაცემთა დასამუშავებლად განკუთვნილი ინდივიდუალური სამაგიდო სისტემები იგულისხმებოდა. კომპიუტერი გამოიყენებდა Intel-ის 8086 ოჯახის ან Cyrix მიკროპროცესორებს. ისინი შიგნით CISC-ის არქიტექტურაზე იყვნენ დაფუძნებული. კომპიუტერები მუშაობდნენ ცალსახა ოპერაციულ სისტემებზე (S-DOS, MS Windows). მაშინ ოპერატიული მეხსიერება სულ რაღაც 32 მბ იყო.

პროფესიონალური გეოინფორმაციული სისტემები სამუშაო სადგურებზე იყო აგებული, რომლებიც RISC-ის მაღალი შესაძლებლობების მიკროპროცესორებსა და მაღალი რეზოლუციის ფართოფორმატიან (21 დიუმიანი) მონიტორებს იყენებდნენ (სურ. 2). მათი ოპერატიული მეხსიერება 512 მბ-ს შეადგენდა. გამოიყენებოდა ოპერაციული სისტემები (IX, Solaris, VMS, O/S2 და სხვა).



სურ. 2. RISC მიკროპროცესორი

კომპიუტერული ტექნიკის სფეროში ტექნოლოგიურმა გარღვევამ არსებითად შეცვალა სიტუაცია. Intel და AMD პროცესორების გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო გის-ის განვითარებას და საშუალება მისცა განახლებული ვერსიების პროგრამულად გამრავალფეროვნებას. პერსონალური კომპიუტერების გაიარებამ და მათი მთელი რიგი მახასიათებლების რევოლუციურმა გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად გაზარდა გის-ის წარმოება. თანაც, იგი უფრო მასობრივი ხასიათის გახდა.

გის-ის განვითარებას აპარატული ბაზის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებასთან ერთად ხელი შეუწყო მისი პროგრამების ახალ ოპერაციულ სისტემებზე (Microsoft Windows და Linux) გადას-



ვლამ. მაგ., Windows NT-დან დაწყებული ESRI პროგრამის მახასიათებლებით მთლიანად მოერგო Unix-ის ოპერაციულ სისტემას<sup>1</sup>. ამან მნიშვნელოვნად გაამარტივა გეოინფორმაციული სისტემების ექსპლუატაცია.

გეოინფორმაციული სისტემების განვითარება კომპიუტერული ტექნიკის განვითარების ფონზე პირველ ცხრილშია წარმოდგენილი [Цыганок Д., 2004: 12-14].

ცხრილი 1. კომპიუტერული გრაფიკის, ალგორითმებისა და გის-ის განვითარება

დრო	გრაფიკა	გეომეტრია	გის
1950-1960	ვექტორული და ხაზოვანი გრაფიკა	მარტივი გეომეტრიული ალგორითმები, ბადისებური მოდელი	საპილოტე კარტოგრაფიული გამოყენება, მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მიერ ადგილის ციფრული მოდელის შექმნა
1960-1970	ინტერაქტიური კომპიუტერული გრაფიკა	მრუდებისა და პროგრამირების გეომეტრიული ენების შემუშავების სფეროსთვის აპროკსიმაციის მეთოდები	ადგილის ციფრული მოდელის გამოყენება, გამოსახულების ციფრული დამუშავება, კანადის გისის შექმნა
1970-1980	რასტრული გრაფიკა, სტანდარტები, ანიმაცია, კომპიუტერული თამაშები	სივრცითი ობიექტების ერთმნიშვნელოვანი გამოსახვა, გეომეტრიული ალგორითმების კომპლექსური წარმოდგენა	სახელმწიფოს მხარდაჭერით მსხვილი გეოინფორმაციული პროექტების განვითარება, სახელმწიფო გის ინსტიტუტების და სფეროების ფორმირება, კომპიუტერული კარტოგრაფიისა და ფოტო-გრამმეტრიის განვითარება
1980-1990	შემეცნებითი გრაფიკა, კოგნიტური (მოძრავი) გრაფიკა, კომპიუტერული ხედვა	გეომეტრიული მონაცემებისა და მეთოდების ბანკი, ლოგიკური სისტემები, სტანდარტიზაცია და პირდაპირი წვდომის სივრცითი მეთოდები	სხვადასხვა გის პროგრამების ფართო სპექტრი, სამაგიდო გისების განვითარება, არასივრცით მონაცემებთან ინტეგრაციის ხარჯზე მათი გამოყენების სფეროების გაფართოება. ქსელური აპლიკაციების შექმნა
1990-2000	მაღალი რეზოლუციის კომპიუტერული გრაფიკა, პიქტოგრაფიული სამომხმარებლო ინტერფეისების განვითარება	სტანდარტიზაცია. ობიექტებზე ორიენტირებული გზების შექმნა	ჰიბრიდული გის-ები, საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული გის, GPS-ის ფართოდ გამოყენება, მსოფლიო გეოინფორმაციული სტრუქტურის ფორმირება
2000 წლიდან		სტანდარტიზაცია და საერთაშორისო მონაცემებთან ჰარმონიზაცია. კორპორაციული გისების შექმნა	გის-ების ინტერნეტიზაცია და გლობალური გის-ების ფორმირება

დიდი მნიშვნელობა აქვს კომპიუტერის პერიფერიულ მოწყობილობებს, რომლებიც მონაცემთა შეყვანას (სკანირება, დიგიტალიზაცია) და გამოყვანას (რუკების ბეჭდვა) ემსახურება.

თავდაპირველად მონაცემთა შესაყვანად ფართოდ გამოიყენებოდა დიგიტალიზირებული მონაცემების ასაციფრებელი მონაცემილობა [Демере М., 1999: 144-146]. ეს არის სპეციალური პლანშეტი, რომლის დახმარებითაც გრაფიკული მონაცემები კომპიუტერის მეხსიერებაში ბინავდება (სურ. 3).

<sup>1</sup> ESRI (Environmental Systems Research Institute) – გის პროგრამული პროდუქტების წარმოების მსოფლიო ლიდერი (დაარსდა 1989 წელს აშშ-ში).





სურ. 3. დიგიტაიზერი

შერჩევასა და სამუშაოებისა და საბოლოო შედეგის სპეციფიკა უნდა გავითვალისწინოთ. მაგალითად, თუ თქვენი რუკა რამდენიმე ეგზემპლარად ჩასაბარებელი ანგარიშისთვის ან პროექტებისთვის არის განკუთვნილი, უმჯობესი იქნება, ლაზერული პრინტერი შეიძინოთ, ხოლო, თუ მალაღმბარისხიანი რუკის ბეჭდვას აპირებთ, მაშინ ჭავლური აჯობებს.

საქართველოში ძირითადად A4 ფორმატის ლაზერული და A3 ფორმატის ჭავლური პრინტერები გამოიყენება. უფრო დიდი ფორმატის რუკების ამოსაბეჭდად კი ფართოფორმატიანი ბეჭდვის პლოტერს იყენებენ.

**GPS მიმღებები.** როგორც გეოგრაფიული მონაცემების შეგროვების ერთ-ერთი ყველაზე საიმედო საშუალება, უკვე დიდი ხანია გის-ის წარმოებაში ფართოდ გამოიყენება **გლობალური პოზიციონირების სისტემა – GPS (Global Positioning System)**. ეს არის თანამედროვე ნავიგაციის სისტემები (თნს) – პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიის კომპლექსური და მინისზედა ტექნიკური საშუალებების სპეციალური კომპლექსი, რომელიც პირველად აშშ-სა (**NAVSTAR**) და საბჭოთა კავშირში (**ГЛОНАСС**) შეიქმნა (თოლორდავა, 2014, 83). გლობალური თანამგზავრული სანავიგაციო სისტემების დახმარებით ყველანაირი ამინდის პირობებში 24 საათის განმავლობაში შესაძლებელი ხდება დედამიწის ზედაპირის ნებისმიერი წერტილის ადგილმდებარეობის განსაზღვრა [Caplan J., 2010: 68]. მისი გამოყენება (მიმღები მონაცემების გარდა) სრულიად უფასოა.

GPS (თანამგზავრული) მიმღები – რადიომიმღები მონაცემების მიმღები, რომელიც განკუთვნილია მიმღების ანტენის მდებარეობის კოორდინატების განსაზღვრისათვის, რისთვისაც იყენებს გლობალური ნავიგაციის სისტემის თანამგზავრიდან არეკლილ რადიოსიგნალს. მისი ფუნქციონირების პრინციპი დაფუძნებულია მაღალი ორბიტის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრული ნავიგაციური სისტემების ჯგუფებამდე მანძილის მიხედვით ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე [თოლორდავა რ., 2014: 84].

მიმღების საფუძველია ჩიფსეტი, რომლითაც ის მუშაობს. თავდაპირველად მიმღები გამოდიოდა 12არხიანი ჩიფსეტით. გარდა იმისა, რომ 12 არხი არ არის საკმარისი სწრაფი, ე.წ. “ცივი სტარტისთვის” (საკუთარი ადგილმდებარეობის პირველადი განსაზღვრა), ასეთი მიმღებისთვის აუცილებელი იყო ღია პორიზონტი, რადგან მუშაობდნენ მხოლოდ თანამგზავრების პირდაპირი ხედვის რეჟიმში (მინიმუმ 3 თანამგზავრი; რაც მეტი – მით უკეთესი). დღეს უკვე პროფესიონალურ მიმღებებში ჩიფსეტის არხების მაქსიმალური რაოდენობა 440-ა (ორი 220არხიანი ჩიფსეტი).



სურ. 4. ფართოფორმატიანი სკანერი





GPS მიმღებები მრავალნაირი არსებობს. განასხვავებენ პროფესიონალურ, მაღალი სიზუსტის და ყოფით მიმღებებს. პირველ მათგანს გამოიყენებენ სამხედრო მიზნებისათვის, გეოდეზიასა და კარტოგრაფიაში. ხოლო მეორეს – ადამიანის საქმიანობის მრავალ სფეროში, მათ შორის, პირველ რიგში – ტურისტების განხრით.

პროფესიონალური GPS მიმღებები იყოფა გეოდეზიურ და გის კლასებად.

გეოდეზიური კლასის მიმღები – გამოიყენება ზუსტი ტოპო-გეოდეზიური სამუშაოებისთვის. შედგება მიმღები ბლოკისა (მიმღებ-გადამცემ მონოციკლობასთან შერწყმული გეოდეზიური ანტენა) და კონტროლისგან (პორტატიული კომპიუტერი). ასეთი მიმღებების საერთო სახელწოდებაა – სავლე კომპლექტი, ანუ GPS როვერი (სურ. 5).



სურ. 5. Leica Nova TS60 მოდელის პზო როვერი

გის კლასის მიმღები – წარმოადგენს ჯიბის პერსონალური კომპიუტერის სამრეწველო ვარიანტს, რომლებშიც ჩამონტაჟებულია მიმღებ-გადამცემი მონოციკლობა და ანტენა.

მთლიანობაში გეოდეზიური მიმღებები გაცილებით ზუსტი კოორდინატების მიღების საშუალებას იძლევიან, თუმცა გის კლასის მიმღებების ზოგიერთი მოდელი წარმატებით ცვლის მათ.

GPS მიმღებებს ასევე განასხვავებენ დანიშნულებისა და კონსტრუქციული თავისებურებების მიხედვით.

მაგალითად, ისინი განსხვავდებიან არხების რაოდენობის მიხედვით. არსებობს ერთარხიანი, ორარხიანი და მრავალარხიანი მიმღებები [თოლორდავა რ., 2014: 90].

ერთარხიანი მიმღებები მაშინ გამოიყენება, როდესაც გაზომვების ჩატარება “რელური დროის რეჟიმში” (უწყვეტად) არ არის საჭირო და არც მაღალ სიზუსტეზე გვაქვს პრეტენზია. მას მხოლოდ ცალ-ცალკე შეუძლია GPS თანამგზავრების დაფიქსირება. ერთი წერტილის კოორდინატის აღებას 2-დან 30 წამამდე შეიძლება დასჭირდეს. ამ მიმღებით ობიექტის სინქარეს ვერ გავზომავთ.

ორარხიანი მიმღებები შემდეგი პრიციპით მუშაობენ: როდესაც ერთი არხი ერთ თანამგზავრამდე დროებითი გაზომვების შედეგებს ამუშავებს, მეორე – ადმინისტრაციული არხი მორიგ თანამგზავრთან ამყარებს რადიოკონტაქტს. მას შემდეგ, რაც პირველი არხი მონაცემებს ნაწილობრივ დაამუშავებს, მყისიერად გადაერთვება მორიგ თანამგზავრამდე გასაზომად მის “დაჭერაზე” დროის დაკარგვის გარეშე. ამავდროულად მეორე არხი შემდეგი თანამგზავრისკენ მიემართება და ა.შ. ადმინისტრაციული არხი გამოიყენება წერტილის კოორდინატების განსაზღვრისას თანამგზავრზე ინფორმაციის უწყვეტად მისაღებად და შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი გაზომვების დასამუშავებლად.

მრავალარხიანი მიმღებები თანამგზავრის დასაფიქსირებლად რამდენიმე არხს (ოთხ ან მეტ) იყენებენ და შესაბამისად უფრო ეფექტურად მუშაობენ. მათ შეუძლიათ კოორდინატების, სინქარისა და ტრანსეპტორიის უწყვეტი განსაზღვრა რეალურ დროში. მაღალი სიზუსტის გაზომვებისთვის აუცილებელია 4 ან 8არხიანი მიმღები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი კლასის თანამედროვე GPS მიმღების უმეტესობა 8 ან 12არხიანია. ზოგადად, არხების მაქსიმალური რაოდენობა 24-ა.

არსებობს რადიოტალღების ერთ სიხშირეზე მომუშავე GPS მიმღებები. მაღალი სიზუსტის გაზომვებისთვის გამოიყენება მრავალარხიანი ორსიხშირიანი მიმღებები, რომლებიც მუშაობენ MGZ სიხშირეებზე 1575.75 და 1227.6 კოდების გამოყენებით.

კოორდინატთა განსაზღვრის სიზუსტისა და დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ შემდეგი კლასის GPS მიმღებებს: გეოდეზიური კლასის (სიზუსტე 1 მ), კარტოგრაფიული და MGZ კლასის (სიზუსტე 1-5 მ) და ნავიგაციური კლასის (სიზუსტე 100-200 მ).

პირველი კლასის მიმღებები გამოიყენება ზუსტი ტოპო-გეოდეზიური (მაგ., საკადასტრო-აზომვითი) და საინჟინრო-გეოდეზიური სამუშაოებისთვის. ისინი ძვირადღირებულია. სამაგიეროდ ავტომატურ რეჟიმში მუშაობის დროს უზრუნველყოფს კოორდინატთა განსაზღვრას 1.3 სმ, ხოლო კინემატიკურ რეჟიმში – 0.5-1 სმ სიზუსტით.

პორტატიული მიმღებები: საავტომობილო (ცალკეული მონოციკლობის სახით ან სატრანსპორტო საშუალებაში საბორტო კომპიუტერის – ონბორდერის სახით ჩაშენებული), ტურისტული (სამოგზაურო), სპორტული.



სურ. 5. GARMIN-ის წარმოების eTrex 10 GPS პორტატული მიმღები

სხვა მონოკილობებში ჩაშენებულ მიმღებებს მიეკუთვნება ჯიბის პერსონალურ კომპიუტერში, ლეპტოპში ან მობილურ ტელეფონში ჩაშენებული მონოკილობები.

გეოინფორმაციული სისტემებისთვის, როგორც პორტატული (handheld), ისე გეოდეზიური GPS მიმღებები გამოიყენება. პირველი მათგანის საშუალო სიზუსტე 8-15 მეტრია და ძირითადად ტურისტული მიზნებისათვის არის განკუთვნილი. თუმცა მათი გამოყენებით იმ ობიექტების კოორდინატების განსაზღვრაც შეიძლება, რომელებიც დიდ სიზუსტეს არ მოითხოვს. ჩვენთან პოპულარულია სანავიგაციო მონოკილობების: Leader-ის, GARMIN-ისა და BHC Nava GPS წარმოების სხვადასხვა მიმღები. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში ტურიზმის განხრით გის-ის სასწავლო პროცესისთვის GARMIN eTrex 10 მოდელი გამოიყენება (სურ. 5).

კვალიფიციურ დონეზე შერჩეული ტექნიკური საშუალებები წარმატებული გის-ის მნიშვნელოვანი წინაპირობაა და ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

#### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. რევაზ თოლორდავა, „ტოპოგრაფია გეოდეზიის საფუძვლებით“ (სახელმძღვანელო), თბილისი, „გეოიდი 2011“, 2014;
2. დალი ნიკოლაიშვილი, „გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები“. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2004;
3. Joel M. Caplan, Ph. D. GIS for Public Safety: An Annotated Guide to ArcGIS Tools and Procedures, Newark, NJ: Rutgers Center on Public Security, 2010;
4. Майкл Н. Демерс, Географические информационные системы (основы), Москва, издательство Дата+, 1999;
5. Д.А. Цыганок, Геоинформационные системы, Красноярск, 2004.



**ზ. ლაოშვილი**

**გეოინფორმაციული სისტემების ტექნიკური უზრუნველყოფა რეზიუმე**

გეოინფორმაციულ სისტემებში (გის) მნიშვნელოვან ადგილს ტექნიკური მხარდაჭერა იკავებს, რომელიც კომპიუტერულ ტექნიკას, გარე მონყობილობებსა და სივრცითი ინფორმაციის მოპოვების საშუალებას მოიცავს. მათი სწორად შერჩევა არსებითია გეოინფორმაციული სისტემების ფუნქციონირებისათვის.

ნაშრომში განხილულია გეოინფორმაციული სისტემების ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები. განსაკუთრებული აქცენტებია გამახვილებული გეოინფორმაციული სისტემებისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი მონყობილობის კლასიფიკაციასა და შერჩევის საკითხებზე, როგორცაა **გლობალური პოზიციონირების სისტემა – GPS (Global Positioning System)**.

**Z. Laoshvili**

**Technical Support of Geoinformation Systems  
Summary**

In geoinformational systems (GIS) technical support occupies a significant place. It includes computer techniques, hardware and obtaining virtual information. Their right selection is vital for functioning of geoinformation systems.

The paper discusses the issues of technical support of geoinformational systems. The special emphasis is made on selection and classification of such significant equipments as global positioning system (GPS) for geoinformational systems.



M. MIKELADZE

## ТЕХНОЛОГИИ DATA MINING ДЛЯ АНАЛИЗА ПРОДАЖ В РОЗНИЧНОЙ ТОРГОВЛЕ.

## I. ВВЕДЕНИЕ

Розничная торговля является одним из наиболее динамично развивающихся секторов экономики. Одной из характерных тенденций развития розничной торговли является создание сетей крупных магазинов и гипермаркетов, что способствует усилению конкуренции. В этих условиях важным конкурентным преимуществом является владение информацией о покупателях, их потребностях и предпочтениях. Основным инструментом для получения этой информации являются маркетинговые исследования. Результаты маркетинговых исследований позволяют сформировать успешную политику ценообразования и системы скидок; повысить эффективность рекламных кампаний; оптимизировать управление запасами и распределение товаров в торговых залах (мерчендайзинг) и т.д.

Достаточно долгое время основными методами анализа результатов маркетинговых исследований являлись статистические методы анализа данных. Особенностью этих методов является то, что они требуют определенных априорных знаний об анализируемых данных, оперируют обобщенными показателями и ориентированы на проверку гипотез. Однако в случае больших объемов обрабатываемых данных, для обнаружения скрытых знаний и закономерностей более эффективны технологии Data Mining – интеллектуального анализа данных. В данной статье рассматривается применение технологий Data Mining – поиска ассоциаций и логических методов классификации – для анализа продаж в розничной торговле, в частности, для анализа покупательской корзины. Для решения этих задач предлагается концептуально-вероятностный метод обработки данных, который объединяет в себе подходы логических методов классификации и методов поиска ассоциаций.

## II. ПОИСК АССОЦИАЦИЙ

Методы поиска ассоциаций предназначены для обнаружения часто встречающихся наборов элементов в больших массивах данных. Результаты, получаемые при решении данной задачи, обычно представляются в виде ассоциативных правил. Ассоциативные правила имеют следующий вид [Agrawal R.,... 1993]:

*из события  $A$  следует событие  $B$ ,*

где  $A$  и  $B$  – наборы элементов. Основными характеристиками ассоциативного правила являются поддержка и достоверность правила.

Поддержка – это процент записей базы данных, содержащих одновременно оба набора элементов  $A$  и  $B$  [Agrawal R.,... 1993]:

$$S(A \rightarrow B) = P(A, B). \quad (1)$$

Достоверность правила – это вероятность того, что из наличия в записи набора  $A$  следует наличие в ней набора  $B$ . Достоверность вычисляется как отношение количества записей, содержащих одновременно оба набора  $A$  и  $B$ , к количеству записей, содержащих набор  $A$  [Agrawal R.,... 1993]:

$$C(A \rightarrow B) = P(B|A) = \frac{P(A, B)}{P(A)}. \quad (2)$$

Фактически, достоверность является мерой точности правила, но не его полезности. Ассоциативное правило полезно, если оно позволяет предсказать наличие в записи набора  $B$  с вероятностью, большей, чем вероятность случайного угадывания. Для определения полезности правила вводится еще одна характеристика – „лифт“ правила [Brin S.,... 1997]:

$$L(A \rightarrow B) = \frac{C(A \rightarrow B)}{P(B)} = \frac{P(A, B)}{P(A)P(B)}. \quad (3)$$

Фактически, „лифт“ является мерой вероятностной зависимости двух наборов  $A$  и  $B$ . При значениях „лифта“ больше единицы наборы  $A$  и  $B$  зависимы, т.е. предсказание наличия набора  $B$  с помощью правила вероятнее, чем случайное угадывание. При значениях „лифта“, равных единице, наборы  $A$  и  $B$  независимы и соответствующее ассоциативное правило абсолютно бесполезно. А при значениях „лифта“ меньше единицы зависимость между наборами  $A$  и  $B$  – „отрицательная“, т.е. набор  $A$  предсказывает отсутствие набора  $B$ .



Алгоритмы поиска ассоциативных правил позволяют получить всевозможные правила вида „ $A \rightarrow B$ “ с различными значениями поддержки и достоверности. Даже после отсеивания всех „бесполезных“ (с точки зрения „лифта“) правил количество построенных правил может быть большим. Для ограничения количества правил заранее устанавливаются минимальные пороги поддержки  $MinSupp$  и достоверности  $MinConf$ . При этом надо учитывать, что правила с высоким значением поддержки очевидны и, как правило, уже известны аналитикам. С другой стороны, низкое значение поддержки позволит найти неочевидные и неизвестные правила, но большинство из них будут статистически необоснованными.

Процесс нахождения ассоциативных правил состоит из двух этапов:

1. нахождение всех часто встречающихся наборов элементов, которые удовлетворяют порогу поддержки;
2. генерация ассоциативных правил из часто встречающихся наборов, с достоверностью, удовлетворяющей порогу достоверности.

Наиболее известным алгоритмом поиска ассоциативных правил является алгоритм *Apriori* [Agrawal R.,... 1993]. Основная идея этого алгоритма – у часто встречающегося набора элементов все подмножества должны быть часто встречающимися. На  $i$ -том шаге алгоритм генерирует  $i$ -элементные наборы, вычисляет поддержку наборов и отсекает все „нечастые“ наборы – наборы, поддержка которых меньше заранее заданного минимального значения  $MinSupp$ . На следующем шаге для генерации  $(i + 1)$ -элементных наборов используются только те  $i$ -элементные наборы, которые остались после исключения „нечастых“ наборов. Благодаря этому удается значительно сократить пространство поиска.

### III. АНАЛИЗ ПОКУПАТЕЛЬСКОЙ КОРЗИНЫ И АССОЦИАТИВНЫЕ ПРАВИЛА

Предприятия розничной торговли, используя современные кассовые аппараты, собирают подробную информацию о каждой отдельной покупке (транзакции), которая может храниться в базе данных. Каждый чек, кроме списка товаров и их стоимости, также содержит информацию о дате и времени покупки. На основе чеков может быть проведен т. наз. анализ покупательской корзины, который дает возможность определить типичные наборы товаров с привязкой к стоимости чеков, времени покупок, дням недели; выделить пары или группы товаров, приобретаемых совместно; внутри групп выделить ключевые и сопутствующие товары. В случае крупного магазина широкий ассортимент и большие объемы продаж затрудняют выявление связей между товарами. Эти связи могут быть обнаружены только на основе анализа с применением технологий Data Mining. Для анализа покупательской корзины обычно используются методы поиска ассоциаций.

В случае анализа покупательской корзины записью базы данных является отдельная транзакция, а в качестве  $A$  и  $B$  рассматриваются отдельные товары или наборы товаров из транзакций. Каждое ассоциативное правило „ $A \rightarrow B$ “ с достоверностью  $C(A \rightarrow B)$  интерпретируется следующим образом:

*если покупатель покупает набор товаров  $A$ , то с вероятностью  $C(A \rightarrow B)$   
он купит и набор товаров  $B$ .*

Найденные ассоциативные правила позволяют:

- выявить пары или группы товаров, приобретаемых совместно;
- внутри групп выделить ключевые (набор  $A$ ) и сопутствующие (набор  $B$ ) товары;
- предсказать поведение покупателя в зависимости от того, какие товары он уже выбрал.

Кроме этого, при анализе покупательской корзины в качестве элементов базы данных могут рассматриваться не только товары, но и стоимость чека, а также время суток и день недели, когда была произведена покупка. В этом случае поиск ассоциаций позволяет определить типичные наборы товаров с привязкой к стоимости чеков, времени покупок, дням недели.

### IV. АНАЛИЗ РОЗНИЧНЫХ ПРОДАЖ И ЛОГИЧЕСКИЕ МЕТОДЫ КЛАССИФИКАЦИИ

Анализ данных о розничных продажах позволяет также выявить предпочтения и потребности определенных категорий покупателей, что впоследствии может быть использовано для повышения эффективности работы розничного объекта. Фактически, формируются описания классов покупателей, что поможет отследить реакцию клиентов на рекламу, скидки,





колебания цен и изменения в ассортименте. Можно также получить описания определенных брендов или категорий товаров, и в дальнейшем использовать эти знания для продвижения товара на рынке. В обоих случаях мы имеем дело с одной из задач Data Mining – с задачей классификации.

В процессе решения прикладных задач классификации сформировался целый ряд семейств алгоритмов: алгоритмы распознавания на основе принципа разделения, алгоритмы классификации на основе вычисления оценок, статистические, логические и структурные методы распознавания. В условиях такого многообразия методов классификации выбор конкретного алгоритма диктуется спецификой и типом данных предметной области.

В данной статье основное внимание уделено логическим методам классификации. Основное преимущество этих методов заключается в том, что их можно использовать при отсутствии сведений о функциях распределения и при малых объемах обучающей выборки. В этих методах также отпадает необходимость выбора метрики в пространстве описаний объектов, так как признаки объектов рассматриваются как логические переменные, а описания классов на языке признаков представляются в форме булевых соотношений. Все это обуславливает предпочтительность логических методов классификации в случаях качественной (нечисловой) информации. В случае количественной (числовой) информации также возможно применение логических методов – в результате бинаризации исходных признаков.

В общем виде логические методы представляют собой поиск по обучающей выборке логических закономерностей для классов. Как правило, логические закономерности являются конъюнкциями элементарных высказываний (в общем случае – предикатами), принимающими истинное значение для достаточно большого числа объектов из соответствующего класса и ложное значение почти на всех объектах других классов.

Пусть  $P_c$  - количество объектов класса  $c$  в выборке;

$N_c$  - количество объектов во всех остальных классах в выборке;

$p_c(\varphi)$  - количество объектов класса  $c$ , для которых  $\varphi(x) = 1$ ;

$n_c(\varphi)$  - количество объектов во всех остальных классах, для которых  $\varphi(x) = 1$ .

Тогда логическая закономерность  $\varphi$  для класса  $c$  характеризуется величинами  $E_c$  – доля негативных среди всех выделяемых объектов и  $D_c$  – доля выделяемых позитивных объектов, удовлетворяющих следующим условиям [Воронцов К., 2007]:

$$E_c(\varphi) = \frac{n_c(\varphi)}{p_c(\varphi) + n_c(\varphi)} \leq \varepsilon, \quad D_c(\varphi) = \frac{p_c(\varphi)}{p_c(\varphi) + N_c} \geq \delta, \quad (4)$$

при заданных достаточно малом  $\varepsilon$  и достаточно большом  $\delta$ ;  $\varepsilon, \delta \in [0,1]$ .

Согласно (Воронцов, 2007), ассоциативное правило является обобщением логической закономерности в случае, когда закономерность строится в виде конъюнкции, целевой признак не фиксирован и также имеет вид конъюнкции. Действительно, рассмотрим ассоциативное правило „ $A \rightarrow B$ “ и класс  $c$  определим как множество записей, на которых конъюнкция, соответствующая набору элементов  $B$ , принимает истинное значение. Тогда

$$D_c(A) = S(A \rightarrow B) \geq MinSupp \equiv \delta; \quad (5)$$

$$E_c(A) = 1 - C(A \rightarrow B) \leq 1 - MinConf \equiv \varepsilon$$

Так что логические методы классификации также могут быть применены для анализа покупательской корзины – при фиксированном целевом признаке. Например, это может быть задача нахождения типичного набора товаров для фиксированного периода времени (утро, день, вечер, определенный день недели и т.д.) или же для категории чеков фиксированной стоимости. Ассоциативные правила, построенные на основе логических закономерностей, будут характеризоваться достаточно высокими значениями поддержки и достоверности.

В данной статье предлагается концептуально-вероятностный метод обработки данных, который объединяет в себе подходы логических методов классификации и методов поиска ассоциаций.

#### V. КОНЦЕПТУАЛЬНО-ВЕРОЯТНОСТНЫЙ МЕТОД ОБРАБОТКИ ДАННЫХ.

##### ИНФОРМАТИВНОСТЬ.

В соответствии с подходом логических методов классификации, концептуально-вероятностный метод обработки данных представляет собой поиск по обучающей выборке логических закономерностей, описывающих классы объектов. Функции, описывающие классы состояний являются конъюнкциями элементарных высказываний. Каждая функция принимает истинное значение для



достаточно большого числа объектов из собственного класса (диагностирующая способность) и ложное значение почти на всех объектах других классов (дифференцирующая способность).

Очевидно, на основе одной и той же выборки может быть построено множество таких функций. Чтобы выбрать среди них функцию, наиболее подходящую для описания класса, вводятся понятие информативности и критерий информативности, а в качестве описания класса берется высокоинформативный предикат [Воронцов К., 2007].

Существуют различные критерии информативности: эвристический, статистический, энтропийный. В концептуально-вероятностном методе описания класса строятся на основе эвристического критерия, согласно которому информативность предиката тем выше, чем больше он выделяет объектов из «своего» класса и чем меньше – из других классов. Таким образом, информативный предикат  $\varphi$  может быть получен в результате оптимизации по двум критериям [Воронцов К., 2007]:

$$p_c(\varphi) \rightarrow \max \text{ и } n_c(\varphi) \rightarrow \min . \quad (6)$$

На практике используются различные свертки критериев  $p$  и  $n$ . В работе (Микеладзе, 2010) были введены свойство существенности  $P(\varphi)$  и свойство дифференциации  $D(\varphi)$  классификационного правила  $\varphi$ :

$$P(\varphi) = \frac{p_c(\varphi)}{P_c}, \quad D(\varphi) = 1 - \frac{n_c(\varphi)}{N_c}. \quad (7)$$

С учетом введенных характеристик, требование для поиска наиболее информативного предиката будет выполняться при

$$P(\varphi) \rightarrow \max \text{ и } D(\varphi) \rightarrow \max . \quad (8)$$

В качестве критерия информативности предиката  $\varphi$  была взята величина

$$I(\varphi) = P(\varphi) \times D(\varphi). \quad (9)$$

Такой выбор критерия информативности обеспечивает равнозначность свойств существенности и дифференциации классификационного правила.

Концептуально-вероятностный метод обработки данных состоит из следующих этапов [Микеладзе М., 2010]:

1. Выбор высокоинформативных параметров бинарных признаков:

если информативность  $I(x_i) \geq I_0$ , то существенным считается параметр  $x_i$ ;

если величина свойства существенности  $I(\bar{x}_i) \geq I_0$ , то существенным считается параметр  $\bar{x}_i$ ;

если  $I(x_i) < I_0$  и  $I(\bar{x}_i) < I_0$ , то оба параметра  $x_i$ ,  $\bar{x}_i$  считаются несущественными и не рассматриваются при построении классификационного правила. Здесь  $I_0$  – выбранный порог для информативности.

2. Розыгрыш высокоинформативных конъюнкций  $K_{i_j}$  методом Монте-Карло, для которых  $I(K_{i_j}) \geq I_0$ ;

3. Формирование классификационного правила  $f = K_{i_1} \vee K_{i_2} \vee \dots \vee K_{i_r}$ , являющегося дизъюнкцией высокоинформативных конъюнкций: на  $j+1$  шаге новая конъюнкция  $K_{i_{j+1}}$  добавляется к уже построенному правилу  $f = K_{i_1} \vee K_{i_2} \vee \dots \vee K_{i_j}$  в том случае, если множество пациентов, не удовлетворяющих ни одной из конъюнкций  $K_{i_1}, K_{i_2}, \dots, K_{i_j}$ , но удовлетворяющих конъюнкции  $K_{i_{j+1}}$ , не пусто.

Исключение малоинформативных признаков из системы признаков уменьшает размерность признакового пространства, но не устраняет полностью проблему с полным перебором. В предлагаемом методе вместо поиска высокоинформативных конъюнкций в пространстве всевозможных конъюнкций осуществляется их построение путем розыгрыша по методу Монте-Карло [Чавчанидзе В., 1955]. При розыгрыше в качестве случайных событий будут выступать высокоинформативные признаки, в качестве вероятностей – соответствующие значения информативности, а в качестве конъюнкции – цепочка последовательно выпавших признаков. При этом наиболее часто будут выпадать признаки с большей информативностью. Соответственно, конъюнкции также будут обладать большей информативностью. Аналогично подходу методов поиска ассоциаций, исключая из рассмотрения наборы признаков, не удовлетворяющие порогу поддержки, при помощи розыгрыша методом Монте-Карло мы избавляем себя от необходимости рассматривать сочетания малоинформативных признаков, т.е. исключаем из рассмотрения малоинформативные конъюнкции.



Таким образом, высокоинформативные конъюнкции, построенные с применением концептуально-вероятностного метода, будут удовлетворять условию (4) для логических закономерностей. Кроме этого, согласно (4) и (5), ассоциативные правила, построенные на основе высокоинформативных конъюнкций, будут удовлетворять порогам поддержки и достоверности.

#### VI. ЗАКЛЮЧЕНИЕ

В заключение следует отметить, что технологии Data Mining являются мощным инструментом для обработки больших массивов данных и решения сложных аналитических задач в сфере розничных продаж. Методы поиска ассоциаций позволяют выявить типичные наборы товаров, а внутри них выделить ключевые и сопутствующие товары. Логические методы классификации позволяют получить описания классов покупателей и товаров, что в дальнейшем позволит спрогнозировать поведение покупателей и динамику продаж товаров. Ассоциативные и классификационные правила, полученные в результате применения этих методов, статистически обоснованы и характеризуются высокой степенью достоверности.

Предложенный в статье концептуально-вероятностный метод обработки данных объединяет в себе подходы логических методов классификации и методов поиска ассоциаций и обладает следующими преимуществами: метод позволяет уменьшить размерность признакового пространства за счет исключения из рассмотрения малоинформативных признаков; метод устраняет проблему полного перебора при построении правила-классификатора; метод обеспечивает эффективность правила-классификатора с точки зрения как диагностирующей, так и дифференцирующей способностей; ассоциативные правила, построенные на основе высокоинформативных конъюнкций, будут удовлетворять порогам поддержки и достоверности.

#### Литература:

1. Воронцов К. В., Лекции по логическим алгоритмам классификации, 2007 (<http://www.ccas.ru/voron/download/LogicAlgs.pdf>);
2. Микеладзе М., Концептуальный подход к описанию состояний и представлению знаний в задачах медицинской диагностики, Сборник трудов Института систем управления А. И. Элиашвили, №14, 2010;
3. Чавчанидзе В. В., Метод случайных испытаний (метод Монте-Карло), Труды Института Физики АН ГССР, т.3, 1955;
4. Agrawal R., Imielinski T., Swami A., Mining Associations between Sets of Items in Massive Databases, In Proc. of the 1993 ACM-SIGMOD Int'l Conf. on Management of Data, 1993.
5. Brin S., Motwani R., Ullman JD., Tsur S., Dynamic Itemset Counting and Implication Rules for Market Basket Data. In SIGMOD 1997, Proceedings ACM SIGMOD International Conference on Management of Data, 1997.



**M. Mikeladze**

**Data Mining Technologies for Retail Sales Analysis  
Summary**

The article considers the application of Data Mining technologies – association rule mining and logical methods of classification – for retail sales analysis, in particular, for market basket analysis. To solve these problems, a conceptual-probabilistic method of data processing is proposed that combines the approaches of association rule mining and logical methods of classification.

**მ. მიქელაძე**

**Data mining ტექნოლოგიები საცალო გაყიდვების ანალიზისთვის  
რეზიუმე**

სტატიაში განიხილება Data Mining ტექნოლოგიების – ასოციაციის წესების ძიებისა და კლასიფიკაციის ლოგიკური მეთოდების – გამოყენება საცალო გაყიდვების ანალიზისთვის, კერძოდ, სამომხმარებლო კალათის ანალიზისთვის. ამ ამოცანების გადასაწყვეტად შემოთავაზებულია მონაცემთა დამუშავების ალბათურ-კონცეპტუალური მეთოდი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ასოციაციის წესების ძიებისა და კლასიფიკაციის ლოგიკური მეთოდების მიდგომებს.



## თ. ჭვანია, ა. კობიაშვილი

### საწარმოო პროცესების მართვის ექსპერტული სისტემის მოდელი

თანამედროვე საწარმოები დიდი, რთული და ძვირადღირებული კომპლექსებია. ხელოვნური ინტელექტის პროდუქტები, რომლებიც შესაძლებელია, განვითარდეს ასეთ გარემოში, შეიძლება, შესრულებული ფუნქციის მიხედვით სამ კატეგორიად დაიყოს: სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ დროითი მოთხოვნების დაკმაყოფილებას; სისტემები, რომლებიც განკუთვნილია მრავალგვარობის გამო წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად და სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწორ მენეჯმენტს გაუთვალისწინებელი სიტუაციების წარმოქმნისას. სწორედ ამ სამი მიმართულებით აიგება ექსპერტული სისტემები.

ცოდნაზე დაფუძნებულ სისტემებში გათვალისწინებული ადამიანური ფაქტორები და ტექნიკური საკითხები, ასევე მათი შეფასებები, განაპირობებს ასეთი სისტემების უპირატესობებს.

საწარმოო პროცესების მართვის სისტემები მოქმედებენ გარკვეული რეალური დროითი შეზღუდვების პირობებში:

- მუდმივი ოპერირება. ბევრი პროცესი მიმდინარეობს უწყვეტად, რაც საჭიროებს ადამიანის გამუდმებულ სიფხიზლეს. შესაბამისად, რთულია მონყობილობების სათანადო მდგომარეობის შენარჩუნება.

- დაყოვნებები. როცა სისტემაში ხდება ცვლილებები, დაყოვნებები ხშირდება. ხანგრძლივი დაყოვნებების დაკვირვება რთული პროცესია. თუ დაყოვნებები ხანმოკლეა, საპასუხო რეაქციის დრო ხდება კრიტიკული, რაც საჭიროებს რეალური დროითი შეზღუდვების დაკმაყოფილებას მუშაობის ოპტიმალურ რეჟიმში გასაგრძელებლად.

- ევოლუცია. საწარმოო პროცესები ვითარდება დროში. ხდება ცვლილებები ოპერატორის ჩარევის გარეშეც კი. არ არსებობს ერთადერთი სტაბილური მდგომარეობა. ამიტომ მარტივი მდგომარეობის მოდელი ვერ ასახავს ევოლუციას დამაკმაყოფილებლად.

სირთულის წარმოშობის ძირითადი მიზეზებია მონყობილობებისა და მათი წარმოდგენის მრავალფეროვნება:

- სტრუქტურა. სტრუქტურული სირთულე წარმოიშობება მრავალი ელემენტის გამოყენების გამო. ასეთი სისტემებისთვის სავესებით შესაძლოა 20000-მდე საბაზისო ელემენტის მონიტორინგი. ასევე არსებობს განსხვავებები ელექტრონულ, მექანიკურ და ელექტრულ მონყობილობებს შორის. უფრო მეტიც, ელემენტებს შორის ინტერაქცია ხორციელდება მრავალი ტიპის კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების საშუალებით.

- აღწერის დონეები. სხვადასხვა მიზნით გამოიყენება აღწერის რთული დონეები. მაგალითად, როცა აღწერება სტრუქტურა, დიზაინი, საოპერაციო რეჟიმები და დამუშავების პროცესის ფუნქციები, ზოგჯერ აღწერის მხოლოდ ერთი მეთოდის გამოყენება საკმარისი არ არის.

- აღწერის ფორმები. არსებობს აღწერის მრავალი ფორმა, როგორცაა: ფორმალური აღწერა, მათემატიკური ხერხები, მართვის თეორია, ორგანიზაციული სტრუქტურის აღსაწერი სქემები და ინსტრუქციები, დაწყებული ყოველდღიური საწარმოო მიზნებით და დამთავრებული უსაფრთხოების სავალდებულო პროცედურებით.

- ოპერაციული კონტექსტები. ოპერაციული რეჟიმი მრავალი სახისაა: გაშვებისა და დასრულების ფაზები, დამყარებული მდგომარეობის ოპერაციები, ნორმალური და კრიტიკული მენეჯმენტი და ა.შ. ყველა ეს რეჟიმი ურთიერთმონაცვლეობით ხასიათდება.

პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად აუცილებელია ცოდნის ფრაგმენტებით მანიპულირება. ცოდნა კი უნდა ეფუძნებოდეს ჰეტეროგენულ წყაროებს.

სისტემის ფუნქციონირებისას შესაძლებელია გაჩნდეს უწესივრობები, არაკონტროლირებადი გარემო ფაქტორები, მონაცემთა ნაკლებობა და ასევე განუსაზღვრელობები.

შესაძლო განუსაზღვრელობების გამომწვევ მიზეზებად გვევლინება:

- მონაცემები. ხშირად მონაცემები არასაიმედოა, რადგანაც სენსორებს ან გადამწოდებს შეუძლია ინფორმაციის დამახინჯება. სხვადასხვა მტყუნებებმა შეიძლება საერთოდ მონაცემთა ნაშლა გამოიწვიოს ან მონაცემები არ იყოს სრული.

- მოდელები. საწარმოო პროცესების წარმოსადგენად ხშირად აიგება მიახლოებითი მოდელები, რადგანაც კარგი თეორიული მოდელების აგება ძალიან ძვირი ჯდება.





ხელოვნური ინტელექტის საშუალებებს შეუძლია ოპერირების პროცესის გაუმჯობესება, მტყუნებისა და უნესივრობის დიაგნოსტიკა, აღდგენითი და პრევენციული სამუშაოების შესრულება, პროექტირებისა და სწავლების ჩატარება კომპიუტერის დახმარებით.

ექსპერტული სისტემის მოდელისათვის განისაზღვრება მიზნობრივი გარემოს მახასიათებლები. უწყვეტი ოპერირება მოითხოვს უწყვეტ სამუშაო რეჟიმს ექსპერტული სისტემისგანაც. აქედან გამომდინარე, ამ კონტექსტში ტრადიციული ინტერაქტიული ინტერფეისი არაა მოხერხებული. ექსპერტული სისტემა უნდა მუშაობდეს ონლაინ რეჟიმში და იყოს ინტეგრირებული სანარმოს კომპიუტერულ სისტემასთან. საინჟინრო თვალსაზრისით, ცოდნაზე დაფუძნებულ სისტემებს უნდა შეეძლოს ავტომატური აღდგენა კომპიუტერულ სისტემაში მომხდარი ავარიული სიტუაციის შემდეგ.

რეალური დროის შეზღუდვები, რომელთა შესრულებაც საჭიროა განსაზღვრული დროითი ლიმიტის ფარგლებში, ჩვეულებრივ წამოჭრის ისეთ ამოცანებს, როგორცაა: დასკვნების მიღების მექანიზმის შერჩევა [Haspel D., 1996], რეალიზაციის ენის შერჩევა და ამოცანათა გადაწყვეტის სტრატეგიის შერჩევა [Moore R.,...,1997]. ამის ანალიზი ოპერატორისაგან მოითხოვს გარკვეულ დროს.

საკმაოდ რთულია სანარმოს მონაცემების მოპოვება. ეს მონაცემები სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირდება; შესაძლებელია, იყოს ინფორმაციის ნაკლებობაც. თუ სისტემა ლეზულობს სიმბოლურ მონაცემებს, საჭიროა მათი გარდასახვა ანალოგური სახიდან ციფრულ მონაცემებად, რაც ზოგჯერ ინვესს გაუსაზღვრელობის კიდევ ერთი წყაროს გაჩენას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა სისტემის სათანადო კონსტრუქციის დაპროექტება, რომელიც შეძლებს მრავალი ჰეტეროგენული აღწერილობის დამუშავებასა და გადაწყვეტილების მიღებას. ამ კონსტრუქციამ მარტივად უნდა აღწეროს ტექნიკური სისტემის კომპონენტები და ის ფიზიკური ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია პროცესის შეფასებასა და ოპერატორის მოქმედებასთან.

იმის გამო, რომ წარმოების პროცესი შეუჩერებლად მიმდინარეობს, პროცესის ანალიზი მოუქნელია. მასზე წარმოდგენა მიიღება ისტორიული მონაცემების დამუშავებით და მათი ვალიდურობის პერიოდული შემოწმებით.

ექსპერტული სისტემის მოდელის აგების მიზნებია:

- სიტუაციების შესაფასებლად სხვადასხვა სერვისების ტექნიკური საფუძვლის შექმნა;
- ადამიანური შეცდომების პრევენცია, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს სხვადასხვა მიზეზით (უყურადღებობა, დაღლილობა და სხვა).
- რეალური სანარმოს პროცესების შესახებ გამაფრთხილებელი სიგნალების დადგენა და ერთი და იმავე მიზეზის მქონე სიგნალების გაერთიანება.

გამაფრთხილებელი სიგნალები ინვესს დიაგნოსტიკის პროცესის ამოქმედებას, რომელიც დაადგენს არასწორი ფუნქციონირების მიზეზს. ეს სტრატეგია მდგომარეობს ერთი ცალკეული პროცესის სიღრმისეულ შესწავლაში, რაც საჭიროებს ამ პროცესთან დაკავშირებული ყველა პრობლემის ანალიზს. ამ ანალიზის საფუძველზე შეირჩევა პროტოტიპული სიტუაციები. ამორჩეული სიტუაციისთვის შემდგომ ეტაპზე საჭიროა, აიგოს მსჯელობა სათანადო დასკვნის მისაღებად.

ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება კარგი ინსტრუმენტია პროცესებისა და მათი კომპონენტების ბუნებრივი გზით აღწერისა და პროცესის ქსელის სახით წარმოდგენისათვის.

ექსპერტული სისტემის მოდელი ინახავს ცოდნას პროცესების შესახებ და ადგენს შეშფოთებათა მიზეზებს. ძებნის შედეგად, წარსული მონაცემების საფუძველზე, გენერირდება ჰიპოთეზები მოსალოდნელი ქცევის შესახებ. დიაგნოსტიკა კი მოხდება სიმულაციური მოდელის საშუალებით.

ცოდნის ბაზა საჭიროა პროცესის ცალკეულ ელემენტებს შორის ცნობილი ურთიერთკავშირების ზეგავლენის ფაქტორების გათვალისწინებით ამ ელემენტების ფუნქციონირების აღსაწერად. პროცესის შესახებ პერმანენტული ინფორმაცია შეიძლება შენახულ იქნეს მიზეზ-შედეგობრივ გრაფში. განგაშის სიგნალის მოსვლისთანავე სისტემა იყენებს გრაფს ჰიპოთეზის ასაგებად. ასევე გრაფებში ინახება დროებითი ინფორმაცია, რომელიც ეხება ცალკეულ სიტუაციას და წარმოადგენს მსჯელობის პროცესის მიმდინარე მდგომარეობას. ეს ხელს უწყობს მოქნილი ძებნის სტრატეგიასა და ახსნა-განმარტებების გენერაციას. ყოველი ახალი ჰიპოთეზის გენერირებისას სისტემა ადარებს მას ონლაინ რეჟიმში შეგროვილ რეალურ მონაცემებს და აყალიბებს ახსნა-განმარტებებს მომხმარებლისათვის.

პროცესის აღმწერი ცოდნა კოდირებულია ასეთი პრინციპით – გრაფის წვეროები წარმოადგენს ფიზიკურ სიდიდეებს, რომლებიც ეკვივალენტურია პროცესში მონაწილე სხვადასხვა ელემენტების ან ოპერატორის მოქმედებებისა. ყოველ წვეროს შეუძლია პროცესის შეშფოთების მიზეზის აღმოჩენა.

კლასი წვერო გამოიყენება, როგორც კლასი დაპროგრამების ენებში.



კლასი – წვერო:

- ანათვლები / სენსორების სია;
- ლოგიკური მდგომარეობები / განგაშის მდგომარეობების სია, რომლებიც ამ წვეროსთანაა ასოცირებული;
- ტერმინალი / ტერმინალური წვეროები, დაკავშირებული მოცემული კლასის წვეროსთან;
- ლოკალური დეფოლტები / შესაძლო უნესივრობები წვეროსთან;
- ... – სხვა ინფორმაცია, მაგალითად, როგორაა მოცემული წვერო დაკავშირებული გრაფის სხვა წვეროებთან.

ტერმინალური წვერო, რომელიც იმყოფება გრაფის ელემენტის საზღვართან, გამოიყენება შეშფოთების ასახსნელად. „ლოკალური დეფოლტები“ აღწერს შესაძლო უნესივრობებს და წარმოშობს უნესივრობათა ჰიპოთეზებს. შემდეგ წვერო ეძებს შესაბამის უნესივრობას. თუ სენსორები ქარბი რაოდენობითაა, წვერო ამონმებს მათ მიერ მონოდებულ მონაცემებს თავსებადობაზე. თუ ეს მონაცემები სტაბილურია, მაშინ შესაბამისი სენსორი არაკორექტულად მუშაობს.

კლასი „ანათვლები“ აღწერს სენსორის მახასიათებლებს და უზრუნველყოფს წვდომას პროცესის შესაბამისი მონაცემებისადმი.

კლასი – ანათვლები:

- სიდიდეები / ისტორიული მონაცემები განვლილი ბოლო პერიოდის შესახებ;
- სტატუსის – სიტყვა / კომპიუტერიდან მონოდებული პროცესის მონაცემები;
- სტანდარტული– დევიაცია / საწყისი სტატისტიკური ცოდნა;
- განახლება / დრო ცოდნის ორ ნაკადს შორის;
- ერთეული /C<sup>2</sup>, %, ტონა/საათში და ა.შ.
- საზღვრები / განგაშისა და სენსორის დიაპაზონი.

„სიდიდეები“ არის ანალოგური მონაცემები, რომლებიც პროცესიდან მიიღება სისტემატურად, „განახლების“ დროის ინტერვალით. ეს ინტერვალთა მიეთითება კომპონენტში – „განახლება“. რეალური დროის სისტემა ახდენს „სტატუსის– სიტყვის“ გენერირებას, რომელიც გადაეცემა პროცესის მონაცემებთან ერთად და რომელიც შეიცავს ინფორმაციას საგანგაშო სიტუაციების შესახებ, ელექტრონული მონყობილობების შესაძლო უნესივრობების შესახებ, მონაცემთა ექსტრემუმების შესახებ, ასევე – საკონტროლო ციკლის სტატუსს, მაგალითად, აქტიური ან ხელისშემშლელი, ცალკეული ან კასკადური. ანათვლების „სტანდარტული– დევიაცია“ გამოითვლება სისტემის დაყენებისთანავე და გამოიყენება სიდიდეების ცვალებადობის დიაპაზონის შეფასებისათვის.

ანათვლების კლასს აქვს ქვეკლასი (გამოთვლილი– ზომები), რომელიც შეიცავს იმ სიდიდეების გამოსათვლელ ოპერანდებსა და ფორმულას, რომლებიც პირდაპირი გზით არ იზომება.

კავშირები გრაფებში ორიენტირებული სახისაა. ისინი ასახავენ იმ ფაქტს, რომ საწყისი წვერო შეიძლება გადავიდეს მასთან დაკავშირებული წვეროს მდგომარეობაში. ეს მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირი არაა ლოგიკური იმპლიკაცია: თუ კავშირი მიდის A წვეროდან B წვეროსკენ, ეს არ ნიშნავს, რომ „რაიმე ცვლილება A-ში გამოიწვევს შესაბამის ცვლილებას B-ში“. ის უნდა ინტერპრეტირდეს, როგორც კერძო წარმოებული: „იმ დაშვებით, რომ ყველაფერი დანარჩენი უცვლელია, თუ A იზრდება, B-ც გაიზრდება“ ან „A-ს მიმართ B-ს კერძო წარმოებული დადებითია“. ამიტომ უნდა მოხდეს A-ს შემონმება, როცა საჭიროა B-ში ზრდის ახსნა. კავშირები იძლევიან მიზეზ-შედეგობრივი პროცესის მოდელს იმ თვალსაზრისით, რომ ისინი გასცემენ ახსნა-განმარტებებს დიაგნოზისათვის, მაგრამ ისინი არ ითვლება შესაბამის სიმულაციურ მოდელად.

ყველა კავშირი გრაფში შეესაბამება ფიზიკურ კანონებს, ვთქვათ, რაიმე ავზის დონე წარმოადგენს ნივთიერებათა ბალანსის ფუნქციას, ნაკადი არის წნევის ფუნქცია და ა. შ.

კლასი კავშირი:

- მიმართულება / მიზეზი და შედეგი შეიძლება იყოს ან არ იყოს საპირისპირო;
- დაყოვნება / გავრცელების დრო;
- სიმძლავრე / გამოთვლების დიაპაზონი;
- წინაპირობა / კავშირები შეიძლება იყოს შეფერხებული.

„სიმძლავრე“ აფასებს, ნამდვილად ხსნის თუ არა ამ კავშირის მიზეზიდან მიღებული შედეგი დაკვირვების შედეგად მიღებულ შეშფოთებას. თუ ვერ ხსნის, საჭიროა სხვა მიზეზების პოვნა. გამოთვლა გულისხმობს მხოლოდ შეფასებას. სისტემა უკუაგდებს კავშირის შედეგს, თუ ის 40%-ზე ნაკლებია, ლებუ-



ლობს მას, თუ მისი ალბათობა 70%-ს აღემატება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მას ეჭვქვეშ აყენებს. „დაყოვნება“ ითვლის დევიაციის მიზეზიდან შედეგისკენ გავრცელების დროს. ეს ინფორმაცია უაღრესად მნიშვნელოვანია ჰიპოთეზების გენერირებისას.

გარდა მიზეზ-შედეგობრივი C-გრაფისა, სისტემა იყენებს H-გრაფსაც, რომლის წვეროები წარმოადგენს ჰიპოთეზებს, დაკავშირებულს არანორმალური ქცევის მიზეზებთან. ჰიპოთეზა შედგება ინფორმაციის ოთხი ბლოკისაგან: H-გრაფის აღწერა, პროცესის მონაცემებთან შესადარებელი მონაცემების აღწერა, უკვე შესრულებული ტესტების შედეგები და საკონტროლო ინფორმაცია, რომლის შემდგომი ტესტირებაცაა საჭირო. ჰიპოთეზის გამარტივებულ აღწერას ექნება შემდეგი სახე.

კლასი ჰიპოთეზა:

- წვერო / ჰიპოთეზა C-გრაფის ერთ წვეროზე;
- განგაში / ამ ჰიპოთეზას შეუძლია ახსნას ერთი განგაში;
- მშობელი / H-გრაფის ინვერსიული კავშირების აღწერა;
- შვილობილი / აღწერა ნაგულისხმევი წესით;
- ნაგულისხმევი- ტიპი / შესაძლო ტესტების სახეობის განსაზღვრა;
- პრობლემის- დასაწყისი/დასასრული / შესაბამისი შემოფოთების დასაწყისისა და დასასრულის დრო;
- მოსალოდნელი- ვარიაცია / შემოფოთების ალბათობა.

ჰიპოთეზები დაკავშირებულია C-გრაფის წვეროსთან სხვა „წვეროებით“. ისინი გენერირდება ან „განგაშის“ მიერ, ან სხვა ჰიპოთეზის მიერ, რომელიც ერთ-ერთი ჰიპოთეზაა „მშობლებს“ შორის. ჰიპოთეზის წარმოშობისას სისტემა პოულობს „პრობლემის დასაწყისს“ – ევოლუციის საწყის წერტილს. ახალი სიტუაციების აღმოსაჩენად სისტემა აანალიზებს ისტორიულ მონაცემებს, რომლებსაც იღებს C-გრაფის წვეროებიდან და აფასებს ამპლიტუდას დროის ორ წერტილს შორის. ამით განისაზღვრება შემოფოთების საწყისი წერტილი. „პრობლემის დასასრული“ აღნიშნავს შემოფოთების დასასრულს. ამ მნიშვნელობად მიიჩნევა მიმდინარე დროის მომენტი და მისი ცვლილება ხდება თანდათანობით, თუ განგაში დარჩება აქტიური.

როცა ერთი ჰიპოთეზა წარმოშობს მეორეს, სისტემა იყენებს C-გრაფის კავშირს – „დაყოვნება“ ახალი სიტუაციისათვის ახალი დროითი საზღვრების გამოსათვლელად და კავშირი „სიმძლავრე“ უზრუნველყოფს „მოსალოდნელი- ვარიაციის“ შეფასებას. პროცესის მონაცემების დამუშავების შედეგად მიღებულ მონაცემებთან ამ მონაცემების შედარების შედეგად, სისტემა გადაწყვეტს, არის თუ არა სიტუაცია არანორმალური და ჰიპოთეზას მიენიჭება სათანადო სტატუსი.

კონტროლის ციკლი ახდენს პროცესის დამუშავებას მისი სრულყოფის მიზნით. კლასის წვეროსა და ჰიპოთეზას აქვს ქვეკლასი სახელწოდებით – კონტროლირებული- წვერო და კონტროლირებული- ჰიპოთეზა. ამ ქვეკლასებიდან პირველს აქვს ზომების აღწერის კონტროლერები, რომლებიც აღწერს სამი ტიპის ზომებს: საწყის წერტილს, სიგნალს და სიდიდეებს. მეორეს აქვს დამატებითი საშუალებები ცვლილებების, შეცდომებისა და გაზომილი სიდიდეების შესაბამისად. ამით სისტემა უფრო მეტი სიზუსტით აღმოაჩენს უნესივრობებს.

სისტემის გააქტიურება ხდება განგაშის სიგნალით. განგაშის შესახებ ინფორმაცია გენერირებას უკეთებს პირველ ჰიპოთეზას და ციკლი იწყება. ჰიპოთეზა ადგენს C-გრაფის რომელიმე წვეროს სტატუსს. ჰიპოთეზა ახდენს საკუთარი ვალიდურობის ტესტირებას მონაცემების შემოწმების გზით. „მოსალოდნელი- ვარიაცია“ შეედარება პროცესის მონაცემებს. შემოწმების ფაზის ბოლოს სისტემა ანიჭებს ჰიპოთეზას სტატუსს (ჭეშმარიტი, მცდარი ან საეჭვო) და ლებულობს გადაწყვეტილებას – შეწყდეს კვლევა, გაგრძელდეს თუ დასრულდეს, როგორც წარმატებული.

კავშირების სიიდან პირველივე კავშირის არჩევით სისტემა აგრძელებს ახალი ჰიპოთეზის გენერირებას. კავშირში შენახული ინფორმაციის საფუძველზე სისტემა ითვლის მონაცემებს, აღწერს წვეროს მოსალოდნელ სტატუსს კავშირის მეორე ბოლოში და ა.შ. ესაა გაგრძელების ფაზა. იგივე ციკლის იტერაცია მოხდება შემდეგ შექმნილი ახალი ჰიპოთეზის მიმართ.

სისტემა ამთავრებს მუშაობას, როცა ის აღწევს ელემენტს გრაფის შესაბამისი ნაწილის საზღვარზე. სისტემა გასცემს ახსნა-განმარტებებს ან აგრძელებს ახალი მიმართულებით კვლევას.

**დასკვნა.** ექსპერტული სისტემის შემოთავაზებული მოდელი გვთავაზობს საწარმოო პროცესთან ერთად ონლაინ რეჟიმში მუშაობას. მისი არქიტექტურა კარგადაა მორგებული რეალური დროის პროცესების მოთხოვნებზე. სისტემას შეუძლია განუსაზღვრელობის პირობებში მუშაობა და საკმაოდ ეფექტური შეფასებების გაკეთება მაღალი სიზუსტით.



### დამონებული წყაროები და ლიტერატურა:

1. D. Haspel, C. Taunton, Application of Rule-Based Control in the Industry, Proc, Seminar Expert Systems and IEEE-Industry, BHRA, Antwerp, Belgium, October, 1996;
2. R.L. Moore, An Expert System for Real-Time Process Control. "Knowledge-based Expert Systems for Engineering. Computational Mechanics Publications, Ashurst, Southampton, UK, 1997;
3. Rikard Laxhammar. Artificial Intelligence for Situation Assessment. Master of Science Thesis, Stockholm, Sweden, 2007.

**თ. ჟვანია, ა. კობიაშვილი**

#### საწარმოო პროცესების მართვის ექსპერტული სისტემის მოდელი რეზიუმე

აღწერილია ექსპერტული სისტემის მოდელი, რომლის მიზანია საწარმოო პროცესებში საგანგაშო სიტუაციების მიზეზების პოვნა. წარმოდგენილია ჰეტეროგენული ცოდნა პროცესის ფუნქციების მიზეზ-შედეგობრივი აღწერის საშუალებით. შემოთავაზებულია ჰიპოთეტური ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემათა ძებნის მართვის, დინამიკური ინფორმაციის დამახსოვრებისა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების ფორმირებას. გაანალიზებულია სისტემის უპირატესობები და ნაკლოვანებები.

**T. Zhvania, A. Kobiashvili**

#### AN EXPERT SYSTEM MODEL PRODUCTION PROCESSES CONTROL Summary

Expert system models the objectives of which are to find the causes of alarm situations in industrial processes are described. Heterogonous knowledge is represented by means of causal description of process functions. A hypothetic network for local searching, dynamic information storing and providing explanations are offered. Advantages and disadvantages of the system are analyzed.



**ALGIDAS JUKIAUSKAS (VILNIUS UNIVERSITY)**

**LITHUANIA'S ENTRY INTO THE EURO ZONE AND ITS IMPACT ON THE EUROPEAN CENTRAL BANK**

Since joining the European Union in 2004 Lithuania's main goal was to integrate the Economic and Monetary Union, and this will be happening on 1st January 2015, thereby making it the eurozone's 19th member. This event will be the recompense for the effort made by the country to check the economic and financial crisis which weakened it considerably in 2008 and to reform without ever losing sight of its prospects of joining the euro. It will reinforce the European strategy of a country that in part is dependent on the economy of Russia and which is suffering directly the consequences of its support to member countries of the Eastern Partnership and the sanctions policy against Russia. At the same time the new governance method implemented by the European Central Bank, which was decided in 2003 but whose introduction was postponed until 2009, is now entering into force. Although the rotation system to be introduced recalls that of the Federal Reserve the present balance should not suffer any major challenge. One year after its Latvian neighbor Lithuania will become the 19th member of the euro zone on 1st January 2015. An EU Member State since 2004, Lithuania first asked to join the Economic and Monetary Union in 2006. The Lithuanian authorities deemed that the euro would strengthen the country's political weight within the European Union. The single currency is also considered as a new buffer in protection against the country's powerful neighbour, Russia. However, problems in controlling inflation then the impact of the economic and financial crisis of 2008 deferred the prospect of accession since the country no longer fulfilled the convergence criteria.

**The economic impact of joining the European Union**

The prospect of joining the European Union and then effective accession in 2004 carried the country's economic growth along until 2008. The receipt of European funds was one of the reasons for the Lithuanian economic boom. However it was not the only one. Lithuania's integration into the single market especially enabled it to assert its own assets:

- The competitiveness of its labour force;
- An advantageous tax regime like its Latvian neighbour. Corporate tax lies at 15% and is set at 5% on SMEs;
- Its geographic position, which enhances the attraction of a country, which to date was considered as a transit area between the continent's east and the European Union. In this capacity, Klaipeda is a leading interface with Russia. The Lithuanians are also the leading foreign investors in the Russian enclave of Kaliningrad.

Hence, Lithuania was able to achieve some remarkable growth rates, reaching nearly 10% in 2007 just before the world economic and financial crisis started.

Lithuanian GDP growth rate (2003-2007)

2003	2004	2005	2006	2007
+ 10.3%	+ 7.4%	+ 7.8%	+ 7.8%	+ 9.8%

*Source : Eurostat)*

This significant rise in activity was not without effect on the development of wages, both in the private and public sectors. The increase in nominal wages was constant between 2004 and 2008. Again accession to the European Union played a role in terms of this increase. Here it involved limiting Lithuanian emigration, which was facilitated by the opening of the borders to other EU countries in the same way as it had affected Ireland. The increase in the minimum salary during this period was clearly part of this goal. Fear of losing the labour force also led to a change in paradigm in terms of wage negotiation: collective, sectoral negotiations gave way to individualised dialogue that moved in support of wage increases. The rises granted in the public sector also became a reference for the private sector.

	2004	2005	2006	2007	2008
Private sector	+ 4.5 %	+ 11,4%	+18.5 %	+ 20.9 %	+17.2%
Public sector	+ 8.4 %	+ 12.1%	+ 17.3%	+13.7%	+21.1%

*(Source : French Senate) [Crisse economique....., 2010-2011]*





The impact of developments in wages was twofold: a certain disconnection between remuneration and productivity that affected the country's attractiveness and its competitiveness and in increase in inflation. It was in the light of the latter criterion that Lithuania's bid to join the Economic and Monetary Union was rejected in 2006.

### **Failure in 2006 and the issue of inflation**

It should first be remembered that the adoption of the single currency is the logical goal for any EU Member State, except if it benefits from an exemption clause, like Denmark and the UK. Membership of the Economic and Monetary Union by a candidate country would appear self-evident once the convergence criteria are respected.

Article 140 of the Treaty on the Functioning of the European Union defines four criteria that are to be respected in view of joining the euro zone, which are stipulated in Protocol 13 regarding the convergence criteria annexed to the Treaty:

- the achievement of a high degree of price stability; the rate of inflation cannot be over 1.5% of the three best performing Member States in terms of price stability;
- the sustainability of the government financial position; the Member States cannot be the focus of an excessive deficit procedure, i.e. if the State has a public deficit over 3% of the GDP or its debt is over 60% of the GDP;
- the observance of the normal fluctuation margins provided for by the exchange-rate mechanism of the European Monetary System, for at least two years, without devaluing against the euro;
- the durability of convergence achieved by the Member State with a derogation and of its participation in the exchange-rate mechanism being reflected in the long-term interest-rate levels: this cannot rise over the average of the three countries selected for the calculation of increased inflation of 2%.

Article 140 of the Treaty also provides that the Commission and European Central Banks' reports, which are used to take decisions at the European Parliament and the Council regarding a candidate, have to take on board other pertinent factors, such as the development of wage costs, development of the balance of payments and market integration.

Regarding Lithuania the European Commission issued a negative opinion on 16th May 2006 insisting on the fact that inflation was not under control [European Commission..., 2006]. Although the government deficit was not over 0.5% of the GDP and the government debt 20% of the national wealth, inflation totalled 3.8% at the time of assessment. This opinion was followed by the European Council on 15th and 16th June 2006.

The European Commission was concerned about a worsening in the situation due to the increase in wages and the ensuing rise in domestic demand as well as rising energy prices in a context of recurrent tension with Russia from whom Lithuania imports, gas, oil and electricity. Like its other Baltic neighbours Lithuania is still an enclave from an energy point of view: because it is not connected to European networks, energy supplies depend as a consequence almost exclusively on Russian oil and gas pipelines. Moreover Lithuania is connected to the Russian electricity grid (UPS). This dependency affects inflation. In Lithuania the latter is still imported to a certain degree since it is related to the prices of agricultural raw materials and especially to energy. 16% of Lithuanian household income is devoted to heating costs.

### **Response to the crisis for the country to be able to join the euro zone**

Overheating that was evident in 2008 made the economic crisis that struck the country at this time even more acute. The economic slowing seen within the countries on which it was economically dependent – Germany, Russia, Sweden – plunged the country into a rapid, brutal recession like that witnessed in neighbouring Latvia. After increasing by 2.9% in 2008, the GDP contracted by 14.7% the following year. An increase in unemployment went hand in hand with this sudden downturn. Unemployment lay at 4.3% in 2007 but in 2010 it totalled 17.8%. The downturn in the economic situation affected government accounts directly. The Lithuanian government deficit totalled 9.4% of the GDP in 2009 and 8% the following year. An excessive deficit procedure was then launched against the country.

Unlike Latvia, which at the same time also faced a major bank crisis, Lithuania refused international financial assistance [Richard S., 2013]. Whilst it maintained its aim of joining the euro zone rapidly it chose not to devalue its currency, the litas. A currency depreciation would have weakened the respect of the exchange rate stability criteria. The Lithuanian authorities maintained parity with the single currency – 3.4528 litas for 1€ – and gave preference to internal devaluation. This involved a combination of significant reductions in government spending, tax hikes, an improvement in competitiveness and support to export companies. Hence Lithuania was able to respect two other convergence criteria: the sustainable nature of the government's financial position and the achievement of a high degree of price stability.



The respect of the first criterion was enabled by a reduction in civil servants' wages – ranging from 5 to 45% – depending on the post occupied. Symbolically the President of the Republic reduced his salary by 45%, his ministers by 40%. A similar rate was retained for the civil service directors. Teachers' wages were reduced by 5%, State pensions were cut by 15%. At the same time VAT was increased by 3 points and a certain number of excise duties were reassessed. It is not surprising that in these conditions the government deficit was reduced to 3.2% of the GDP in 2012 and then to 2.1% in 2013. The same level was expected at the end of the 2014 financial year. The excessive deficit procedure was lifted on 21st July 2013. Although the debt has practically doubled since 2006 it still lies at 39.4% of the GDP, below the threshold set by the Treaty.

A 20% adjustment in wage reductions in the private sector, together with a vast reform of the labour market to align salaries with competitiveness helped moderate inflation. Hence, during the period of reference, selected by the European Commission to assess Lithuania's bid to join the euro zone, i.e. May 2013 to April 2014, the average inflation rate in Lithuania lay at 0.6%. This is below the reference rate selected by the Commission for the period: 1.7%.

Beyond the respect of the two convergence criteria internal devaluation enabled the country to recover growth sustainably, which was boosted in part by exports. It should rise to 3.5% at the end of 2014, in other words to a level equivalent to that recorded in 2013. Unemployment also decreased to 11.3% in 2013. It is estimated at 10.8%, below the EU average (11.7%).

**GDP growth rate (2008-2016)**

2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
+2.9%	+14.8%	+1.6%	+6%	+3.7%	+3.3%	+3.5%	+3.4%	+3.7

(Source : Eurostat)

The return of growth also fostered a decrease in long term interest rates. This reduction was vital for the assessment of the last criteria in the Treaty, the sustainable nature of convergence reflected by interest rates. Whilst it was close to 15% at the height of the crisis the 10 year rate progressively dropped to 5.2% in 2012, then to 3.6% in 2014. The rate is below the reference value established by the European Commission – 6.2% – in the convergence report. Easing like this in the rate allowed the Lithuanian authorities to refinance its debt at an acceptable level in 2013, the year when it had to borrow 2.2 billion € on the markets, around 7% of the GDP.

Since Lithuania has respected the four criteria the European Commission gave a positive opinion to the request to join the euro zone on 4th June 2014 [Rapport de la Commission..., 2014]. The Council approved this request on 23rd July last. Membership on January 1st 2015 will not obscure the reticence of the European Central Bank about the control of inflation. Indeed in its convergence report, published on 2nd June 2014 it notes that increases in world food and energy prices is leading to rising inflation rates [Banque centrale..., 2014]. The energy issue is not without consequence given the Russian/Ukrainian crisis and Russian response to the sanctions implemented by the European Union. More generally the problem of sanctions, which Lithuania supports, raises questions about the long term for a country that is economically dependent on Russia. The support provided by the Lithuanian authorities to the countries in the Eastern Partnership – Ukraine, Moldova, Georgia, Armenia, which led to the organisation of the summit of 28th and 29th November 2013 in Vilnius, already led to retaliatory measures on the part of Moscow. This involved the transit of Lithuanian lorries over the Russian borders into the Kaliningrad enclave or the sale of Lithuanian dairy products on the Russian market.

The catching-up process caused by accession to the euro zone might also lead to a rise in the inflation rate. Indeed we should remember that GDP/capita levels, prices and wages are below those seen in the Economic and Monetary Union. Hence whilst inflation is due to lie at 1% at the end of 2014 it may almost double to total 1.8% in 2015. In this case it is not surprising that 48% of Lithuanians are still against adopting the euro, which in their opinion is synonymous to price increases.

**The European Central Bank's new governance rules**

**The reform of the Council of Governors**

The accession of a new member to the euro zone also means a change to the way the European Central Bank and more precisely, the Council of Governors, its decision making body are governed. Indeed the latter defines the euro zone's monetary policy and takes decisions about leading interest rates, reserve supplies and the definition of monetary goals.

The Council of Governors meets twice monthly and comprises:

- Six members of the Bank's board (president, vice-president and four members). They are appointed by the Council of the European Union according to their authority and their experience;
- The Governors of the Central Banks of the Member States of the Economic and Monetary Union, whose number will total 19 with the entry of Lithuania.



It takes decisions by a simple majority, with the ECB President's vote being preponderant in the event of an equal outcome. Only so-called patrimonial decisions, whether these involve an increase in the Bank's capital or the use of exchange reserves, are taken with a two-third majority of the governors. The board does not take part in this vote. The votes of each of the Central Banks are, in this event, weighted according to the countries' participation in the ECB's capital.

This mode of governance has been in place since 1992 via protocol 4 in the statutes of the European Central Banks system and of the ECB annexed to the Maastricht Treaty. It seemed to be the best adapted to an Economic and Monetary Union comprising a maximum of fifteen members. The enlargement of the European Union and the perspective of a concomitant widening of the euro zone led the Council of the European Union to put forward a revision of this system. The aim is to avoid the over-representation of the governors of the national Central Banks to the detriment of the board when monetary policy measures are being adopted. When the euro zone only comprised 12 members the decision taken by the Council of the European Union on 21st March 2003 changed the voting regime within the Council of Governors, thereby introducing a rotation system. This became effective when there were 16 members of the Economic and Monetary Union. It only involves monetary policy decisions. The system is progressive:

- The voting right of the governors of the Central Banks has been limited to 15 at first and the number of votes by the board has been maintained. The governors of the Central Banks have been divided into two groups with this in mind. The governors from the five biggest economic powers in the EU are in the first group. Economic power is defined in terms of a country's GDP and, to a lesser degree in terms of the total consolidated assets held by the financial institutions. Germany, Spain, France, Italy and the Netherlands comprise this group which has four votes. The second group comprises the other Member States and has 11 votes;

- When 22 countries are members of the euro zone the second group of governors will be divided into two parts. The first will comprise half of the total number of governors and will have 8 votes. The second part will comprise the remaining governors and will have 3 votes. The group comprising the five main powers will still have four votes.

At the same time an equal rotating order has been introduced, in which each governor regularly loses his right to vote. Regarding the main powers each of them can only vote two months in the year. The governors who do not have the right to vote do however take part in the debate prior to the decision on monetary policy being taken.

**Rotation system of voting rights within the council of governors**

		Number of governors within the council							
		19	20	21	22	23	24	25	26
Group 1	Number	5	5	5	5	5	5	5	5
	Votes	4	4	4	4	4	4	4	4
	Frequency	80 %	80 %	80 %	80 %	80 %	80 %	80 %	80 %
Group 2	Number	14	15	16	11	12	12	13	13
	Votes	11	11	11	8	8	8	8	8
	Frequency	79 %	73 %	69%	73 %	67%	67%	62%	62%
Group 3	Number				6	6	7	7	8
	Votes				3	3	3	3	3
	Frequency				50%	50%	43%	43%	38%

(Source : Banque centrale européenne et Natixis)

The ECB's rotation system is similar to that of the American Federal Reserve. The open market's Federal Committee, which is the equivalent of the Council of Governors, only includes five of the 12 regional reserves banks. The Committee also comprises 7 members of the Board of Governors, the Federal Reserve Board. It remains that unlike the ECB, the annual rotation is not totally equal since the regional bank of New York has a permanent right to vote. The chairmen of the regional banks of Chicago and Cleveland vote one year in two and 9 chairs vote one year in three.

***Deferred implementation until the entry of the 19th member***

The decision of 21st March 2003 however gave the Council of Governors, acting by a two thirds majority, the possibility of deferring the implementation of the new system until the entry of the 19th member of the eurozone. This precaution was a matter of simple arithmetic: in a euro zone comprising between 16 and 18 members the frequency of the vote by countries in the group of five powers is slightly lower than that of the countries in the second group. This was a source of concern in Germany. Due to this the Council of Governors decided on 18th December 2008 to use this clause. Hence although the new system should have entered into force with the accession of Slovakia, the 16th eurozone member on 1st January 2009 it would only become effective on the integration of Lithuania on 1st January 2015.



Unlike what might have happened in 2009 the weight of the group of the five biggest economic powers remained the same. Unlike the ECB's estimations the 14 other countries will only have 52% of the vote in contrast to 56% if they had been 13. The frequency of voting within the first group totals 80% whilst in the second group it is due to decrease as the euro zone gradually grows. For its part the board is strengthened since it will have 29% of the vote in contrast to 24% in the present system.

Although the new system does not really weaken the major economic powers of which Germany and France are a part, the present governance method however does not guarantee them any extra weight. Hence the Bundesbank found itself isolated at the time of the unlimited purchase of sovereign debt bonds (Outright Monetary Transactions) of the countries placed under financial assistance.

## REFERENCES

[1] Crise économique, euro, Russie, énergie : les défis européens de la Lettonie et de la Lituanie, Information report n°346 (2010-2011) by Yann Gaillard, published on behalf of the European Affairs Committee at the French Senate.

[2] European Commission Report on Convergence 2006 :

<http://epp.eurostat.ec.europa.eu/tgm/table.do?tab=table&init=1&plugin=1&language=fr&pcode=tec00115>

[3] Sébastien Richard, Latvia's membership of the Euro Zone. European Issue n°298, Robert Schuman Foundation, 23rd December 2013.

[4] Rapport de la Commission au Parlement européen et au Conseil – Rapport de 2014 sur l'état de la convergence (COM (2014) 326 final), <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2014:0326:FIN:FR:PDF>

[5] Banque centrale européenne, Rapport sur la convergence de juin 2014, <http://www.ecb.europa.eu/pub/pdf/conrep/cr201406fr.pdf>

[6] Rotating of voting rights in the governing council of ECB, ECB Monthly Bulletin, July 2009 and Alan Lemangnen, La BCE vers un système de rotation des droits de vote : ne varietur. Special report – Recherche économique n°24, Natixis, 18th February 2014.



Al. Jukauskas

### Lithuania's entry into the euro zone and its impact on the European Central Bank Summary

The accession of Lithuania as the 19th member, a year after Latvia, confirms the euro zone's power of attraction, even though it is not approved by the entire population. The effort undertaken by Lithuania to check the economic and financial crisis that struck in 2008, whilst maintaining its goal to join the euro zone, deserve acknowledgement. Particular attention should however be paid to the Lithuanian economy both in terms of the monetary impact on prices and of the sanctions adopted by the EU against Russia. Like its Baltic neighbors Lithuania is still enclaved being both on the periphery of the EU and on the front line in terms of its Russian neighbor. This geographical situation leads to certain consequences that can be likened to a form of dependence which is dangerous in times of political crisis.

At the same time, Lithuania's integration into the euro zone will lead to the reform of the ECB mode of governance. The introduction of a rotation system comparable in part to that introduced in the USA enhances somewhat a more federal view of the euro zone.

ალ. ჟუკაუსკასი

### ლიტვის გაერთიანება ევროზონაში და მისი გავლენა ევროპის ცენტრალურ ბანკზე დასკვნა

ევროზონაში, ლატვიის შემდეგ, ლიტვის მეცხრამეტე წევრად გაერთიანება, მეტყველებს ევროს სიმყარისა და ერთიანი მოხმარების მიმზიდველობის ძალაზე, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ნაწილი არ ეთანხმებოდა ამ ფაქტს. ლიტვის მიერ განხორციელებული ძალისხმევა ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის დაძლევის და ამავდროულად ევროზონაში განწევრიანების მიზნით იმსახურებს აღიარებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეხედოს ლიტვის ეკონომიკაზე გავლენას 2 მიმართულებით, ერთის მხრივ ახალი მონეტარული პოლიტიკის გავლენის შეფასებას ფასებზე და მეორეს მხრივ ევროკავშირის მიერ რუსეთის მიმართ სანქციების დაწესების შედეგად მომხდარი ცვლილებების გავლენას.

ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნების მსგავსად ლიტვა განლაგებულია როგორც ევროკავშირის პერიფერიაზე, ისე რუსეთის სამეზობლოდ. ამ გეოგრაფიულ სიტუაციას მივყავართ კონკრეტულ შედეგამდე, რაც შეიძლება იყოს დაკავშირებული დამოკიდებულების ფორმაზე, რომელიც საშიშია პოლიტიკური კრიზისის დროს. ამავდროულად, ლიტვის გაერთიანებამ ევროზონაში გამოიწვია ახალი მართველობითი რეფორმების განხორციელება და ამერიკული როტაციის სისტემის დანერგვა, რამაც კიდევ უფრო უნდა გაზარდოს ევროპის ცენტრალური ბანკის მნიშვნელობა ერთიანი ვალუტის სიმყარისა და მსყიდველუნარიანობის შენარჩუნებაში.





**P. SANKESS**

**GLOBALISATION**

Globalisation refers to the integration of markets in the global economy, leading to the increased interconnectedness of national economies. Markets where globalisation is particularly common include **financial markets**, such as capital markets, **money** and credit markets, and insurance markets, **commodity** markets, including markets for oil, coffee, tin, and gold, and product markets, such as markets for motor vehicles and consumer electronics. The globalisation of **sport** and **entertainment** is also a feature of the late 20th and early 21st centuries.

**Why has globalisation increased ?**

The pace of globalisation has increased for a number of reasons:

- Developments in ICT, transport and communications have accelerated the pace of globalisation over the past 30 years. The internet has enabled fast and 24/7 global communication, and the use of containerisation has enabled vast quantities of goods and commodities to be shipped across the world at extremely low cost.
- More recently, the rise of social media means that national boundaries have, in many ways become irrelevant as producers use new forms of communication and marketing, including micro-marketing, to target international consumers. The widespread use of smartphones has also enabled global shoppers to have easy access to 'virtual' global markets.
- The rise of new electronic payments systems,, including e-Wallets, pre-pay and mobile pay, e-Invoices and mobile pay apps, also facilitate increased global trade.
- Increasing em>capital mobility has also acted as a stimulus to globalisation. When capital can move freely from country to country, it is relatively straightforward for firms to locate and invest abroad, and repatriate profits.
- The development of complex financial products, such as derivatives,, has enabled global credit markets to grow rapidly.
- Increased em>trade which has become increasingly free, following the collapse of communism, which has opened up many former communist countries to inward investment and global trade. Over the last 30 years, trade openness, which is defined as the ratio of exports and imports to national income, has risen from 25% to around 40% for industrialised economies, and from 15% to 60% for emerging economies.
- The emergence of footloose multinational and transnational companies (MNCs and TNCs) and the rise in the significance of global brands such as Microsoft, Apple, Google, Sony, and McDonalds, has been central to the emergence of globalisation. The drive to reduce tax burdens and avoid regulation has also meant the establishment of complex international business structures.

**The advantages of globalisation**

Globalisation brings a number of potential benefits to international producers and national economies, including:

- Providing an incentive for countries to specialise and benefit from the application of the principle of comparative advantage.
- Access to larger markets means that firms may experience higher demand for their products, as well as benefit from economies of scale, which leads to a reduction in average production costs.
- Globalisation enables worldwide access to sources of cheap raw materials, and this enables firms to be cost competitive in their own markets and in overseas markets. Seeking out the cheapest materials from around the world is called global sourcing. Because of cost reductions and increased revenue, globalisation can generate increased profits for shareholders.
- Avoidance of regulation by locating production in countries with less strict regulatory regimes, such as those in many Less Developed Countries (LDCs).
- Globalisation has led to increased flows of inward investment between countries, which has created benefits for recipient countries. These benefits include the sharing of knowledge and technology between countries. In the long term, increased trade is likely to lead to the creation of more employment in all countries that are involved.

**The disadvantages of globalisation**

There are also several potential disadvantages of globalisation, including the following:

- The over-standardisation of products through global branding is a common criticism of globalisation. For example, the majority of the world's computers use Microsoft's Windows operating system. Clearly, standardising of computer operating systems and platforms creates considerable benefits, but critics argue that this leads to a lack of product diversity, as well as presenting barriers to entry to small, local, producers.
- Large multinational companies can also suffer from diseconomies of scale, such as difficulties associated with coordinating the activities of subsidiaries based in several countries.
- Many as a considerable disadvantage of globalisation also see the increased power and influence of multinationals. For example, large multinational companies can switch their investments between territories in search of



the most favourable regulatory regimes. MNCs can operate as local monopsonies of labour, and push wages lower than the free market equilibrium.

- Critics of globalisation also highlight the potential loss of jobs in domestic markets caused by increased, and in some cases, unfair, free trade. This view certainly accounts for the some of the rise in nationalist movements in many developed economies, along with the push for increased protectionism.

- Globalisation can also increase the pace of deindustrialisation, which is the slow erosion of an economy's manufacturing base.

- Jobs may be lost because of the structural changes arising from globalisation. Structural changes may lead to structural unemployment and may also widen the gap between rich and poor within a country.

- One of the most significant criticisms of globalisation is the increased risk associated with the interdependence of economies. As countries are increasingly dependent on each other, a negative economic shock in one country can quickly spread to other countries. For example, a downturn in car sales in the UK affects the rest of Europe as most cars bought in the UK are imported from the EU. The Far East crisis of the 1990s was triggered by the collapse of just a few Japanese banks.

Most recently, the collapse of the US sub-prime housing market triggered a global crisis in the banking system as banks around the world suffered a fall in the value of their assets and reduced their lending to each other. This created a liquidity crisis and helped fuel a severe downturn in the global economy.

Over-specialisation, such as being over-reliant on producing a limited range of goods for the global market, is a further risk associated with globalisation. A sudden downturn in world demand for one of these products can plunge an economy into a recession. Many developing countries suffer by over-specialising in a limited range of products, such as agriculture and tourism.

- Globalisation generates winners and losers, and for this reason it is likely to increase inequality, as richer nations benefit more than poorer ones. The awareness of rising inequality, along with job losses, has been argued to have contributed to the rise in anti-globalisation movements.

- Increased trade associated with globalisation has increased pollution and helped contribute to CO2 emissions and global warming. Trade growth has also accelerated the depletion of non-renewable resources, such as oil.

#### **The impact of globalisation on the UK economy**

The main issues arising from globalisation for the UK are:

##### **Growth**

Assuming the UK maintains its competitiveness, globalisation is likely to increase UK growth in the long term because aggregate demand (AD) is likely to increase through increased exports (X), and aggregate supply (AS) is likely to increase because of higher levels of investment, both domestic and foreign direct investment (FDI). However, growth in the short term may become more unstable as the global economy becomes increasingly interconnected. The recent credit crunch is evidence that unstable growth is a possible consequence of globalisation. Some economists have also argued that globalisation has increased the process of deindustrialisation in the developed countries, including the UK.

##### **Employment**

Long term, jobs may be destroyed in the manufacturing sector and created in the service sector, hence creating structural unemployment, which could widen the income gap within countries. The net effect of the impact on employment depends upon the speed of labour market adjustment, which itself depends upon mobility and flexibility. Improvements in labour productivity may be needed to close the productivity gap.

##### **Prices**

Increased competition is likely to reduce the price level, for traded manufactures. Because UK firms can source from around the world costs may be held down, and this may be passed on in terms of reduced domestic and export prices.

##### **Trade**

The volume of both imports and exports is likely to increase, with trade representing an increasing proportion of GDP. The effect on the balance of payments is uncertain and depends upon relative growth rates, inflation, competitiveness, and the exchange rate.



**P. Sankess**

**Globalisation  
Summary**

Globalisation refers to the integration of markets in the global economy, leading to the increased interconnectedness of national economies. Markets where globalisation is particularly common include financial markets, such as capital markets, money and credit markets, and insurance markets, commodity markets, including markets for oil, coffee, tin, and gold, and product markets, such as markets for motor vehicles and consumer electronics. The globalisation of sport and entertainment is also a feature of the late 20th and early 21st centuries.

**პ. სანკესი**

**გლობალიზაცია  
რეზიუმე**

გლობალიზაცია მოიცავს ბაზრების ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში, რაც განვითარებადი ეროვნული ეკონომიკების ურთიერთანამშრომლობის და კავშირების გაღრმავებას მოითხოვს. ეკონომიკური ბაზრების გლობალიზაცია ავტომატურად მოიცავს მისი სტანდარტული შემადგენელის – ფინანსური ბაზრების, კაპიტალის, სადაზღვევო, საინვესტიციო, კრედიტისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრებს. ასევე, მსხვილი დარგობრივი სასაქონლო ერთეულების – ნავთობის, ყავის, ოქროს, ავტომანქანების, ციფრული და ელექტრონული დანადგარების სასაქონლო ბირჟებს. ხოლო მე-20 და 21-ე საუკუნის დასაწყისიდან გლობალიზაციის ეკონომიკურ გარემოში მოიქცა სპორტი და გართობის ინდუსტრიაც.



## გ. სასოკია

### ეფექტიანობის აუდიტი – აუდიტის თვისობრივად განსხვავებული ტიპი

ცნობილია, რომ საჯარო აუდიტი, ტრადიციულად, ასოცირდება ბუღალტრულ ჩანაწერებთან და ფინანსურ ანგარიშგებასთან, რომლის უტყუარობის და კანონიერების შეფასება ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში ხორციელდება. თუმცა, ფინანსურ და შესაბამისობის აუდიტებთან ერთად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობაში დაინერგა აუდიტის თვისობრივად განსხვავებული ტიპი-ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც ორიენტირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების საქმიანობის რეალური შედეგებისა და ამ შედეგების მისაღწევად განხორციელებული ღონისძიებების შეფასებაზე, რაც ხელს უწყობს საჯარო რესურსების უფრო ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტიანად განკარგვას.

მსოფლიო ეკონომიკურმა გლობალიზაციამ და საგარეო ეკონომიკური კავშირების გაღრმავებამ დღის წესრიგში დააყენა მოქმედი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლის ფორმებისა და მეთოდების უნიფიცირების აუცილებლობა; ამასთან, შექმნილია ისეთი საერთაშორისო და რეგიონალური კონტროლის ორგანიზაციები, როგორცაა: – უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაცია (INTOSAI), უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების ევროპის ორგანიზაცია (EUROSAI), უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების აზიის ორგანიზაცია (ASOSAI), უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო კონგრესი და დსთ-ს წევრები ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების ხელმძღვანელთა საბჭო (BOFKCHГ) და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ყველაზე უფრო ეფექტიან და საერთაშორისო დონეზე აპრობირებულ ფორმად მიჩნეულია ზოგადი აუდიტი და მისი ცალკეული სახეობები, როგორცაა:

**ფინანსური აუდიტი**, რომლითაც დგინდება ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ დადგენილ პრინციპებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა;

**შესაბამისობის აუდიტი**, რომლითაც მოწმდება კერძო ბიზნესში ბუღალტრული აღრიცხვის პერსონალის მიერ ადმინისტრაციის მხრიდან დადგენილი პროცედურების დაცვა, ბანკებთან და სხვა კრედიტორებთან დადებულ კონტრაქტებში იურიდიული ნორმების დაცვის მდგომარეობა და სხვ. იგი ლოგიკური ხასიათისაა და მისი შედეგები მიეწოდება მხოლოდ შემომწმებას დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფს;

**ეფექტიანობის აუდიტი**, რომლითაც მოწმდება ორგანიზაციის (ფირმის) ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურები მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით; იგი მოიცავს ხარჯთა ნუსხის შესრულების, ეფექტიანობისა და მიზნობრივი პროგრამების შემომწმებას, განსაზღვრავს, კანონმდებლობით ან შესაბამისი ორგანოების მიერ დაწესებული მოგების ან სასურველი შედეგების მიღწევის ხარისხს, ორგანიზაციის ფუნქციონირების ეფექტიანობას და მოცემული პროგრამის მიმართ გამოყენებული კანონების და წესების დაცვას ფირმის მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ფინანსური კონტროლის, არა როგორც მომხდარ სამეურნეო კანონდარღვევათა გამოვლენის ფუნქციაზე, არამედ ამ კანონდარღვევათა თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებაზე, რაც სრული ფინანსური წესრიგის თვით დამყარების ერთ-ერთი საფუძველია; სრულ ფინანსურ კონტროლს კი უნდა ჰქონდეს უწყვეტი და მუდმივი ხასიათი, რომელიც, ბუნებრივია, ვერ შესრულდება მხოლოდ გარე კონტროლის ფორმით, ამიტომ სახელმწიფო ფინანსური კონტროლის უწყვეტობისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია შიდა და გარე კონტროლის ფორმების შეთანაწყობა, თუმცა არ უნდა გამოირიცხოს პრიორიტეტი გარე ფინანსური კონტროლის ორგანოებისა, რომლებსაც თავიანთ საქმიანობაში შეუძლიათ გამოიყენონ და დაეყრდნონ შიდა კონტროლის მასალებს და ამით განთავისუფლდნენ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების დეტალური შემომწმებისაგან, ხოლო თავიანთი საქმიანობა უფრო სრულად მიმართონ სახელმწიფო სახსრებისა და ქონების მართვის ეფექტიანობის განსაზღვრისაკენ.

ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც უკვე აპრობირებულია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში და ფინანსური კონტროლის ახალი და პროგრესული ფორმაა, წარმოადგენს ჩვენში ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმებისა და მეთოდებისაგან რადიკალურად განსხვავებული ფორმას, რომელიც მოიცავს შესასწავლ საკითხთა ფართო და არაერთგვაროვან წრეს, რაც გულისხმობს არა მარტო აღრიცხვისა და ფინანსების სიღრმისეულ ცოდნას, არამედ ითვალისწინებს ეკონომიკურ-იურიდიული ცოდნის



ფართო მასშტაბებს და საინჟინრო-ტექნოლოგიური და შესაბამისი დარგების მაღალ პროფესიულ დონეზე დაუფლებას;

გარდა ამისა, ეფექტიანობის აუდიტის ფართოდ დანერგვისათვის ხელშემშლელია არამდგრადი საბიუჯეტო სისტემა და არაჯანსაღი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა, არასრულყოფილი საგადასახადო და საბაჟო სისტემები, სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკისა და ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების დაბალი დონე და რაც მთავარია, ეფექტიანობის აუდიტის სამართლებრივ-მეთოდური საფუძვლების არარსებობა; ამასთან, ეფექტიანობის აუდიტის პრაქტიკაში დანერგვა ხდება საბიუჯეტო პროცესის პროგრამულ დაფინანსებაზე სრულად გადასვლის შემდეგ და სახელმწიფო ბიუჯეტში აისახოს ცალკეული სახელმწიფო პროგრამების შედეგების ინდიკატური მაჩვენებლები. ქ. ლიმაში (პერუ) გამართულ საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) IX კონგრესზე მიიღეს საფინანსო კონტროლის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ დეკლარაცია, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოების საქმიანობის პრაქტიკაში ეფექტიანობის აუდიტის შემოღება და დამკვიდრება.

INTOSAI-ს სტანდარტების შესაბამისად, ქვეყნის სახელმწიფო საფინანსო კონტროლის უმაღლეს ორგანოს შეუძლია ჩაატაროს ეფექტიანობის შემოწმებები და გააკეთოს დასკვნები იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტურად გამოიყენება საბიუჯეტო სახსრები.

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის პრაქტიკაში **ეფექტიანობის აუდიტის შემოღება განპირობებულია** შემდეგი გარემოებებით:

- სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ქმედითუნარიანობის, შედეგიანობისა და ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობით;
- აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობის არსებითი გაუმჯობესების აუცილებლობით;
- სახელმწიფო სახსრების მიმღები ორგანიზაციების საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესებით;
- საქმიანობის შედეგების მიხედვით ბიუჯეტიდან თვითდაფინანსებაზე გადასვლის პერსპექტივით.

ეფექტიანობის აუდიტი, ტრადიციულ ფინანსურ აუდიტთან შედარებით, მოიცავს ახალ ამოცანებს და მნიშვნელოვნად აფართოებს სახელმწიფო საფინანსო კონტროლის საგანსა და მიზნებს.

**ეფექტიანობის აუდიტის მიზნებს წარმოადგენს:**

- სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვა სახელმწიფო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება და ანალიზი;
- აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის ოპტიმიზაციის შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება;
- სახელმწიფო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება.

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, **ეფექტიანობის აუდიტის ამოცანები** შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ:

- მხარჯავი დანებებულებებისათვის საბიუჯეტი რესურსების გამოყოფის მიზანშეწონილობის ანალიზი;
- საბიუჯეტო სახსრების გამოყენების თავისდროულობისა და სისრულის შეფასება;
- საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა რესურსების ეკონომიკურად გამოყენების შეფასება და ანალიზი;
- საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შეფასება და ანალიზი;
- საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურად გამოყენების მიზნობრივ-შედეგობრივი ანალიზი;
- საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციის დამუშავება;
- აღნიშნული რეკომენდაციებისა და წინადადებების რეალიზაციის შედეგების შეფასება.

**ეფექტიანობის აუდიტის ცნება** გამომდინარეობს საფინანსო კონტროლის სფეროში მისი ადგილიდან, იგი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

ეფექტიანობის აუდიტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება სახელმწიფო რესურსების გამოყენების სფეროში მათ მიერ სახელმწიფო ფუნქციების შესრულებისას, აგრეთვე რეკომენდაციების შემუშავება მათი საქმიანობის სრულყოფისათვის.

**ეფექტიანობის აუდიტის სახეები** შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:





• აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ცალკეული სახელმწიფო ფუნქციების შესრულების ეფექტიანობის აუდიტი;

- სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ეფექტიანობის აუდიტი;
- სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ეფექტიანობის აუდიტი;
- სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების ეფექტიანობის აუდიტი;
- სახელმწიფო-საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის აუდიტი;
- სახელმწიფო საკუთრების გამოყენების ეფექტიანობის აუდიტი;
- სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების სახსრების გამოყენების ეფექტიანობის აუდიტი;
- სამენარმეო საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტი.

**ეფექტიანობის აუდიტის პრინციპებმა** უნდა უზრუნველყონ მისი შედეგიანობა, ქმედითობა და ეკონომიურობა; ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ისეთი პრინციპების დაცვა, როგორცაა სისტემურობა, მეცნიერულობა, ობიექტურობა, დამოუკიდებლობა, საჯაროობა.

**ეფექტიანობის აუდიტის კრიტერიუმები** – ეს არის მაჩვენებელთა ერთობლიობა, რომლებიც ასახავენ აუდიტის ობიექტის საქმიანობის სხვადასხვა მხარეებს.

ეფექტიანობის კრიტერიუმებად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ შემდეგი მაშვინებლები:

შედეგიანობა-კრიტერიუმი, რომლებიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამათუიმ საქმიანობის შედეგი. იგი გამოიყენება მიზნობრივი პროგრამების, ფინანსური და მატერიალური რესურსების გამოყენების, მართვის სისტემის ეფექტიანობის შესაფასებლად.

ეკონომიურობა – კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს დანახარჯებს დასახული მიზნების მისაღწევად. ეს დანახარჯები შეიძლება იყოს ნორმატიული, ზენორმატიული და ეკონომიკური.

**ეფექტიანობის აუდიტის მაჩვენებლები შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:**

- ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებლები;
- ეფექტიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლები;
- ეფექტიანობის შედარებითი მაჩვენებლები.

ეფექტიანობის ზემოაღნიშნული მაჩვენებლების ერთობლიობის სისტემური ანალიზი საშუალებას იძლევა, წარმოვადგინოთ ამა თუ იმ ორგანოს საქმიანობის ან სახელმწიფო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის სრული სურათი.

ეფექტიანობის აუდიტის კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების გაანგარიშების საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს შესამონმებელი ობიექტის სტატისტიკური, ოპერატიული და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მონაცემები, ხარჯთანუსხები, რესურსები, გამოყენების ნორმატივები, სხვადასხვა ხელშეკრულებები, ბრძანებები, საგადასახადო, საბაჟო და სხვა ფისკალური ორგანოების მონაცემები და ა.შ.

**ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების პროცესი შეიძლება ოთხ ეტაპად დაიყოს:**

1. მოსამზადებელი ეტაპი;
2. კონტროლის ეტაპი;
3. ანალიზის ეტაპი;
4. სინთეზის ეტაპი.

მოსამზადებელი ეტაპი მოიცავს: ეფექტიანობის აუდიტის საგნისა და ობიექტის განსაზღვრას; ეფექტიანობის აუდიტის კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების დამუშავებას; შემონმების პროგრამასა და სამუშაო გეგმის შემუშვებას.

ამ მიზნით მისაღწევად აუცილებელია შემდეგი სამუშაოების შესრულება:

- საკანონმდებლო ნორმატიული დოკუმენტების გამოკვლევა;
- ეფექტიანობის აუდიტის ობიექტის საქმიანობის შედეგების ანალიზი;
- შესამონმებელი ობიექტის სისტემისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი;
- წინა შემონმების მასალების ანალიზი;
- შესამონმებელი ობიექტების საქმიანობის ეფექტიანობის ამსახველი კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების დამუშავება.

ამ ეტაპის დასკვნითი დოკუმენტები არის შემონმების პროგრამა და სამუშაო გეგმა, სადაც ნათლად უნდა იყოს ფორმირებული შემონმების მიზანი და ამოცანები, შემონმების საგანი, შემონმების ვადები, მასშტაბები, მეთოდიკა, ეფექტიანობის კრიტერიუმები და მაჩვენებლები.



უშუალოდ, კონტროლის განხორციელების ეტაპი წარმოადგენს შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის ეფექტიანობის განსაზღვრას პროგრამით დადგენილი კრიტერიუმის მიხედვით, ამ ეტაპის დასკვნით ნაწილს წარმოადგენს აქტის პროექტის მომზადება, სადაც ასახული იქნება ობიექტის საქმიანობის ნაკლოვანებები და შეფასებულ იქნება მისი ეფექტიანობა.

შემომწმების ანალიტიკურ ეტაპზე ხორციელდება ობიექტის საქმიანობის შედეგების ფაქტორული ანალიზი, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენა, ეფექტიანობის შეფასება და მასზე ფაქტორების ანალიზი.

ამ ეტაპის დასკვნითი დოკუმენტები არის შემომწმების აქტი შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ და საბუთებულის დასკვნებით.

სინთეზური ეტაპი წარმოადგენს შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის ეფექტიანობის ამალღების შესახებ კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავების პროცესს. რეკომენდაციების შემუშავებისას მიზანშეწონილია **მათი კლასიფიკაცია შემდეგი მიმართულებით:**

- სოციალური;
- ორგანიზაციული;
- ეკონომიკური;
- სამართლებრივი;
- ინფორმაციული; და
- ტექნოლოგიური.

დასკვნითი დოკუმენტი ამ ეტაპისათვის შეიძლება იყოს ანალიტიკური მოხსენება.

ეფექტიანობის აუდიტის შედეგების მიხედვით შემომწმების აქტის საფუძველზე მზადდება ანგარიშგება, რომელშიც ასახულ უნდა იქნეს შემომწმების პროგრამის ყველა საკითხი, აგრეთვე საქმიანობის გაუმჯობესების წინადადებები და რეკომენდაციები. ანგარიშგება უნდა იყოს სრული, ობიექტური და ლაკონური.

**ეფექტიანობის აუდიტის შედეგების რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმით:**

- წარდგინება;
- ანალიტიკური მოხსენება;
- საკანონმდებლო ინიციატივა; და
- წერილი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონტროლის პალატამ (ამჟამად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური), როგორც სახელმწიფო საფინანსო ეკონომიკური კონტროლის უმაღლესმა ორგანომ, ჯერ კიდევ 2008 წლის 26 დეკემბრიდან “საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ” ახალი კანონის ამოქმედებიდან, აღიარა რა უმაღლესი აუდიტორული და მაკონტროლებელი ორგანოები საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებები და ხელმძღვანელობდა მათ მიერ დეკლარირებული ძირითადი პრინციპებით, ატარებდა, ფინანსური და შესაბამისობის აუდიტებთან ერთად, ეფექტიანობის აუდიტსაც. კონტროლის პალატის საქმიანობის ამ მიმართულებით წარმართვა ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების ფონდის (GTZ), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და სხვა ღონისძიებათა ხელშეწყობით შემუშავებული “საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების 5 წლიანი გეგმის” (2010 წლამდე), რომლის მიზანი იყო კონტროლის პალატის ჩამოყალიბება საჯარო სექტორის თანამედროვე დამოუკიდებელ აუდიტორულ სამსახურად. ზემოაღნიშნული 5წლიანი გეგმის რეალიზაცია ნიშნავდა იმას, რომ მას, როგორც დამოუკიდებელ აუდიტორულ სამსახურს დამოუკიდებლად შეემომწმებინა საზოგადოებრივი სექტორის ფუნქციონირების ეფექტიანობა და პასუხისმგებლობა, უფრო ღირებული გაეხადა საჯარო სექტორის საქმიანობა და მის უპირველეს ამოცანად გადაიქცეულიყო საქართველოს საჯარო სექტორის ანგარიშგების ადმინისტრირების, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების დამოუკიდებლობის გარანტიების უზრუნველყოფა; ამასთან, ამით კონტროლის პალატამ ხელი შეუწყო საჯარო ადმინისტრირების გაუმჯობესებას საჯარო სექტორის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების საფუძველზე.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო აუდიტის სამსახური უწყებრივად, ფუნქციონალურად და ფინანსურად დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე. იგი ხელს უწყობს საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას, რაც გულისხმობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საკანონმდებლო ორგანოსთვის საჯარო ფინანსების ადმინისტრირების შესახებ სრულფასოვანი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნული ფუნ-



ქციის სრულყოფილად შესრულებისთვის საჭიროა უმაღლესი აუდიტორული ორგანო იყენებდეს საერთაშორისო პრაქტიკით მიღებულ თანამედროვე მიდგომებს და ითვალისწინებდეს საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში მიმდინარე რეფორმებს. ეფექტიანობის აუდიტი, ფინანსურ და შესაბამისობის აუდიტთან ერთად, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) სტანდარტებით განსაზღვრული აუდიტის ერთერთ ტიპი, რომელიც ამჟამად მსოფლიოს წამყვანი აუდიტორული ორგანოების საქმიანობის ძირითად ნაწილს შეადგენს.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. მელქაძე ო. საფინანსო კონტროლი ევროპულ ქვეყნებში, თბ., 1999 წ.
2. მესხია ი. სახელმწიფო ფინანსური კონტროლი. განვითარების კონცეფცია, თბ., 2006 წ.
3. მილიჩევიჩი ა.ჰ. აუდიტი, თბ., 2012 წ.
4. სახოკია გ.,ზაქარაძე ი.,მუჯირიშვილი ვ. ფინანსური კონტროლის საფუძვლები, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს კონტროლის პალატის პროექტი,სახელმწიფო კონტროლის სისტემის ქმედუნარიანობის გაძლიერება“, უნდპ, თბ., 2006 წ.
5. სახოკია გ.,ივანაშვილი შ., სახოკია გ.გ. სასამართლოსაბუღალტრო ექსპერტიზა, სახელმძღვანელო, თბ.,2010 წ.
6. სახოკია გ., ანანიძე ჯ., გიორგიძე ბ., ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2016 წ.
7. საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“.
8. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.
9. ლიმას (პერუ) დეკლარაცია საფინანსო კონტროლის დირექტივების შესახებ.



**გ. სახოკია**

**ეფექტიანობის აუდიტი – აუდიტის თვისობრივად განსხვავებული ტიპი რეზიუმე**

ცნობილია, რომ აუდიტორული კონტროლის დანიშნულებაა შესამოწმებელი ობიექტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ობიექტური და სამართლიანი ინფორმაციით უზრუნველყოფა, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შეფასება და აუდიტის დამკვეთთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; აუდიტორული კონტროლის გამოყენების პრაქტიკა აპრობირებულია და მიღებულია საზღვარგარეთის ქვეყნებში ამ დროს აუდიტორული კონტროლის დამკვეთი სახელმწიფოა; განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობაა სახელმწიფო საფინანსო და აუდიტორულ კონტროლს შორის, რაც ვლინდება სახელმწიფოს მიერ აუდიტორული ფირმების მომსახურების გამოყენებით ისეთი, ცალკეული სახელმწიფო საფინანსო ფუნქციების შესასრულებლად, როგორცაა სახელმწიფო პროგრამების, სუბსიდიების, კონტრაქტების ეფექტიანობის კონტროლი.

ეფექტიანობის აუდიტი, რომელსაც უკვე საქართველოს კონტროლის პალატა, ხელმძღვანელობს რა საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანიზაციების დეკლარირებული ძირითადი პრინციპებით, ჯერ კიდევ 2008 წლის 26 დეკემბრიდან „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ კანონის ამოქმედებიდან, ატარებს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტებთან ერთად, დღევანდელ ეტაპზე მეტად საჭირო და აქტუალურია სახელმწიფო კონტროლის ქმედითუნარიანობის, შედეგიანობისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

**G. Sakhokia**

**Performance Audit – Qualitatively Different Type of Audit Summary**

It is known that the purpose of auditing is to provide objective and fair information and financial status of the verification unit, also assessment of the organization's financial condition and satisfaction of audit clients' needs.

Auditing practice is approved and accepted in foreign countries, where the client of auditing service is the state. In the countries of developed market economy there is a close relationship and cooperation between state financial control and private audit companies. Usually it is revealed by using auditing firms' services by the state to fulfill some state financial functions such as control of state programs, subsidies and effectiveness of contracts. Georgia's Chamber of Control declares the basic principles of international controlling organizations and also a new law of "Georgian Chamber of Control" adopted on December 26, 2008. On this basis, Georgia's Chamber of Control conducts efficiency audit together with financial and compliance audits. This is very necessary and relevant for improvement the capacity and efficiency of the state control.



**ლ. ტაბატაძე**

**მცირე და საშუალო ბიზნესის აღმინისტრირება ევროკავშირის**

კლასიკური განმარტებით, სიტყვა ბიზნესი მიიჩნევა როგორც სამეურნეო საქმიანობა და საქმიანი ურთიერთობა მის მონაწილეებს შორის, რომელთა მიზანია ეკონომიკური სარგებლის მიღება მოგების ან სხვა ფორმით. ბიზნესის კერძო შემთხვევას კი მენარმეობა წარმოადგენს, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მენარმის პიროვნებასთან.

აღსანიშნავია, რომ მენარმეობამ, როგორც ფენომენმა ევოლუციის და მეცნიერული გააზრების რამდენიმე ეტაპი განიცადა. მენარმეობის, როგორც ტერმინის პირველად გამოყენება უკავშირდება ფრანგ ბანკირსა და ფინანსისტს რ. კანტილიონს. იგი მენარმეს აიგივებდა ინდივიდთან, რომელსაც შეეძლო საკუთარ თავზე რისკის აღება და რომელიც მზად იყო არა მხოლოდ მოგებისთვის, არამედ დანაკარგებისთვისაც.

მენარმეობის როგორც ეკონომიკური გაგების მეორე ეტაპი უკავშირდება ავსტრიელ ეკონომისტსა და მეცნიერს ი. შუმპერტს, რომელიც მთავარ აქცენტს ინოვაციებისა წარმოების ახლებური მეთოდების მხარდაჭერაზე აკეთებდა. მენარმეობის ევოლუციის მესამე ეტაპი წინა პლანზე სწევს უშუალოდ მენარმის პიროვნულ თვისებასა და უნარჩვევებს. აღნიშნული იდეის მთავარი მიმდევარი იყო უდიდესი ეკონომისტი და მეცნიერი ფ. ჰაიეკი. მენარმეობის მეცნიერული გააზრების თანამედროვე ეტაპი შესაძლებელია მიეკუთვნოს მეოთხე ეტაპს, რომლის დროსაც აქცენტები გადატანილია მენარმის მენეჯერულ შესაძლებლობებზე. მაშასადამე, მენარმეობა მოიცავს როგორც სანარმოო ასევე, სავაჭრო შემსყიდველ, სამრეწველო-ინოვაციურ საქმიანობას, კომერციულ შუამავლობასა და სხვა.

პირველი მცირე ბიზნესის აქტი (Small Business Act), მიღებული იყო 1953 წელს აშშ-ში, რომლის საფუძველზეც 1958 წელს მიღებულ იქნა მცირე ბიზნესის დასაქმების აქტი (Small Business Jobs Act), რამაც სერიოზული ბიძგი მისცა მსოფლიო ბიზნესის ახალ ეკონომიკურ წესრიგს [შატბერაშვილი ო., 2015: 50]

მოგვიანებით 2000 წელს იტალიაში ქალაქ ბოლონიაში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), მიერ მოწვეულ მინისტრების კონფერენციაზე, 47 ქვეყანამ მოაწერა ხელი „მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ პოლიტიკის ქარტიას“ [შატბერაშვილი ო., 2015: 51, ]რომელმაც ხაზი გაუსვა მცირე და საშუალო საწარმოების მნიშვნელობას ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების შექმნის, რეგიონული და ადგილობრივი განვითარების, სოციალური ერთობის, ქალთა და ახალგაზრდობის ბიზნესში ჩართვის მიმართ. ქარტიაში ასევე აღნიშნული იყო რომ მრავალი რეკოლუციური ინოვაცია სწორედ მცირე საწარმოების მიერ არის ინიცირებული და განხორციელებული.

ამჟამად ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის ერთიანი განსაზღვრება მოქმედებს. ძირითადი ინდიკატორები რომლითაც მცირე და საშუალო საწარმოებისთვის კატეგორიის მიკუთვნება ხდება არის: დასაქმებულთა რიცხოვნობა, წლიური ბრუნვა და საბალანსო ღირებულება. (იხ. ცხრილი1.) [European Small..., 2017: 79]:

**ცხრილი1. მცირე და საშუალო საწარმოების განსაზღვრება ევროკავშირის ქვეყნებში**

საწარმო	რიცხოვნობა	წლ.ბრუნვ.ევრო	საბალანს.ღირებ.ევრო
საშუალო	<250	<50 მლნ	43 მლნ
მცირე	<50	<10 მლნ	10 მლნ
მიკრო	<10	<2 მლნ	2 მლნ

საინტერესოა ასევე, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მშპ-ს განაწილება საწარმოების ზომის მიხედვით. (იხ ცხრილი2) [შატბერაშვილი ო., 2015: 54]

**ცხრილი 2. მშპ-ს განაწილება საწარმოების ზომის მიხედვით, %.**  
**(2013– 2014წ)**

ქვეყნები	მიკრო	მცირე	საშუალო	დიდი
ევროგაერთიანება	30	22	18	30
დიდი ბრიტანეთი	20	18	16	46
ირლანდია	18	18	22	42
შვეიცარია	29	24	20	27
ისრაელი	27	22	20	31





აშშ	22	14	14	50
კანადა	28	18	19	35
საქართველო	-----	7	8	85

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან სჩანს მსოფლიოს მონინავე ქვეყნების მშპ– ში განსაკუთრებით დიდა მცირე და საშუალო საწარმოების წილი. შეიძლება ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში მცირე და დიდი საწარმოების წილი მშპ– ში თითქმის თანაბარია.

ევროკავშირის წვერი ქვეყნების ეკონომიკური წარმატება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია, ზემოაღნიშნულ ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობითა და იმ კომპლექსური ღონისძიებების რეალიზებით, რომელიც ასახულია ევროპა 2020 გეგმაში და ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოების სტიმულირებას კერძოდ:

- მცირე და საშუალო საწარმოების მენეჯერების გადამზადების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- გაკოტრებისა და კონკურენციის სფეროებში მცირე და საშუალო საწარმოთათვის წესების გამარტივება;
- ხელახალი დაწყების შანსის მიცემა იმ მენარმეებისათვის, რომლებმაც გაკოტრება განიცადეს;
- სახელმწიფოსა და ევროკავშირის დაფინანსების მიზანმიმართვა დამწყები და ინოვაციური ფირმების, მიკრო– საწარმოებისა და სხვა სარისკო ინიციატივებისკენ;
- კრედიტის წვდომის გამარტივება და საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაში დახმარება როგორც კოლაბორაცია და საგარეო ბაზრების წვდომა;
- კანონით გათვალისწინებულ შეთხვევებში, გადასახადების დაბრუნების, კონსულტაციებისა და ინფორმაციის მიღების გაადვილება;
- მცირე და საშუალო საწარმოთაგან სახელმწიფო შესყიდვების გათვალისწინება;
- საერთო დაბეგვრის შემსუბუქება და ანგარიშგების გამარტივება;
- პოლიტიკურ დონეზე მცირე საწარმოთა ინტერესების წარმოდგენის გაძლიერება;
- მცირე და საშუალო საწარმოთა საქიროების მიმართ საჯარო ადმინისტრაციების მგრძობელობის ამაღლება;
- მცირე და საშუალო საწარმოთათვის სამეცნიერო კვლევის წვდომის გაუმჯობესება და სხვა [ასლამაზიშვილი ნ., 2014: 19– 20]

მეორე უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი რამაც ევროკავშირის წვერი ქვეყნების წარმატება გაპირობა არის ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის ტენდენცია, რომელიც თვისმხრივ აქტიურადაა მხარდაჭერილი სახელმწიფოს მხრიდან. ევროკავშირში ინოვაციურ მცირე საწარმოებს უწოდებენ ისეთ საწარმოებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

- ბოლო სამი საანგარიშო წლიდან კვლევისა და შემუშავებაზე განეული ერთ– ერთი წლის ხარჯები უნდა აღემატებოდეს ბრუნვის 15%– ს;
- ევროკავშირის წვერმა სახელმწიფომ უნდა დაადასტუროს, რომ საწარმოს პროდუქცია და მუშაობის მიმართულება კონკურენტუნარიანია ევროკავშირის ბაზარზე;
- საწარმო ახალგაზრდა უნდა იყოს, მისი მაქსიმალური ასაკი 6 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

ამასთანავე, ევროკავშირში შემავალმა ქვეყნებმა ერთობლივად შეიმუშვეს მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც დამატებით მასტიმულირებელ ფაქტორებად ევლინებიან მცირე და საშუალო საწარმოებს, ესენია:

- ინოვაციის სფეროში მოქმედი და მისი მხარდაჭერი ისეთი ინსტიტუციების როგორც არის ბიზნეს– ინკუბატორები, ტექნოპარკები და სხვა, მათი უზრუნველყოფის ხარჯების დაფარვა სახელმწიფოს მხრიდან;
- საინოვაციო კლასტერების შესაქმნელად საჭირო კვლევისა და საორგანიზაციო სამუშოების ხარჯების დაფარვა;
- მცირე და საშუალო საწარმოების საინოვაციო პროცესების უზრუნველსაყოფად საჭირო უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების წამყვანი უნივერსიტეტებიდან ან დიდი საწარმოებიდან დროებით მოსაზიდად საჭირო ხარჯების დაფარვა;
- ახალგაზრდა მცირე ინოვაციური საწარმოების საინოვაციო პროექტების ხარჯების სრული ან ნაწილობრივი დაფარვა;



– კერძო საწარმოების მონაწილეობა საზოგადოებრივი სახსრებით დაფინანსებულ კვლევისა და შემუშავების პროგრამებში, (როგორც ეროვნულ ასევე საერთო ევროპულში) [შატბერაშვილი ო., 2015: 55– 56]

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოდ აღიარებულია ამ კატეგორიის (მცირე და საშუალო საწარმოები) მნიშვნელობა სამუშაო ადგილების შექმნისა და ზრდისთვის, ევროკავშირში მათ მიმართ განსახორციელებელი პოლიტიკა ჯერ კიდევ საჭიროებს სრულყოფასა და დახვეწას, აღნიშნული საკითხი კი ინტენსიური კვლევის საგანს წარმოადგენს.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ასლამაზიშვილი. ნ. „ინოვაციების მხარდამჭერი საფინანსო ინსტრუმენტები, საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია,“ გამომცემლობა თბ.2014;
2. შატბერაშვილი. ო. და სხვები, „ევროგაერთიანების აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა გზამკვლევი“, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, გამომცემლობა თბ. 2015;
3. European Small Business Portal, 2017, <http://ec.europa.eu/small-business/index-en.htm>;
4. European Parliament, „Small and medium-sized enterprises“, 2017, <http://www.europarl.europa.eu/atyourservice/en/displayFtu.html?ftuid=FTU-5.9.2.html>;
5. Europe 2020, <http://ec.europa.eu/europe2020/index-en.htm>.

### ლ. ტაბატაძე

#### მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრირება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში რეზიუმე

ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა ფართოდაა აღიარებული მსოფლიოში და დღემდე ცნობილია, როგორც ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მართვის ყველაზე ეფექტური ფორმა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებ

ული ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც მიზანმიმართულია მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერისაკენ. წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრების ევროპული სტანდარტი, მათი დახმარების ღონისძიებები, ინოვაციების ხელშეწყობი და მხარდამჭერი კომპლექსური პოლიტიკა და სხვა.

### L. Tabatadze

#### Small and medium business administration in EU countries Summary

The liberal economic policy is widely spread in the world and it's known as the most effective form of managing country's economic system. To this side, it's worth mentioning the economic strategy that exists in the member countries of European Union, which is directed to maintain small and medium businesses. In the following article there is represented the European standard of small and medium business meanings, their developing activities, complex policy of innovation maintenance and etc.



## სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები

### 6. ახალაშვილი

#### მიღწევის მოტივაცია და პიროვნების ტიპოლოგია

მოტივაციას ქმნის ის მოთხოვნილებები და სტიმულები, რომლებიც ადამიანის მიერ არჩეულ ქცევის ფორმებს განსაზღვრავენ. მოტივაციის შესწავლისას ფსიქოლოგები იკვლევენ ქცევის გარკვეული ფორმების აღმძვრელ ფაქტორებს. ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს აზრები, გრძნობები, სხვადასხვანაირი საქციელი, მათი ნებისმიერი ნაზავი და ა.შ. [ახალაშვილი ნ., 2013: 111]. ქცევის აღმძვრელი მოტივების შესწავლა განსაკუთრებით რთული თემაა. ვაცნობიერებთ თუ არა, ზოგჯერ ჩვენი მოტივაციის საფუძველი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებია; მაგალითად, შიმშილი, წყურვილი, დასვენება და ა.შ. სხვა შემთხვევაში მოტივაცია ასახავს ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებს – ნახალისებას, მონონებას, შექების მიღებას, სიყვარულს და ა.შ. მოტივაცია მჭიდრო კავშირშია მიღწევებსა და წარმატებებთან, მაგრამ ის შეიძლება დამოუკიდებლადაც არსებობდეს. როდესაც ადამიანი ჭამს, სვამს, მართავს ავტომობილს, აცდენს ლექციას ან გაკვეთილს და სხვა, იგი მაინც მოტივირებულ მოქმედებებს ასრულებს. მოტივაციის საფუძველად ძვეს ის შინაგანი მოთხოვნილებები, რომლებიც მართავენ ადამიანს და უბიძგებენ მას განსხვავებული საქციელისადმი. თუკი ჩვენ შეგვეძლება საკუთარი მოთხოვნილებების გაცნობიერება, მაშინ შევძლებთ საკუთარი ქცევის მიზეზების ახსნას და საკუთარი მოტივების იდენტიფიცირებას [ახალაშვილი ნ., 2013: 113].

მოთხოვნილებების განსაზღვრა და აღმძვრელი მოტივების გარკვევა ყოველთვის არ არის შესაძლებელი. როდესაც ადამიანს სთხოვენ საკუთარი ქმედების ახსნას, იგი, ხშირად, სერიოზულ სიძნელეებს აწყდება. განსაკუთრებით საჩოთიროა საკუთარი „ცუდი“ საქციელის გამართლება. იგულისხმება, რომ ამ დროს ადამიანი სრულებით უუნაროა ცნობიერად და მიზანმიმართულად ჩაიღინა რაღაც „დანაშაულებრივი“. ამ აზრს მრავალი ფსიქოლოგი ეთანხმება და აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში ადამიანს მისი არაცნობიერი მართავს. არაცნობიერი მოტივაცია არის ადამიანის გაუცნობიერებული გრძნობები და მოთხოვნილებები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მის ქცევაზე. არაცნობიერი მოტივაცია ინდივიდს ეხმარება საკუთარ საქციელზე წარმოქმნილი დანაშაულის გრძნობისგან გათავისუფლებაში, რამდენადაც ეს საქციელი უნებლიედ ითვლება. ადამიანის მოტივაციური სფერო განვითარებადია მთელი ცხოვრების მანძილზე, მასში ინტეგრირებულია იერარქიულად ორგანიზებული სისტემა, რომელიც ასახავს მოთხოვნილების საგანს და ადამიანის მდგომარეობას [ახალაშვილი ნ., 2013: 118-122].

მოტივაცია და მოტივები ყოველთვის შინაგანადაა გაპირობებული, მაგრამ ასევე, გარკვეულწილად, დამოკიდებულია გარეგან ფაქტორებზეც და მათგან იღებენ ბიძგს. ამიტომ აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ გარემო პირობები, სიტუაცია ცვლის მოტივაციას მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ადამიანის მოთხოვნილებისა და სურვილების დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანი ხდებიან [Майерс Д., 1999: 88-93].

მიღწევის მოტივაცია არის მოტივაციის ერთ-ერთი სახე, რომელიც მიმართულია ნებისმიერი საქმის კარგად შესრულებაზე, ორიენტირებულია ისეთი შედეგების მიღწევაზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს წარმატების კრიტერიუმად. ასეთი საქმიანობებია: ინტელექტუალური, სპორტული, შემოქმედებითი, გარკვეული სოციალური უნარების დაუფლება და სხვა [Гордеева Т., 2006: 70-88].

მიღწევის მოტივაციაში გამოყოფენ ორ ტენდენციას: სწრაფვა წარმატების მიღწევისკენ და მარცხისგან გაქცევა. წარმატებაზე მოტივირებულობა დაკავშირებულია საქმის პროდუქტულად შესრულებასთან, ხოლო მარცხისგან გაქცევა – შფოთვისთან და დაცვით ქცევასთან [ზიმბარდო ფ., გერიგი რ., 2009: 491-492]. მეცნიერების ერთი ნაწილი მიიჩნევს რომ ეს ორი ტენდენცია „მიღწევის მოტივაციის“ ორი ურთიერთგამომრიცხავი პოლუსია; ვისაც აქვს წარმატების მოტივაცია, ის არ განიცდის მარცხის შიშს. სხვა ავტორები საუბრობენ, რომ სრულიად შესაძლებელია წარმატებაზე ორიენტირებულმა ადამიანმა განიცადოს მარცხის შიში, თუ ის დავალება, რასაც ასრულებს, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ან განსაკუთრებით დიდ ძალისხმევას მოითხოვს [Ильин Е., 2006: 21-44].

მიღწევის მოტივაციას ხსნიან ლოკუს კონტროლის ცნებით, რომელიც 1960 წელს ჯ. როტერმა შემოიტანა, რაც გულისხმობდა იმას, თუ სად მდებარეობს მომხდარის მიზეზი, პიროვნების შიგნით (ინტერნა-



ლური ანუ შინაგანი კონტროლი) თუ პიროვნების გარეთ (ექსტერნალური ანუ გარეგანი კონტროლი.) აქედან გამომდინარე არკვევენ, ადამიანი საკუთარ წარმატებას ან მარცხს გარეგან ფაქტორებს მიაწერს თუ საკუთარ თავს. წარმატების მიღწევაზე მოტივირებული ადამიანი წარმატებას საკუთარ თავს აწერს, მარცხს კი გარემოს; ხოლო მარცხისგან გაქცევაზე ორიენტირებული, წარმატებას გარემოს და შემთხვევითობას, მარცხს კი საკუთარ თავს და შესაძლებლობების არქონას [Ильин Е., 2006: 396-399].

განწყობის ფსიქოლოგიის ჭრილში ეს პრობლემა შეიძლება ასე გავაანალიზოთ: თუ ერთხელ ადამიანს განწყობა ჩამოუყალიბდა როგორც ქცევისთვის მზაობა, მაგალითად, განიცადა მარცხი გარკვეულ საქმიანობაში და გადააბრალა საკუთარ თავს, ავტომატურად მიიჩნია, რომ მას არაფერი გამოუვა, ამან კი დიდი კვალი დატოვა მის ცხოვრებაზე; მსგავსი შემთხვევის განმეორების შედეგად იგი ფიქსირდება, რის შედეგადაც სხვა სიტუაციაშიც კი განწყობის გენერალიზაციის გამო, იგივე განცდა უჩნდება, რაც საბოლოოდ იქცევა დისპოზიციად; შედეგად ადამიანი, ნებისმიერი გამოწვევების წინაშე აღმოჩენისას, ხელს ჩაიქნევს და ამბობს, რომ მას მაინც არაფერი გამოუვა [ნადირაშვილი შ., 2014: 38-46].

მიღწევის მოტივაციისთვის ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორებია: თვითფექტიანობა (რომელზეც საუბარი პირველად ა. ბანდურამ დაიწყო). ის გავლენას ახდენს მოტივაციურ, ემოციურ და კოგნიტიურ სფეროებზე; მან გამოყო თვითფექტიანობის ოთხი წყარო: საკუთარი წარმატების გამოცდილება, დაკვირვება სხვათა წარმატებაზე, ვერბალური დარწმუნება და ემოციური მდგომარეობის აღიარება. აქედან ყველაზე ეფექტური საკუთარი წარმატების გამოცდილებაა, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია სხვისი გამოცდილების გაზიარება და გათვალისწინება. ა. ბანდურა წერდა, რომ ადამიანები, რომლებიც არ არიან საკუთარ თავში დარწმუნებულნი და ეჭვის თვალთვლით უყურებენ წარმატებას, ამით ისინი წერენ საკუთარი ცხოვრების წარუმატებელ სცენარს, რომელსაც შემდეგ თვითონვე ამართლებენ [ზიმბარდო ფ., გერიგი რ., 2009: 580-582].

მიღწევის მოტივაცია ასევე დაკავშირებულია დავალების არჩევასთან, პრეტენზიის დონესა და რისკისადმი მიდრეკილებასთან. დ. მაკლელანდის და მისი კოლეგების მიერ დადგინდა, რომ მიღწევის მოტივაციასა და ინტელექტს შორის კორელაცია არ არსებობს, ანუ პიროვნების IQ-ზე არ არის დამოკიდებული, მისი მიღწევის მოტივაციის მაჩვენებელი [ზიმბარდო ფ., გერიგი რ., 2009: 489-491, მაკლელანდ დ., 2007: 61-75].

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომი ეხება სტუდენტების მიღწევის მოტივაციას; 18-25 წლის ასაკი, ე. ერიკსონის განვითარების სტადიების მიხედვით, ის პერიოდია, როცა ადამიანის პიროვნება უკვე ჩამოყალიბებულია და მიღწევის მოტივაციაც განვითარებული აქვს. როგორც დ. მაკლელანდი აღნიშნავს, 17 წლიდან უკვე ხდება მიღწევის მოტივაციის შესაძლო ცვლილებები. სტუდენტებს, თავიანთი მომავალი პროფესიიდან გამომდინარე, უყალიბდებათ ახალი გეგმები, მიზნები და ისწრაფვიან მათი განხორციელებისკენ. ამ პერიოდში მიღწევის მოტივაცია, უფრო კონკრეტულად კი წარმატებისკენ სწრაფვა, მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანისთვის [Liu Z., 2007: 61-73].

მიღწევის მოტივაციის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია ბავშვისადმი მშობლის მხარდაჭერა; მაგრამ, უნდა განვასხვავოთ ორი ერთმანეთისგან საპირისპირო რამ; ერთია, მშობლის მხარდაჭერა და ნახალისება, რაც კვლევებითაც დადასტურდა, რომ პირდაპირ კორელაციაშია მაღალი მიღწევის მოტივაციასთან და აკადემიურ მოსწრებასთან; მაგრამ მეორეა, როცა მშობელი აიძულებს ბავშვს რაიმეს კეთებას, თუნდაც სწავლას, მის მიმართ ავლენს მომთხოვნ დამოკიდებულებას, იყენებს აღზრდის ავტორიტარულ სტილს, რაც ქმნის ცივი, მკაცრი მშობლის პორტრეტს და თავისთავად არ არის კავშირში მიღწევის მაღალ მოტივაციასთან. პირიქით, მუდმივმა მკაცრმა კონტროლმა, ჩარჩოებში მოქცევამ და ასეთმა სიცივემ მშობლის მხრიდან შეიძლება ჩამოაყალიბოს მარცხის შიში.

ოჯახს, როგორც ერთიან სისტემას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის მიღწევის მოტივაციის ჩამოყალიბებაში. ოჯახის დანგრევა ან რომელიმე მშობლის გამოკლება აღზრდის პროცესში ხშირად უარყოფით გავლენას ახდენს ინდივიდზე. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია მშობლების განათლების დონეც, ვინაიდან ოჯახი შეიცავს სოციოკულტურულ ასპექტსაც, რაც განაპირობებს ბავშვის არჩევანს, მისწრაფებებს, ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებას და სხვა [Васильев И., Магомед-Эминов М., 1991: 96-116].

### მიღწევის მოტივაცია და პიროვნების ტიპი

ამ ნაშრომში პიროვნების ტიპებს განვიხილავთ ჰ. აიზენკის ტიპოლოგიის მიხედვით. მკვლევარმა თავიდან სწორედ ეს ორი ფაქტორი გამოყო: ექსტრავერსია-ინტროვერსია, ნეიროტიზმი-ემოციური სტაბილურობა [ახალაშვილი ნ., 2013: 239-242].





ჰ. აიზენკის მიხედვით, ამ ორ ფაქტორს შორის, როგორცაა ექსტრავერსია და ნეიროტიზმი, კორელაცია არ დადგინდა, ამიტომ მათი განხილვა ყოველთვის ხდება კომბინირებულად, რითაც ჩვენ ვუახლოვდებით ჰიპოკრატეს პიროვნების ტიპებს.

პიროვნების ტიპებსა და მილნევის მოტივაციას შორის კორელაციის შესახებ ბევრი კვლევა არ მოიპოვება, რომელზე დაყრდნობითაც ვისაუბრებდით. დადგინდია, რომ ექსტრავერტები წარმატებით ასრულებენ იმ დავალებებს, რომელშიც ინფორმაცია უხვადაა, ხოლო ნაკლებად ეფექტურად იმ დავალებას, სადაც განსაზღვრულია ფუნქციები; ინტროვერტებს ურჩევნიათ ჩარჩოებში ყოფნა. მილნევის მოტივაცია დადებით კორელაციაშია სიახლესა და შემოქმედებითობასთან. ამ კონტექსტში თუ განვიხილავთ ექსტრავერტებს, მათ უფრო მეტად უნდა ჰქონდეთ წარმატებისკენ სწრაფვა. ინტროვერტები, თავიანთი სიფრთხილის გამო, შეჯიბრებისას არიან შენელებულები, გამოირჩევიან ხანგრძლივი პაუზებით, დიდ ყურადღებას უთმობენ სიზუსტეს და უშეცდომობას, რაც ანელებს ტემპს, ხოლო ექსტრავერტები არიან სწრაფები, მაგრამ ამასთან, უფრო მეტ შეცდომებსაც უშვებენ, მხედველობითი ორიენტაციაც სწრაფი აქვთ, დაჩქარებულია ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების პროცესიც.

### გენდერი და მილნევის მოტივაცია

ტერმინი „გენდერი“ აღნიშნავს ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, რომელიც მიენერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით [Byun M., www. Koob.ru. 9-19]. როცა ვსაუბრობთ გენდერულ დაყოფაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს კულტურული ფაქტორი, ვინაიდან ხშირად კულტურა განაპირობებს იმ ნორმებს, რომელშიც უნდა მოექცეს ქალისა და მამაკაცის ქცევები; შესაბამისად იქმნება სტერეოტიპები. ამ სტერეოტიპებს ყოფენ სამ ჯგუფად: პირველი მოიცავს საყოველთაოდ აღიარებულ თვისებებს, რომელთაც მიანერენ სქესს. მაგალითად, მამაკაცებისათვის: ძალაუფლება, აგრესია, დამოუკიდებლობა, რაციონალიზმი. ქალებისთვის: მზრუნველობა, მგრძობელობა, სისუსტე, დამოკიდებულება, სიმშვიდე და სხვა [Byun M., www.koob.ru.65-90]. მეორე გენდერული სტერეოტიპი ეხება ოჯახურ და პროფესიულ როლებს. ქალები უფრო მეტად აქტიურები უნდა იყვნენ ოჯახში, მამაკაცები კი პროფესიულ სფეროში. მესამე სტერეოტიპი კი ეხება შრომით საქმიანობებს, კონკრეტულად კი ქალები შემსრულებელ სფეროებში არიან უფრო მეტად დასაქმებულნი, მამაკაცები კი შემოქმედებით, ორგანიზაციულში.

გენდერისა და მილნევის მოტივაციის შორის კავშირზე მრავალი ჰიპოთეზა არსებობს. წარმოგიდგინებ რამდენიმეს:

1. ქალები განსხვავდებიან მამაკაცებისგან მილნევის მოტივაციით;
2. მამაკაცებს და ქალებს განსხვავებული მოთხოვნილებები აქვთ; ქალებისთვის უფრო მნიშვნელოვანია აფილაციის მოთხოვნილება, ვიდრე მილნევის;
3. მამაკაცები და ქალები მილნევის მოტივაციას განსხვავებულ სფეროებში იყენებენ.

არსებობს მოსაზრება, რომ მამაკაცები უფრო მეტად ანიჭებენ მნიშვნელობას გამარჯვებას, ვიდრე ქალები; ისინი უფრო კონკურენტუნარიანები არიან. ქალებს პროფესიულ სფეროში მილნევის მოტივაცია დაბალი აქვთ, ვინაიდან, ამერიკელი მკვლევრების აზრით, ისინი უფრო მეტად ქალურ სფეროებს ირჩევენ საქმიანობისთვის (პედაგოგია, სოციალური სამუშაო). თუმცა, ეს შეხედულებაც გაქარწყლდა, რადგან ქალების როლი სხვადასხვა სფეროში გაიზარდა [Siana G., 1998: 118-135].

მკვლევართა ნაწილის თანახმად, მამაკაცებში პრევალირებს წარმატების მოტივი, ხოლო ქალებში მარცხისგან გაქცევა. სოციალური წარმატების მოტივების ასაკობრივი თავისებურებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გოგონები არანაკლებ დაინტერესებულები არიან სოციალური აქტიურობით; ისინი ისახავენ სოციალური თვითრეალიზაციის ფართო მიზნებს, არიან ენერგიულები და არ გაურბიან კონკურენციას, მოტივირებულები არიან წარმატებაზე [Хекхаузен X., 2003: 115-123]. ინგლისელი მეცნიერების მიერ ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, რომელშიც მონაწილეობდნენ სტუდენტები, დადგინდა, რომ ვაჟები უფრო მეტად ხასიათდებიან მილნევის მოტივაციით, ვიდრე გოგონები [Liu Z., 2007: 112-118].

ამდენად, უცხოური გამოკვლევების თანახმად, განსხვავებული შედეგებია მიღებული. ჩვენი კვლევითაც შევეცადეთ მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა ამ საკითხის შესწავლაში. რადგან კითხვარი ყურადღებას ამახვილებდა გენდერულ ფაქტორზე, ის ჩვენც გავითვალისწინეთ კვლევაში და რეალურად მივიღეთ განსხვავებული შედეგები ამ ორ სქესს შორის მილნევის მოტივაციის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ მამაკაცები უფრო მეტად არიან წარმატებაზე მოტივირებულები, ვიდრე ქალები.





### კვლევის აღწერა

კვლევაში მონაწილეობდნენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, სულ 200 სტუდენტი, აქედან 100 – გოგონა და 100 – ვაჟი; მონაწილეთა ასაკი 18-25 წელი. სტუდენტთა შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით; აქედან გამომდინარე, ჩვენს თვალსაწიერში მოხვდნენ სხვადასხვა კურსისა და სპეციალობის სტუდენტები.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მილნევის მოტივაციის საკვლევი კითხვარის აპრობაცია და მისი კავშირის დადგენა პიროვნების ტიპებთან. აქედან გამომდინარე, კვლევისთვის გვჭირდებოდა ორი ინსტრუმენტის გამოყენება.

**ინსტრუმენტი 1.** პირველ ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა ჰ. აიზენკის ტესტი, რომელიც იძლევა პიროვნების ტიპების განსაზღვრის საშუალებას. ჩვენ გამოვიყენეთ ტესტის ის ვარიანტი, რომელიც დიაგნოსტიკურებას ახდენს ორი ფაქტორის მიხედვით, ესენია: ექსტრავერსია-ინტროვერსია და ნეიროტიზმი.

**ინსტრუმენტი 2.** მეორე ინსტრუმენტი არის მილნევის მოტივაციის საკვლევი კითხვარი. ჩვენ მოვახდინეთ კითხვარის აპრობაცია.

მილნევის მოტივაციის საკვლევად ავიღეთ ა. მეჰრაბიანის მილნევის ტენდენციის სკალა (The Mehrabian Achieving Tendency Scale (MATS)). კითხვარი იკვლევს ადამიანის ინდივიდუალური მილნევის მახასიათებელს და შემუშავდა 1994-1996 წლებში; ტესტი თავდაპირველად ავსტრალიის, შვეიცარიის და ამერიკის პოპულაციაზე ჩატარდა და დადგინდა სანდოობა-ვალიდობა. ავტორი კვლევის დროს გამოყოფდა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გენდერულ ასპექტებს, რის გამოც მან ეს ფაქტორი საბოლოოდ კითხვარში შეიტანა. ტესტი ვალიდურია, სანდო და სტანდარტიზირებული, შემდგომში მოხდა მისი მოდიფიცირება მაგომედ-ემინოვის მიერ. კითხვარს აქვს ასევე ის უპირატეოსობა, რომ მასში დევს გენდერული ფაქტორის თავისებურებები, ვინაიდან კითხვარს აქვს ორი ფორმა – ქალებისთვის და მამაკაცებისთვის.

**კვლევის პროცესის აღწერა:** კვლევის დაწყებამდე ორი თვით ადრე, საკვლევი ინსტრუმენტების შესაბამისობის და ქართულ პოპულაციაზე მორგების დასადგენად, ჩატარდა კითხვარის და ტესტის პილოტაჟი. რადგან ხდებოდა კითხვარის აპრობაცია, გვინტერესებდა თუ რამდენად გასაგები იყო კითხვარში გამოყენებული ლექსიკა. შეირჩა 12 ცდისპირი, აქედან 6 ვაჟი და 6 გოგონა, რომლებიც პიროვნების ტიპების მიხედვით (ექსტრავერსია-ინტროტიზმი) განსხვავდებოდნენ. სტუდენტებიდან შევარჩიეთ როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების და ზოგადად აქტიური, ასევე დაბალი მოსწრების და არააქტიური სტუდენტები. პილოტაჟის დასრულებიდან ორი კვირის შემდეგ იგივე პიროვნებებს განმეორებით შევავსებინეთ ტესტი და კითხვარი. მონაცემთა დამუშავების შედეგები ორივე შემთხვევაში დაახლოებით დაემთხვა ერთმანეთს, რამაც საფუძველი მოგვცა გვერწმუნა კითხვარის და ტესტის ვალიდობა-სანდოობა, შემდგომ კი გაგვეგრძელებინა ძირითადი კვლევა.

### მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი

მილნევის მოტივაციისა და პიროვნების ტიპებს შორის ურთიერთმიმართების დასადგენად, თავდაპირველად მოხდა ჰიპოთეზის ტესტირება SPSS-ის დახმარებით, რაც გულისხმობდა ჩვენ მიერ დასმული ჰიპოთეზების სტატისტიკურად შემოწმებას, ანუ საწყისი, ნულოვანი ჰიპოთეზა, რამდენად ემთხვეოდა მიღებულ შედეგებს, ამისათვის გამოვიყენეთ T-Test. რამდენადაც ჩვენ კვლევის დასაწყისში გვქონდა სამი ჰიპოთეზა, T-Test არის სამი.

I. მილნევის მოტივაციის ცვლილება კავშირშია ჰ. აიზენკის ექსტრავერსია-ინტროვერსიის სკალაზე ექსტრავერსიის ცვლილებასთან; ჰიპოთეზის ტესტირების შედეგად მივიღეთ  $t = -2.304$ , ( $p=0.022$ ;  $p<0.05$ ). ამის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასმული ჰიპოთეზა დადასტურდა. ამგვარად მილნევის მოტივაციის ცვლილება დაკავშირებულია ექსტრავერსიის ცვლილებასთან.


II. მილნევის მოტივაციის ცვლილება კავშირშია ნეიროტიზმი-სტაბილურობის სკალაზე ნეიროტიზმის ცვლილებასთან; ჰიპოთეზის ტესტირების შედეგად მივიღეთ  $t = 2.833$ ; ( $p=0.005$ ;  $p<0.05$ ). შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაშიც დასახული ჰიპოთეზა დადასტურდა, ანუ მილნევის მოტივაციის ცვლილება დაკავშირებულია ნეიროტიზმის ცვლილებასთან.

III. მილნევის მოტივაციის ცვლილება კავშირშია გენდერულ ფაქტორთან – ჰიპოთეზის ტესტირების შედეგად მივიღეთ, რომ  $t = 2.976$ ; ( $p=0.003$ ;  $p<0.05$ ). ამგვარად მილნევის მოტივაციის ცვლილებაზე გავლენას ახდენს სქესი.

რეგრესული ანალიზის გამოყენებით დადგინდა, თუ რამდენად იწვევს მილნევის მოტივაციის ზრდა/შემცირება ექსტრავერსია-ინტროვერსიის და ნეიროტიზმის ქულების ზრდას/შემცირებას. ანუ ერთი ფაქტორის ზრდა ან შემცირება რამდენად ზრდის ან ამცირებს მეორე ფაქტორს. აღმოჩნდა, რომ ეს ორი



ფაქტორი ურთიერთკავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება, მეორეს ყოველთვის ერთი და იმავე სიდიდით ცვლის.



$p = 0.001$ ,  $p < 0.05$ , ეს ნიშნავს რომ მათ შორის არსებობს რეგრესული კავშირი,  $b_1 = -0.989$ , ეს მაჩვენებელი კი მიუთითებს, რომ ნეიროტიზმის ზრდა იწვევს დაახლოებით ერთი ერთეულით ( $0.989$ ) მიღწევის მოტივაციის შემცირებას, მათი უკუპროპორციული კავშირი რეგრესული ანალიზითაც დამტკიცდა.

**დისპერსიული ანალიზი**

დისპერსიულმა ანალიზმა უკეთ გამოკვეთა კორელაციური დამოკიდებულება, რაც გულისხმობდა, რომ ექსტრავერსიის ზრდა იწვევს მიღწევის მოტივაციის ზრდას, მაგრამ დადგინდა ერთი საინტერესო თავისებურება. მკვეთრად გამოხატულ ექსტრავერტებში მიღწევის მოტივაციის მაჩვენებელი კლებულობს; ეს თავისებურება შეიძლება ავხსნათ ისევ პიროვნების ტიპიდან გამომდინარე, რამდენადაც ვიცით მკვეთრად გამოხატული ექსტრავერტები ერთ კონკრეტულზე დიდხანს ვერ ახდენენ კონცენტრაციას და ახასიათებთ სიტუაციების სწრაფი მონაცვლეობა; მაღალი მიღწევის მოტივაციის მქონე ადამიანებს კი პირიქით, სჭირდებათ ერთ დავალებაზე დიდხანს კონცენტრაცია, ასევე ახასიათებთ დაუმთავრებელ საქმეზე დაბრუნება, რაც ეწინააღმდეგება მკვეთრად გამოხატულ ექსტრავერტის ტიპს, რომელიც ძალიან აჩქარებული ტემპით მოქმედებს. ეს ვარაუდი ხსნის ამ თავისებურებას, რაც დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა.

რაც შეეხება ნეიროტიზმს, დისპერსიული ანალიზის შედეგად დადგინდა კავშირი მიღწევის მოტივაციასთან, რაც ნიშნავს იმას, რომ ნეიროტიზმის ზრდა იწვევს მიღწევის მოტივაციის კლებას.

**დასკვნა**

მიღებულმა შედეგებმა ცხადყო, რომ მიღწევის მოტივაციის ზრდა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებლობაშია ექსტრავერსიის ზრდასთან, ანუ ერთის ზრდა იწვევს მეორის ზრდასაც. აქედან გამომდინარე, ინტროვერტებში უფრო ნაკლებია მიღწევის მოტივაციის მაჩვენებლები, ვიდრე ექსტრავერტებში, რითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პიროვნების ტიპის აქტიურობა-პასიურობას გარკვეულწილად აქვს გავლენა მიღწევის მოტივაციაზე, თუმცა ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რადგან მიღწევის მოტივაციაზე ზოგადად ბევრი სხვა ფაქტორიც მოქმედებს.

ჩვენი კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ მიღწევის მოტივაციას მნიშვნელოვანი კავშირი აქვს ემოციურ სტაბილურობა-არასტაბილურობასთან, ნეიროტიზმის ზრდა იწვევს მიღწევის მოტივაციის კლებას, ანუ მათ შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა. ეს სრულიად ბუნებრივიც იყო, რადგან ნეიროტიზმის მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებულია შფოთვისა და გუნება-განწყობილების სწრაფად ცვლილებასთან, რაც ქცევის პროდუქტულობას ამცირებს.

კვლევის მიხედვით, გენდერულ ფაქტორს მიღწევის მოტივაციაში აქვს მნიშვნელოვანი გავლენა. თავიდანვე არსებობდა ვარაუდი მათ შორის არსებული განსხვავებების შესახებ, თუმცა არ ვიცოდით



კონკრეტულად რომელი სქესი იქნებოდა მაღალი მიღწევის მოტივაციის მქონე; როგორც კვლევით დადგინდა, მამაკაცებთან უფრო მაღალია მიღწევის მოტივაცია (წარმატებისკენ სწრაფვის ტენდენცია), ვიდრე ქალებთან.

კითხვარი საშუალებას იძლეოდა გვეკვლია ადამიანის მიღწევის მოტივაციის ორი ტენდენციდან – წარმატებისკენ სწრაფვა და მარცხისგან გაქცევა – რომელი იყო დომინანტი. კვლევებით დადგინდა, რომ მიღწევის მოტივაციის ეს ორი ტენდენცია შეიძლება ერთდროულად არსებობდეს ადამიანში, მაგრამ ზოგჯერ, სიტუაციიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მათგანი დომინირებს. როგორც კვლევამ აჩვენა, 200 სტუდენტიდან 95%-ში დომინანტია მარცხისგან გაქცევის მოტივაცია და მხოლოდ 5%-შია წარმატებისკენ სწრაფვა. ზოგადად, ამ ადამიანთა მიღწევის მოტივაციის თავისებურება ასე შეგვიძლია დავახასიათოთ: საქმეში ნაკლები რისკის გამოვლენა, დაბრკოლებების წინაშე აღმოჩენისას ადვილი დანებება, ნაკლები ინიციატივა, მიდრეკილება უფრო მეტად მარტივი დავალების არჩევისკენ და სხვა.

ამგვარად, ამ ნაშრომის ძირითადი მიზანი წარმატებით განხორციელდა – მოხდა კითხვარის აპრობაცია, რაც იძლევა საშუალებას აღნიშნული კითხვარი სხვა კვლევებშიც თამამად იქნეს გამოყენებული.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ახალაშვილი ნ. ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 2013.
2. ნადირაშვილი შ. „განწყობის ანთროპული თეორია“ თბილისი, 2014.
3. ზიმბარდო ფ. გერიგი რ. „ფსიქოლოგია და ცხოვრება“, 2009.
4. Бурн Ш. Гендерная психология. www.koob.ru.
5. Васильев И.А., Магомед-Эминов М.Ш. „Мотивация и контроль за действием“. М.: Изд-во Моск. ун-та, 1991.
6. Гордеева Т. „Психология мотивации достижения“ Москва: Изд. центр «Академия», 2006.
7. Ильин Е. П. „Мотивация и мотивы“. Санкт-Петербург: Издательский дом «Питер», 2002.
8. Майерс Д. „Социальная психология“. СПб.: Питер, 1997.
9. Маклелланд Д. „мотивация человека“. Санкт-Петербург, 2007.
10. Хекхаузен Х. „Мотивация и деятельность“. Санкт-Петербург: Изд. «Питер», 2003.
11. Siana G.L. „Motivation and Attribution at Secondary Schools.The Role of Gender Education“, 1998.
12. Liu Z. „student achievement and gender“, 2009.



## ნ. ახალაშვილი

### მიღწევის მოტივაცია და პიროვნების ტიპოლოგია რეზიუმე

ადამიანის ცხოვრება მუდმივი განვითარების პროცესია, იმისათვის რომ საკუთარი თავის რეალიზაცია მოახდინო, გჭირდება დიდი ძალისხმევა. სტუდენტობა ცხოვრების ის ეტაპია, როცა ხდება მნიშვნელოვანი პიროვნული ცვლილებები და განვითარება, რადგან ადამიანი ემზადება საკუთარი კარიერის შესაქმნელად. აღმოჩნდა, რომ ადამიანის მიერ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მიღწევის მოტივაციაზე, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ მრავალ ფაქტორს მოიცავს.

ამ ნაშრომში ჩვენ დავინტერესდით სტუდენტების მიღწევის მოტივაციით, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართულ პოპულაციაში, რამდენად არის კავშირში პიროვნების ტიპი მიღწევის მოტივაციასთან. კვლევაში გამოვიყენეთ ორი ინსტრუმენტი, პირველი გახლდათ ჰ. აიზენკის ტესტი, რომლითაც ვადგენდით სტუდენტთა პიროვნების ტიპოლოგიას: ექსტრავერსია-ინტროვერსია, ემოციური სტაბილურობა-არასტაბილურობა. სიახლეს კი წარმოადგენს მიღწევის მოტივაციის საკვლევი კითხვარი, რომლის ქართულ ენაზე აპრობაცია მოვახდინეთ. კითხვარი სპეციალურად განკუთვნილია უფროსკლასელებისა და სტუდენტებისათვის. იგი გამოირჩევა ქალებისა და მამაკაცების კვლევის სხვადასხვა ფორმით. აგრეთვე ხდება იმის დადგენა, თუ მიღწევის მოტივაციის რომელი ტენდენციაა სტუდენტში დომინანტი: წარმატებისკენ სწრაფვა თუ მარცხისგან გაქცევა.

კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ მიღწევის მოტივაცია კავშირშია პიროვნების ტიპთან და ექსტრავერტები უფრო მეტად არიან წარმატებაზე მოტივირებულები, ვიდრე ინტროვერტები; ნეიროტიზმის მაღალი დონე მიღწევის მოტივაციას ამცირებს. აგრეთვე გენდერულ ფაქტორს გავლენა აქვს მიღწევის მოტივაციაზე.

**N. Akhalashvili**

### Motivation of Achievement and Typology of Personality Summary

Human life is a permanent development process, so you have to make great effort. The student is a stage of life when important personal changes and developments occur because people are preparing to create their own career. It was found that man's ability to realize his capabilities depends largely on the motivation of achievement, and the latter involves a number of factors. In this work, we are interested in motivating student achievement and what is the situation in the Georgian population in this regard, how much is the relationship of the person with the motivation of achievement. In the study we used two instruments, the first was H. The Aizenc's test in which we have found the typology of students' personality: extraversion-introverting, emotional stability-instability. The novelty is a questionnaire for motivation for achievement, which has been applied in Georgian language, and the questionnaire is specifically designed for students and students. It is distinguished by different forms of research of women and men. It also determines which trend of motivation to achieve the dominant in the student: striving for success or fleeing failure.

The results of the survey found that motivation for achievement is linked to the type of person and the extraterrestrials are more likely to be successful than the introverts; High level of neurotism reduces motivation. The gender factor also influences the motivation of achievement.



**N. BOCHORISHVILI, N. LOMSADZE**

## **EDUCATIONAL TECHNOLOGY INNOVATIONS SUPPORTING TEACHING PROCESS**

Initially pedagogy of the 21 century tried to use technology for organizational purposes of the learning process and was believed would transform and support so called “massive” learning process. Over time, the meaning of the term was reconstructed. Nowadays the use of technology in the learning process implies not only the usage of TV, radio, video, computer, .etc, it involves the construction of the learning process itself, specifically the formation of the result oriented learning goals in accordance with the objectives set, for example the preparation of teaching materials and the organization of classroom management; moreover, evaluation of the mid- and final results of the learning process and if necessary, adjustment of the teaching process.

With IT development and of course with the more and more popular access to the Internet and variety of tools enabling using IT technologies in teaching, encourage many educational institutions and companies to expand their offers with e-learning courses. Owing to that costs for knowledge and learning can be reduced. Moreover course materials can be studied by the employees or students at a convenient time and place, which gives them a chance to even possibilities of getting proper education.

Due to affordability of computers and Internet, with the development of informational and communication technology world is becoming much smaller, so that connection between two individuals in different parts of the world is established within a few seconds. Digitalization shall undoubtedly be confirmed as one of all-present generic trends. Educational media and tools can be used for: task structuring support: help with how to do a task (procedures and processes), access to knowledge bases (help user find information needed), alternate forms of knowledge representation (multiple representations of knowledge, e.g. video, audio, text, image, data) Numerous types of physical technology are currently used: digital cameras, video cameras, interactive whiteboard tools, document cameras, electronic media, and LCD projectors. Combinations of these techniques include blogs, collaborative software, e-Portfolios, and virtual classrooms [<http://www.obs.ru/>]. Pedagogical elements are defined as structures or units of educational material. They are the educational content that is to be delivered. These units are independent of format, meaning that although the unit may be delivered in various ways, the pedagogical structures themselves are not the textbook, web page, video conference, Podcast, lesson, assignment, multiple choice questions, quiz, discussion group or a case study, all of which are possible methods of delivery.

Educational technology refers to the use of both physical hardware and educational theoretic. It covers several main aspects, including learning theory, computer-based training, online learning, and, where mobile technologies are used, m-learning. Educational technology is the process of integrating technology into education in a positive manner that promotes a more diverse learning environment and a way for students to learn how to use technology as well as their common assignments [Tomlinson B., Whittaker C., 2013]. There are highly specific niche markets for educational software, including: teacher tools and classroom management software (remote control and monitoring software, file transfer software, document camera and presenter, free tools,...), Driving test software, Interactive geometry software; Language learning software; Mind Mapping Software which provides a focal point for discussion, helps make classes more interactive, and assists students with studying, essays and projects.; Software for enabling simulated dissection of human and animal bodies (used in medical and veterinary college courses); Spelling tutor software; Typing tutors; Reading Instruction; Medical and healthcare educational software [<http://www.obs.ru/>].

Nowadays new products are created on the informational market, which are essential features of the economical development and significant factor of our social life. The informational marketing is the foundation and basis of the e-society and led countries and governments to the integration in the global world network. With the help of informational marketing new ways of informational products are implemented that offer the variety of options to audience, considering their needs and demands. Personal relationships were the main source of the information retrieval before the global informational system was established [Течицына Т., 2002]. The development and usage of the modern informational and communicational Technology (ICT / ICTS) has now become the main factor and precondition for progress in any fields. However, it also affects all public relations as well as the process of creation of the new so called E- society. Without ICT nowadays, it is incredible to achieve in any country worldwide any goals or develop any field of society. Computer Assisted Language Learning expands the ability of learning for individual student and the use of different software programs assists students to learn foreign language more easily by contributing visualization with multimedia technologies. [Dudney G., Hockly N., 2007: 15]. Almost all virtual world educational projects consider a blended learning approach. The term "blended learning" is commonly used to describe how e-learning is used with traditional teaching methods in order to create a new, modern, free teaching methodology. Blended learning is an





education program (formal or informal) that combines online digital media with traditional classroom methods. It requires the physical presence of both teacher and student, with some element of student control over time, place or pace. The terms "blended learning", "hybrid learning", "technology-mediated instruction", "web-enhanced instruction", and "mixed-mode instruction" are often used interchangeably in research literature. Although the concepts behind blended learning first developed in the 1960s, the formal terminology to describe it did not take its current form until the late 1990s. Such approaches may combine the use of virtual worlds with other online and offline tools, such as 2D virtual learning environments (e.g. [Moodle](#)) or physical classrooms. SLOODLE, for example, is an open-source project which integrates the multi-user virtual environments of [Second Life](#) and/or [OpenSim](#) with the Moodle learning-management system. Some language schools offer a complete language learning environment through a virtual world, e.g. [Languagelab.com](#) and [Avatar Languages](#) [Purnima V., 2002].

Blended learning is a quite new method of teaching. This system of training/teaching which combines the best aspects and advantages of teaching in a classroom and interactive or distance education, and creates available and motivating courses for pupils where educational process represents the certain system, consisting of different parts which function in constant interrelation with each other, forming a certain integer. The model of blended learning is not just use of ICT in independent work of students at home or in a media library after school, blended learning model is a single, holistic learning process, suggesting that some of the cognitive activity of students is carried out in the classroom under the supervision of a teacher, and a part activities of the students, is proposed for distant form, with a predominance of independent work individually or with partners in a small group collaboration [Clarc D., 2003: 23]. Blended learning is the very system in which its constituent components of full-time and distance education process interact harmoniously. Under a condition if this interaction is methodically well-organized, in result we get the students' high level of knowledge. Thus, the model of blended learning is not just use of ICT in independent work of students at home or in a media library after school, blended learning model is a single, holistic learning process, suggesting that some of the cognitive activity of students is carried out in the classroom under the supervision of a teacher, and a part activities of the students, is proposed for distant form, with a predominance of independent work individually or with partners in a small group collaboration. The concept of blended learning appeared not so long ago, and the definitions are sufficiently descriptive. Thus, Darling Painter in the article «Missed Steps» offers to understand the blended learning as association of strict formal learning tutorials in the classroom, studying of theoretical material with informal, for example, the discussion via e-mail and Internet conferences [Skinner BF., 1965: 989]. Blended Learning is the integration of Face-to-Face classes with a virtual component where students have a practice opportunity to go beyond what is taught in the classroom. So far, the research done on this field has shown that this hybrid learning offers students a lot of materials, resources, offline and online activities, the integration of what they learn in the classroom with what they learn on their own through the use of a virtual platform. Additionally, one of the most highlighted aspects is the fact that students can develop autonomy towards the English learning process. Thus, teachers can guide students during the process and also give them extra activities to complete on their own; in this way, they are free to choose what to see in a lesson at their own pace. Another benefit that a Blended Course provides is the technological literacy students get through the use of virtual resources. Likewise, they can explore their topics in depth, look for information in English on the Internet, and reinforce their learning process through websites related to EFL learning with a wide range of exercises. Moreover, they can peruse different databases and blogs to contact people around the world, chat with other students and learning communities, construct cooperative learning environments, and organize their own virtual learning environment, among other benefits. Most of the studies that have been carried out on Blended Learning courses are featured presenting the positive and negative aspects of this form of teaching-learning processes. On the one hand, they share similarities related to how useful a Blended Course could be when it is well-planned [Termos, Mohamad., 2012: 45-56]. That means taking into account students' needs and interests, and the environment in which the course is going to be implemented.

Therefore, Blended Courses have become a creative way to experience foreign language learning processes; however, it is important that EFL teachers take into consideration pedagogical and methodological strategies to make the BL course useful and appealing to students. Although technological tools constitute a wide and useful help for teachers to design their Blended Courses and encourage students to master their English level in a more autonomous environment, it is necessary to bear in mind that learning EFL must be the teacher's focus because, occasionally, technology is just seen as something useful for drilling or to have fun with, but without any pedagogical and learning purpose. Begin with a shared vision of how technology can improve teaching and learning [Desyatova L.V., 2010: 7]. Advantages of blended learning are as follows: It develops efficiencies in cost and scalability and ways to meet the needs of individual learners, provides continuous support for role adjustment and active institutional support and recognition for faculty, in addition ensures learning design appropriately integrates face-to-face and online components and promotes metacognitive reflection on the process of learning, also provides timely feedback and continuous training support, and freedom in selection of appropriate technologies.



When it comes to learning a new language, what works for some people might not work for others. Some people need strict guidance on what to study and how often. Other people like the freedom to jump around in their language-learning journey, moving between reading passages and playing games designed to build vocabulary. Still others will get the most out of a program that lets them practice speaking and listening with real human beings. Despite the fact, that Georgia slowly but gradually is taking steps towards the introduction of educational software (interactive whiteboard (IWB), assessment software and so on) they are not widely spread in Georgia, since such products are quite expensive. The most usual programs that are used by majority of university teachers' in the educational process are Microsoft programs (Microsoft Word, PowerPoint). But as for supplementary or self-study means there are a lot of opportunities that can be used by teachers' and students' such as translate dictionaries and online teaching software programs (For instance: ' Tellmemore' GTU etc.). Those kinds of software programs are available on mobile phones' as well.

Currently in Georgia at schools and universities are being introduced modern teaching methods and technologies. Due to the fact that access to technology at schools and universities are different, a lot depends on how teachers' define the usage of technologies in the process of teaching. Moreover, technological means should be wisely coordinated with the educational-academic aims for more efficient outcome. Technology should be an aid and not a burden for teacher as well as for students. The teacher should correlate Classroom Management to the chosen learning strategies. Under these circumstances the main goal could be achieved only with teachers' effort and the use of ICT.

### REFERENCES

1. Clarc D. Blended Learning // CEO Epic Group plc, 52 Old Stein, Brighton BN1 1NH, 2003. P. 23.
2. E.V. Jentov "8 steps of Blended Learning" (revision of article «Missed Steps» by Darlin Paynter // Training & Development). URL: <http://www.obs.ru/interest/publ/?thread=57>.
3. Purnima V. Blended Learning Models // Published: August 2002. P. 1. URL: <http://www.learningcircuits.org/2002/aug2002/valiathan.html>.
4. Rossett A., Vaughan F., Blended learning CEO Epic Group plc, 52 Old Steine, Brighton BN1 1NH, 2003, URL: <http://www.obs.ru/interest/publ/?thread=57>
5. L.V. Desyatova , "The use of Blended Learning Model in construction of ICT courses in educational process" Moscow.: «Pervoe Sentjabrja», 2010. № 13.p. 7.
6. Dudley G., Hockly N. How to... Teach English with Technology // Pearson Education Limited Edinburgh Gate Harlow Essex CM20 2JE England and Associat-ed Companies throughout the world. 2007. P. 15.
7. Brian Tomlinson and Claire Whittaker, Blended Learning in English Language Teaching: Course Design and Implementation, British Council 2013 Brand and Design/D057
8. [www.wikipedia.org](http://www.wikipedia.org)
9. Темицына Т.Н. Использование компьютерных программ на уроках английского языка. 2002.
10. Termos, Mohamad (2012). "Does the Classroom Performance System (CPS) Increase Students' Chances for Getting a Good Grade in College Core Courses and Increase Retention?". International Journal of Technologies in Learning. 19 (1): 45– 56.
11. Skinner BF (1965). "The technology of teaching". Proc R Soc Lond B Biol Sci. 162 (989): 427.



**N. Bochorishvili, N. Lomsadze**

**Educational Technology Innovations supporting teaching process  
Summary**

Currently, the use of technology in the learning process includes the construction of the learning process itself, particularly the formation of goals, results-oriented, in accordance with the objectives of the lecture, the preparation of training materials and organization of class management. The article deals with the introduction and the use of cyberspace in the educational process, which has developed into a completely new direction in Didactics. At the same time, the changes that have been implemented or are being implemented, influence and change in all aspects the educational process. Nevertheless, as teachers we need to be ready and open to the implementation of any innovation that will enhance the effectiveness of the learning process.

**ნ. ბოჭორიშვილი, ნ. ლომსაძე**

**საგანმანათლებლო ინოვაციური ტექნოლოგიები სწავლების პროცესში  
რეზიუმე**

დღესდღეობით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში მოიცავს არამარტო სასწავლო პროცესს, არმედ თვით შედეგზე ორიენტირებული მიზნების დასახვას, რომელიც შეესაბამება ლექციის მიზნებს და მოიცავს ასევე სალექციო მასალების მომზადებასა და აუდიტორიის მართვას. სტატიაში განხილულია საგანმანათლებლო პროცესი, კიბერსივრცის დანერგვა და გამოყენება, რომელიც დიდაქტიკაში სრულიად ახალი მიმართულებით ჩამოყალიბდა. ამავდროულად, ის ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა ან ხორციელდება, გავლენას ახდენს და ყველა ასპექტში ცვლის თვით საგანმანათლებლო პროცესს. მიუხედავად ამისა, როგორც პედაგოგები, ჩვენ უნდა გამოვთქვათ მზადყოფნა რათა მივიღოთ ნებისმიერი ინოვაცია, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესს.



## ი. გერსამია

### მოძრავი თამაში, როგორც ბავშვის შფოთვის დონის დანების საშუალება სა- ბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის პროცესში

ახალი სოციალური ურთიერთობებისადმი ბავშვის ადაპტაცია, მისი კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბება ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და საერთო განვითარებისათვის.

ემოციური მდგომარეობის დარღვევა და ქცევის არაადეკვატურობა ბავშვთა ფსიქიკური დაძაბულობის და შფოთვის დონის ამაღლების შედეგია. შფოთვა, როგორც ცნობილია, ფრუსტრაციის, სტრესორის მოლოდინის ცნობიერი თუ არაცნობიერი ფსიქიკური მდგომარეობაა. შფოთვის მაღალი დონე, როგორც პიროვნების შექნილი თვისება, გულისხმობს ისეთ მომენტებს, როგორცაა: მაღალი მგრძობელობა ემოციური სიტუაციებისადმი, არაცნობიერი დაურწმუნებლობა საკუთარ ძალებში, მისწრაფება ჩვეული პოზიციის შენარჩუნების და ასევე „სოციალური მოლოდინების არგამართლების ან გარშემოცოვად ადამიანების კეთილგანწყობის დაკარგვის შიში“ [Н. Имедадзе, 1966: 49-58]. ჩამოთვლილი მახასიათებლები ცვალებადობს ინდივიდუალურად და სიტუაციის მიხედვით.

საბავშვო ბაღში მოხვედრა, ბავშვთა უმრავლესობისთვის, დაკავშირებულია სტრესულ განცდებთან. სკოლამდელი ასაკის ბავშვის ცხოვრებისეული გამოცდილება მწირია და რადგან ნებისმიერი ადაპტაცია მოითხოვს ადრე შექმნილი სტერეოტიპების მკვეთრ შეცვლას, მისი შეგუება ახალ პირობებისადმი დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან, ბავშვი განიცდის მშობლებთან (თუნდაც დროებით), ჩვეულ ოჯახურ სიტუაციასთან განშორებას. მას უჩნდება დაუცველობის, დაურწმუნებლობის გრძნობა. მისი შფოთვის დონე მატულობს.

ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც აღმზრდელის წინაშე დგას, არის ბავშვის შფოთვის დონის დანევა ადაპტაციის პერიოდში. ბავშვებში დაძაბულობის მოხსნის ეფექტური საშუალებაა თამაში, რომლის პროცესში ისინი ურთიერთობენ ერთმანეთთან და იძენენ გამოცდილებას. როგორც წესი, აქტიური, თამაშის უნარების მქონე ბავშვები თამაშების ორგანიზატორები არიან. პასიური, გულჩათხრობილი ბავშვები რჩებიან განზე და აკვირდებიან მათი თანატოლების თამაშს. ამიტომ საწყის ეტაპზე საჭიროა უფროსის ჩარევა, რათა ჩართონ ბავშვები ერთობლივ თამაშებში [Maxwell K. & Eller S., 1994: 56-63.]. მაგრამ, თუ კიდევ შეძლებს აღმზრდელი ბავშვის ჩართვას როლურ თამაშში სხვა ბავშვებთან, ამას შეიძლება ერთჯერადი ხასიათი ჰქონდეს, რადგან როლური თამაში ხორციელდება ბავშვების ინიციატივით. ბავშვი, რომელსაც არ გააჩნია თამაშის და ურთიერთობის უნარები, დარჩება იზოლაციაში ან მუდმივად შეასრულებს მეორეხარისხოვან როლებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუშლის მას დაიკავოს აქტიური პოზიცია თანატოლთა ჯგუფში. აღმზრდელმა უნდა გამოიყენოს ისეთი ერთობლივი თამაშები, სადაც იგი შეძლებს თამაშის პროცესის ხელმძღვანელობას, მონაწილეთა აქტივობის რეგულირებას. ერთ-ერთი ასეთი თამაშის სახეა – მოძრავი თამაში.

მოძრავი თამაშები, როგორც ცნობილია, მიეკუთვნებიან მზანესებიანი თამაშების ჯგუფს და 3-4 წლის ბავშვებში უფროსის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს, რადგან ამ ასაკის ბავშვებს უჭირთ თვითორგანიზაცია თუნდაც მარტივწესებიან თამაშებში.

მოძრავი თამაშები ხელს უწყობენ ბავშვებში მოქნილობის, მოძრაობის სისწრაფის, გამჭრიახობის განვითარებას. ბავშვებს მუდმივად სჭირდებათ მოულოდნელ მდგომარეობასთან შეგუება, წინააღმდეგობების გადალახვა, რთული სიტუაციიდან თავის დაღწევა.

მოძრავი თამაშები პასუხობს ბავშვის შინაგან ბუნებას. თამაში ხომ, დ. უზნაძის აზრით, ბავშვის „ბიოლოგიურად არა აქტუალურ შესაძლებლობათა ფუნქციონალურ ტენდენციის იმპულსით გამოწვეული აქტივაციაა“ [უზნაძე დ., 2005: 151]. მოძრავი თამაში სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ნებელობითი პროცესების აღზრდის კარგი საშუალებაა. თამაშებში მკვეთრად ვლინდებიან, ერთი მხრივ, გაუნონასწორებული და აგზნებადი ბავშვები, მეორეს მხრივ, კი – მოდუნებული, მოთენთილი. იმ ბავშვებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებიან საბავშვო ბაღში, უფრო მეტად აქვთ განვითარებული მოძრაობითი უნარები, წესების დაცვა, შეუძლიათ მოქმედებების შეთანხმება ჯგუფში, ვიდრე მათ ახალმოსულ თანატოლებს. საინტერესო თამაში, რომლითაც გატაცებულნი არიან ბავშვები, აღძრავს მათში დადებით ემოციებს, სიხარულს და მეგობრულ დამოკიდებულებას.

ჩვენი ჰიპოთეზაა:

- საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის პერიოდი ხასიათდება მაღალი შფოთვის დონით;



- სპეციალურად შერჩეული მოძრავი თამაშების გამოყენება ხელს უწყობს სოციალური ადაპტაციის პროცესში შფოთვის დონის დაძლევას.

### კვლევის აღწერა და მიღებული შედეგები

ჩვენი კვლევა წარმართა შფოთვის დონის გამოვლენისა და მოძრავი თამაშების საშუალებით მისი დაძლევისაკენ.

საბავშვო ბალისადმი ბავშვთა სოციალური ადაპტაციის შფოთვის დონის გამოსავლენად გამოყენებულ იქნა შფოთვის დონის დიაგნოსტიკის მეთოდოლოგია, შემუშავებული ე. ამენის, მ. დორკის, და რ. ტემპლის მიერ. ეს მეთოდოლოგია არჩეული იქნა შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინებით. სკოლამდელი ასაკის თანამედროვე მკვლევართა ერთ-ერთ ჯგუფს (Spence, Rapee, McDonald, Ingram) მიაჩნია, რომ ბავშვთა თვითანგარიშის გაზომვის გამოყენება სკოლამდელ ასაკში მაგ., სპილბერგერის State-Trait Anxiety Inventory for Children (1973) და მსგავსი მიდგომა არ იძლევა გარანტიას, რომ ბავშვებს ადექვატურად ესმით კითხვები, ხოლო სურათებიანი მეთოდები, მაგ. Martini (1990) Halpern, Ellis, Simon (1990) Gibenheim, O'Dell (1984) „ზომავს შფოთვის მხოლოდ ძალიან ვიწრო სფეროებს, მაგალითად, სეპარაციის შიშს, ძაღლების ან სიბნელის შიშს“ [Spence S., 2001: 293-316]. ჩვენ პრინციპში ვეთანხმებით ამ ავტორებს პირველ შენიშვნაში, მაგრამ მიგვაჩნია, რომ პროექციული სურათებიანი მეთოდი შეიძლება მოიცავდეს მრავალ სფეროს.

პროექციული მეთოდოლოგიის მთავარი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ამგვარ მეთოდოლოგიაში არის შედარებით არასტრუქტურირებული ამოცანა, რომელშიც დასაშვებია სავარაუდო პასუხების შეუზღუდავი მრავალფეროვნება. იმისათვის, რომ ინდივიდის ფანტაზია თავისუფლად გამოვლინდეს, მას ეძლევა მხოლოდ მოკლე, ზოგადი ინსტრუქციები. ჰიპოთეზა, რომელზეც აგებულია ამგვარი დავალებები, მდგომარეობს იმაში, რომ ინდივიდის მიერ ტესტური მასალის და სიტუაციების „სტრუქტურების“ აღქმა და ინტერპრეტაცია უნდა ასახავდეს მისი ფსიქიკის ფუნქციონირების ფუნდამენტალურ ასპექტს. ტესტურმა მასალამ უნდა იმუშაოს ისე, რომ მასზე, როგორც ეკრანზე მოხდეს აზროვნების პროცესების, მოთხოვნილებების, შფოთვის და კონფლიქტების „პროექცირება“.

ექსპერიმენტულ კვლევაში ჩვენ გამოვიყენეთ ხატოვანი პროექციული მეთოდოლოგია, რადგან ამ მეთოდოლოგიის გამოყენება უფრო მიზანშეწონილია სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე კვლევის ჩატარებისას, ამ ასაკისათვის დამახასიათებელი თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნების გამო.

ჩვენ შევჩერდით ისეთ სურათებიან მეთოდზე, რომელიც გაზომავდა ბავშვთა შფოთვის მრავალ სფეროს. ტესტის ავტორები (ე. ამენი, მ. დორკი, და რ. ტემპლი) განიხილავენ შფოთვას როგორც ემოციურ მდგომარეობას, რომლის დანიშნულებაა სუბიექტის პიროვნულ დონეზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა. შფოთვის მაღალი დონე მიგვანიშნებს ბავშვის ამა თუ იმ სოციალურ სიტუაციებისადმი არასაკმარის ემოციურ შემგუებლობაზე. შფოთვის დონის გამოვლენა გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ გარკვეული ტიპის სიტუაციებისადმი ბავშვის შინაგანი დამოკიდებულება და მივიღოთ ინფორმაცია ოჯახში, საბავშვო ბაღში, სკოლაში თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობის ხასიათზე.

ჩვენ სინამდვილეში ეს ტესტი ადაპტირებული სახით პირველად გამოიყენა ნ. იმედაძემ 1966 წელს (გამოქვეყნდა მე-18 საერთაშორისო კონგრესისადმი მიძღვნილ კრებულში, რომელიც დაიბეჭდა დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მიერ. «Психологические исследования» რედ. ა. ფრანგიშვილი, 1966). მომდევნო წლებში ეს მეთოდოლოგია გამოყენებულ იქნა პრიხოჟანის მიერ (სასკოლო ასაკისათვის) [Прихожан А., 2000].

ექსპერიმენტული მასალა წარმოადგენს 14 ნახატს, რომელზეც გამოსახულია სკოლამდელის ცხოვრების ტიპური სიტუაციები.

1. უმცროს ბავშვებთან თამაში (ბავშვი თამაშობს პატარა ბავშვთან).
2. ბავშვი დედასთან ერთად ასეირნებს ჩვილ ბავშვს (ბავშვი მიდის დედის გვერდით, რომელსაც ეტლით მიჰყავს ჩვილი ბავშვი).
3. აგრესიის ობიექტი (ბავშვი გაურბის თავდამსხმელ თანატოლს).
4. მარტო ჩაცმა (ბავშვი ზის სკამზე და იცმევს ფეხსაცმელს).
5. თამაში უფროს ბავშვებთან (ბავშვი თამაშობს უფროს ბავშვთან).
6. დასაძინებლად წასვლა ( ბავშვი მიდის დასაძინებლად, ხოლო მშობლები სხედან სავარძელზე და უყურებენ ტელევიზორს).
7. პირის დაბანა (ბავშვი მარტო იბანს პირს აბაზანაში).





8. საყვედური (დედა საყვედურობს ბავშვს.)
9. იგნორირება (მამა ეთამაშება უმცროს ბავშვს, უფროსი კი დგას მარტო).
10. აგრესიული თავდასხმა (თანატოლი ართმევს ბავშვს სათამაშოს).
11. სათამაშოების ალაგება (დედა და ბავშვი ალაგებენ სათამაშოებს).
12. იზოლაცია (ორი ბავშვი გაუბრუნებს ბავშვს, რომელიც მარტო რჩება).
13. ბავშვი მშობლებთან ერთად (ბავშვი დგას დედასა და მამას შორის).
14. მარტო ჭამა (ბავშვი ზის მაგიდასთან და ჭამს).

ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: უფროსებთან ურთიერთობის სიტუაციები (გასეირნება მშობლებთან ერთად, დედისგან მიღებული საყვედური), ბავშვებთან ურთიერთობა (თამაში უფროს ბავშვებთან, თამაში უმცროს ბავშვებთან, იზოლაცია, აგრესიული თავდასხმა), ყოველდღიური მოქმედებები (ჩაცმა, ჭამა, დასაძინებლად მარტო წასვლა).

ყოველი სიტუაცია ორ ვარიანტში იყო შესრულებული: გოგონებისთვის (ნახატზე გამოსახულია ცდისპირთან იდენტური ასაკის გოგო) და ბიჭებისთვის (ნახატზე გამოსახულია ცდისპირთან იდენტური ასაკის ბიჭი). სახე გამოსახულია კონტურით. ბავშვს წინ ედო ორი ამოჭრილი სახე: ერთი მხიარული, მეორე მონყენილი და მას უნდა აერჩია მისთვის სასურველი სახე და დაედო კონტურზე.

ნახატებში შემოთავაზებული სიტუაციები ემოციური ელფერით განსხვავდებიან. ასე, 1,5 და 13 ნახატს აქვს დადებითი მნიშვნელობა. 3, 8, 10 და 12 -უარყოფითი მნიშვნელობა. ხოლო 2, 4, 6, 7, 9, 11 და 14 - არის ორაზროვანი. ორაზროვან ნახატებს აქვს ძირითადი პროექციული დატვირთვა. იმის მიხედვით, რომელ ემოციურ აზრს ანიჭებს ბავშვი ამა თუ იმ სიტუაციას, განისაზღვრება მისი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ, ურთიერთობის ნორმალური ან ტრავმული გამოცდილება. უარყოფითი შეფასებების რაოდენობის მიხედვით იზომებოდა თითოეული ბავშვის შფოთვის დონე.

კვლევა ჩატარდა ორ სერიად.

კვლევის პირველი სერია ჩატარდა ქ. თბილისის №95 საბავშვო ბაღში, სადაც მონაწილეობა მიიღო 3-4 წლის 47 ბავშვმა (მათ შორის 22-გოგონა და 25-ბიჭი). კვლევის ჩატარება, შეთანხმებული იყო საბავშვო ბაღის ადმინისტრაციასთან და მშობლებთან. ამ კვლევაში მოხდა შფოთვის დონის კონსტატაცია ამენის, დორკის, ტემპლის შფოთვის დონის განმსაზღვრელი მეთოდის გამოყენებით [Амен В., и др., 2002: 14-16].

კვლევისას მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები: 47 ბავშვიდან 36,6% აღენიშნა მაღალი შფოთვის დონე, 53,1%-საშუალო და 10,6%-დაბალი (იხ. დიაგრამა ექსპერიმენტის წინ).

კვლევის მეორე სერია დაეთმო სპეციალურად შერჩეული მოძრავი თამაშების, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვების დაახლოებას თანატოლებთან და აღმზრდელებთან („გავბეროთ ბუშტი“, „ტალღები“, „კრუხი და წინილები“ „მხიარული ბურთები“, „ჩუქ, ჩუქ მატარებელი“, „კურდღელი პირს იბანს“, „ბები მელანია“ და სხვა), ჩატარებას [ფალავანდიშვილი მ., 1994: 12-18].

ჩვენ მიერ შერჩეულ მოძრავ თამაშებს არა აქვს შეჯიბრის ხასიათი, არ ხდება რაიმე წარმატებების მიღწევა, რაც აიხსნება ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებით (3-4 წლის). მათში ბავშვს იზიდავს თვით თამაშის პროცესი და არა ინდივიდუალური შედეგი ან გუნდის მოგება. ამავე დროს, შერჩეულ თამაშებში არის მარტივი მოძრაობები, საშიშროების გამო საერთო განცდები, ერთმანეთზე ზრუნვის შესაძლებლობა. ყველაფერი ეს ხელს უწყობს დადებით ურთიერთდამოკიდებულებას ბავშვებს შორის, მათ შემჭიდროებულობას.

ასე მაგ., თამაში „ტალღები“ ეხმარებოდა ბავშვს ეგრძნო ბავშვების კეთილგანწყობა მის მიმართ, რომ ის სასურველია მათთვის. თამაშში „კრუხი და წინილები“ განცდის ერთობლიობა ვლინდებოდა საშიშროების გამო. თუ თამაშის დასაწყისში ქათმის როლს თამაშობდა აქტიური, პოპულარული ბავშვი, თამაშის განმეორებისას ამ როლს ვაძლევედით ახალმოსულ ბავშვს, რითაც ვაძლევედით მას საშუალებას ეზრუნა სხვებზე. ეს ანიჭებდა მას დიდ სიამოვნებას იმის გამო, რომ შეუძლია ვიღაცის დაცვა და სიხარულის მინიჭება.

თამაშების განმეორებისას, ჩვენ ვცდილობდით ჩაგვეერთო თამაშში პასიური ბავშვები, ვაძლევედით მათ წამყვანის როლს. ბავშვების წინაშე ჩვენ აღვნიშნავდით, თუ რა კარგად ასრულებდნენ ისინი წამყვან როლს, რითაც ვწვედით მათ სტატუსს ჯგუფში. თამაშის პროცესში ჩვენ ვაკვირდებოდით ძნელად ადაპტირებულ ბავშვებს და გამოვავლინებთ ბავშვის თამაშში ჩართვის შემდეგი ეტაპები:


I ეტაპი-ბავშვი იჩენს ინტერესს თამაშის მიმართ, მაგრამ შორიდან აკვირდება თანატოლების მოქმედებებს;

II ეტაპი-ბავშვი ერთვება თამაშში, მაგრამ უარს ამბობს მთავარი როლის შესრულებაზე;



III ეტაპი-ბავშვი აქტიურად ერთევა თამაშში და მთავარ როლსაც ასრულებს.

მოძრავი თამაშების ჩატარების შემდეგ ჩვენ კვლავ შევამოწმეთ ბავშვების შფოთვის დონე და მივიღეთ შემდეგი შედეგები: 47 ბავშვიდან-21,2% აღნიშნა შფოთვის მაღალი დონე, 48,9%-საშუალო და 29,7%-დაბალი (იხ. დიაგრამა ექსპერიმენტის შემდეგ).



შფოთვის დონის მაჩვენებლები 47 ბავშვისაგან შემდგარ ჯგუფზე ექსპერიმენტის წინ და ექსპერიმენტის შემდეგ (იხ.დიაგრამა) შემოწმდა ნორმალურ განაწილებაზე და კორელაციაზე (პირსონის კორელაციის კოეფიციენტი  $r=0.85$ ), რის საფუძველზეც გამოყენებულ იქნა სტიუდენტს t კრიტერიუმი, დამოკიდებული შერჩევის აღნიშნულ სერიებს შორის განსხვავების სტატისტიკური სანდოობის შესამოწმებლად და დადგინდა, რომ ცდამდე და ცდის შემდეგ ბავშვების შფოთვის დონის მაჩვენებლებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდოა ( $p<0.05$ ).

### კვლევის შედეგების ზოგადი აღწერა

მოძრავი თამაშები მიეკუთვნებიან მზანესებიანი თამაშების რიცხვს და ამიტომ სკოლამდელი ასაკის დასაწყისში უფროსი ახორციელებს ბავშვების ორგანიზებას, რადგან 3-4 წლის ბავშვებს ჯერ არ შეუძლიათ თვითრეალიზაცია მარტივი წესების თამაშშიც კი. ჩვენ მიერ შერჩეულ თამაშებში, ბავშვებს იზიდავდა სიუჟეტი და ის მარტივი წესები, რომლის შესრულება მათ უხდებოდათ. სწორედ ამაში მდგომარეობს თამაშის პარადოქსი, როგორც აღნიშნავდა ლ. ვიგოტსკი, წესებისადმი დამორჩილება და უშუალო იმპულსზე უარის თქმა არის გზა მაქსიმალური სიამოვნებისკენ [Выготский Л., 2004: 225]. წესები თამაშებში უქმნიან ბავშვს ქცევის ნორმებს, განსაზღვრვენ იმას, თუ რა უნდა აკეთონ. თამაშის წესების დაუფლება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ბავშვის დისციპლინირების, ორგანიზებულობის აღზრდაში. მოძრავი თამაშები დიდ როლს ასრულებენ ბავშვის მოხერხებულობის, მოქმედების სისწრაფის, საზრიანობის განვითარებაში. ბავშვებს მუდმივად უწევთ მოულოდნელი სიტუაციისადმი შეგუება, წინააღმდეგობების გადალახვა. მოძრავ თამაშში, გარდა ფიზიკური განვითარების, ბავშვები იძენენ სოციალურ უნარებს და რაც მთავარია ეჩვევიან სტრესული სიტუაციების დაძლევას (Isenberg & Jalongo, 2001). ჟეფრი გოლსტეინი თვლის, რომ აქტიური თამაში ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას და აუმჯობესებს აზროვნების პროცესს. დღეში, თუნდაც ორი საათი ამგვარი თამაშების ჩატარება ხელს შეუწყობს ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტიურობის შემცირებას (Goldstein, 33-77.)

ჩვენ მიერ გამოკვლეულ იქნა კიდევ ერთი ასპექტი მოძრავი თამაშის მნიშვნელობის-მისი გავლენა შფოთვის დონეზე. ჩვენ მიერ მიღებული შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ მოძრავი თამაშების გა-



მოყენებამ მნიშვნელოვნად დანია ბავშვებში შფოთვის დონე, რითაც შეუმსუბუქა მათ საბავშვო ბაღისადმი ადაპტაცია.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. უზნაძე, დ. ბავშვის ფსიქოლოგია., თბილისი, 2005.
2. ფალავანდიშვილი, მ., მოძრავი თამაშობანი ბავშვებისათვის, თბილისი, "ვიტა", 1994.
3. Goldstein Jeffrey. *Play in Children's Development, Health and Well-Being*. February, 2012.
- Isenberg, Joan P., and Mary Renck Jalongo. *Creative Expression and Play in Early Childhood*. 3rd ed. Upper Saddle River, N.J.: Merrill, 2001.
4. Maxwell, K. & Eller, S. Children's transition to kindergarten. *Young Children*, (1994, September).
5. Spence, Susan H, Ronald Rapee, Casey McDonald, and Michelle Ingram. "The Structure of Anxiety Symptoms among Preschoolers." *Behaviour Research and Therapy*, 2001.
6. Амен.В., Дорки. М., Тэмпл Р., Тест тревожности./под ред., Л.А.Головей, Е.Ф. Рыбалко/Практикум по возрастной психологии.СПб., Речь. 2002.
7. Выготский Л.С. Психология развития ребёнка. Москва, : ЕКСМО. 2004.
8. Имедадзе Н.В. Тревожность как фактор учения в дошкольном возрасте /Психологические исследования. Тбилиси, Москва, 1966.
9. Прихожан А.М. Тревожность у детей и подростков: Психологическая природа и возрастная динамика. Москва, Воронеж, 2000.

### ი. გერსამია

#### მოძრავი თამაში, როგორც ბავშვის შფოთვის დონის შემცირების საშუალება საბავშვო ბაღისადმი ადაპტაციის პროცესში რეზიუმე

სოციალური ადაპტაციის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა ცხოვრების პირობების მუდმივი და ღრმა ცვლილებები მიმდინარეობს. ამიტომ ადაპტაციური შესაძლებლობების ადრეულ ასაკში ფორმირება წარმოადგენს პიროვნების განვითარების მნიშვნელოვან მხარეს.

ჩვეული ოჯახური გარემოს შეცვლა, საბავშვო ბაღის ახალ პირობებში მოხვედრა იწვევს ბავშვში დისკომფორტს და, როგორც წესი, მაღლდება მისი შფოთვის დონე. სპეციალურად შერჩეული მოძრავი თამაშების ჩატარება, რაც დასტურდება ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევებით, ხელს უწყობს ბავშვებში შფოთვის დონის შემცირებას. მათი რეგულარული ჩატარება განაპირობებს საბავშვო ბაღისადმი ბავშვების სოციალური ადაპტაციის პროცესის დაჩქარებას.

### I. Gersamia

#### Active game as a way of reducing anxiety during the adaptation of a child to kindergarten Summary

The problem of social adaptation is especially actual in the nowadays level of development of the society when the conditions of life are continuously changing. That's why the early formation of adaptability is an important factor for the personal development.

Change of the accustomed home conditions into and new environment of a kindergarten entail discomfort in a child, usually resulting in raised level of anxiety. As confirmed by our experiments, the specially selected active games contribute to lowering the level of anxiety in children. Their regular conducting enhance the process of social adaptation of children to the kindergarten.



## ალ. დაუშვილი

### საბჭოთა ხელისუფლება და სამონასტრო ცხოვრება (1921-1922 წწ.)

მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმი ქრისტიანობის წიაღში წარმოიშვა (თომას მორი, თომაზო კამპანელა, აბატი მაბლი და ა.შ.), სოციალ-დემოკრატისა და ქრისტიანულ ეკლესიას შორის თითქმის ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი რუსეთის იმპერიაში, თავიდანვე გაჩნდა გადაუღებელი წინააღმდეგობა. ამის მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე, ბოლომდე აღიარებდა მებრძოლ ათეიზმს და რელიგიას საზოგადოებრივი განვითარების ატავიზმად თვლიდა. ხელისუფლებაში მოსვლამდე ეს პოლიტიკური მიმდინარეობები თავის წევრებს, მომხრე-მხარდამჭერებს ათეისტური იდეოლოგიის საფუძველზე ზრდიდნენ. ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, ის იყო, რომ, ჯერ ერთი, მე-19 საუკუნე საერთოდ სეკულარიზაციის საუკუნეა, როცა ტექნიკური პროგრესის კვალდაკვალ, ადამიანმა, განსაკუთრებით ქრისტიანულ სამყაროში, გადაჭარბებით შეაფასა თავისი შესაძლებლობები და რელიგიური მსოფლმხედველობა ანაქრონიზმად გამოაცხადა; მეორეც, რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც სამყაროს რადიკალურ გარდაქმნას აპირებდნენ, ვერ წავიდოდნენ კომპრომისზე იმ საეკლესიო ორგანიზაციასთან, რომელიც არსებული წყობილების ღვთაებრივ ლეგიტიმაციას ამტკიცებდა. სწორედ ამიტომ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში არამარტო სოციალისტური მიმართულების პარტიები, არამედ საერთოდ – პოლიტიკური და საზოგადოებრივი ყოფიერების გამომხატველი პროგრესის მატარებელი ძალები ათეიზმის მიმართ კეთილგანწყობით გამოირჩეოდნენ.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ თვითონ სოციალისტური იდეოლოგია რელიგიურ ცნობიერებას თავის კონკურენტად მიიჩნევდა და ყველა შესაძლო ხერხებით მის ლიკვიდაციას, საზოგადოებრივი ყოფიერებიდან გადევნას ცდილობდა. ამ მცდელობის მიზეზების შესახებ სრულიად სამართლიანია რუსი ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი, როცა აღნიშნავს: „მარქსიზმი არ არის მარტო მეცნიერება და პოლიტიკა, ის არის რწმენა, რელიგია“ [Бердяев Н., 2000: 27]. სწორედ აქედან გამომდინარე, ამ ახალი „რელიგიის მშენებლები“ საოცრად უღმობღები იყვნენ განსაკუთრებით ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენელთა მიმართ, რადგან თავიდანვე მარქსისტული მოძღვრება მიზნად ისახავდა ახალი ადამიანის აღზრდას, რაც ყოვლად შეუძლებელი იქნოდა ქრისტიანული მსოფლმხედველობის ბატონობის პირობებში. ყოფიერების რევოლუციური გარდაქმნის გზა – მარქსისტული მოძღვრების მთავარი აქსიომური დებულება, მთლიანად გამორიცხავდა სამყაროს განვითარების კანონების ქრისტიანულ ხედვას.

სერიოზულმა დაპირისპირებამ საქართველოში ქრისტიანული ეკლესიისა და სოციალ-დემოკრატებს შორის მწვავე ხასიათი მიიღო საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის მცირე პერიოდშიც კი. ამაზე მიაწინებებს კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდეს წერილი: „ჩვენი მთავრობა სოციალისტურია, პრინციპულად ვერ ეგუება ეკლესიას. თანახმა ვარ, დიხაზც ნუ შეეგუებთან ურთიერთს ეკლესია და სოციალისტები და დროზე გამოვრდნენ ერთმანეთს, მაგრამ აქაც სავალდებულოა სამართლიანობა და ჩვენც მარტო სამართლიან დაშორებას ვთხოვლობთ სახელმწიფოსაგან, სხვა არაფერს“ [დიდნი საქმენი, 2011: 476].

მიუხედავად დაპირისპირებისა და იდეოლოგიური განსხვავებისა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში დამოკიდებულებას ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არ მიუღია დრამატული ხასიათი.

ბოლშევიკურმა ინტერვენციამ 1921 წელს დაანგრია საქართველოს პირველი რესპუბლიკა და ქვეყანაში სოციალიზმის რუსული მოდელი გააბატონა. ბოლშევიკების ათეიზმი – მებრძოლი, უკომპრომისო ათეიზმი იყო, რომლის მიზანს წარმოადგენდა რელიგიის ყველა ფორმის ნგრევა, სასულიერო წოდების ლიკვიდაცია, მოსახლეობის მარქსისტულ-ლენინური აღზრდა.

ახალმა საბჭოთა ხელისუფლებამ 1921 წ. 15 აპრილის დეკრეტით ეკლესია და სახელმწიფო მკაცრად გამიჯნა, ამასთან სასტიკად აუკრძალა ეკლესიის მსახურებს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში მონაწილეობა. წინამორბედი ხელისუფლებისაგან გასხვავებით, ბოლშევიკური საქართველოს მესვეურები არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ დეკლარირებული განცხადებებით. ისინი ინარჩუნებდნენ უფლებას აქტიური იდეოლოგიური ზემოქმედება მოეხდინათ საზოგადოების თითოეულ წევრზე, რომ მას უარი ეთქვა რელიგიურ ცნობიერებაზე, ხელი აეღო საეკლესიო ცხოვრებაში მონაწილეობაზე.

რუსეთის ცარიზმის ხელში უკვე სერიოზულად დასუსტებული საქართველოს სამოციქულო ეკლესია აღმოჩნდა უმძიმესი გამოცდის წინაშე: „ბოლშევიკები“ ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, ფიზიკურად ანადგურებდნენ ღვთისმსახურებს, უკრძალავდნენ მოსახლეობას საეკლესიო რიტუალებში მონაწილეობას.

ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, პირველი დარტყმის ეპიცენტრში მონასტრები აღმოჩნდნენ. საეკლესიო თვალსაზრისით და ისტორიულადაც, სწორედ მონასტერია ქრისტიანული მსოფლმხედველობის არა-





მარტო დამცველი, არამედ ყოველდღიურ ყოფაში ქრისტიანული ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და განმტკიცების, ქრისტიანული სულიერების განვითარების უმნიშვნელოვანესი სავანე. ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, სადაც კი ეკლესიის საფუძვლებს არყევდნენ, პირველ რიგში სამონასტრო ცხოვრების ლიკვიდაციას ახდენდნენ ხოლმე. ამას ძალიან ხშირად არამარტო იდეოლოგიური საფუძველი ასაზრდოებდა, არამედ მეტად პრაგმატული მიზნებიც – თითქმის ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში მონასტერი სულიერთან ერთად, უდიდეს მატერიალურ ფასეულობებსაც ფლობდა.

პირველი დარტყმა საქართველოშიც მონასტრებმა განიცადეს. მართალია, საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ 1918-1921 წლებშიც ეკლესია-მონასტრებს მფლობელობაში ჯერ კიდევ არსებული მიწები ჩამოართვა და მიწის რეფორმის გასატარებლად გამოიყენა, მაგრამ რაღაც ნაწილი ეკლესია – მონასტრებს მაინც დარჩათ სარგებლობაში. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ დარჩენილ ნაწილზეც განაცხადა პრეტენზია. არის ცნობა, რომ წმინდა ნინოს მონასტრის კუთვნილი მამული გორის მაზრის სოფელ ძეგეში 1921 წლის მარტში დაარბიეს კომუნისტების მიერ გათამამებულმა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, გაძარცვეს სამონასტრო სახლი, დაიტაცეს ავეჯი და წიგნები [სუიცა, ფ.285, ს167, ფურც.170]<sup>1</sup> ამასთან, საბჭოთა ხელისუფლებამ მცხეთის დედათა მონასტრის კუთვნილი ბაღი, სახნავი მიწით, გადასცა დუშეთის კომუნალურ გაყოფილებას [სუიცა, ფ.300, ს276, ფურც.2]. მსგავსი მაგალითი ბევრია.

მიმდინარეობდა საყოველთაო და ძლიერი ზენოლა სასულიერო წოდების წარმომადგენლებზე, რომ მათ თვითონ განეცხადებინათ უარი ღვთისმსახურებაზე და ჩამდგარიყვნენ ეკლესიის კრიტიკოსთა რიგებში. მაგალითად, კომუნისტურმა პრესამ გამოაქვეყნა კავთისხევის თემში, სოფელ იდღეთის ეკლესიის დიაკვნის ვასო დავითის ძე არქიაშვილის წერილი, სადაც ის აღიარებდა: „დავრწმუნდი დიაკვნობა არის მშრომელი ხალხის მოწყუება და სიცრუე. ამიტომ თავს ვანებებ დიაკვნობას“ [გაზ. „კომუნისტი“, 1923]. ასეთი განცხადებები საკმაოდ ბევრი იბეჭდებოდა.

საქართველოში მეზრძოლი ათეიზმის უღმობლობა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაიამ) გენუის საერთაშორისო კონფერენციას გაუგზავნა მემორანდუმი რუსეთის მხიდან საქართველოს ანექსიისა და ქართველი ერის სუვერენული უფლებების შელახვასთან დაკავშირებით. ამ განცხადებამ ქართველი ბოლშევიკების განრისხება გამოიწვია. ეს ფაქტი ათეისტური პროპაგანდის გასაძლიერებლად გამოიყენეს. ამ მოძრაობას მწვანე შუქი თვითონ ფილიპე მახარაძემ აუწოთ, როცა გაზ. „კომუნისტი“ გამოაქვეყნა მკაცრი წერილი: „პატრიარქ ამბროსის მღვდელმთავრული ჭორიკანობა“, რომელშიც ქართველი ბოლშევიკების ლიდერი პატრიარქს არაობიექტური ინფორმაციის გავრცელებასა და „მენშევიკების“ შეხედულებების ტირაჟირებაში ადანაშაულებდ [გაზ. „კომუნისტი“, 1922]. განრისხებულმა ბოლშევიკებმა ერის სულიერი მამა ციხეში გამოამწყვდიეს, ხოლო მოგვიანებით სასამართლო პროცესი გაუმართეს, არის დოკუმენტური მინიშნება, რომ იგეგმებოდა მისი ფიზიკური ლიკვიდაციაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პერიოდი არამარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც ათეისტური ბრძოლის განსაკუთრებული უღმობელი ფორმების გამოყენებით აღინიშნა. არსებობს ლენინის მიერ მოლოტოვისადმი გაგზავნილი საიდუმლო წერილი, რომელშიც რევოლუციის ბელადი აღნიშნავდა: „მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ახლა უნდა მივცეთ ყველაზე გადამწვეტი, დაუნდობელი ბრძოლა შავრაზმულ სასულიერო ფენას და ჩახშობილ იქნას მათი წინააღმდეგობა ისეთი სისასტიკით, რომ მათ ეს არ დაივინყონ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში“ [წენგუაშვილი კ., 2005: 155].

საქართველოს არქივსაცავებში ინახება მოსკოვიდან მოსული ცირკულარი, სადაც ადგილობრივ პარტიულ მოღვაწეებს ავალებენ: „უნდა შეანჯღრიოთ ხუცები, დაუპირისპირეთ ზედა და ქვედა ფენების სამღვდელთა“ [სმსსა, ფ13, აღ.1, ს.26...]<sup>2</sup>.

სამღვდელოების დისკრედიტაციის მიზნით საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად იყენებდა საეკლესიო ქონების აღწერისა და მათი შენახვა-დაცვის მიზნით ჩატარებული მუშაობის აუდიტორულ შესწავლას. 1922-1923 წლებში თითქმის ყველა ეკლესია-მონასტრის რევიზია განხორციელდა. სპეციალურად შექმნილი სამეულები, რომლებშიც უღარიბესი გლეხობის წარმომადგენლებიც შედიოდნენ, სწავლობდნენ ეკლესია-მონასტრების საფინანსო საქმეებს, საეკლესიო სიძველეების შენახვის მდგომარეობას. ამ საქმეს უფრო პრაგმატული მიზანი ჰქონდა – როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში ცდილობდნენ ვოლგის დამპყველი მოსახლეობისათვის შეეგროვებინათ ფინანსური რესურსი. ამასთანავე, დაგეგმილი იდუსტრიალიზაციისათვისაც უზარმაზარი ფინანსური სახსრები იყო საჭირო – საეკლესიო სიძველეები ამის საუკეთესო საშუალებად ჩა-

<sup>1</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი

<sup>2</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი





ითვალა. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: სენაკის მაზრის სოფ. სერგიეთის მთავარანგელოზის ეკლესიიდან გაიტანეს მთავარანგელოზის ხატი ოქროთი დაფერილი, ძვირფასი თვლებით შემკობილი. სოფელ ზედა ინჩხურის წმ. გიორგის ეკლესიიდან წმ. გიორგის ვერცხლის ხატი ოქროთი დაფერილი 6 ძვირფასი თვლით, ვერცხლის ბარძიმი, ვერცხლის ფეშხუმი [სუიცა, ფ.284, ს.48, ფ.5]. მსგავსი მაგალითები ძალიან ბევრია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბარბაროსული საქმიანობის შესახებ გაიგეს ქართველმა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. მათ გააპროტესტეს ეკლესია-მონასტრებიდან საეკლესიო სიძველეების ამოღების პრაქტიკა და მოითხოვეს მათი შენახვა მუზეუმებში, რათა მეცნიერებს მათი შესწავლისა და შეფასების შესაძლებლობა მისცემოდათ. ქართველი ინტელიგენციის მონინავე წარმომადგენლების შემტევმა პოზიციამ ბევრი საეკლესიო სიძველე გადაარჩინა განადგურებას [სუიცა, ფ.300, ს.23, ფ.2].

რა ვითარებაში უხდებოდათ ცხოვრება საქართველოს მონასტრებს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში?

ამის შესახებ ჩინებული ინფორმაციის შემცველია ბოდბის დედათა მონასტრის ილუმენიას დედა ნინოს (ვაჩნაძის) მიერ 1923 წელს საქართველოს შინსახკომის სახელზე გაგზავნილი წერილები. ეს ეპისტოლარული მემკვიდრეობა ჩვენ აღმოვაჩინეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის არქივში, მასში გადმოცემულია საქართველოს მონასტრების საერთო გასაჭირი და სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რაც მათ შეექმნათ ათეიზმის ბატონობის პირველ წლებშივე.

ამ წერილებში ასახულია იმუამად მონასტერში არსებული ობიექტური ვითარება, ვხვდებით მასალას, რომელიც განსაზღვრავს მონასტერთან ახლო მდებარე სოფლის მოსახლეობის დამოკიდებულებას, ხაზგასმულია ურთიერთობა ადგილობრივ საბჭოთა ჩინონებთან, არის დაყენებული ქონერივი პრობლემებიც და ადგილი აქვს მონასტრის განვითარების პერსპექტივებზე მინიშნებებსაც.

პირველ რიგში საინტერესოა მონასტერში არსებული ობიექტური ვითარების ამსახველი მასალა. როგორც ჩანს, ბოდბის დედათა მონასტერში იმუამად ცხოვრობდა 50 მონაზონი, რომლებიც ილუმენიას განცხადებით „ენევიან სხვადასხვა კუსტარულ მეურნეობას“ [სუიცა, ფ. 285, ს. 492, ფ. 28]. მონასტერს ჰქონია სართავ-საქსოვი სახელოსნო, რომელშიც დასაქმებული იყო 15 მონაზონი. ამის გარდა მონასტრის საკუთრებად ითვლებოდა ბაღი, ვენახი, საფუტკრე, ბოსტანი და ტყე მონასტრის გარშემო. მონასტერთან არსებობდა სკოლაც.

ილუმენია ნინო ამტკიცებდა, რომ, მიუხედავად ბოლო 6 წლის მანძილზე შექმნილი „არახელსაყრელი პირობების“ (იგულისხმება, ალბათ, პირველი მსოფლიო ომი, რუსეთის იმპერიის ნგრევა, საქართველოს პირველი და მეორე რესპუბლიკების დამკვიდრება და ა.შ.), „ჩვენ შევძელით დამოუკიდებელი ცხოვრება, სამაგალითო სკოლის შენახვა და წარმოება“ [სუიცა, ფ. 285, ს. 492, ფ. 28].

მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება დედა ნინოს წერილში გაცხადებული შემდეგი ფაქტი: „მონასტერი წარმოაგენს სრულ კომუნას (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.), სადაც ყველა შრომობს და ერთგვარი მტკიცე დისციპლინით ცხოვრობს“.

რატომ ხმარობს დედა ნინო ამ ცნებას „კომუნა“, რა უნდა ამით თქვას?

20-იანი წლების დასაწყისში კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის მიზანი სოფლად კომუნალური მოძრაობის მასობრივი გავრცელება და განმტკიცება იყო. მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების მიხედვით, მეურნეობრიობის სწორედ ეს ფორმა შეესაბამებოდა უკლასო საზოგადოების პოლიტიკონომიკურ პრინციპებს, რადგან გამორიცხავდა კერძო საკუთრების არსებობას და ყველაფრის, მათ შორის საცხოვრებელი გარემოს, სოციალიზაციას ამკვიდრებდა.

დედა ნინოს, სავარაუდოა, აუცილებლად ექნოდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ კომუნისტურ საქართველოში უკვე დაიწყო კომუნების მშენებლობა, ამჯერად უღარიბესი გლეხობის პირადი ინიციატივით. ასეთი კომუნა შეიქმნა, მაგალითად, სამთავისში (ქართლი), ხედაშელებში (რაჭა), ზემო ქედში (კახეთი). აშკარაა, რომ დედა ნინოს კომუნის ხსენებით და სამონასტრო ცხოვრების კომუნასთან გაიგივებით სურდა მონასტრისაგან აეცილებინა ის დარტყმა, რაც მზადდებოდა და შეიძლებოდა მონასტერი სრულ ლიკვიდაციამდე მიეყვანა.

რა საფრთხე ემუქრებოდა იმუამად მონასტერს?

როგორც ჩანს, მონასტრის ყოფილი სკოლა, რომელიც მონასტრის ეზოში მდებარეობდა და უკვე განათლების სახალხო კომისარიატის საკუთრება იყო, მისი დირექტორის, ვინმე ალექსანდრე სოლომონის ძე ნაცვლიშვილის სახით, ცდილობდა მონასტრის კიდევ უფრო შევიწროვებას – სამონასტრო შენობის წართმევას.

დედა ნინო ახასიათებს ამ პიროვნებას და იხსენებს მის წარსულს – „ის ცნობილია როგორც მძარცვე-



ლი, სახელმწიფო ქონების გაუმადლარი მფლანგველი”. როგორც წერილიდან ჩანს, ჯერ კიდევ მენშევიკების მმართველობის პერიოდში ამ პიროვნებას მონასტრიდან წაუღია გარკვეული ქონება (თეთრეული), რომლის კვალი დაკარგული იყო.

დედა ნინო კომპეტენტურ ორგანოებს აძლევს შემდეგ შეკითხვებს:

1. ცნობილია, რომ ალ. ნაცვლიშვილი სახელმწიფო ქონების მფლანგველია;

2. ჩვენგან ჩაბარებული ქონება გაფლანგული აქვს თუ არა?;

3. გაირკვეს ამ წინადადების (იგულისხმება მონასტრისათვის ქონების ჩამორთმევა – ა.დ.) „ინიციატორი პირები.“

იმისათვის, რომ მის წერილს მეტი ძლიერება შესძინოს, დედა ნინო საბჭოთა ხელისუფლებას სთავაზობს გონიერ ალტერნატივას, რომელიც წაადგებოდა როგორც ხელისუფლებას, ისე მონასტრსაც. მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, თუ მონასტრის ბაზაზე გაიხსნებოდა საავადმყოფო, რისთვისაც მონასტერი გაიღებდა არამარტო შენობას, არამედ საჭირო ინვენტარსაც, ხოლო მონაზვნები საავადმყოფოში უსასყიდლოდ და უანგაროდ იშრომებდნენ. თავისი წინადადება, რომ კიდევ უფრო მომხიბლავი გაეხადა, ილუმენია შემდეგ შეთავაზებასაც იძლეოდა: გამოიყოფოდა 45 ოთახი, 140 ლოგინი, მაგიდები, ჭურჭელი, თეთრეული და ა.შ.

დედა ნინო პირდებოდა ხელისუფლებას, რომ მონაზვნები შეძლებდნენ საავადმყოფოს საჭირო უზრუნველყოფას და ავადმყოფების ჩინებულ მოვლას. ის წერდა: „მონასტრის ეზოში მცხოვრები მოლოზნები შეჩვეულნი ვართ არა მცონარე ცხოვრებას, როგორც ამას ფიქრობენ ხოლმე, არამედ სისტემატურ შრომას...“.

წერილში ამ პასაჟის („მცონარეობა“) ხაზგასმით დაფიქსირება აშკარა რეაქცია უნდა იყოს იმჟამინდელ კომუნისტურ პრესაში განსაკუთრებული ინტენსივობით წარმოებული ანტისამონასტრო და ანტისაეკლესიო პროპაგანდის მიმართ, როცა ყველანაირად ცდილობდნენ ეკლესია წარმოედგინათ „უსაქმურთა საკრებულოდ“, „მცონარეთა, მუქთამჭამელთა“ ასოციაციად.

როგორი იყო ხელისუფლების მხრიდან რეაქცია?

არსებობს საქართველოს სსრ განსახკომის სპეციალური მიმართვა შინსახკომის ხელმძღვანელობისადმი, რაც დედა ნინოს წერილზე რეაგირებად შეიძლება ჩაითვალოს. წერილში აღნიშნულია, რომ სიღნაღის მაზრის განათლების განყოფილება ითხოვს მონასტრის შენობებსა და მიმდებარე ტერიტორიებს ბავშვთა სახლის მოსაწყობად [სუიცა, ფ. 300, ს. 92, ფ. 33].

იმჟამად კომუნისტური სახელმწიფოს ფუძემდებლებს ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ შესაძლებელია ბავშვის აღზრდის სრული პროცესის სოციალიზაცია. ეს მარქსისტული მოძღვრების აქსიომატური დებულება იყო – მხოლოდ ასე შეიძლებოდა ახალი რეგენერაციის ადამიანის ფორმირება, რომელიც ააშენებდა უკლასო კომუნისტურ საზოგადოებას. საქართველოში ამ იდეის ინიციატორი და აღსრულების სრული გეგმის შემმუშავებელი განათლების სახალხო კომისრის მოადგილე მარიამ ორახელაშვილი იყო [სუიცა, ფ. 300, ს. 81, ფ. 7].

საერთოდ, მარქსიზმის თეორია უარყოფს ოჯახს, მიაჩნია კლასობრივი საზოგადოების წარმონაქმნად, რომელიც ამკვიდრებს კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას და ამიტომ აუცილებლად უნდა დაინგრეს. ბავშვი ოჯახში კი არა, არამედ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ ბაგა-ბაღებსა და ინტერნატებში უნდა იზრდებოდა, რომ აღიზარდოს კომუნისტური საქმისადმი ერთგულ პიროვნებად. მხოლოდ ასე განთავისუფლდებოდა ადამიანი ოჯახის მავნე, წვრილბურჟუაზიული ზეგავლენისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება კოლექტივისტურს და ნერგავს ინდივიდუალისტურ ტენდენციებს.

საქართველოში ოჯახის ნგრევის ერთიანი სისტემა 1923 წლისათვის უკვე მზად იყო (არსებობდა ყოვლისმომცველი გეგმა), მაგრამ ის ვერ განხორციელდა ეკონომიკური პრობლემების გამო – საბჭოთა სახელმწიფოს არ შეეძლო იმჟამად მთლიანად თავის ხელში აეღო ბავშვის აღზრდის პროცესი და მხოლოდ სკოლის (დანყებითი, საშუალო და უმაღლესი) სოციალიზაციით დაკმაყოფილდა.

ასეთი მიზნებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მონასტრის შენობა-ნაგებობებს საბჭოთა ხელისუფლება მონაზვნების ხელში არ დატოვებდა, მით უფრო, რომ განათლების სახალხო კომისარიატიდან იტყობინებოდნენ: „მიღებულია ცნობები, რომ სასკოლო ეკლესიის კედლებს შორის მოლოზნებს დამალული აქვთ სხვადასხვა ნივთები, ამიტომ საჭიროა მოვახდინოთ განკარგულება, რომ მოლოზნებს ჩამოერთვას სკოლასთან მომიჯნავე ეკლესია და სხვა შენობებიც მონყობილობებით, აგრეთვე ბაღი“ [სუიცა, ფ. 285, ს. 492, ფ. 28].

ასეთი მინაწერების შემდეგ, რა თქმა უნდა, ბოღბის მონასტერი, საქართველოს სხვა მონასტრებთან ერთად, რეპრესირებულთა სიაში შეიტანეს, შენობა-ნაგებობები სრულად ჩამოართვეს, გახსნეს საავადმყოფო, სადაც საოპერაციო მაგიდად დიდი ხნის მანძილზე გამოიყენებოდა ტაძარში დაბრძანებული ღვთისმშობლის უნიკალური ხატი.

ამასობაში საქართველოში ანტირელიგიური, ანტიეკლესიური საქმიანობა კიდევ უფრო გაძლიერდა. ეკლესიისა და რელიგიის მსახურთა წინააღმდეგ ხშირად იმართებოდა ათეისტური ორგანიზებული აქციები.



გაზეთები ბეჭდავდნენ რეპორტაჟებს ასეთი „ლონისძიებების“ შესახებ: „შობის წინა დღით, 6 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართა ჩვენი კავშირის საქალაქო კრება, რომლის შემდეგ კავშირის წევრები გამოვიდნენ ქუჩაში... ჩირაღდნებითა და დროშებით ხელში. დემონსტრაციამ მიზანს მიაღწია. არცერთი ახალგაზრდა იმ დღეს ეკლესიაში არ ყოფილა. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ჩირაღდნები წითელი ნაჭრებით, რომელზედაც ეწერა: „სარწმუნოება მეცნიერებისა და რევოლუციის მტერია“ [გეგუტიშვილი მ., 1972: 48-49].

მებრძოლი ათეიზმი საქართველოს რეგიონებსაც მოედო. ახალგაზრდა კომკავშირელები, უპარტიო ათეისტებთან ერთად, იგონებდნენ ახალ და ახალ ლონისძიებებს, ცდილობდნენ ნერტილი დაესვათ რელიგიური აღმსარებლობისათვის. მაგალითად, ახალსენაკში საშობაოდ, როგორც დოკუმენტები მიუთითებენ, ახალგაზრდებმა „ააფეთქეს საგანგებოდ მონყობილი „მამა ღმერთი“, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“ [გეგუტიშვილი მ., 1972: 48-49]. წმინდა ადგილზე – მონამეთის მონასტერში ათეისტებმა გაანადგურეს ლავრა და გახსნეს წმინდანთა საფლავები და ა.შ.

როგორც აღინიშნა, რუსი და ქართველი ბოლშევიკები მარქსიზმის არამარტო ეკონომიკურ მოძღვრებას ნერგავდნენ საქართველოში, არამედ მარქსისტულ სულიერ ფასეულობებსაც. ამიტომ ისინი ვერ მოითმენდნენ „კონკურენტს“ მშრომელი მასების სულიერი აღზრდის საქმეში. კომუნისტური პრინციპებიდან გამომდინარე „მოძღვარი“ უნდა შეეცვალა „პარტიული კომიტეტის მდივანს“ – ის უნდა გამხდარიყო „სულიერი მამაც“, გზის მაჩვენებელიც, დამრიგებელიც და მეგობარ-ამხანაგიც. სწორედ ის და არა სხვა, უნდა ყოფილიყო პიროვნების მესაიდუმლე და ცხოვრების მასწავლებელი.

ამიტომაც კომუნისტებმა, ეკლესიის მატერიალური და სულიერი სეკულარიზაციის პროცესის გაძლიერებასთან ერთად, დაიწყეს საეკლესიო ტრადიციების ჩანაცვლება – ახალი ტრადიციებით. მაგალითად, ცდილობდნენ დაენერგათ კომუნისტური „ნათლობები“, „კომკავშირული ქორწინება“, პროლეტარიატის საქმისადმი თავგანწირული „წმინდანების“ კულტი, კომუნისტებისათვის ძვირფასი მემორიალური ადგილების მონახულების ტრადიცია და ა.შ. არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ კომუნისტებმა თავის პროპაგანდისტულ-აღმზრდებლობით საქმიანობაში ბევრი რამ გადაიღეს ეკლესიის გამოცდილებიდან: მათ მოიგონეს საკუთარი „რწმენის სიმბოლოებიც“, კომუნისტური „ღვთაების“ კულტიც, კომუნისტური „წმინდანებიც და წმინდა ადგილები“ და ა.შ. ამ ყველაფრის მიზანი იყო – მოსახლეობის ძირითადი ნაწილის დაშორება უფლისაგან, მართლმადიდებელი ეკლესიის ფასეულობებისაგან. კომუნისტების აზრით მამა-პაპათა ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების ნაცვლად ახალი საბჭოური ტრადიციების დამკვიდრება გამოიწვევდა ქრისტიანული მრევლის გადაგვარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში ბოლშევიკებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. ეს ვლინდებოდა როგორც საქართველოში კომუნისტებისა და კომკავშირელების თანამგრძობ-მომხრეების რიცხვის სისტემატურ ზრდაში, ისე ათეისტური იდეოლოგიის განმტკიცებაში, ინტელიგენციის დიდი ნაწილის მიერ კომუნისტების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულების პოზიციის არჩევაში. სწორედ მაშინ დაიწყეს კომუნისტებმა მეცნიერების ხელოვნურად ჩამოშორება ეკლესიისაგან, რამაც საყოველთაო ხასიათი მიიღო. ეკლესია განდევნეს განათლების ყველა რგოლიდან – მეცნიერი არ შეიძლება მორწმუნე ყოფილიყო. გარეგნულად საქართველოს მეცნიერთა დიდმა უმრავლესობამ ათეიზმი თავის რწმენად გამოაცხადა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გულში კვლავ ატარებდნენ მართლმადიდებლობის რწმენას და უფლის სიყვარულს. მაგრამ ასეთი გაორებული ვითარება სულიერად მაინც ანგრევდა პიროვნებას, რადგან აჩვენებდა კონფორმიზმს, თვალმაქცობას.

უფალთან ამ სისტემატურმა დაშორებამ ძალიან მალე საზოგადოებისათვის უკუშედეგი გამოიღო...

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მებრძოლ ათეიზმს შეენირა საქართველოში ტრადიციული სამონასტრო ცხოვრება, საბჭოთა ხელისუფლება მთლიანად გამორიცხავდა კომპრომისს ეკლესიასთან, რელიგიასთან და მას თავის მთავარ კონკურენტად მიიჩნევდა ახალი ადამიანის აღზრდის საქმეში.

მხოლოდ საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მოღვაწეობის შედეგად მოხერხდა სამონასტრო ცხოვრების აღორძინება და დღეს განახლებული ბოდბის დედათა, ფერისცვალების დედათა თუ სხვა მონასტრები ქართველი ერის სულიერების განვითარების სამსახურში დგანან.

### დამონებული წყაროები და ლიტერატურა

1. Н. Бердяев, Истоки и смысл русского коммунизма, см. Пашков Б.Г. История России, М., 2000. с. 27.
2. დიდნი საქმენი, თბ., 2011, გვ. 476.
3. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 285, ს. 167, ფურც. 170.



4. იქვე, ფ.300, საქ. 276, ფურც.2.
5. გაზ. “კომუნისტი”, 1923 წ. 11 აპრილი.
6. გაზ.“კომუნისტი“, 1922 წლის 7 ივლისი.
7. კ. წენგუაშვილი, საქართველოს 1921– 1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია, თბ., 2005. გვ.155.
8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 13, აღ. 1, ს. 26, ფურც.7., ფურც.95.
9. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 284, ს.48, ფურც. 5.
- 10.საქართველოს უიცსა, ფ.300, აღ. 1, საქ.23, ფურც.2.
- 11.საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 285, ს. 492, ფურც.28.
12. იქვე.
- 13.საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 300, ს. 92, ფურც. 33.
- 14.საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 300, ს. 81, ფურც. 7.
- 15.საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 285, ს. 492, ფურც. 28.
- 16.მ. გეგუტიშვილი, ახალი საბჭოთა ტრადიციები საქართველოში, თბ.,1972, გვ. 48-49.
17. იქვე.



ალ. დაუშვილი

### საბჭოთა ხელისუფლება და სამონასტრო ცხოვრება (1921-1922 წწ.) რეზიუმე

საბჭოთა მმართველობის პირველ წლებში ტრადიციული სამონასტრო ცხოვრება საქართველოში მთლიანად ათეიზმთან ბრძოლას შეეწირა. ხელისუფლება არ უშვებდა არანაირ კომპრომისს ეკლესიასთან, რადგან მას განიხილავდა, როგორც მთავარ მოწინააღმდეგეს „ახალი ადამიანის“ შექმნის პროცესში.

უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლშევიკებმა ზემოაღნიშნულ ბრძოლაში წარმატებას მიაღწიეს: გაიზარდა კომუნისტების, ასევე ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაციის წევრებისა და მათი მხარდამჭერთა რიცხვი, გაძლიერდა ათეისტური იდეოლოგია და ინტელიგენციის დიდი ნაწილიც კომუნისტებს უჭერდა მხარს. სწორედ ამ დროს დაიწყო კომუნისტებმა მეცნიერებისა და რელიგიის ხელოვნური გაყოფა ერთმანეთისგან, რამაც მასიური ხასიათი მიიღო. ეკლესიას ჩამოერთვა ყველა საგანმანათლებლო საფეხური, ხოლო მეცნიერი არ უნდა ყოფილიყო მორწმუნე. შესაბამისად, ქართველი მეცნიერების უმეტესობა ათეისტად აცხადებდა თავს, თუმცა მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც ფარულად მართლმადიდებლურად დარჩნენ და გულში ინახავდნენ უფლის სიყვარულს. ასეთი დაყოფა სულიერად ანგრევდა საზოგადოებას. ადამიანები ეჩვეოდნენ კონფორმიზმსა და თვალთმაქცობას.

მხოლოდ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოღვაწეობით შესაძლებელი გახდა სამონასტრო ცხოვრების აღდგენა. დღეს ბოდბეს დედათა მონასტერი, ფერიცვალების დედათა მონასტერი თუ სხვა მონასტრები ქართველი ერის სულიერების გადასარჩენად იღვნიან.

Al. Daushvili

### Soviet Authority and Monastic Life (1921-1922) Summary

In the first years of the Soviet Authority traditional monastic life in Georgia was sacrificed to the fighting atheism. The Soviet Authority completely declined any kind of compromise towards the Church, religion and considered it as a main rival in the process of upbringing of a new man.

It must be admitted that the Bolsheviks had succeeded in this direction. This fact was revealed by the increasing number of the Communists, members of the Young Communist League and their supporters in Georgia, as well as by strengthening the atheistic ideology and choosing the position of loyal attitude towards the Communists by the majority of intelligentsia. Exactly that time began the process of artificial separation of scientists from the Church by the Communists which gained a general character. The Church was banished from all ring of education – a scientist had not to be a believer. Outwardly the majority of the Georgian scientists declared atheism as their faith, but there were such scientists who still believed the Orthodox faith and had love of God in their hearts. But such splitting ruined a person spiritually as he got used to conformism and hypocrisy.

Only after the overthrow of the Soviet System, by the activity of the Catholicos-Patriarch of All Georgia, monastic life was renewed and today renovated Bodbe Nunnery, Nunnery of the Transfiguration and other monasteries are in the service of revival of the Georgian Nation's spirituality.





## 8. კუთალაქი

### საჯავახო ქვეყანა

რელიეფში დაბალმთიანეთით გამოხატული გურიის სერის (გურიის ქედი) მთლიანობა აწინდელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე იმერეთის მთისწინეთიდან გამომდინარე ხევისწყალს გაურღველია O – W დამხრობის გამკვეთი ხეობით. კოლხეთის დაბლობზე გავაკებული იგი პირს ჩრდილოეთისაკენ იქცევს და მარცხნიდან მიერთვის რიონს ცხენისწყლისა და მისი ტოტის – ნოღელას შესართავთა შორის [მარუაშვილი ლ., 1969: 251].

ხეობის ზემონელი შედარებით ვიწროა, ინტენსიური მეურნეობისთვის ნაკლებ გამოსადეგი, რასაც შუილსაკენ ტერასული მორფოლოგიის, დინების მიერ ორ თითქმის თანაბარ ნაწილად გაყოფილი კოხნარის ქვაბული (დაახლოებით 8X6 კვ.კმ) ენაცვლება [ცხოვრებაშვილი შ., 1970: 213]. შესამჩნევია სამი-ოთხი ტერასა, მთლიანად ათვისებული როგორც სასოფლო ინფრასტრუქტურის, ისე სამეურნეო სავარგულების სახით. სოფლები, ისტორიულად, ქვაბულის შემკვერელი ქედების (სამხრეთიდან – სანაბლიოს, ჩრდ. საჯავახოსი) ნაკლებდაღარულ მთისწინა ბაქნებზეა მოწყობილი, არსებითად, თვითკმარი მეურნეობით, რომლის მნიშვნელოვან რგოლს ოდითგანვე მდინარისპირა დასავლეთ საქართველოს დაბლობებისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტის მქონე ვაკე შეადგენდა.

გურიის ქედის დაბალი აბსოლუტური სიმაღლე აყალიბებს რეგიონის ფიზიკურ და კლიმატურ სახეს, პეიზაჟში სინაზითა და სიღბილით, გორაკ-ბორცვების მომრგვალებული, დაუძაბავი კონტურებით და უხვი სიმწვანით ასახულს; ნიადაგი, ფლორა, ფაუნა „ნესტიანი, თბილი, და თანაბარი ჰავის გადამწყვეტ ზეგავლენას ექვემდებარება“. საგულისხმოა ისიც, რომ ხეობის სამხრეთი განაპირა ზოლი წარმოდგენილი არის მესამეული ეპოქის კოლხური რელიქტური მეზოფილური ფლორის დანაშით [მარუაშვილი ლ., 1969: 250]; ყოველივე ეს მეტად ხელსაყრელ გარემოს ქმნის სამეურნეო ცხოვრების ინტენსიფიკაციისათვის, რაც არქეოლოგიური მონაპოვრებით დასტურდება.

ბატონიშვილი ვახუშტი ხევისწყლის ხეობას „ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“ აღწერაში საჯავახოს სახელით იხსენიებს: „ხოლო კუალად ცხენისწყლის შესართავს ქუევით რიონს მოერთვის სამჭრიდამ **საჯავახოს წყალი**. ესე გამოსდის ფერსათს, და არს შენობიანი ჯეობა და მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა, ხილ-ვენახითა, პირუტყვთა, ნადირითა და ფრინველითა. ხოლო მზღვრის საჯავახოს: აღმოსავლით მთა მცირე, ფერსათიდამ ჩამოსული ჩრდილოთ კერძოდ, საჯავახოს და საჩინოს შორისი; სამჭრით ფერსათის მთა; დასავლით ფერსათიდამვე ჩამოსული მთა, გურიასა და საჯავახოს შორისი; ჩრდილოთ რიონის მდინარე...“ [ვაუხჩიშვილი ს., 1973: 750; ხაზგასმა ავტორისაა]. ბატონიშვილი, როგორც ვხედავთ, ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყანას წარმოგვიდგენს საზღვრების ზუსტი მითითებით, რომელსაც საჯავახო ჰქვია (აქედან, საჯავახოს წყალი, მდინარის თავდაპირველი სახელი, წყაროების მიხედვით, ხევისწყალი არის).

საჯავახოს ბერი ეგნატაშვილიც იცნობს, თუმცა ვახუშტის მიერ ერთმნიშვნელოვნად იმერეთზე მითვლილ ხეობას „მეცნიერ კაცთა კომისიის“ ხელმძღვანელი გურიაში ათავსებს: „გურიელს ეპყრა რიონს გაღმართი, საჯავახო... იმას აქათი გამოსწვრივ ლომისციხეს გამოღმართი, ერგე, აჭარა, და ჭანეთი რკინის პალოს აქათი“ [ვაუხჩიშვილი ს., 1973: 349]. ვახტანგ VI სამეცნიერო სკოლის მოღვაწეთა მონაცემების ამ, თითქოსდა, შეუთავსებლობაზე ქვემოთ ვიტყვი. აქ კი ვახუშტის აღწერილობის „შენობიანი“ სიტყვას მივუბრუნდებით. იგი, ცხადია, ხეობის დემოგრაფიულ ვითარებას მიუთითებს, მის ერმრავლობას, რომელიც ერთ კონრეტულ სოციალურ ერთეულად, ერთ თემად არის ორგანიზებული. საისტორიო წყაროები მას „საჯავახოელნი“-ს ან კიდევ „საჯავახული თემი“-ს, ხანაც „საჯავახოელების“ სახელით მოიხსენიებს<sup>1</sup>. წუთისოფლის წესმა, როგორც ნ. ბერძენიშვილი ამბობს, მეჟამეობამ, საჯავახოს „პირი უცვალა“; მოიშალა ორგანული ერთობა საჯავახოს თემის და მისი საასპარეზო მიწა-წყლის, ქვეყანა საჯავახო გაქრა. სადღეისოდ აღარც „საჯავახული“ თემი არსებობს და აღარც ხეობა ატარებს ისტორიულ სახელს, რომელიც მხოლოდ ერთ, გურიის სერის კოლხეთის დაბლობისაკენ გაზიდული კალთის ძირობზე მდებარე სოფელს შერჩენია სამტრედიის მუნიციპალიტეტში, „საჯავახოს წყალის“ (მდინარე ხევისწყლის) და რიონის ხერთვისის სიახლოვეს.

<sup>1</sup> „ბიძამან დადიანისამან, შეიყარა საჯავახოელნი და წარვიდა“ [ვაუხჩიშვილი ს., 1959: 362]; „ვახტანგმა „შეყარა საჯავახული თემი“ და ამიკლო“ [ბაქრაძე დ., 1987: 273]; „ესე წიგნი მოგართვით... თქვენ ერისთავს ქაიხოსროს... ჩუენ ერთობით საჯავახოელებმა...“ [ბერაძე თ., ცქიტიშვილი გ., 1971: 47]; პირველი და მეორე ციტატა საჯავახოდან გამომავალ თემობრივ ლაშქარს გულისხმობს, მესამე კი „ქვეყნის“ კონკრეტულ სოციალური ორგანიზმის სახელს.



წინამდებარე წერილში საჯავახოს როგორც ქვეყნის (ტერიტორიული და ადმინისტრაციული ერთეულის) წარმოშობის ეპოქისა და გარემოებათა დაზუსტებას ვცდილობთ.

სემანტიკურად საჯავახო ლექსემა, საკუთარი სახელის (ჯავახი) ფუძეზე სა-ო, დანიშნულების ან/და კუთვნილების გამომხატველი კონფიქსის დართვით წარმოებული, მეტად გამჭვირვალეა და ვინმე ჯავახის კუთვნილს, მის მამულს აღნიშნავს – სა-ჯავახ-ო; (მდრ: სა-გურამ-ო, სა-ბარათიან-ო). ხეობის მამულობით (მემკვიდრეობითი უფლებით) მფლობელი ეს ჯავახი კი წარატიულ, ეპიგრაფიკულ თუ ეთნოგრაფიულ წყაროთა თანხმობითი ინფორმაციით ჭილაძეთა წარჩინებული გვარის წევრია; გამოდის, რომ საჯავახო ქვეყანა ამ ფეოდალური სახლის კუთვნილება ყოფილა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დაშლის შემდეგ წარმოშობილი პოლიტიკური ერთეულები – „საქართველოები“, როგორც ცნობილია, სათავადოთა ქსელით მოიფინა. უძველესი და მორჭმული დიდებული სახლების გვერდით ახალწერგი საგვარეულოებიც ცდილობენ საკუთარი ამბიციების პოლიტიკური რეგალიით გაფორმებას. ლიხთიმერეთში ასეთ პრეტენზიას, „კუალად ვაკესა შინა“ ფეხმოდგმული ჭილაძეთა დიდებული გვარი ავლენს, რომელსაც ვახუშტი „ანინდელთა ჟამთა“ უწარჩინებულეს სახლთა შორის ასახელებს – „ცხენისწყალსა და რიონისაკენ, არს **საჭილაო, სამიქელაო.** და არს ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე...პირუტყუნი მძოვარ არიან ზამთარ – ზაფხულს. ფრინველი ურიცხვნი. თევზი არასადა, თვნიერ რიონისა, კირჩხიბი მრავალ. არასადა არს მდინარე, თვნიერ გუბისწყლისა, და იგიცა მცირე...ვენახნი დაბლარნი არიან მრავლად, ხილნი მრავალნი ტყეთა შინაცა. ტყენი აყრილნი, და უწოდებენ ეწერს;...სახლობენ მთავარნი და აზნაურნი“ [ყაუხჩიშვილი ს., 1973, 774: ხაზგასმა წყაროსია, გ.კ.].

ჭილაძეთა თავადური სახლის წარმომავლობის თაობაზე ჩვენს საისტორიო წყაროებში ხელშესახებ რაიმე მასალას ვერ ვპოვებთ.<sup>1</sup> უტყუარად მხოლოდ ის ვიცით, რომ „ჭილაძე“ძეთა გვარწოდებულება წყაროებში ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან გვხვდება, ვიცნობთ საგვარეულოს პირველ წარმომადგენლებსაც – ბეშქენს, ჯავახს, მზექალს,<sup>2</sup> თუმცა არსებული მონაცემებით მათი ნათესაური მუხლის დადგენა შეუძლებელია [სოსელია ო., 1973: 271].

ცენტრალურ ხელისუფლებაში ჭილაძეთა მაღალ სამოხელეო პოზიციებს ადასტურებს ს. კაკაბაძის მიერ პეტერბურგის აზიურ მუზეუმში „ბროსეს ნაქონ ქალაღებში“ მოძიებული ერთი, XIV საუკუნის დასასრულის საბუთი, სადაც „მოლარეთ უხუცესი ქველი ჭილაძე“ იხსენიება [კაკაბაძე ს., 1913: 18-19]; მასვე ასახელებს ტყვირის ეკლესიის წარწერაც – „მაცხოვრისა ტყვირისა საყდრისა აღმაშენებელსა ქველსა ჭილაძესა შეუნდგნეს ღმერთმან. ძმათა მისთა კახაბერსა და ჩუბინსა შეუნდგნეს ღმერთმან“ [თაყაიშვილი ე., 1914: 4]. სახელმწიფო ცენტრალურ აპარატში მოლარეთუხუცესობა ერთ-ერთი მენიწავე, მეტად საპატიო სახელია და მისი მფლობელი, შესაბამისად, დანიშნულებული პირია სამეფო კარზე. XV საუკუნის პირველი ნახევრის ერთ დოკუმენტში დასახელებულია ელაშერ ჭილაძე. ცოტა გვიან, 1486-1488 წწ. ჭილაძეთა სახლიშვილი თულქამი, ციხისთავი. XVI საუკუნეში ჩანან ლიპრი ჭილაძე, გუსტანი ძე მისი ჯავახი, ლომკაცი, ბედან, ვარაზა, გუსტანი (მეორე) და მისი ძე ჯავახი და სხვ. [დანვრილებით, იხ. თოფჩიშვილი რ., 2011: 424-425]; ჩვენთვის საინტერესოა ჭილაძეთა სახლის ჯავახი პირსახელის მატარებელი წევრები. ასეთი კი სულ სამია – ჯავახ I, იერუსალიმის მონასტრის საალაპე ჩანანერებში მოხსენიებული XIII ს. II ნახევრის მოღვაწე, გუსტან I ჭილაძის ძე ჯავახ II (XVI ს.) და ჯავახ III ძე გუსტან II ჭილაძისა, წყაროების მიხედვით, ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) კარის მოხელე – ბოქაულთუხუცესი – რომელი შეიძლება ჩაითვალოს საჯავახოს მფლობელ-სახელმდებლად?

ჩვენს მეცნიერებაში მიღებული აზრის თანახმად, ჭილაძეთა სათავადო XV საუკუნეში წარმოიშვა, ხოლო მათი რიონს გაღმა დამკვიდრება ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან უნდა ვივარაუდოთ, როცა სათავადო საბოლოოდ ჩამოყალიბდა და მთავრული განკერძოებაც მოინადინა. საგულეებელია, რომ ამ დროიდან თავი-

<sup>1</sup> ამის მიუხედავად ამ ბოლო დროს გამოითქვა ვარაუდი მათი ქვაბულიძეთაგან წარმომავლობის შესახებ, რასაც ამჯერად ვერ შევხებით, იხ. ე. გვენეტაძე, გამოჩინებულის წმიდა დიდმონაშე გიორგის ეკლესია, თბ., 2015.

<sup>2</sup> იერუსალიმის ქართული სავანის საალაპე ჩანანერებში იკითხება: „[თუესა დეკენბერსა იგ] ამ(ა)სვე დღესა წირვაი და აღ(ა)პი ბეშქენ ჭილაძის ძისა, მოგვივიდა ათასი თეთრი აღბულა ენტელიგის ძისა და ჭილაძის ძისა მსახურისა ჩიფრუტისა ჳ(ე)ლითა და ვინცა შეცვალოს, შე-მცა-ცვ(ა)ლებ(უ) არს სჯ(უ)ლისაგ(ა)ნ ქ(რისტ)ეანეთაისა“; აქვე, სხვა ჩანანერის მიხედვით: „მეოთხესა კკრიაკესა წმიდათა მარხვათასა წირვაი და აღაპი საუკუნო და პანაშვიდი ჯავახისა ჭილაძის ძისა, შეუნდგენ ღმერთმან“. ორივე ეს აღაპი ე. მეტრეველის მიერ XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული და, ამდენად, „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბეშქენი XIII საუკუნის II ნახევრის მოღვაწეა ისევე, როგორც აღაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის ჯავახ ჭილაძე“ [მეტრეველი ე., 1062: 22].



დან დადიანის ვასალ ქილაძეთა სათავადოს საზღვარში თანდათან მოექცა „აღმოსავლეთით – ნაფალაურ-ნაჩხეტაური, დასავლეთით – სოფ. ბანძა თუ მდ. ნოღელა, სამხრეთით – თავად მაჭუტაძეთა სამფლობელო ნიგოთი, ქვიანი და გურიის საერისთავო, ჩრდილოეთით – ქოლობანი და გუგუნაყაი. ქილაძეების ადგილ-სამყოფი ტყვირსა და გულეკარში იყო. აქ ჰქონდათ გამართული სასახლეები კარის ეკლესიებით. საგვარეულო საძვალე ქილაძეებს მათ მიერ აგებულ ტყვირის ეკლესიაში ჰქონდათ მონყობილი. ფლობდნენ ტოლების ციხე-სიმაგრეს. ერთხანს, მათი ძლიერების დროის რომელიღაც მონაკვეთში, ქილაძეების მფლობელობაში უნდა ყოფილიყო შხეფის ციხე და მისი მიდამოებიც“ [სოსელია ო., 1973: 276]. მთელი ეს მსჯელობა მხოლოდ იმას ნათელყოფს, რომ XIII საუკუნის მოღვაწე ჯავახ I ქილაძე ვერ იქნებოდა რიონს გაღმა მიწების მეპატრონე, მაშასადამე ვერც ამ მხარისათვის საჯავახო სახელის მიმცემი, იმ შემთხვევაშიც კი თუ ქილაძეები მის დაუფლებას „XIII-XIV საუკუნეების შუალედში“ მოახერხებდნენ [თოფჩიშვილი რ., 2011: 425]. პირველი ჯავახის, საალაპე ჩანანერების მიხედვით „XIII საუკუნის II ნახევრის მოღვაწის“, მიერ თუნდაც დაპყრობას (რაც გვეუქვება) რიონს გაღმა საგურიელო ტერიტორიისა ხევისწყლის ხეობის ჩათვლით ჩვენ განვიხილავთ აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობად მისი საჯავახოდ სახელდებისათვის; საამისოდ გარდაუვალი ხმლით მოპოვებულის მამულად ანუ სამკვიდროდ ჭერა იყო, რისი რეალური შესაძლებლობაც მხოლოდ XV საუკუნის უფრო II ნახევრიდან შეიქმნა.

საჯავახოს მფლაველი ვერ იქნებოდა ჯავახ III გუსტან II ქილაძის ძეც, ვინაიდან მის დროს ქილაძეთა სათავადო სახლი უკვე დამცრობილი და ტერიტორია შეკვეცილია. ამიტომაც დადიანის ფარვაში მყოფ ქილაძეებს აღარ ძალუძთ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება; და, რაც მთავარია, საჯავახოს საკითხი იმერეთის მეფის, სამეგრელოს და გურიის მთავრების ქიშპობისა და ინტრიგების წყალობით საბოლოოდ გადაწყვეტილია.

გვრჩება ჯავახ II ქილაძე ძე გუსტან I-სა, რომლის სახელობაზედ იწოდა რიონს გაღმა მიწა-წყალი საჩინოს დასავლეთით რიონ-ხევისწყლის შესაყარის და მთელი ხევისწყლის ხეობის ჩათვლით. სავარაუდოდ, ეს მხარე, მანამდე ქილაძეთა სახლის მოპოვებული, ამ ჯავახს საბატონიშვილოდ ეკუთვნა, მის მამულად იქცა. ამ აქტით კი მთელი ეს ტერიტორია საჯავახოდ, მასზედ მოსახლე ერთობილი თემი „საჯავახოელად“ იწოდა (ასეთი ფაქტები ხშირია ჩვენს ისტორიაში; გავიხსენოთ, თუნდაც, კახაბერი), განსხვავებით სხვა საჭილო მამულებისაგან. საჯავახოც საჭილოა, მაგრამ სხვა სტატუსის მქონე – საჯავახო ლექსემა შინაარსობრივად სწორედაც ჯავახ II სამკვიდრო მიწა-მამულს აღნიშნავს სათავადოს დანარჩენი ტერიტორიიდან ამით გამოორჩეულს, რამაც, გავიმეორებთ ერთხელაც, განაპირობა მხარისათვის მისი სახელის მიკუთვნება. ეს კი XVI საუკუნის პირველ ნახევარზე ადრე ვერ მოხდებოდა, რადგან ჯავახი ამ საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში უკვე მოიკლა იმერთა მეფის ხელით. ვფიქრობთ, ჯავახ I-ის, სავარაუდოდ, ქილაძეთა სახლის ერთ-ერთი მაფუძვნებელის უშუალო მონადევრები არიან გუსტან I და მისი შვილი ჯავახ II, საჯავახოს მამულობით მფლობი და „ნათლია“; ამ უკანასკნელს კი ემემკვიდრებიან გუსტან II და მისი ვაჟი ჯავახ II, რასაც უტყუარად ადასტურებს მამა-შვილ წყვილთა საგვარეულო სახელები.

თავადი ქილაძეები, სამეგრელო-გურიაში მამულ-სამფლობელოთი და ერმრავლობით გალაღებულნი, როგორც ირკვევა, მთავრულ განკერძობას ესწრაფვიან [სოსელია ო., 1973: 274]. თავდაპირველად დადიანის ვასალი სათავადო სეპარატისტული განწყობითა და ტერიტორიული პრეტენზიებით დასავლეთ საქართველოს სამივე, მომიჯნე პოლიტიკური ერთეულის ინტერესებს შეეჯახა, ამიტომაც ქილაძეებს „დაჩიხულობის“ მეტად არეულსა და დაქსაქსულ დროში სამი მხრით უწევდათ მბაღანსირებელი პოლიტიკის წარმოება თუ ხმლის ქნევა, რამაც, საბოლოოდ, მათი დამცრობა-დაკნინება განაპირობა, რაშიც, სხვათა შორის, გეოგრაფიულმა ფაქტორმაც ითამაშა როლი. პირველობისათვის ჭიდილში სათავადო სახლი ქართლის სამეფო კარს უნათესავდება-გუსტან ქილაძეს მემკვიდრის თანამეცხედრედ ლუარსაბ I (1527-1556) და შეურჩევია, ამიტომაც, სამართლებრივი ტრადიციის მიხედვით, ასეთი „უხვედრო“ ქორწინების „დასაურვებლად“ მას „სამოცი ლიტრა ცვილი“ შეუწირავს სვეტიცხოველისთვის. ქორწინება, ცხადია, მხარეთა პოლიტიკური ინტერესით იყო გაპირობებული; საამდროოდ ლუარსაბ I-მა „პოლიტიკური კავშირი შეკრა იმერეთის მეფე ბაგრატ III-თან (1510-1556)-ცოლად შეერთო მისი ასული თამარი“ [ქორიძე თ., 2000: 179]; დიდი პოლიტიკური გეგმების მქონე სიძე-სიმამრს ხელს აძლევდა ოდიშის სეპარატისტი მთავარის წინაღმდეგომი ვასალის გაერთგულება; მეორეს მხრივ, ქილაძეები, ცხადია, „ძალის სესხებით“ გაღონიერებულნი, ოდიშისაგან გამოცალკევებისა და დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების ქსელს ხლართავდნენ; მაგრამ ფორტუნა, ისტორიის გაკვეთილიც ესაა, მეტად ახირებულა: დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა დრამატული ურთიერთობის ერთ ეტაპზე გურიელისა და დადიანის მტრობამ დაახლოვა იმერეთის მეფე გიორგი II (1565 – 1583) [ბუაჩიძე კ., 2000: 239] და გიორგი გურიელი [1564-1583] ჩხატარაიშვილი ქ., 1953: 351] „მტრობითა დადიანისათა“: „ჰყვანდა მეფესა გიორგის მუსადია ქვრივი და მისცა იგი გიორგი გურიელსა ცოლად და დაიმო-





ყურნენ ამით. ამისთვის მოიმწო ვახტანგის ძის ძემ ხოსრომ დადიანი და ამან იშუელა ჭილაძე ვარაზა ლიპარტიანით ოდიშით“. შეითქვენ ხოსრო, გიორგი იმერთა მეფის ბიძის, ვახტანგის სამეფო ამბიციით შეპყრობილი შვილიშვილი, ვარაზა ჭილაძე, ალბათ, სათავადოს მეთაური, რომელსაც იმერეთ-გურიის დაახლოება საკუთარი მიზანსწრაფვის საფრთხედ უნდა აღექვა, ამიტომაც, ბუნებრივია, იმერეთის ტახტზე მისგან დავალეული მეფე ირჩია და დადიანი, დამოყვრებული მისი მტრების დამარცხება-განეიტრალების მოსურნე: „ლალატად დაესხნენ გიორგი მეფესა იანეთს და იქმნა ბრძოლა ძლიერი. ვერა რაი ავნეს გიორგი მეფესა. არამედ ივლტოდნენ იგინივე ქსა ჩ`ფდჳ, ქარ. ს`ნვ და მოისროდნენ მახვლითა“ [ყაუხჩიშვილი ს., 1973: 816]. ნყაროს მიხედვით, ეს ამბები 1568 წელს მომხდარა. გამარჯვებულმა მეფემ იწყო „მტერობა გურიელითურთ დადიანსა ზედა“, რომელიც, წინააღმდეგობთაგან ძლეული და შერცხვენილი, სტამბოლს გადაიხვეწა დახმარების სათხოვნელად; მეფემ და გურიელმა ოდიში კი გაინაწილეს, მაგრამ მალევე „მწე ეყო დადიანს ხონთქარი, მოსცა აზრუმ-ტრაპიზონის სპანი და მოვიდნენ სატყეველასა ზედა“. შეშინებული გურიელი დაეზავა დადიანს და „მოუძღუა“ და „დაიპყრა ლევან კულადა ოდიში“. ოდიშზე ხელჩაქნეულ იმერთა მეფეს ახლა, როგორც ჩანს, დადიანის ვასალი და იანეთის დაპირისპირებაში მისი მომხრე ჭილაძეთა სახლის ამოგდება განუზრახავს: „მოუწოდა ჯავახს ჭილაძეს, მოკლა იგი შურისათვის წინათქმულისა, რამეთუ მიმდგომიცა იყო დადიანისა და დაიპყრა მამული ჯავახს ჭილაძისა მეფემან გიორგი“. მიჩნეულია, რომ იანეთის შეთქმულების მონაწილე ვარაზა ჭილაძე მოკლული ჯავახის ბიძა (მამის, გუსტანის ძმა) ან ახლო ნათესავი უნდა იყოს იმდენად, რამდენადაც „მეფემ იანეთს ვარაზას მოქმედებისათვის სამაგიერო ჯავახს მიუზღო“ [სოსელია ო., 1973: 274].

ვფიქრობთ, რომ იმერთა მეფეს უფრო შორსმიმავალი ზრახვა ამოძრავებდა ვიდრე კონკრეტული ფაქტით, ამ შემთხვევაში, ლალატით აღძრული შურისძიების გრძნობა; მისი უმთავრესი ინტერესი, ქართლის სამეფო კართან დანათესავებული, ამით ზურგმობმული უამისოდაც მზვაობარი („მიმდგომიცა იყო დადიანისა“) ფეოდალის ალაგმვასთან ერთად მოსალოდნელი ახალი კონფორტაციისათვის ხელსაყრელი პლაცდარმის, როგორც შენიშნავდა ო. სოსელია, აღმოსავლეთის მხრიდან გურიის სამთავროს „გასაღების“ (სოსელია ო., 1973: 279) მოპოვება იყო; ამიტომაც იქცა მის სამიზნედ მაინცადამაინც ჯავახი და არა სხვა რომელიმე ჭილაძე; შესაძლოა ის ლიდერადაც მოევილინა სათავადო სახლს იანეთის კონფლიქტის მონაწილე ვარაზას შემდგომ, როგორც ამას ქ. ჩხატარაიშვილი ვარაუდობდა [ჩხატარაიშვილი ქ., 1953: 33]; მთავარი მაინც ისაა, რომ საჯავახოს დაჭერით გიორგი II მეტად სტრატეგიულ ტერიტორიას გააკონტროლებდა, როგორც ვთქვით, დადიან-გურიელ-ჭილაძეთა პერმანენტული ოპოზიციის წინააღმდეგ. ამისი მიღწევა კი მხოლოდ ჯავახ II გუსტანის ძის ჩამოშორებით იქნებოდა შესაძლებელი.

წყაროები იძლევიან საშუალებას დავაზუსტოთ ჯავახის წილი სამფლობელოს საზღვრები, რომელიც იმერეთის მეფემ სათავისოდ იპყრა; დ. ბაქრაძეს გურიაში მოგზაურობისას გამოჩინებულის წმიდა გიორგის ეკლესიაში უხილავს ღვთისმშობლის ხატი მამია გურიელის მოსახსენიებლით და მრევლში გამოსასვენებელი ჯვარი, მკვლევარის დასაბუთებული ვარაუდით, ჯავახ II ჭილაძის ზედწერილით; იგივე ჯავახი, მისივე თქმით, „ბიჭვინთის სიგელ-გუჯრების კრებულშიც“ იხსენიება: „შენ, ნათქვამია კრებულში, ცათა მობაძავისა დიდისა ღვთისმშობელსა ბიჭვინთისასა შემოგწირე მე, ჯავახს ჭილაძემან ჩემი სამკვიდრო მამული ქორეთის-უბანი ნაფხეკსა და იმ ადგილს შორის, სადაც ხევისწყალი მიერთვის რიონს, საოხად სულისა ჩემისთვის“ [ბაქრაძე დ., 1987: 197-199]. ეს ტექსტი რამდენიმე კითხვასხვაობით მიწერილია „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი“-ს ხელნაწერზე, რომელიც 1914 გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ და ჩვენთვის საინტერესოა იმით, რომ აქ ჯავახის კუთვნილი კიდე ერთი პუნქტია დასახელებული: „შენ ცათა მობაძავისა დიდისა ბიჭვინტისა ღვთისმშობელსა. ს`ლისა ჩემისა სახსრად და საოხად შემოგწირეთ ჩვენ ჭილაძემან ჯავახმა ჩემი სამკვიდრო ქორეთის უბანი. მისის ადგილმამულითა და მისის სამზღვრითა. ხევის წყალა რომ შეერთვის რიონს იმასა და ჩექმის ნაფხეკს შუა. რომლისაც საზღუარი მიადგება ტოლას“..., ამათ შუა შენდა შემომინიწავს...“ [კაკაბაძე ს., 1913: 40]. მოტანილი მასალით ცხადად ჩანს, რომ ჯავახს მამულები კუთვნილია ხევისწყლის, ვახუშტით – საჯავახოს წყლის ხეობაში; გამოჩინებული კოხნარის ქვაბულის რაიონში, დღევანდელი საჯავახოს ქედის თხემზე მდებარეობს, ტოლა დღევანდელი ტოლები არის გურიის სერის კოლხეთის დაბლობზე გამოსასვლელში. მახლობლადვე, ხევისწყლის შესართავისაკენ მდებარეობს ქორეთის უბანიც; საჭილაო სახლის მიერ ხეობის ქერას დ. ბაქრაძის მოპოვებული სხვა ინფორმაციაც ადასტურებს: „სოფელ ქვემოხეთში მიმავალს... სანაბლოს ქედის ჩრდილო ძირითან, ყყორენჯუისწყლის შენაკადზე, რომელსაც ჭილაძის წყალს ეძახიან, მაჩვენეს თლილი ქვით ნაგები კვადრატული აუზი, სადაც საჯავახოს ან უკვე გადაგებული მფლობელთა – ჭილაძეთა დროს ყოველთვის ყავდათ თევზი მათი ოჯახისათვის. აუზი კარგად შენახულა, მას დღემდე ჭილაძის სათევზავი ჰქვია“ [ბაქრაძე დ., 1987: 194]. ე.ი. მეფეს მთელი საჯავახო, ხევისწყლის ხეობა შესართავიდან სათავემდე მიუსაკუთრებია, მთელი „მამული ჯავახს ჭილაძისა“. მაგრამ, მალევე, „ესე



აღუძნდათ დადიან-გურიელსა, გვიამბობს ბატონიშვილი ვახუშტი, შეითქუნენ და მოვიდნენ სპითა და არა აუფლებდნენ გიორგი მეფესა მამულსა ზედა ჭილაძისასა, არამედ ნახევარი დაიპყრა დადიანმან და ნახევარი გურიელმან“ [ყაუხჩიშვილი ს., 1973: 818].

ე. თაყაიშვილი თვლიდა, რომ „საჯავახო ერგო გურიელს, რიონის მარჯვენა ნაპირი დადიანს“ [თაყაიშვილი ე., 1914: 3-4]. ამასვე იმეორებს ო. სოსელია: „... დადიანმა საჯავახოს რიონს ჩრდილოეთით მდებარე ნაწილი დაიჭირა, გურიელმა კი – სამხრეთი. ამის შემდეგ ჭილაძეების სამფლობელოს დადიანისეულ ნაწილს საჭილაოს ეძახიან, გურიელისეულს – საჯავახოს“ (სოსელია ო., 1973: 278).

საჯავახოს ეს დანაწილება ჩვენ სხვანაირად წარმოგვიდგენია; ვთვლით, რომ წყაროს ზემოწინააღმდეგობრივ პასაჟი, სხვა მონაცემებთან ერთად გვაგულისხმებინებს არა ჭილაძეთა სათავადო სახლის მთლიანად ამოგდება-დაპყრობას, არამედ მხოლოდ ჯავახის წილხვდომილის დაყოფასა და დანაწილებას: გურიელის მითვისებულ წილში უთუოდ ხევისწყლის (საჯავახოს წყლის ხეობა) უნდა შესულიყო, დადიანისად კი საჯავახოს ქედის ჩრდილო კალთები (გამოჩინებულის მხარე) და რიონისპირა, შეიძლება ასეც ვუნოდოთ, ბარის საჯავახო, რჩებოდა. ჩვენს ამ ვარაუდს „ქართლის ცხოვრება“ უჭერს მხარს: დაუზოგავმა ქიშპობა-მოშულარობამ მეფე და მთავრები ერთმანეთს გაარიგა, „სამნივ, გვიამბობს ბერი ეგნატაშვილი, ქვისლნი შეიქმნენ და დამოყურდნენ,....მამია დადიანს ლომკაცი ჭილაძისეული და რევაზისეული დაანებეს და შეირიგეს, და იქმნა მიერთგან მშვიდობა სამსა საბატონოსა შუა“ [ყაუხჩიშვილი ს., 1959: 362]. საქმის ასეთი დასასრულით გაგულისებულმა „დათულიამ, ბიძამან დადიანისამან,“ შემოიკრიბა საჯავახო, რომელიც, წყაროების მიხედვით, „მას ეპყრა“, მოიბირნა „ვინამენიცა მეგრელნი, წარვიდა რათა“ ლალატი დაეჭირა სადადიანო ტახტი, მაგრამ „აგრძნა საქმე დადიანმან“ და სათანადოდ შეემზადა „ველარ ულალატა და წარვიდა თვსად საჯავახოდ დათულია“ [ყაუხჩიშვილი ს., 1959: 362]. მთელი ეს მასალა ნათლად ადასტურებს ჩვენი მოსაზრების სისწორეს – გურიელს ხეობის საჯავახო უჭირავს, სადადიანოდ კი ჩრდილო საჯავახო (ბარის, გინა ქვემო) იგულისხმება, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში დადიანის ბიძის წილია; ლომკაცისეულსა და რევაზისეულში, ვვარაუდობთ, რომ რიონის მარჯვენა ნაპირის საჭილაოს გარკვეული მიწები იგულისხმება.

მიუზბრუნდეთ ისევ წყაროს: იმერთა მეფეს იმ მომენტისათვის, როგორც ჩანს, გურიელზე მეტად დადიანის გაღონიერება ადარდებდა, ამიტომაც მან „გურიელსა მოუთხრა, რათა მოკლას დათულია ამის წილ და დაიპყრას თვთ საჯავახო ორთავე ნებითა. განიხარა გურიელმან, შეიპყრა ზაკვთ ბათულია. არამედ თვთ არა მოაკვდინა და პატიმარ-ჰყო ოზურგეთს და დაიპყრა საჯავახო თავისად (ეს დათულია, საბოლოოდ, მეფისა და დადიანის კაცებმა მოაშთვეს 1582 წელს) და „იქმნებოდა ესრეთი მშვიდობა“ [ყაუხჩიშვილი ს., 1973: 818]. მთელს ამ თხრობაში მეტად საინტერესოა ვახუშტის ერთი ფრაზა – „დაიპყრას თვთ საჯავახო ორთავე ნებითა“ რაც საგულისხმო დასკვნისაკენ გვიბიძგებს: საჯავახო ქვეყანა ორნაწილედია, ორი ტერიტორიული ერთეულისაგან შედგენილი ერთობილი თემი; ასეთი დანაწევრება საჯავახოს ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებით არის გაპირობებული: სამხრეთი საჯავახო ანუ ხევისწყლის ხეობა ისტორიულ ტოლა სოფლის (დღევანდელი ტოლები) ზევით, შეკრული, მთებით მოზღუდული ერთეულია, მაშინ, როცა მისი ჩრდილოეთ ნაწილი, დღევანდელი საჯავახოს მთის სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი კალთა, რიონის დავაკებაშია გაშლილი. დათულიას გამოსვლას გურიელისათვის საჯავახოს ამ ნაწილის გადაცემაც მოჰყვა, ამით, გურიის საზღვარმა რიონს, ჩრდილოეთით, და საჩინოს, აღმოსავლეთით, უნია. [შდრ. ბერაძე თ., ცქიტვილი გ., 1971: 43]. მდინარე რიონი რომ გურიელის სამფლობელოს ჩრდილოეთი მიჯნაა, დასტურდება ყველა წყაროთი, რომელიც კი, საზოგადოდ, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულთა საზღვრებს პირდაპირ თუ ირიბად ეხება. ასეთი ვითარება, მეტნაკლები ცვლილებებით, დამონშებულია XVI საუკუნიდან კარგა ხნის მანძილზე სხვადასხვა საიტორიო მასალით; მაგალითად, კათალიკოსი მაქსიმე (1776-1795) გურულები-სადმი მიმართვაში ზუსტად მიუთითებს ადრესატთა საცხოვრებელ არეალს – „რიონის წყლის გამოღმართთა“ [ჩხატარაიშვილი ქ., 1959: 29]. საჯავახოს მთლიანობის ასეთი, ორნაწილოვანი, გააზრება საშუალებას იძლევა მოვხსნათ ის შეუსაბამობა საჯავახოს ლოკალიზაციის საკითხში, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობებს შორის იგრძნობა. ვახუშტი მას „ეგრისის ქუეყანას, ანუ აფხაზეთისას, ანუ იმერეთისას“ – მიაწერს. ერთხელაც დავაკვირდეთ, საჯავახოს მის მიერ მოცემულ საზღვრებს: „აღმოსავლით მთა მცირე, ფერსათიდამ ჩამოსული ჩრდილოთ კერძოდ, საჯავახოსა და საჩინოს შორისი; სამკრით ფერსათის მთა; დასავლით ფერსათიდამე ჩამოსული მთა, გურიასა და საჯავახოს შორისი; ჩრდილოთ რიონის მდინარე“ [ყაუხჩიშვილი ს., 1973: 750]. მთლიანად გურიის „მზღვარი“ ბატონიშვილს ასე გაუაზრებია: „აღმოსავლით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი, სამკრით ჭოროხის მდინარე და მთა მცირე, ფერსათიდამ ჩამოსული დასავლით, აჭარა-გურიას შორისი; ჩრდილოთ რიონი გურია-ოდშიშ შორისი და დასავლით შავი ზღუა“ [ყაუხჩიშვილი ს., 1973: 789]. თუ შევადარებთ ამ ორ აღწერილობას აღმოჩ-





ნდება, რომ გურიის აღმ. საზღვარი „მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი,“ და საჯავახოს სამხრეთ საზღვარი, „სამჭრით ფერსათის მთა“ ერთსა და იმავე ობიექტს აღნიშნავს, ჩვენი ფიქრით სანაბლიოს ქედს (და მის განშტოებებს), რომელიც საჯავახოს წყლის ანუ ხევისწყლის ხეობას კოხნარის ქვაბულის რაიონში სამხრეთიდან ზღუდავს. გამოდის, რომ ვახუშტის ჯეროვანი წარმოდგენა ჰქონია საჯავახოს ადგილმდებარეობაზე, მის ზემოთ აღწერილ პოლიტიკურ თავგადასავალზე, დაყოფა-დანაწილებაზე და სხვ. თუმცა, ჩრდილო (ქვემო, ბარის) საჯავახოს სადადიანო, ხანაც საიმერეთო ნილხვდომილობას მთელს მიკროქვეყანაზე ავრცელებს, განსხვავებით ვახტანგ VI სამეცნიერო კომისიის ლიდერისაგან, რომელსაც „რიონს გაღმართი, საჯავახო“ მთლიანად გურიელისად მიაჩნია; აშკარაა, რომ ავტორთა ცნობების ეს შეუსაბამობა საჯავახოს პოლიტიკური ისტორიის სხვადასხვა მომენტს ასახავს და მით არის გაპირობებული;

მოკლედ, შიდაპოლიტიკური სეპარატიზმისა და ინტრიგების ხანაში, ჯავახის სიკვდილით, საჯავახოს, ჯერ იმერეთის მეფის, მთლიანად, შემდეგ კი დაცალკეებულ სახით გურიელისა და დადიანის ხელში გადასვლით მემამულეობა-კუთვნილების გამომხატველ – „საჯავახო“ – ცნებას რეალური სოციალური შინაარსი ეცლება, სამაგიეროდ ინარჩუნებს ტოპონიმურ, ხეობის და, შესაბამისად, ამ ხეობის საზოგადოების აღმწერის ფუნქციას, რომელიც XX საუკუნის ოციანი წლების დასაწყისამდე მოჰყვა.

კიდევ ერთი საკითხი; ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ „ჯავახ II -ის დროს (და შეიძლება ჯავახ I -ის დროსაც) საჯავახოს ეძახდნენ, ალბათ, არა მხოლოდ მდ. რიონის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას, მერმინდელ საჯავახოს, არამედ ჭილაძეთა საგვარეულოს მთელ მიწა-წყალს ბანძამდის. შემდეგ ეს სახელი ისტორიული საჯავახოს მხოლოდ სამხრეთ ნაწილს შერჩა. მისი ჩრდილოეთი ნაწილი კი საჭილაოდ იწოდება“; ციტატის ავტორი საჯავახოს თვლის საჭილაოს „სინონიმად“ [სოსელია ო., 1973: 278], რასაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით. ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, აქაც ჭილაძეთა სახლის გვარწოდებულებიდან არის წარმოშობილი სათავადოს (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული) სახელი – საჭილაო (მდრ. საჯავახიანო, საციციანო, საბარათიანო, სამაჩაბლო, საგერმანოზიშვილო, სალომინაო და სხვ.), ეგვევ სახელი, ვფიქრობთ, ფარავდა რიონს გაღმა მხარესაც (მერმინდელ საჯავახოს), რასაც, როგორც ითქვა, დ. ბაქრაძის მიერ აღწერილი ტოპონიმიც – „ჭილაძის სათევზავი“ – ადასტურებს – თავდაპირველად ხევისწყლის ხეობა საჭილაო (ჭილაძის) ხეობაა, „სათევზავიც“, ცხადია, მათ სახელობაზეა. მოგვიანებით იგი იწოდა საჯავახოდ (პირველშერქმეული სახელი სათევზავმა დაინარჩუნა) ჯავახ II აქ მამულობით მკვიდრობის გამო. ჭილაძეების სათავადო „საჭილაო“ მისი გაფორმების დღიდან დამცრობა-დაკნინებამდე; სხვა შემთხვევაში, მთელი სათავადო მამულ-მიწა-წყლის საჯავახოდ სახელდება, უთუოდ მოჰყვებოდა თვით ამ წარჩინებული სახლის გვარწოდებულების გადასხვაფერება, რისი მაგალითებიც საკმაოა ჩვენს ისტორიაში; ისიც გაუგებარია, რატომ მოეშლებოდა ეს სახელი სათავადოს ერთ ნაწილს, ხოლო მეორე, განსაკუთრებული ცილობისა და მეტოქეობის ობიექტი შეირჩენდა მას? საბოლოოდ, შეჯამებისთვის ვიტყვით, რომ საჯავახო ყოველთვის, მხოლოდ და სწორედ საჭილაოს სამხრეთ ნაწილს, ჯავახ II ჭილაძის მამულ-ტერიტორიას, რიონს გაღმა საგურიელო მხარეს ერქვა.

საბოლოოდ, ისტორიული საჩინოს დასავლეთით რიონ-ხევისწყლის (საჯავახოს წყლის) შესართავის ჩათვლით მიწა-წყალი და ხევისწყლის მთელი ხეობა XVI სს. ჭილაძეთა დიდებულ სახლს ეჭირა, რომელსაც ჯავახ II გუსტანის ძის აქ მამულობით მკვიდრობის გამო საჯავახო შეერქვა. მისი სიკვდილის შემდეგ ჭილაძეებმა (XVI ს. 70-იანი წწ. დასაწყისი) დაკარგეს ეს მხარე, ტოპონიმი კი დარჩა როგორც ხეობის (ქვეყნის) და მისი საზოგადოების აღმწერი. საზღვრები საჯავახო ქვეყნისა ასე გამოიყურება – აღმოსავლეთიდან საჩინო (ძირითადად მდ. ყუმურის და სულორის ხეობები, საჯავახოს მთებამდე დასავლეთით), ჩრდილოეთიდან მდინარე რიონი, დას. ხევისწყლის (საჯავახოს წყლის) და რიონის ხერთვისის მიმდგომი, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან სანაბლიოს და ბურნათის ქედები.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბაქრაძე დ., 1987; დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბ., 1987.
2. ბერძენიშვილი ნ., 1990; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
3. ბერძენიშვილი თ., ცქიტიშვილი გ., 1971; თ. ბერძენი, გ. ცქიტიშვილი 1971, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული IV, თბ., 1971.
4. ბუაჩიძე კ., 2000; კ. ბუაჩიძე, იმერეთის მეფეები, კრ. საქართველოს მეფეები, თბ., 2000.
5. გვენეტაძე ე., 2015; ე. გვენეტაძე, გ. გაგუა, გამოჩინებულის წმიდა დიდმონაშე გიორგის ეკლესია, თბ., 2015.



- 6.თაყაიშვილი ე 1914; ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ., 1914.
- 7.თოფჩიშვილი რ., 2011; რ. თოფჩიშვილი, საქართველოს თავადაზნაურთა გვარების ისტორია,თბ., 2011.
- 8.კაკაბაძე ს., 1913; ს. კაკაბაძე, გენეალოგია დიდი ალექსანდრე მეფისა, თბ.,1913.
- 9.კაკაბაძე ს., 1914; ს. კაკაბაძე აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, ტფ., 1914.
- 10.კაკაბაძე ს., 1920; ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თბ., 1920.
- 11.მარუშვილი ლ., 1969; ლ. მარუშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია წიგნი I, თბ., 1969.
- 12.მეტრეველი ე., 1962; ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962.
- 13.სოსელია ო., 1973; ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973.
- 14.ქორიძე თ., 2000; თ. ქორიძე, ქართლის მეფეები, კრ. საქართველოს მეფეები, თბ., 2000.
- 15.ყაუხჩიშვილი ს., 1955; ქართლის ცხოვრება,ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
- 16.ყაუხჩიშვილი ს., 1959; ქართლის ცხოვრება,ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
- 17.ყაუხჩიშვილი ს., 1973; ქართლის ცხოვრება,ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
- 18.ცხოვრებაშვილი შ., 1970; შ. ცხოვრებაშვილი, მესხეთის ქედის ჩრდ. ფერდობის მთისწინეთის ერთი მორფოლოგიური თავისებურება და მისი მიზეზები, საქართველოს სსრ, გეოგრაფიული საზოგადოების შრომები XI, თბ., 1970.
- 19.ჩხატარაიშვილი 1959; ე. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო (პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევი, თბ., 1959 (ხელნაწერი).



## გ. კუტალაძე

### საჯავახო ქვეყანა რეზიუმე

XV საუკუნეში ვაკე-იმერეთში „ცხენისწყლისა და რიონისაკენ“ გამტკიცდა ჭილაძეთა წარჩინებული სათავადო სახლი. ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან ჭილაძეები ეუფლებიან რიონს გაღმა ტერიტორიას ისტორიული საჩინოს დასავლეთით ხევისწყლის წყლისა (ვახუშტისთან საჯავახოს წყალი) და რიონის შესართავის ჩათვლით და მთელს ხეობას, რომელიც „ტომობრივად გურიას ეკუთვნოდა“. XVI საუკუნეში ეს მიწა-წყალი მამულობით მიეკუთვნა ჯავახ II გუსტანის ძე ჭილაძეს, რის გამოც მთელი რიონს გაღმა საჭილაო მხარე იწოდებოდა საჯავახოდ (ჯავახი – სა-ჯავახ-ო ქვეყანა). ჯავახ ჭილაძის სიკვდილის შემდეგ (XVI ს. 70-იანი წწ.) ჭილაძეებმა დაკარგეს ეს მხარე. საჯავახო სახელმა კი შეინარჩუნა ადმინისტრაციული და სოციალური შინაარსი, საჯავახო ქვეყნის და მისი საზოგადოების აღმწერის ფუნქცია. საჯავახოს საზღვრები ჩვენ ასე გვესახება – აღმოსავლეთიდან საჩინო (ძირითადად მდ. ყუმურის და სულორის ხეობები), დასავლეთით-ხევისწყლისა (საჯავახოს) და რიონის ხერთვისის მიმდგომით, სამხრეთიდან – გურიის სერის სანაბლიოს ქედი, ჩრდილოეთით – მდინარე რიონი.

## G. Kutaladze

### Country Sajavakho Summary

In the XV century the noble house of the Chiladzes was strengthened in lowland Imereti towards the rivers of the Tskhenistskali and The Rioni. In the second half of the XV century the Chiladzes start to take into their possession the territories outside of the river Rioni, on the west of historical site of the Sajavakho water (present Khevistskali) including the whole Sajavakho ravine, which historically (tribally) belonged to Guria. In the XVI century this territory with all its waters and lands went into the possession of javakhian Chiladze II son of Gustani. That's why all the outskirt territories of the Rioni was named "Sachilao" and Java territory – as "Sajavakho" After the death of Chiladze (in the 70s of XV century) The Chladzes lost this part of the country, but the name Sajavakho, bearing its administrative and social content is still maintained and describes the region of Sajavakho and its society. To our opinion Sajavakho borders Sachino from the East (mainly ravines of the rivers the Kumri and the Sulori) in the west. It borders the kevistskali (the Sajavakho) and river Rioni in the direction of Khertvisi, Guria satsablia ridge from the south, and in the North it borders the Rioni river.



**ლ. კუტუბიძე, ა. ზუბაშვილი**

**სარედაქციო დამოუკიდებლობა და ლიდერის ფაქტორი**

ჟურნალისტიკის, მედიის განვითარებას თან სდევს დილემა – მუდმივი კონფლიქტი მედიის ბიზნესინტერესსა და მედიის, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების გუშაგის ფუნქციას შორის. დემოკრატიული მედიის განვითარების პროცესი, ერთი მხრივ, თავისთავად გულისხმობს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საზღვრების გაფართოებას, მაგრამ, მეორე მხრივ, გართობის ინდუსტრიის მძლავრი შემოჭრა მედიასივრცეში პირდაპირ უტევს მედიის დამოუკიდებლობის ყველაზე საკრალურ ასპექტს – სარედაქციო დამოუკიდებლობას. ამ ფაქტორის გასააზრებლად საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მასკომუნიკაციის თანამედროვე თეორიებში გართობის ინდუსტრია მასკომუნიკაციის/მედიის შენაკადადაა მიჩნეული [ვივიანი ჯ., 2013: 232].

დღევანდელ რთულ სამყაროში დამოუკიდებლობა სრული ვერაფრით იქნება. შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზით შესაბამის ლიტერატურაში იშვიათად გვხვდება მედიის დამოუკიდებლობის განსაზღვრება. მედიის მკვლევარი ტატიანა რეპკოვა მიიჩნევს, რომ „ნებისმიერი შემოთავაზებული განსაზღვრება საკამათოა. ამის მაგალითად გამოდგება „იუნესკოს“ 1991 წლის დეკლარაცია: „დამოუკიდებელ პრესაში ჩვენ ვგულისხმობთ პრესას, რომელიც არ ექვემდებარება სამთავრობო, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ კონტროლს, ან გაზეთების, ჟურნალების და სხვა პერიოდული გამოცემების გამოშვებისა და გავრცელებისათვის საჭირო მასალების მომწოდებლებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გავლენას“ [რეპკოვა ტ., 2006: 10]

რეპკოვა გვთავაზობს დამოუკიდებელი გაზეთის შემდეგ განსაზღვრებას: „დამოუკიდებელი გაზეთი მკითხველისათვის ინფორმაციის მიუკერძოებელი მიმწოდებელია. დამოუკიდებელი გაზეთი საკუთარ დამოუკიდებლობას მთავარ კომერციულ, საგამომცემლო და მორალურ საკუთრებად მიიჩნევს. ის ცდილობს, ისეთი სახით შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, რომ ყოველთვის ჰქონდეს საშუალება, მიმართოს თავისი აუდიტორიის თითოეულ წარმომადგენელს. ის ზედმინევით პროფესიული მიდგომით ინარჩუნებს დამოუკიდებლობას და ამ მიდგომის პრინციპებს აუცილებლად უზიარებს ყველა თანამშრომელს, მკითხველსა თუ კომერციულ მომხმარებელს, რომელსაც სურს ამ პრინციპების ცოდნა. დამოუკიდებელი გაზეთი არ იღებს პროფესიულ გადამწყვეტილებებს რომელიმე ერთი ორგანიზაციის (საკუთარი თავის ჩათვლით) ვინაობა ეკონომიკური ან პოლიტიკური ინტერესების საფუძველზე“ [რეპკოვა ტ., 2006:11]

პრესის დამოუკიდებლობის ქვაკუთხედი სარედაქციო დამოუკიდებლობაა. ეს ნიშნავს დამოუკიდებლობას როგორც გარე, ისე შიდა ძალებისაგან. კერძოდ:

- ✓ მთავრობისაგან;
- ✓ პოლიტიკური პარტიებისა და მათი ინტერესებისაგან;
- ✓ საქმიანი და კომერციული ინტერესებისაგან, რეკლამების განმათავსებლების ინტერესების ჩათვლით;
- ✓ ჟურნალისტების მეგობრებისაგან;
- ✓ საკუთარი გარემოცვისა და სუბიექტური შეხედულებების, ცრურწმენებისა და წინასწარ ჩამოყალიბებული თვალსაზრისისაგან.

ერთი შეხედვით ბიზნეს-პარადოქსია: ის, რომ ჟურნალისტები მათი დამქირავებლების ინტერესებს არ გამოხატავენ, არის მათი დამქირავებლის ფინანსური წარმატების წყარო! ამერიკული გაზეთების გამომცემლებმა მე-19-ე საუკუნის ბოლოს პოლიტიკური იდეოლოგია ე.წ. სარედაქციო დამოუკიდებლობით ჩაანაცვლეს. 1896 წელს ახალგაზრდა გამომცემელმა ადოლფ ოქსმა *ნიუ იორკ თაიმსი* შეიძინა. პირველივე დღეს მან, როგორც გამომცემელმა, გამოაქვეყნა წერილი, სახელწოდებით „ბიზნესგეგმა“; ოქსი წერდა: „ჩემი გულწრფელი მიზანია გადმოვცე ახალი ამბები არაცალმხრივად, უშიშრად და მიუკერძოებლად, პარტიულობის, სექტისა და ინტერესებისაგან დამოუკიდებლად“ [კოვაჩი ბ., როზენსტილი ტ., 2005: 61].

მას სწამდა რომ შეძლებდა გამოეცა გაზეთი, რომელიც იქნებოდა „სუფთა, ღირსეული, სანდო და მიუკერძოებელი“. ოქსმა იცოდა, რომ მისი მთავარი კონკურენტი ყვითელი პრესა იყო, მაგრამ მთელი საკუთარი ქონება სასწორზე დადო იმ იმედით, რომ ადამიანები შეძლებდნენ შეეყვარებინათ გულწრფელი პრესა. პირველ რიგში ოქსმა რეკლამის ცენზურა დაანესა, მას მიაჩნდა, რომ ყველა კარგი და გულწრფელი რეკლამა თავის მხრივ ახალი ამბავია და გაზეთში დაბეჭდვას იმსახურებს, იაფ-



ფასიან რეკლამებს მყვირალა სლოგანებით ოქსი არასდროს ბეჭდავდა, რის გამოც *თაიშს* ჩაძირვას უნინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ოქსის ჩანაფიქრმა გაამართლა; წლების განმავლობაში *ნიუ იორკ თაიშის* ცირკულაცია ასე გაიზარდა:

- 1896: 21,516 – 22,000
- 1898: 25,726 – 34,041
- 1900: 82,106 – 39,204
- 1902: 100,738 – 48,354
- 1904: 109,770 – 46,991
- 1906: 124,267 – 59,511
- 1908: 158,692 – 86,779
- 1910: 178,708 – 113,325
- 1912: 220,139 – 158,539
- 1914: 270,113 – 231,409
- 1916: 327,711 – 376,933
- 1918: 339,238 – 434,157
- 1920: 327,275 – 499,924
- 1922: 344,596 – 542,039
- 1924: 345,149 – 576,321
- 1926: 356,471 – 610,041
- 1928: 405,707 – 700,925
- 1930: 437,577 – 757,028
- 1932: 467,296 – 780,470 [ [www.nytimes.com](http://www.nytimes.com) ]

ცირკულაციის გაზრდას ოქსი „მკითხველის თვალში გაზეთის სახელის აღდგენად“ მიიჩნევდა. გაყიდვების რაოდენობამ დაადასტურა, რომ საზოგადოებას აინტერესებდა სუფთა, ღირსეული გაზეთი. თანამშრომლები ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ *ნიუ იორკ თაიშის* ადოლფ ოქსის პიროვნების ანარეკლი იყო, მაგრამ მას არასდროს დაუშვია გაზეთში საკუთარი პირადი ინტერესები, ანტიპათია თუ განსაკუთრებული მონონება, მისი სახელი *თაიშში* ძალიან იშვიათად ფიგურირებდა.

ოქსს სჯეროდა, რომ გაზეთს ერთი ადამიანი არ უნდა აკონტროლებდეს, ამიტომ თანაგუნდელების გარეშე გადაწყვეტილებებს არ იღებდა. ის ყოველთვის ამბობდა, რომ მისთვის ყველაზე ღირებული თანამშრომელი იყო ის, ვინც მას თითქმის არასდროს ეთანხმებოდა.

შემდეგ, ამერიკაშიც და მსოფლიოშიც, სხვებმაც მიბაძეს ოქსის მაგალითს – ბიზნესგეგმის შედგენას იმ იდეასთან შესაბამისობაში, რომლის თანახმადაც აუდიტორიის დაყენება პოლიტიკურ და უახლოეს ფინანსურ ინტერესებზე მაღლა საუკეთესო გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიაა.

1933 წელს, იუჯინ მაიერმა, *ვაშინგტონ პოსტის* ყიდვის შემდეგ, ჩამოაყალიბა პრინციპების ნუსხა, რომელთა შორის იყო ასეთი პრინციპი: „სიმართლის ძიებაში გაზეთი მზად იქნება მსხვერპლად გაიღოს თავისი მატერიალური წარმატება, თუ ეს აუცილებელია საზოგადოების კეთილდღეობისთვის“ [კოვანი ბ., როზენსტილი ტ., 2005: 62].

იმ დროისთვის უკვე ჩაძირული, გაკოტრების პირას მყოფი და განადგურებული *ვაშინგტონ პოსტი* 825 000 დოლარად მიჰყიდეს ფინანსისტს, რომელსაც გაზეთის წარმოების არაფერი გაეგებოდა. ეს ფინანსისტი გახლდათ შეძლებული რესპუბლიკელი იუჯინ მაიერი, რომელსაც ახალდატოვებული ჰქონდა 16 წლიანი თანამდებობა მთავრობაში – ფედერალური სარეზერვო საბჭოს გამგებლის პოზიცია. გაზეთის ოფიციალურად შესყიდვისთანავე, მაიერმა დაწერა განცხადება *ვაშინგტონ პოსტში* დასაბეჭდად; ის 13 ივნისის ნომერში პირველ გვერდზე აღმოჩნდა: „ჩემი მთავარი განზრახვა და მიზანია გავაუმჯობესო *ვაშინგტონ პოსტი* და ის იმაზე უკეთესი გამოცემა იყოს, ვიდრე იყო გასული წლების განმავლობაში. *პოსტი* იქნება დამოუკიდებელი გაზეთი, რომელიც უერთგულებს ვაშინგტონსა და მის ახლომდებარე გარეუბნებში მცხოვრები ადამიანების ინტერესს და, ვიმედოვნებთ, რომ მათგანაც მივიღებთ ნდობასა და მხარდაჭერას. ვფიქრობ, აუცილებელია ნათელი იყოს ისიც, რომ *პოსტის* შექმნისას მხოლოდ პირადი ინტერესით ვხელმძღვანელობდი, ნებისმიერ პირთან, ვგუფთან თუ ორგანიზაციასთან შეთანხმების გარეშე“ [ [www.washingtonpost.com](http://www.washingtonpost.com) ].

იუჯინ მაიერის ამ წერილის მეორე აბზაცი მთლიანად ეძღვნებოდა იმ ჭორის გაფანტვას, რომ გაზეთი მხოლოდ რესპუბლიკური პარტიის ინტერესებს გაამუქებდა. საზოგადოების აზრით, მაიერის ეს სვლა იყო ყველაზე შთამბეჭდავი აზარტული თამაში, რადგან, თავდაპირველად გაზეთის გადასარჩენად ასიათასობით დოლარის გაღება მას უწევდა საკუთარი ჯიბიდან. ეს რისკი დღეს, წლების შემ-





დეგ, ამერიკის ისტორიაში ყველაზე დიდ ბიზნესწარმატებებს შორის ერთ-ერთია. ერთ დროს გაქრობის პირას მყოფი „ვაშინგტონ პოსტი“ იუჯინ მაიერმა ქალიშვილს, კეტრინ გრემს, დაუტოვა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გაზეთი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ოქსისა და მაიერის სტრატეგიამ *ნიუ იორკ თაიმსი* და *ვაშინგტონ პოსტი* არამხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მთელს მსოფლიოში გავლენიან გამოცემებად აქცია. მათი მემკვიდრეობა იმ ფუნდამენტად იქცა, რომელზეც შემდგომ დაეფუძნა სარედაქციო დამოუკიდებლობის ისეთი არნახული შედეგი, როგორც იყო *უოტერგეიტის სკანდალად* ნოდებული ჟურნალისტური გამოძიება. რომ არა ეს ტრადიცია და „ვაშინგტონ პოსტის“ ლეგენდარული ლიდერების – გამომცემელ კეტრინ გრემისა და მთავარი რედაქტორის ბენჯამინ ბრედლის შეუპოვრობა, უკომპრომისობა და პროფესიონალიზმის მაღალი დონე, შეუძლებელი იქნებოდა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების ზენოლასთან გამკლავება და გამოძიების ბოლომდე მიყვანა.

„ვაშინგტონ პოსტი“ ამერიკაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. ის შეერთებულ შტატებში ბეჭდური სიტყვის ერთ-ერთი ხატია. ეს გაზეთი წლების მანძილზე მთავარი ახალი ამბების თუ პრობლემების წინ წამომწევედ ითვლებოდა, საზოგადოებრივ აზრს აყალიბებდა და, შესაბამისად, საკმაო გავლენას ახდენდა დედაქალაქისა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. თითქმის 80 წლის მანძილზე „ვაშინგტონ პოსტს“ გრემების სამი თაობა ფლობდა.

ლეგენდარული კეტრინ გრემი – ბეჭდური მედიის უდიდესი გავლენის მქონე გამომცემელი, ამერიკელი პრეზიდენტების პირადი მეგობარი, ჟურნალისტებისთვის „იდეალური ბოსი“, ამერიკული მედიის დამოუკიდებლობის ერთგვარ სიმბოლოდაც იქცა. „ამერიკული ჟურნალისტის პირველი ლედი“, – ასე უწოდა მას პრეზიდენტმა ბუშმა გამოსათხოვარ სიტყვაში; „ის იყო ჭეშმარიტი ლიდერი და ჭეშმარიტი ლედი, – თქვა ბუშმა, – შეუპოვარი, მაგრამ მორცხვი, ძლევამოსილი, მაგრამ უბრალო; ცნობილი თავისი სრულყოფილებით, ყოველთვის დიდსულოვანი და გულითადი ადამიანებთან ურთიერთობაში“ [<https://lenta.ru>].

კეტრინ გრემს მიაჩნდა, რომ კომპანიის წარმატება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის მიერ გადამწყვეტილების მიღების უნარზე და არა თანამშრომელთა საქმიანობის კონტროლზე.

უოტერგეიტის საქმეზე მუშაობის დაწყებისთანავე, ბუნებრივია, ჟურნალისტებზე სერიოზული ზენოლა დაიწყო და სწორედ კეტრინ გრემს მოუხდა მათი დაცვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სერიოზულად ემოქრებოდა მის ბიზნესს. „პოსტს“ (ასე ეძახიან ვაშინგტონში *ვაშინგტონ პოსტს*) ძალიან დიდი პრობლემები შეექმნება, – განაცხადა პრეზიდენტმა ნიქსონმა, – მათ სატელევიზიო სადგურიცა აქვთ და აღარ ექნებათ! ნიქსონის საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელმა ჯონ მიტჩელმა კი ისეთი უცნაურობით სიტყვებით მოიხსენია კეტრინ გრემი, რომ გამოქვეყნებას არ ექვემდებარებოდა... მაგრამ მისის გრემის გადამწყვეტმა და თანმიმდევრულმა მოქმედებამ ნიქსონზეც კი მოახდინა შთაბეჭდილება და პატივისცემით განაწყო ამ შეუპოვარი ქალბატონის მიმართ. „პოსტმა“, ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვა, ნიქსონი გადადგა, ხოლო კეტრინ გრემის ოფისში დიდხანს ეკიდა პრეზიდენტ ჯერალდ ფორდის (რომელმაც ნიქსონი შეცვალა თეთრ სახლში) პლაკატი მისი ცნობილი ავტოგრაფით: „მე ეს სამუშაო „ვაშინგტონ პოსტის“ წყალობით ვიშოვე“. კეტრინ გრემი პულიტიკერის პრემიის ლაურეატიც გახდა, 1998 წელს გამოქვეყნებული მემუარებისთვის „პირადი ისტორია“.

ერთხელ ჟურნალმა *Newsweek*-მა (ეს ჟურნალი 1963 წელს იყიდა გრემების ოჯახმა) დამცინავი სტატია გამოაქვეყნა პრეზიდენტ ჯონსონისა და რომის პაპის შეხვედრაზე. გაცოფებულმა პრეზიდენტმა თავის პრეს-მდივანს დაავალა, რომ კეტრინ გრემს დაკავშირებოდა და პუბლიკაციის უარყოფა/შესწორება მოეთხოვა. „ვერაფრით დაგეხმარებით, – უპასუხა პრეს-მდივანს კეტრინმა, – დაელაპარაკეთ ჟურნალის რედაქტორს, მე არა მაქვს ჩემს თანამშრომლებზე ზენოლის უფლება.“ *Newsweek*-ის რედაქტორი პოზიციას არ თმობდა, მისის გრემი კი ხელეებს ასავსავებდა; შედეგად, ისევ პრეზიდენტს მოუხდა პოზიციის დათმობა: „კეტრინი მართალია, ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ კონსტიტუციის პირველი შესწორება გვაქვს“ [<http://kommersant.ru>].

„ვაშინგტონ პოსტის“ ყოფილი მთავარი რედაქტორი, ბენჯამინ (ბენ) ბრედლი, მისი დროის ყველაზე ლეგენდარულ რედაქტორად და ლიდერადაა აღიარებული. ბრედლი გამომცემლობას 1968-1991 წლებში ხელმძღვანელობდა და მის სახელს უკავშირდება „პენტაგონის ქალაქების“ და უოტერგეიტის სკანდალის ჟურნალისტური გამოძიებები. ბენ ბრედლის ყველა ჩინებულ ლიდერად მიიჩნევა, რადგან ის იყო მეთაური, რომელიც ბრძოლის ველზე წინა ხაზზე დგას.

მერი ბეტ ვესტმა ბენ ბრედლისთან მუშაობის შემდეგ ჩამოაყალიბა ის სამი ძირითადი პრინციპი, რომელსაც ბრედლი ლიდერისთვის აუცილებლად მიიჩნევდა [<http://www.marybethwest.com>]:



1) მიეცით თქვენ პროფესიულ ვნებას უფლება იყოს თქვენი მეგზური: გაგიჭირდებათ ნებისმიერი ბიზნესის მართვა, თუ ამ საქმის არ გჯერათ, თუ ეს საქმე შესისხლხორცებული არ გაქვთ და არ გიყვართ, როგორც საკუთარი შვილი. იპოვეთ თქვენი გატაცება, მიჰყევით მას და ის გახდება თქვენი წარმატებული ხელმძღვანელობის საწინდარი.

2) არ დასჯერდეთ არაფერს სიმართლეზე ნაკლებს!

ბრედლის წარმატების მთავარი საწინდარი იყო მისი მთავარი მორალური ღირებულება: ეთქვა სიმართლე. მისი აზრით, თუ ლიდერი არ იქნება მართალი საკუთარ თავთან, საკუთარ გუნდთან და სწორედ იმავეს არ მოითხოვს თანაგუნდელებისგან, მაშინ ეს ლიდერი ვერ გახდება წარმატებული.

3) იყავით გეზის განმსაზღვრელი შუქურა, ინფორმაციის გაზიარებისა და საქმიანობაში სხვების ჩართვის გზით.

მთელი მისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ბრედლის ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ახალგაზრდა ტალანტების მოძიება, მათი საქმიანობაში ჩართვა, აღმოჩენების და გამოცდილების სხვებისთვის გაზიარება. ბრედლის თქმით, „კარგი ლიდერი ეს არის პიროვნება, რომელსაც შეუძლია შემოიკრიბოს ხალხი და გაუძღვეს მას წარმატებისაკენ“ [რეპკოვა ტ., 2006: 41]. ის, როგორც ლიდერი, ყოველთვის ახერხებდა თანამშრომლების მოტივირებას, დაცვას და, რაც მთავარია, იყო უკომპრომი-სო, როცა საქმე სარედაქციო დამოუკიდებლობას, მკითხველის ინტერესს ეხებოდა. ადოლფ ოქსის, იუჯინ მაიერის, კეტრინ გრემისა და ბენჯამინ ბრედლისთანა ლიდერებისა და მენეჯერების ცხოვრებისა და საქმიანობის სტილი არის კლასიკური მაგალითი იმისა, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობა ურთულესი მისაღწევია, მაგრამ შესაძლებელი!

#### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვივიანი, ჯ., *მასობრივი კომუნიკაცია*, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.
2. კოვაჩი, ბ., როზენსტილი, ტ., *ჟურნალისტიკის ელემენტები*, გამომცემლობა „იმპრესი“, თბილისი, 2005.
3. რეპკოვა, ტ., *ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში*, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2006.
4. <http://www.marybethwest.com/three-communications-leadership-lessons-from-the-late-ben-bradlee-of-the-washington-post>
5. <http://kommersant.ru/doc/2289084>
6. <https://lenta.ru/most/2001/07/18/w-post>
7. [https://www.washingtonpost.com/archive/politics/1983/06/01/eugene-meyer-bought-post-50-years-ago/910a718e-e71f-46bd-9ad7-78ad9e2107b2/?utm\\_term=.7810d5bb98bc](https://www.washingtonpost.com/archive/politics/1983/06/01/eugene-meyer-bought-post-50-years-ago/910a718e-e71f-46bd-9ad7-78ad9e2107b2/?utm_term=.7810d5bb98bc)
8. <http://www.nytimes.com/learning/general/onthisday/bday/0312.html>



ლ. კუტუბიძე, მ. ზუბაშვილი

### სარედაქციო დამოუკიდებლობა და ლიდერის ფაქტორი რეზიუმე

ერთი შეხედვით ბიზნეს-პარადოქსია: ის, რომ ჟურნალისტები მათი დამქირავებლების ინტერესებს არ გამოხატავენ, არის მათი დამქირავებლის ფინანსური წარმატების წყარო! ამერიკული გაზეთების გამომცემლებმა მე-19-ე საუკუნის ბოლოს პოლიტიკური იდეოლოგია ე.წ. სარედაქციო დამოუკიდებლობით ჩაანაცვლეს. 1896 წელს ახალგაზრდა გამომცემელმა ადოლფ ოქსმა „ნიუ იორკ ტაიმსი“ შეიძინა. პირველივე დღეს მან, როგორც გამომცემელმა, გამოაქვეყნა წერილი, სახელწოდებით „ბიზნესგეგმა“; ოქსი წერდა: „ჩემი გულწრფელი მიზანია გადმოვცე ახალი ამბები არაცალმხრივად, უშიშრად და მიუკერძოებლად, პარტიულობის, სექტისა და ინტერესებისაგან დამოუკიდებლად.“

შემდეგ ამერიკაშიც და მსოფლიოშიც, სხვებმაც მიბაძეს ოქსის მაგალითს – ბიზნესგეგმის შედგენას იმ იდეასთან შესაბამისობაში, რომლის თანახმადაც აუდიტორიის დაყენება პოლიტიკურ და უახლოეს ფინანსურ ინტერესებზე მაღლა საუკეთესო გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიაა.

1933 წელს იუჯინ მაიერმა, „ვაშინგტონ პოსტის“ ყიდვის შემდეგ, ჩამოაყალიბა პრინციპების ნუსხა, რომელთა შორის იყო ასეთი პრინციპი: „სიმართლის ძიებაში გაზეთი მზად იქნება მსხვერპლად გაიღოს თავისი მატერიალური წარმატება, თუ ეს აუცილებელია საზოგადოების კეთილდღეობისთვის“.

ოქსისა და მაიერის სტრატეგიამ „ნიუ იორკ ტაიმსი“ და „ვაშინგტონ პოსტი“ არამხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მთელს მსოფლიოში გავლენიან გამომცემებად აქცია. მათი მემკვიდრეობა იმ ფუნდამენტად იქცა, რომელზეც შემდგომ დაეფუძნა სარედაქციო დამოუკიდებლობის ისეთი არნახული შედეგი, როგორიც იყო ჟოტერგეიტის საქმედ წოდებული ჟურნალისტური გამოძიება. რომ არა ეს ტრადიცია და *ვაშინგტონ პოსტის* ლეგენდარული ლიდერების – გამომცემელ კეტრინ გრემის და მთავარი რედაქტორის ბენჯამინ ბრედლის შეუპოვრობა, უკომპრომისობა და პროფესიონალიზმის მაღალი დონე, შეუძლებელი იქნებოდა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების ზენოლასთან გამკლავება და გამოძიების ბოლომდე მიყვანა.

L. Kutubidze, M. Zubashvili

### The Impact of the Leader on the Editorial Independence Summary

It may seem like a business-paradox: when the journalists do not express the interests of the employers, it becomes main source of success for the employer! By the end of the 19<sup>th</sup> century, American newspaper publishers replaced the political ideology with so called editorial independence. In 1896, a young publisher Adolph Ochs purchased *The New York Times*. In his first publisher's note titled as *The Business Plan* he wrote: "It is my sincere goal to publish the news impartially, fearlessly and independently, without the involvement of party, sect or other interests".

Soon other publishers throughout US and the whole world followed the Och's example – constructing the business plans according to idea that putting reader's interest above political and financial interest was the best long-term business strategy.

In 1933, after purchasing *The Washington Post*, Eugene Meyer developed a list of principles, one of which stated: "In the pursuit of truth, the newspaper shall be prepared to make sacrifices of its material fortunes, if such a course be necessary for the public good."

Och's and Meyer's strategies made *The New York Times* and *The Washington Post* one of the most influential publishers not only in the US, but throughout the whole world. Their legacy became the foundation, on which was based the editorial independence's unbelievable result of investigative journalism, called the *Watergate Scandal*. If not this tradition and the determination, intransigence and high professionalism of *The Washington Post's* legendary leaders – Katherine Graham and Ben Bradlee, it would have been impossible to deal with the pressure from state authorities and to finish the investigation.



**T. MERABISHVILI**

## VARIETY OF POLITICAL DISCOURSE PARAMETERS

Globalization and cross-cultural communication, as a contemporary reality and the means of free choice and an efficient way of a new type of relationship, have had an impact on lexical units, discourse and its parameters as well. These types of discourse are analyzed through a case of diversity, according to current attitudes that tend to increase cultural variety in discourse.

The logic objective of development of linguistics, the subject matter in which has been successively moved from the study of formal language structures to the analysis of their content, functioning of linguistic units in speech, the specificity of human speech and thought activity, motivated by cultural and social environment, predetermined introduction of linguistic problems and the issues, relating to the ontology and attributable features of the discourse. As a result of the study of discourse in view of its specification, the scientists' attention has been attracted by individual discursive forms associated with the different types of institutional communication. Political discourse is understood not as "any speech" as a part of unity of linguistic form, meaning and action, but the speech and its result, limited by the given social sphere in which the language – the link between the thought and action serves as an essential tool for accomplishment of the political objectives. If one compares the discourse of politics with other institutional varieties (legal, administrative and managerial), it is more flexible, spontaneous, emotional and tends to aphoristic nature and novelty. By putting the task to highlight and describe the structure-forming parameters of political discourse, we have been based on the analysis of scientific works of competent researchers in the field of discourse theory followed by an interpretation of formulated statements and opinions that gave a reason for their application to the specific institutional type of discourse.

The parameter of "creation and application of discourse" suggests taking into account the features of the linguistic personality, which simultaneously generates and identifies the discourse. This aspect is related to the cognitive activity of an individual, exercised in language. To participate in the discourse, an individual must possess some combination of knowledge and skills (ability to use speech tactics, strategies, knowledge of roles, interchanging in speech practice etc.). All these characteristics are specified by the type of linguistic personality. The politics is an art to organize and manage people [Ревзина О., 2005: 33.]. Therefore, the political discourse is created by the linguistic personality, who may put in a claim for special influence, has a will and strength to be in a state of constant struggle, maintaining the position in the hierarchy or either while promoting, is still able to demonstrate the relation to the ideas put in practice. This individual is endowed with high responsiveness, "communicative energy" i.e. ability to speak and persuade at that as one of the elements of art (repelling the Bergstrasser's idea) theatricality, drama elements are not alien to such an individual. Political leaders carry certain image, which makes them recognizable. The researchers attribute the innovative lifestyle to the same area. All these factors, serving for the influence upon the audience/ electorate are often referred to as the charisma of a politician. Thus, the matter is the combination of extra -linguistic factors themselves, which are involved either in formation of the structure of discourse or having influence on it.

The parameter "communicative provision" is based on the idea of existence of a channel of communication, developed within the theory of speech acts and communication science. Establishment of communication channel through which the discourse is implemented, gives grounds for differentiation of types of the discourse (oral, written, internet-discourse) and its further analysis. This parameter also includes a notion of "code", i.e. the language, generating the discourse. Peculiarities of political discourse are, first of all, predetermined by the parameters of the language of politics. V. Demyankov namely, states the following: "Political language differs from the common one in that, "political language" is terminological and regular, not purely "political" language symbols are not always used in the same way as they are in the general language; the specific structure of discourse is the result of sometimes very peculiar speech methods; the method of implementation of the discourse itself is also specific – either in its verbal or written form" [Демьянков В., 2002: 32-43]. It should be noted that essential differences are related to the visual perception process as well: a person sitting in the hall/ auditorium and listening to the speaker, perceives him through the prism of his subjective perception, at his visual angle, while for example the broadcasting of public speech on TV, implies editing and interpretation of a real event, arrangement of additional emphasizes.

The parameter of "discursive functions" is interpreted as the result of action of communicative and cognitive components of the discourse. So, the roles in the discourse, implemented by the linguistic personality are referred to the communicative component, whereas knowledge and its interpretation on which the communication is based – to the cognitive one. Political discourse is a representation of meanings, values, images; it is always coupled with a certain communicative objective (intention); as any other type of discourse, it has two plans of content: superficial and contextual, suggesting procedures of guesswork and interpretation, as a result of which its meaning becomes wider



[Баранов А., 1997: 12-16]. The process of detection, decoding and interpretation of contextual (latent) meanings is carried out via integration of these cognitive operations and the specific knowledge and experience of recipient of the message. The contextual plan of informational and political publications (collage, photos, caricatures etc. illustration content of the text) can be interpreted as "non-articulating" message, which is also expected to be read by the recipient and to provoke certain cultural and historical associations and linguistic connotations in his mind. Political discourse is a part of a general discursive space, keeping the experience of cultural and historical communications including the dialogue of different generations.

The parameter of "inter-textual interaction" is introduced into the discourse analysis based on the presumption of the ability of individual discourse to have multivariate relationships with other discourse-texts: according to directions of the context, their structure, formal and symbolic expressions etc. Discourse, as a sense-carrier, establishes itself not only in terms of interaction of words, which generate the author's intention, but also in terms of inter-textual connections, which arouse in the individual's mentality due to the interaction of these words. Discourse, preserving its own reference (represents certain objectively existing or imaginary reality) acquires feature of poly-reference: with regard to the reality and other discourse/discourses. Individual discourse can, both absorb semantic field of other discourses, and also play the role of a "donor". Accordingly, if necessary, it can be estimated from the position of demonstration of these features as well. Thus, intertextuality through the prism of discourse analysis – is a depth of discourse, which is revealed in the process of its interaction with the subject.

The parameter of "authorship" is necessary for the determination of author's intention, which stimulates him to produce the text. Understanding the concept of discourse as a "communication through the text" [Карасик В., 2007: 79], we suppose that during the analysis of author's intention in discourse, we can rely on the developments in the field of the text linguistics. Thus, in case of communicative approach to the text, the author's intention is represented by the following categories: 1) Phatic (contact-establishing) intention; 2) Volitional or intention of influence (including aesthetic influence); 3) Representative or intention of communication; 4) Intention of reproduction, or playback. These attributes are relevant to the political discourse as well. Let's retrace: Phatic intention – necessity to establish a contact with the audience, electorate; volitional – is implemented after establishment of contact, which provides the most significant function of influence in this type of institutional discourse; representative – carries a message aimed at an audience; intention of reproduction – designed for playback.

The parameter "addressee" comes out in the direction, while messaging to the addressee – a potential (simulated) participant of a dialogue, a recipient of the text message. which is involved in the communicative relations. The addressee – carrier of both conscious and unconscious, gets involved in dialogic communications with the author- the similar carrier of two worlds – conscious and unconscious. This parameter reflects implementation of process of communicative contact between the author and recipient. During this process, the mechanisms of speech perception are triggered, which are embedded in the linguistic personality.

Political discourse is intended to convince the addressee in "politically correct" actions and/or assessments. Therefore, such discourse is mainly oriented not to the reference, but persuasion. Accordingly, political discourse should be in harmony with the universum of multiple worlds of potential recipients. Meanwhile, argumentation can be substituted by the emotional influence, playing on a sense of call of duty, moral values – all that constitutes the art of persuasion.

The parameter "informativeness" reflects feature of the discourse to have a theme (a discourse topic) and transmit information, designed for perception of a recipient. Informativeness is also related to the degree of novelty or unexpectedness for the recipient. It can vary in each specific case, depending on the level of the linguistic personality of the potential recipient.

In the process of determination of Informativeness of a discourse, one should take into account the factor of correlation of expression with the situation, reflected in it. Thus, it is known that superficial structure, demonstrated by the number of language symbols of expression at the text level, does not coincide with its deep structure due to the asymmetry of language symbol: there are fewer linguistic units in the text than meanings, communicated by them.

This parameter may also be considered in terms of linguistic units, structuring the given discourse, the analysis of which particularly allows characterizing it as a strained or unstrained. It is known that unstrained text represents a logically detailed structure; no semantic links are missing; the theme-rhematic sequence does not have any semantic gaps. Strained text is formed by entering of new information into the theme, escaping any stage in logical sequence of its narration. Missed link/links of content are represented in such text implicitly; their replenishment depends on the adequacy of an author's intention and the degree of addressee's competence. The abovementioned also applies to the discursive processes. In this approach the informativeness of discourse is comprehended as being accomplished through indirect removal of the latter from the universe of discourse, reconstructed and interpreted.





Parameter “Informativeness” as all the above mentioned ones, is in a relationship of mutual permeability with all other highlighted parameters of the discourse. With regard to the political discourse, the component of “political field” can be considered as a system-forming parameter. According to P.Bourdieu, the political field is the dynamic interaction of political subjects (parliamentarians, members of political parties, politicians, officials etc.) whose actions on the one hand are dictated by the demands and interests of social groups and, on the other hand – by their status position within the social and political institutions [Бурдь П., 1993: 120-126]. At the same time, relations of status positions dictate their own rules of a game. In order to understand not only explicit, but also contextual plan of the political discourse, it is required to focus on information about status positions of the subject in the political field as well as on his capabilities to influence upon the formation of the view of the world society.

On the basis of abovementioned, all listed parameters can be perceived as the necessary and sufficient condition for origination and existence of multiculturalism in the discourse. They provide the unity of functioning of the discourse parts as integrity, its lexical, grammatical, communicative, cultural, intentional and cognitive coherence.

#### References:

1. Баранов А.Н. Политический дискурс: прощание с ритуалом // Человек. № 6. Екатеринбург, 1997, с. 12-16.
2. Бурдь П. Социология политика, М., 1993, с.120-126.
3. Демьянков В.З. Политический дискурс как предмет политической филологии. Политическая наука. Политический дискурс: История и современные исследования. № 3. М., 2002, с.32-43.
4. Карасик В.И. Дискурсивная персонология//Язык, коммуникация и социальная среда. Вып. 5. Воронеж, ВГУ, 2007, с.79.
5. Ревзина О.Г. Дискурс и дискурсивные формации//Критика и семиотика. Вып.8. Новосибирск, 2005.
6. Социология. Энциклопедия. М. 2003. с.33.

T. Merabishvili

#### Variety of Political Discourse Parameters

##### Abstract

The paper deals with identifying discourse parameters in political light. These parameters are considered as structure-forming ones, discursive parameters are interpreted as the result of action of communicative and cognitive components of the discourse. So, the roles in the discourse, implemented by the linguistic personality are referred to the communicative component, whereas knowledge and its interpretation on which the communication is based – to the cognitive one. These parameters possess distinguished functions and are oriented to reach teleological ethics.

თ. მერაბიშვილი

#### პოლიტიკური დისკურსის პარამეტრების ნაირსახეობა რეზიუმე

სტატია ეძღვნება პოლიტიკურ დისკურსის სტრუქტურანარმომქმნელი პარამეტრების კონსტიტუციური ნიშან-თვისებების განხილვას, პოლიტიკური ძალაუფლების მიღწევას, შენარჩუნებასა და განხორციელებას. პოლიტიკური დისკურსის დანიშნულებაა არა უბრალოდ აღწეროს (ანუ არა რეფერენცია), არამედ დაარწმუნოს ადრესატი მასში განზრახვების გაღვიძებით, შექმნას დარწმუნების საფუძველი და უბიძგოს ქმედებისაკენ. სტატიაში პოლიტიკური დისკურსის ეფექტურობა განსაზღვრულია ამ მიზანთან შეფარდებით. მას აქვს მკვეთრად გამოხატული ფუნქციურობა და ორიენტირებულია მიაღწიოს ტელეოლოგიურ განწყობებს.



**T. TUXASHVILI**

## **REVIEW OF KIDNEY DONORS' PSYCHOLOGICAL FACTORS**

Kidney transplantation is the choice of the treatment for the patients on the last stage, which will provide the best results and high quality of life. Today, this form of treatment has become universally available in many centers of transplantation. In 2003, for example: in Switzerland, cadaver donation exceeded the transplantation of living donors. Similar trends are observed in many countries of the world. However, at present there is a shortage of donors.

Only in the United States of America, 102723 [[http://optn. Transplant.hrsa.gov/lateData/rptData.asp](http://optn.Transplant.hrsa.gov/lateData/rptData.asp)] patients waiting for the organ and this number is increasing daily. Living donation has several advantages: better donor selection, donors psychological evaluation, planned operation, fewer postoperative complications and better results.

The role of donors during kidney transplantation is very important, as they give their organs to others, plan the operations not because they have a medical diagnosis, but because they want to do good job. The donor should not have kidney problems and his/her health will have to be very good.

Donor selection in Georgia is possible according to the existing legislation. There is a law [Organ and Tissue transplantation; 2006], according to this law, donor may be a family member, close relative, cousin and legally married spouse.

According to the law, which was passed in 2010, a living donor may be: recipient's genetic relative, recipient's spouse (if marriage is not than one year), recipient's spouse's child, parents, grandparents, grandchildren, sister, brother (if marriage is not less than two years). It should also be noted, that according to the existing Georgian legislation, altruistic purpose of organ donation is prohibited. Also, in Georgia here is not an implementation of cadaver donation, although it is allowed according to the law. Church representatives and doctors have different opinions about possible death.

Some studies have shown that the donor may have an unrealistic fear of transplantation, which may adversely affect his/her psychological condition [LE B., LE R., Sosa Ja, Tu AH, Nagula et al. 2002: 186-19; [Burroughs Te, Waterman AD., 2003: 142-150].

Therefore, the donor organ donation should have been declared to give informed consent, for it should be explained to the donor the type of operation, its duration, the risk, which is a danger for the life, immediate and remote, direct and indirect impacts of the surgery; success and failure probabilities of living donor transplantation, all possible circumstances that could affect the donor's decision.

First of all it is necessary to determine the blood group. It does not matter that the blood group would be identical. The main thing is that the blood group would be compatible. For example: the first group of blood can give its organ to the rest of the blood groups, but the fourth group may take the organ from the any other blood groups, from only compatible groups. After the compatibility is confirmed, immunology is checked to find out that these organs are compatible or not. Immunological compatibility shows, if this process is going to be continued well. If there is a compatibility the donor and the recipient are researched with all methods, which are necessary and this process is available according to the law.

All potential donors should have a psychological and emotional stability. If potential donors have a variety of harmful substances or psychosis facts, they can not be considered as donors. The social rate of the donors is also necessary, because the financial dependence on the recipient, as a survivor, it may be a motivation for him to decide.

After the transplant, these and other family problems can cause the depression or other mental disorder [Evangelos Mazaris, Vassillos EPapalois. "Ethical Issues in Living Donor Kidney Transplantation"]. The reason of the decision also may be relationship of the donors and recipients, they have an obligation to help and deny free choice. Moral and emotional commitments do not restrict the free choice, but, apparently, the donor, who refuses the organ donation, later has difficulties with family members [Crouch RA, Moral C., ...1999: 275-287], so it is recommended that their motivation and the freedom would be determined and the pressure would be unacceptable.

As we already noted, the donor's motivation is very important.

In the list, which should include the donor's psychological evaluation, the main thing is a motivation, which determines the psycho-emotional reactions of donors after the transplantation. The internal factors of the motivation are: a desire to help or religiosity. External factors are: social pressure or the standard norms, relationship between the donors and the recipients. It is known that the motivation of emotional partners or family members is to survive.

The most common is emotional senses, which have been found in studies for 30 years. According to Simmon's survey, 80% of donors help their recipients to save, 78% of them feel that their life has become more attractive, past criminal act of donation (25%), dissatisfaction in case of rejection (14%), the pressure of the family due to the donation (43%).



Recent studies show that altruistic donors have humanitarian motives to help sick people, such as: moral or religious obligation or identity [Dew M., 2005].

Motive, which is designed to preserve the life of the recipient or enhance the quality of life, is positive [Minz M, Udgiri N, Sharma A, et al. 2005: 37(5): 2001-2003], but there are other motives, too, which causes negative psychosocial impact and should be evaluated carefully. These include: sense of guilt, pressure, coercion, obligation or social expectation, raise self-esteem as a result of the behavior, the desire of the recognition, the desire of a good relationship with the recipient, secondary benefits (to avoid from military service, financial interest from the recipient), inability to refuse, being in the role of the rescuer, in order to solve the psychological or family problems, religiosity. According to the various authors, hesitant donors are less desirable for the transplantation.

During the psychological evaluation of the donor the research of the relationship between the donors and the recipients is very important. Research results show that one of the reasons is high levels of emotional relationships. To let someone to be a donor is higher when the donor is a close relative. Earlier studies have shown that when donors were not close relatives, the donation was stressful and they claimed that they would not help the recipients again if it was possible [Johnson E, Anderson JK, Jacobs C, et al. 1999: 67(5): 717-721]. In addition, the relationship between the donors and the recipients has shown that donors who did not have sufficiently close emotional relationship with the recipient, they noted that they had a postoperative psychological stress and were displeased [Schover L, Strem SB, ... 1997].

Donors, who were not properly and fully informed, postoperative complications were found, which was reflected in their quality of life [Ozcuremez N, Tanriverdi T, Colack R, ... 2004: 36(1): 114-116].

There have been psychological studies since 1966 in which more than 4800 donors are researched. The interval can range from 1 week to 34 weeks. The most common is from 1 to 10. According to the survey, which was conducted by Clemens [Clemens KK, Thierssen – Philbrook H, Parikh CR, et al. Psychosocial health of living kidney donors: a systematic-review. J transplant 2006; 6: 2965-77], the living donor psycho-social functioning after the transplantation is studied. The authors' data refer to donors' social function, self-government conception, psychological prosperity, quality of life and physical condition. In many cases, relationships between the donors and the recipients, the donors and the partners and their family remained unchanged or they have improved this. Many donors have increased their self-esteem. Most of the donors were happy, while some donors had negative emotions, for example: the feeling of ignore, frustration, abandonment, disrespect and there were different kinds of depressive symptoms on their face.

Donor's quality of life are discussed in many studies, that show that the majority of donors are satisfied with their decision and have a desire to help again. For them it was a positive experience [Emma van Hardeveld... 2010: 580-587]. A positive result of live donation means improvement of the relationship between the donors and the recipients, self-esteem of donors and social recognition.

The study also found that a small number of donors, about 10% regret their positive decision and don't want to repeat this action again [Emma van Hardeveld... 2010: 580-587].

There was a category of donors who had the excitement about the postoperative pains (as they thought that the operation was the most painful experience they have ever had) health recovery, employment issues, financial problems, possible risks and change of the quality of life. Some donors said that they felt a lack of psychological support and they wanted to get more attention, appreciation and they needed support from the health care authorities.

In Switzerland, about 393 donors were researched and the survey showed what problems are found during the transplant. In particular, with the psychological complaints they have a short-term depression (1,5%) [Jurg Steiger, Michael Dickenmann, ... 2005]. Donors generally painfully point out that they are in the centre of the attention after the transplant, doctors visit the recipient more often and they stop paying the attention to the donors. Depression can arise suddenly, in a short time, despite the fact that the surgery for both sides was successful. Fortunately, this kind of depression doesn't last for a long time and gradually donor's condition is improving. This doesn't include the donors, who have some reasons. For example: unexpected problems of kidney donor or the recipient, or worse case, when the recipient dies.

In this study the authors talk about whether donors worry about their kidney giving. 95% of donors indicated that they would be happy to carry on this mission and only 5% refused. Supporters were among the donors, who have suffered some problems.

Incorrect explanation and unrealistic expectation may cause depression and anxiety, which are particularly common. According to Lentine K1, et al. analysis, rate of depression after 5 years transplantation was 11,5%. Depression levels were higher in women after transplantation, while men were more likely to be nervous [Lentine KL, 2012: 94(1): 77-83]. Psychological support was needed to these donors.

In Georgia, a few years ago, a survey was conducted at the National Center of Urology, where the donor's quality of life after transplantation was discussed. It was found that donor's quality of life was similar to the healthy patient, who had not had any surgery [Maglakelidze N, Pantsulaia T, Managadze L, Chkhotua A., 2011: 43(1):]. What goes on



in the direction of research, what is the donor's psycho-emotional reactions, I want to talk all about these later in my work.

In conclusion, we can say that:

- 1) During the donors' selection, their psycho-emotional rate should be accuracy.
- 2) Donors, who have post-operative negative reactions must have access to psychological counseling to avoid a possible psycho-emotional risk

#### Used literature

1. <http://opten.Transplanlant.hrsa.gov/latesData/rptData.asp>
2. The Law of Human Organ Transplantation(2006).
3. Boulware LE, Ratner LE, Sosa Ja, Tu AH, Nagula S, Simpkins Ce, et al. The general public s concerns about clinical risk in live kidney donation. Am J ransplant 2002; 2; 186-193.
4. BurroughsTe, Waterman AD, Hong BA. One organ donaton, three perspectives: experiences of donors, recipients, and third parties with living kidney donation. Prog Transplant 2003; 13: 142-150.
5. EvangelosMazaris, Vassillos EPapalois . „Etikal Issues in Living Donor Kidney Transplantation“.
6. Crouch RA, Elliott C. Moral agency and the family: the case of living related organ transplantation. Camb Q Health Ethics 1999; 8: 275-287.
7. Mary Amanda Dew, et al.Psychosocial Living Organ Donation. December, 2005.
8. Minz M, Udgiri N, Sharma A, et al. Prospective psychosocial evaluation of related kidney donors: Indian perspective. Transplant Proc. 2005; 37(5): 2001-20039.
9. Johnson E, Anderson JK, Jacobs C, et al. Long-term follow up of living kidney donors: quality of life after donation. Transplantation. 1999; 67(5): 717-721.
10. Schover L, Streem SB, Boparai N, Duriak K, Novick AC. The psychosocial impact of donating a kidney: long-term follow up from a urology based center. J Urol. 1997.
11. Ozcurumez N, Tanriverdi T, Colack R, Emiroglu L, Haberal M. The psychosocial impact of renal transplantation on living related donors and recipients: preliminary report. Transplant Proc. 2004; 36(1): 114-116.
12. Clemens KK, Thierssen – Philbrook H, Parikh CR, et al. Psychosocial health of living kidney donors: a systematic-review. J transplant 2006; 6; 2965-77.
13. Emma van Hardeveld, Allison tong. Psychosocial care of living kidney donors. NEPHROLOGY 2010, 15, 580-587.
14. JurgSteiger, Michael Dickenmann, Michael mayr. Key facts about living kidney donation., (Swiss Living Kidney Donors booklet 3nd, uptated edition, Autumn 2005).
15. Lentine KL, et al Depression diagnoses after living kidney donation: linking U.S. Registry data and administrative claims. Transplantation. 2012; 94(1):77-83. 16. Maglakelidze N, Pantsulaia T, Managadze L, Chkhotua A. Assessment of health-related quality of life in living kidney donors. Transplantation Proceedings. 2011; 43(1):

#### T. Tukhashvili

##### Review of kidney donors' psychological factors

##### Summary

This work refers to:

1. Psychological description of the kidney donors.
2. The relationship between the donors and the recipients after the transplantation.
3. Donors 'most common psycho-emotional reactions (anxiety, depression), which are caused by the transplantation.
4. Necessity of psychological counseling for those donors, who have some post-operative negative reactions.

#### თ. ტუხაშვილი

##### თირკმლის დონორთა ფსიქოლოგიური ფაქტორების მიმოხილვა რეზიუმე

ნაშრომი ეხება: 1) თირკმლის დონორთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღწერას; 2) დონორისა და რეციპიენტის ურთიერთობას ტრანსპლანტაციის შემდეგ, 3) დონორთა ყველაზე ხშირ ფსიქო-ემოციურ რეაქციებს(შფოთვა, დეპრესია), რომელიც გამომწვეულია ორგანოს გაცემით; 4) ფსიქოლოგიური კონსულტირების აუცილებლობას თირკმლის დონორთა იმ ჯგუფისათვის, რომლებიც განიცდიან პოსტოპერაციულ ნეგატიურ რეაქციებს.



## თ. ფანცულია

### ბიზნისის ეთიკური პრობლემები. მორალური პასუხისმგებლობა. ზნეობრივი აზროვნების ნისი

„მოვალეობისა“ და „პასუხისმგებლობის“ ცნებები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ჩვენ ვალდებული ვართ პასუხი ვაგოთ საკუთარ ქმედებებზე და ჩვენი მოვალეობების შესრულებაზე. მაგრამ მოვალეობა და პასუხისმგებლობა ერთი და იგივე არ არის.

პასუხისმგებლობის ბევრი სახე არსებობს. არის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო და ხელმძღვანელ თანამდებობებთან. არსებობს შესასრულებელი სამუშაოდან და ორგანიზაციაში დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა და სხვა. პასუხისმგებლობის ზოგიერთი სახე იურიდიული ხასიათისაა, ზოგი – მორალური, ზოგს კი არც იურიდიული და არც მორალური დატვირთვა არ აქვს. და მაინც, თითოეული ჩვენგანი პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებებსა და ქცევებზე.

ქმედება ზნეობრივი რომ იყოს, იგი შეგნებულად და ნებაყოფლობით უნდა განხორციელდეს. როდესაც რაღაც ქმედების თაობაზე ჩემს მორალურ პასუხისმგებლობაზე საუბრობენ, მხედველობაში აქვთ:

- ეს ქმედება მე ჩავიდინე (ე.ი. მე ვარ ამ ქმედების შედეგების მიზეზი);
- მე ეს ქმედება შეგნებულად ჩავიდინე;
- მე ეს ქმედება ნებაყოფლობით ჩავიდინე [დე ჯორჯი რ., 2004: 138].

ადამიანს, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ ქმედებებზე, ხშირად პატიოსან და პასუხისმგებელ ადამიანს უწოდებენ. ასხვაგვარ პასუხისმგებლობის შემცირების ან თავიდან აცილების სხვადასხვა ხარისხს.

**გამამართლებელი გარემოებები.** მორალური პასუხისმგებლობა, შესაძლებელია, სხვადასხვა საშუალებებით შემცირდეს ან შერბილდეს. ზნეობრივი პასუხისმგებლობის შემამცირებელ გარემოებებს გამამართლებელი გარემოებები ეწოდება. გამამართლებელი გარემოებები წარმოიქმნება სამ შემთხვევაში: როდესაც ისინი აბრკოლებენ ქმედების განხორციელების შესაძლებლობას; როდესაც ისინი გამორიცხავენ ან ამცირებენ ქმედების განხორციელებისათვის აუცილებელ ცოდნას და როდესაც ისინი გამორიცხავენ ან ზღუდავენ ქმედების განხორციელებისათვის აუცილებელ თავისუფლებას.

#### ქმედების განხორციელების შესაძლებლობის დამაბრკოლებელი გარემოებები.

ქმედება მორალურად სავალდებულო იქნება, თუ მისი შესრულება შესაძლებელია. ჩვენ არ ვართ ვალდებული შეუძლებელს შევეჭიდოთ. შესაბამისად, განუხორციელებელი ქმედების შესრულებისათვის მორალურ პასუხისმგებლობას ვერ დაგვაკისრებენ. იმ შემთხვევაში, როდესაც დაკისრებულის შესრულება ჩვენ ძალეებს აღემატება, მორალური პასუხისმგებლობა გვეხსნება. ქმედების განუხორციელებლობა შეიძლება განპირობებული იყოს თავად ქმედების ხასიათით, კონკრეტული გარემოებით და მისი შესრულების უუნარობით. ჩვენ მორალური პასუხისმგებლობისაგან ვთავისუფლდებით, თუ: **ა)** თავად მოცემული ქმედება განუხორციელებელია; **ბ)** არ გაგვაჩნია ამ ქმედების შესრულების უნარი; **გ)** არ არსებობს ამ ქმედების შესრულების შესაძლებლობა; **დ)** ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ ამ ქმედების შესრულებისათვის აუცილებელ გარემოებებს [დე ჯორჯი რ., 2004: 139]. მაგალითად, თუ ცურვა არ ვიცი, მე არ მეკისრება მორალური პასუხისმგებლობა, ადამიანი რომ ვერ გადავარჩინე; ან ცურვა რომც ვიცი, როგორ უნდა დამეკისროს ეს პასუხისმგებლობა, თუ შემთხვევის ადგილზე არ ვიმყოფებოდი და ა.შ.

**ქმედების განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნის გამომრიცხავი ან შემამცირებელი გარემოებები.** ცნობილია, რომ ცოდნა და ნება ზნეობრივი ქმედებების აუცილებელი პირობებია. ამდენად, მორალური პასუხისმგებლობის ხარისხი მცირდება ან იხსნება, როდესაც ადამიანს ეს თვისებები ან შეზღუდული სახით აქვს გამოხატული, ან საერთოდ არ აქვს. რაც შეეხება ცოდნას. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვყოთ ორი გამამართლებელი გარემოება: **ა)** საქმეში ჩაუხედაობა, რომლის გამართლება შესაძლებელია და **ბ)** ღრმა უმეცრება [დე ჯორჯი რ., 2004: 140]. ერთი და მეორეც უცოდინრობის შედეგია. ჩვენ მორალურად პასუხს ვაგებთ ჩვენი საქმიანობის შედეგებზე, მაგრამ ყველა შესაძლო შედეგის წინასწარ ცოდნა შეუძლებელია. რომელ შედეგებზე ვიღებთ მორალურ პასუხისმგებლობას? ჩვენ მორალურად პასუხისმგებელნი ვართ უშუალო და ცხად, ასევე იმ წინასწარ-





გათვლილ შედეგებზე, რომლებიც დასაბუთებას ექვემდებარება. უცოდინრობის გამართლება შეიძლება იმ შემთხვევებში, როდესაც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ ვერკვევით გარემოებებში ან ვერ ვსაზღვრავთ განხორციელებული ქმედებების შედეგებს. თუმცა, თუ შეგვეძლო ან უნდა გვცოდნოდა ყველა გარემოება და შედეგი, არცოდნა მორალური პასუხისმგებლობისაგან არ გვათავისუფლებს.

ატომური ბომბის შექმნასა და მისი წარმოების პროცესთან დაკავშირებული ყველა ადამიანი აგებს თუ არა პასუხს მის გამოყენებაზე წარსულში (ან მომავალში)? ატომური ბომბის დამზადების დროს, ბევრმა ადამიანმა არც კი იცოდა რაზე მუშაობდა. სხვადასხვა სპეციალისტი კონკრეტული ნაწილების შემუშავებაზე იყო პასუხისმგებელი და მთლიანად პროექტის ხასიათზე წარმოდგენა არ ჰქონდა. ზოგ შემთხვევაში ხელმძღვანელობა ავრცელებდა ინფორმაციას, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაო ხელს შეუწყობდა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას. მიუხედავად ზემოთქმულისა, თანამშრომლები, კაზუალური აზრით, ნაწილობრივ მაინც პასუხისმგებელი არიან ატომური ბომბის წარმოებაზე, მაგრამ ზნეობრივი თვალსაზრისით, მათ პასუხისმგებლობა ეხსნებათ. თანამშრომლები ადექვატურ ინფორმაციას არ ფლობდნენ. მისი უქონლობა კი მორალურად მისაღებად ითვლებოდა. როგორ უნდა შეფასდეს პროექტის ხელმძღვანელების პოზიცია? პასუხისმგებელი არიან თუ არა ატომური ბომბის შექმნელი მეცნიერები მისი გამოყენებისათვის? შესაძლებელი იყო თუ არა წინასწარ ბომბის გამოყენების ყველა შესაძლო შედეგის ზუსტად განჭვრეტა? მეცნიერებმა ნამდვილად იცოდნენ, რომ შექმნის შემდეგ ბომბის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა ქალაქებისა და მოსახლეობის გასანადგურებლად. დავუშვათ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ატომური ბომბის გამოყენება დასაშვებად ითვლებოდა. ახლა ვარაუდის დონეზე წარმოვიდგინოთ, რომ ატომური ბომბის მფლობელი რომელიმე ქვეყანა მას სხვა ქვეყნის გასანადგურებლად ან დაშინებისა და გამოძალვის საშუალებად იყენებს. სხვების მიერ ბომბის ამორალური გამოყენებისათვის, ეკისრებათ თუ არა მის შემქმნელ მეცნიერებს პასუხისმგებლობა? შეეძლოთ ან უნდა განეჭვრიტათ თუ არა მათ ბომბის გამანადგურებელი მოქმედების ყველა შესაძლო შედეგი? ამ კითხვებზე მარტივი პასუხი არ არსებობს. ერთი რამ ცხადია, ბევრ მეცნიერს უფიქრია თავისი მორალური პასუხისმგებლობის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მათ, ვისაც სრული წარმოდგენა არ ჰქონდა ატომური პროექტის ხასიათზე, ბომბის წარმოებისათვის მორალური პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ. ასევე, შესაძლებელია, გარკვეული დამაჯერებლობით ვამტკიცოთ, რომ ატომური ბომბის მოქმედების ყველა შესაძლო შედეგს, წინასწარ ვერავინ განჭვრეტდა. ამ იარაღის ამორალური გამოყენებისათვის მორალური პასუხისმგებლობა უფრო მეტად ეკისრებათ მათ, ვინც მისი გამოყენების გადაწყვეტილება მიიღო, ვიდრე მათ, ვინც თავდაპირველად მისი შემუშავება დაიწყო. მორალური პასუხისმგებლობის ხარისხი ჩვენი ცოდნის ფუნქციაა, ხოლო უცოდინრობას შეუძლია შეამციროს ან მთლიანად გაგვათავისუფლოს მორალური პასუხისმგებლობისაგან.

**ქმედების განხორციელებისათვის აუცილებელი თავისუფლების გამომრიცხავი ან შემზღვეველი გარემოებები.** გამამართლებელი გარემოებების შემდეგ ჯგუფში მოიაზრება დაბრკოლებები და ხელის შემშლელი ფაქტორები, რომლებიც შესაბამისი ქმედების თავისუფალი არჩევანის განხორციელების საშუალებას არ გვაძლევს. შეიძლება გამოვყოთ ოთხი ასეთი დაბრკოლება: **ა)** ალტერნატიული გადაწყვეტილებების უქონლობა; **ბ)** თვითკონტროლის უქონლობა; **გ)** გარეგანი იძულება; **დ)** შინაგანი იძულება [დე ჯორჯი რ., 2004: 141-142].

ა) როდესაც ჩემთვის მხოლოდ ერთი შესაძლო ქმედება არსებობს და მას ალტერნატივა არ გააჩნია (არც იმის შესაძლებლობა მაქვს, რომ იგი არ განვახორციელო), მე ვერ დამადანაშაულებენ მის არჩევაში. ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს, ვეთანხმებოდი თუ არა ამ ქმედებას. შეიძლება დავუმატოთ, რომ, როდესაც ჩემ მიერ განსახორციელებელ ქმედებას ალტერნატივა არ აქვს, ამ ქმედების გამო ჩემი მორალური პასუხისმგებლობა მცირდება.

ბ) თვითკონტროლის უქონლობა განსხვავებულ ფორმებს იღებს – რიგ შემთხვევაში ადამიანს მორალურ პასუხისმგებლობის გრძნობას საერთოდ უქრობს, სხვა შემთხვევებში – ასუსტებს. მაგალითად, თუ გული წამივიდა, თან დაცემის დროს ხელი ანთებულ სანთელს წამოგვკარი და ხანძარი გაჩნდა, ხანძრის გაჩენაზე მორალურად პასუხისმგებელი არ ვარ.

გ) გარეგანი იძულება მორალურ პასუხისმგებლობას ან ამცირებს, ან თავიდან იცილებს. ეს იძულების ხასიათზე და მის სხვადასხვა ფორმებზეა დამოკიდებული. გარეგანი იძულება შეიძლება ფიზიკური ზემოქმედების, სიცოცხლის ხელყოფის მუქარის და სხვა მსგავსი ძალადობის სახით გამოვლინდეს. არსებობს იძულების დახვეწილი საშუალებები, რომლებსაც შედეგად საკმაოდ რთული პრობლე-



მები მოყვება. დავუშვათ, ჩემმა უფროსმა ფირმის ანგარიშის გაყალბება მიბრძანა და ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამსახურიდან გათავისუფლებით დამემუქრა (ამას ისიც დაერთო, რომ დიდ ვალებში ვარ ჩაფლული და იგივე ოდენობის ანაზღაურების სხვა სამსახურის შოვნა გამიჭირდება). მათავისუფლებს თუ არა მორალური პასუხისმგებლობისაგან ჩემი უფროსის მუქარა? ვიდრე დადებით პასუხს მოვძებნით, აუცილებელია მოცემული შემთხვევა დეტალურად შევისწავლოთ. მაგრამ ეს მცირე ინფორმაციაც კი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: მე რომ უფროსის ბრძანება შემესრულებინა, ბევრად ნაკლები მორალური პასუხისმგებლობა დამეკისრებოდა, ვიდრე ფირმის ანგარიში იძულების გარეშე რომ გამეყალბებინა. რომ გავარკვიოთ, ამართლებს თუ არა გარეგანი იძულების ზოგიერთი სახე ამორალურ ქმედებას, მისი ხასიათი და ხარისხი ზედმინვენით უნდა შემოწმდეს ან სხვა კრიტერიუმს უნდა მივმართოთ: გავარკვიოთ როგორ მოთხოვნებს უყენებს გონიერი, კეთილსინდისიერი ადამიანი საკუთარ თავს.

დ) შინაგანი იძულება შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ. პირველს ადამიანის ობიექტურად არანორმალური მდგომარეობა მიეკუთვნება, მეორეს – მისი სრულიად ნორმალური თვისებები. მაგალითად, კლემენტინი იძულებულია იქურდოს რაღაც აუხსნელი შინაგანი ძალის ზემოქმედების საფუძველზე, რომელსაც წინააღმდეგობას ვერ უწევს. რამდენადაც ეს სიმართლეა, ე.ი. კლემენტინს არჩევანი არ აქვს და იგი იძულებულია მოიპაროს, მას თავისი ქმედებისათვის მორალური პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ზოგჯერ ნორმალური ადამიანებიც ვერ თრგუნავენ გრძნობებსა და მისწრაფებებს. ადამიანი მორალურად ვალდებულია აკონტროლოს და დაიოკოს საკუთარი გრძნობები და ვნებები. თუმცა ხდება ხოლმე, როცა ადამიანის გრძნობები და ვნებები, მისდა უნებურად, იმარჯვებს მასზე და აიძულებს ამორალური საქციელის ჩადენას. მსგავსი შინაგანი ალტყინება გამართლებელ გარემოებადაა მიჩნეული და მოცემული პირის მორალურ პასუხისმგებლობას ამცირებს. ადამიანის ასეთ სულიერ მდგომარეობას კანონიც ითვალისწინებს და შემამსუბუქებელ გარემოებად განიხილავს. მაგალითად, აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა ნაკლებ სერიოზულ დანაშაულად ითვლება, ვიდრე წინასწარგანზრახული.

საკმაოდ რთულია უპასუხო კითხვებს – რამდენად შეუძლიათ ადამიანებს ბიზნესში თავისი ქმედებების ყველა შესაძლო შედეგის წინასწარ განჭვრეტა, ან როგორ იქნება გამოყენებული მათ მიერ შექმნილი პროდუქცია? ბევრ ინჟინერსა და მეცნიერს ალელვებს მათი გამოკვლევების, აღმოჩენებისა და გამოგონებების არაზნეობრივი გამოყენების შესაძლებლობა. ისინი შექმნილ პროდუქციაზე ყოველთვის პასუხისმგებელი არიან, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროდუქციის პრაქტიკულ გამოყენებაზე კონტროლი მათ კომპეტენციაში არ შედის. როდესაც მაღაზიის ძარცვის დროს, მის მფლობელს ცეცხლსასროლი იარაღით კლავენ, მისი სიკვდილისათვის პასუხისმგებლობა მძარცველს ეკისრება. მაგრამ ეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა ადამიანს, რომელმაც მძარცველს იარაღი მიყიდა, კომპანიას, სადაც იარაღი დაამზადეს და ადამიანს, რომელმაც ეს იარაღი გამოიგონა? რა როლს თამაშობს კომპანია, რომელმაც იარაღის ფაბრიკის პატრონს ფოლადი მიაწოდა, ან კომპანია, რომელმაც ფოლადჩამოსხმელი ფირმა მადნით მოამარაგა? რამდენად შორს წაგვიყვანს ეს მიზეზობრივი მწკრივი? ერთი რამ ცხადია, რაც უფრო შორს მივდივართ, მით უფრო ვშორდებით მიზეზს და იარაღის გამომგონებელი ადამიანისათვის თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგების წინასწარგანჭვრეტის შესაძლებლობა მით უფრო მცირდება. შესამაბისად, ნაკლები საფუძველი გვაქვს, ამ რეზულტატისათვის პასუხისმგებლობა მას დავაკისროთ.

და მაინც, როგორ უნდა გადავწყვიტოთ პრაქტიკული მორალური პრობლემები ბიზნესში? პასუხი ასეთია: ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მორალური ანალიზის ჩვენს ხელთ არსებული ყველა მეთოდი და ზნეობრივი არგუმენტი. ვიდრე გადაწყვეტილებას მივიღებთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვავლინოთ ამ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა ფაქტი და შევეცადოთ გავითვალისწინოთ ამ ფაქტების ყველა ანალოგია. თუ ანალოგიური ფაქტების დადგენა შეუძლებელია, მაშინ უნდა მოვიფიქროთ მათი სარწმუნო ვერსია-ვარაუდები და ვადიაროთ, რომ ეს მხოლოდ ვარაუდია. ყველა ასეთი დასკვნა პირობითი იქნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასკვნა სწორი იქნება, თუ მისი ვარაუდები სწორია.

ფაქტების დადგენის შემდეგ, ჩვენ შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა დავადგინოთ, რაში მდგომარეობს მორალური პრობლემა. თუ აღმოჩნდება, რომ რამდენიმე მორალური პრობლემა არსებობს, აუცილებელია მათი კლასიფიკაცია, რათა ზუსტად განვსაზღვროთ, რომელია მათ შორის მთავარი, რომელი მეორეხარისხოვანი ან რომელი ნაკლებად დაკავშირებული ამ კონკრეტულ შემთხვევასთან. თუ შესაძლებლობა გვაქვს, რა თქმა უნდა, უმჯობესია, თითოეული პრობლემა ცალ-ცალკე განვიხილოთ და გადავწყვიტოთ.



ამის შემდეგ საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ, რომელი მეორადი მორალური ნორმების გამოყენებაა შესაძლებელი ამ შემთხვევისათვის. თუ შემთხვევა საკმაოდ ცხადი და ნათელია (მაგალითად, ქურდობა, დეზინფორმაცია ან სხვებისათვის პირდაპირი ზიანის მიყენება), მაშინ, ალბათ, საკმარისია ჩვეულებრივი ზნეობრივი კრიტერიუმების გამოყენება. ჩვენი პასუხი ინტუიტიურიც შეიძლება იყოს.

ზოგჯერ კითხვები და პრობლემები თავიდანვე სამართლიანობის, უფლებების ან მოვალეობების ცნებებითაა ჩამოყალიბებული. ასეთი სახის ფორმულირება თავად გულისხმობს, რომელი პრინციპი უნდა გამოვიყენოთ. როდესაც საუბარია ზიანის ფაქტობრივ ან სავარაუდო მიყენებაზე და მის სავალალო შედეგებზე, ჩვენ ვალდებული ვართ გავარკვიოთ ყველა შესაძლო დადებითი შედეგი, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია. მაგრამ ვიდრე უტილიტარულ ანალიზს დავიწყებთ, არ უნდა დაგვავიწყდეს გავარკვიოთ, საფრთხე ხომ არ შეექმნა, ან ხომ არ დაირღვა ვინმეს უფლებები, ან სამართლიანობის პრობლემასთან ხომ არ გვაქვს საქმე. თუ სათანადო განხილვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საკითხი უტილიტარულ ანალიზს ექვემდებარება, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ უტილიტარული თეორიის თანახმად. ასევე, თუ საკითხი დეონტოლოგიურ ანალიზს ექვემდებარება, უნდა ვიხელმძღვანელოთ სხვადასხვა დეონტოლოგიური კონცეფციებით. საკითხის ერთპიროვნულად გადანყვეტის დროს შეიძლება სუბიექტურები ვიყოთ და რაიმე დეტალს ან გარემოებას სათანადო ყურადღება არ მივაქციოთ. შეცდომისგან არავინ დაზღვეული არ არის. ამიტომ კარგი იქნება, თუ დავინტერესდებით, ვინმემ, სხვა მიდგომების ობიექტურად გამოყენების შედეგად, განსხვავებული დასკვნა ხომ არ მიიღო. თუ ეს მართლაც ასეა, შეგვიძლია კი წარმოვადგინოთ ჩვენი დასკვნის უპირატესობის დამადასტურებელი დასაბუთება? როდესაც სხვადასხვა ეთიკური მიდგომები განსხვავებული ზნეობრივ შეფასებას ან მეორადი ზნეობრივი პრინციპების დაპირისპირებას გვაძლევს, აუცილებელია გულმოდგინედ შევამოწმოთ თითოეული ანალიზის სიზუსტე და სისრულე. თუ ამ შემთხვევაშიც დასკვნები არ დაემთხვა ერთმანეთს, საბოლოოდ უნდა გადავწყვიტოთ, რომელი მათგანი უფრო დამაჯერებელია და რომელი შედეგი უკეთ შეესაბამება ჩვენს სხვა ზნეობრივ შეხედულებებს.

მორალური პრობლემის გადაჭრის დროს, ზოგჯერ, სტანდარტული მეთოდების გარდა, შეგვიძლია მივმართოთ ანალოგიის მეთოდს. მოცემული შემთხვევა ანალოგიურია თუ არა სხვა შემთხვევის, რომელზეც უკვე გამოტანილია სწორი დასკვნა? თუ ანალოგიურია, არსებობს სპეციფიკური განსხვავებები? რამდენად მნიშვნელოვანია ეს განსხვავებები და როგორ უნდა დავძლიოთ ისინი? თუ რთულ შემთხვევას განვიხილავთ, შეიძლება ვცადოთ გავარკვიოთ, როგორ გადავჭრიდით პრობლემას ანალოგიურ, ნაკლებად რთულ შემთხვევაში. ასეთი პრობლემების გადაჭრაში ჩვენი წარმოსახვის უნარი დაგვეხმარება. ჩვენი მოსაზრებით გადაუწყვეტელი დილემების შესახებ ნაჩქარევი დასკვნების გამოტანას უნდა მოვერიდოთ. იმის ნაცვლად, რომ სიტუაცია თავიდანვე გადაუჭრელად მივიჩნიოთ, ჯერ უნდა დავრწმუნდეთ, ჩვენი წარმოსახვის მობილიზებით ხომ არ შეიძლება მოცემული შემთხვევის გადაჭრა.

ბიზნესში პრობლემების განხილვის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი აქ სამ დონეზე წარმოიქმნება – ინდივიდუალურ, კორპორატიულ და ეროვნულ ან სისტემურ დონეზე [პეტრუნიჩი ი., ბორისოვი ვ., 2004: 35]. ხანდახან ინდივიდის დილემის გადაჭრის გზები კორპორატიულ დონეზე უნდა ვეძებოთ და პირიქით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მორალის წესები მხოლოდ ზნეობრივ მინიმუმს ითვალისწინებს. უკეთესი ხომ არ იქნება კითხვა, რომელსაც საკუთარ თავს ვუსვამთ, განვიხილოთ ზნეობრივი იდეალის კრიტერიუმის საფუძველზე და არა ზნეობრივი მინიმუმის კრიტერიუმის მიხედვით? მაშინ რისი გაკეთების უფლება აქვს ადამიანს? რა ეკრძალება? სად გადის ზღვარი დასაშვებსა და დაუშვებელს შორის?

მას შემდეგ, რაც გაკეთებულია მორალური შეფასება და გადანყვეტილი გვაქვს, როგორ უნდა მოვიქცეთ, ჩვენ შეგვიძლია დავსვათ კითხვა: ხელს გვაძლევს თუ არა ეს შეფასება და მიღებული გადანყვეტილება? შეესაბამება თუ არა ერთი და მეორეც ჩვენ ღირებულებებსა და მრწამსს, ჩვენ წარმოდგენებს ზნეობრივი ცხოვრების შესახებ, ჩვენ შეხედულებებს სათნოებაზე? ამ კითხვებზე პასუხი ნამდვილად არ წარმოადგენს ჩვენი ქმედებების მორალურობის შეფასების საბოლოო კრიტერიუმს, მაგრამ შეფასების მთელი პროცესის მანძილზე ზოგჯერ გვეხმარება. თუ ვაპირებთ მოვიქცეთ ჩვენი ზნეობრივი შეხედულებებისა და ინტუიტიური შეგრძნებების საწინააღმდეგოდ, უნდა ვაცნობიერებდეთ და ანგარიშვალდებული ვიყოთ საკუთარი თავის წინაშე, რატომ ვაპირებთ სწორედ ასე მოქცევას; გარდა ამისა, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ წინასწარ არ ვამართლებთ საკუთარ საქციელს.



**დამონმებული წყაროები და ლიტერატურა**

1. პეტრუნინი ი.ი., ბორისოვი ვ.კ. ბიზნესის ეთიკა. მ., 2004.
2. პოდგრიგორა მ.გ. საქმიანი ეთიკა. ტაგანროგი. 2012.
3. რიჩარდ ტ. დე ჯონსი. ბიზნესმენის სამაგიდო წიგნი. საქმიანი ეთიკა. მ., 2004.

**თ. ფანცულაია**

**ბიზნესის ეთიკური პრობლემები.  
მორალური პასუხისმგებლობა. ზნეობრივი აზროვნების წესი  
რეზიუმე**

ბიზნესში, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, დიდი მნიშვნელობა ადამიანის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას ენიჭება. აქ პრაქტიკული მორალური პრობლემების გადასაწყვეტად უნდა გამოვიყენოთ მორალური ანალიზის ჩვენს ხელთ არსებული ყველა მეთოდი და ზნეობრივი არგუმენტები. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მორალის წესები მხოლოდ ზნეობრივ მინიმუმს ითვალისწინებს. თუმცა, უკეთესი ხომ არ იქნება კითხვა, რომელსაც საკუთარ თავს ვუსვამთ, განვიხილოთ ზნეობრივი იდეალის კრიტერიუმის საფუძველზე და არა ზნეობრივი მინიმუმის კრიტერიუმის მიხედვით? მაშინ რისი გაკეთების უფლება აქვს ადამიანს? რა ეკრძალება? სად გადის ზღვარი დასაშვებსა და დაუშვებელს შორის?

**T. Pantsulaia**

**Ethical Problems of Business. Moral Responsibility. The Rule of Moral Thinking  
Summary**

In business, as in every field of public life, human's liabilities are of great importance. Here, for solving of moral problems in practice, we should use all available methods of moral analyses and arguments. However, we should keep in mind that moral rules are only the minimum of the morality in general; accordingly a question occurs – should a reference point be a moral ideal or its minimum? Then, what the human is entitled for? Where is a border between permissible and forbidden?





## 6. ყუფარაძე

### ბიოეთიკა და ქრისტიანობის ძირითადი მიმართულებები

ქრისტიანობა ბიოეთიკის უმწვავეს საკითხებს ქრისტიანული ტრადიციის ჩარჩოებში განიხილავს. ამასთან იგი თვლის, რომ ბიოსამედიცინო ტექნოლოგიები არამხოლოდ აყენებს ახალ, არამედ აღრმავებს და ამძაფრებს ტრადიციულ მორალურ-ეთიკურ პრობლემებს.

მართლმადიდებელი ეკლესია არ მიისწრაფვის შექმნას ქრისტიანული ბიოეთიკის სპეციალური კონცეფცია, რისთვისაც იგი არაერთხელ გამხდარა კრიტიკის ობიექტი. განიხილავს რა ბიოეთიკის პრობლემებს, იგი ამოდის საღვთო გამოცხადების ძირითადი საფუძვლებიდან, რომლის თანახმადაც „ღვთის ხატად და მსგავსად“ შექმნილი ადამიანის სიცოცხლე განიხილება როგორც ღვთისაგან ბოძებული უდიდესი მადლი, წყალობა; ხოლო მის უმალღეს ღირებულებებს – თავისუფლება და ღირსება წარმოადგენს. ადამიანი, თავის მხრივ, მონოდეულისა ისწრაფვოდეს ზეციერი მამის მსგავსი სრულყოფის მიღწევისათვის – „რომელთაგანაც გვებოძა დიადი და ფასდაუდებელი ალექმანი, რათა საღმრთო ბუნების თანამოზიარენი გავხდეთ“ (2 პეტრ. 1,4).

რელიგიური ცნობიერება უშუალოდ მიუთითებს ადამიანს მისი ცხოვრების რეალურ მიზანზე, ხოლო ადამიანი ცვლის მას იმ მიზნებზე, რომელიც სასურველია მისთვის. ეს შეცვლა ღმერთთან ადამიანის „ურთიერთობის“ ფორმირების საფუძველს წარმოადგენს, სადაც ღმერთი გამოდის როგორც მსაჯული იმ ადამიანისა, რომელმაც ბიბლიისეული მცნებები, როგორც სრულყოფილებისაკენ მისწრაფების წყარო, დაარღვია. მართლმადიდებლური მოძღვრების თანახმად, ღვთის ნება მდგომარეობს არა იმაში, რომ განსაჯოს ადამიანი, არამედ იმაში, რომ ადამიანი გახდეს სრულყოფილი. „იყავით სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი“ [მათ. 5,48]. ქრისტიანობის არსი არ უნდა შეცვალოს ფორმალურმა მორალიზმმა. ქრისტიანული ეთიკა – პირველ რიგში, ეს არის „გულის“ (გულისა და გონების შეჯერების) ეთიკა, სადაც ადამიანის ქმედებები ძირითადად განსაზღვრულია მისი სულის ბუნებრივი მიდრეკილებებით – სინდისის კარნახით, თანაგრძნობით, სიქველით... ამიტომაც, გაიაზრებს რა ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების „ახალ რეალობას“, მართლმადიდებლობა არ მიისწრაფვის შექმნას ახალი „მოძღვრება“, სადაც მოცემული იქნება ყველა „კითხვის“ პასუხი, არამედ იგი განსაზღვრავს მხოლოდ ძირითად ონტოლოგიურ ორიენტაციას. მართლმადიდებლობის სწორედ ამ „განუსაზღვრელობაში“ და ნაკლებად „რაციონალიზირებულობაში“ (კათოლიციზმთან შედარებით) მისი მეტი თავისუფლება. მაგრამ, „თავისუფლება სიკეთეა, როცა სამართლიანია და მივყავართ ჭეშმარიტებისაკენ; მხოლოდ ჭეშმარიტება ანიჭებს ადამიანს ნამდვილ თავისუფლებას. უფალი ბრძანებს: „სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლენს თქვენ“ [იოან. 8,32].

ჭეშმარიტება მართლმადიდებლობაში, ცხადია, მუღავნდება მის დოგმატებში. ამ ჭეშმარიტებას ყოველთვის ფლობდნენ ღვთივგაბრძნობილი წმინდა მამები და ქრისტეს ეკლესიის მოღვაწენი. მათი თხზულებები არის ის წყარო, რომელიც მოედინება არა ადამიანთა „შემოსაზღვრული“ გონებრივი შესაძლებლობებიდან, არამედ იმ ცნობიერებიდან, რომელიც მუდმივად მიისწრაფვის ლოგოსისაკენ, ღვთაებრივი, დიდი გონებისაკენ.

მართლმადიდებლური ანთროპოლოგიის თავისებურება დაკავშირებულია ანთროპოლოგიის „ამოსავლის“ განსაზღვრის საკითხთან. კათოლიციზმში ამ „ამოსავალს“ წარმოადგენს „უპ.ყოვლისა, თვით სინამდვილე... თავისუფლების, ზნეობრიობის, ღმერთის... შემეცნებაში“. ამ პოზიციისთვის დამახასიათებელია "სვლა ქვემოდან ზემოთ". მართლმადიდებლური ანთროპოლოგია კი, ეყრდნობა რა ქრისტიანულ დოგმატებს, შენდება „ზემოდან ქვემოთ“. საერთოდ, მართლმადიდებლური მოძღვრებისათვის დამახასიათებელია „ობიექტურობა“ (იგი იწყება ღვთიურის აბსოლუტური მოცემულობიდან), ხოლო დასავლური ეკლესიისთვის დამახასიათებელია „სუბიექტურობა“, რომელიც იწყება „ადამიანურიდან“. „ადამიანურის“ გაგებაც, ასევე, მართლმადიდებლური ანთროპოლოგიის თავისებურების საფუძველს წარმოადგენს. კათოლიკური ანთროპოლოგიისთვის დამახასიათებელია ადამიანის გაგება, როგორც „სუბიექტისა და ობიექტისა ერთდროულად“, ანუ აქცენტი კეთდება ადამიანის გნოსეოლოგიურ თავისებურებებზე; მართლმადიდებლური ანთროპოლოგიისთვის კი ადამიანური ბუნების საიდუმლო არის ონტოლოგიური და ობიექტი (რომელიც ფილოსოფიამ უნდა გამოიკვლიოს) არის ყოფიერება და არა აზროვნება, ადამიანური არსების სიცოცხლის საიდუმლო და არა შემეცნებელი სუბიექტის საიდუმლო. ადამიანური არსების საიდუმლო კი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი „საღმრთო ბუნების თანაზიარია“ [2 პეტრ. 1,4]. ქრისტეს ღმერთკაცებრიობის დოგმატი არის ის ამოსავალი წერტილი, საი-





დანაც უნდა “დავინახოთ” ადამიანი, ვალიაროთ მასში ღვთიური სულის არსებობა და თუკი ადამიანი მთელი სისრულით ჯერ არ “დაუფლებია” თავის “ბუნებას”, ან ნაწილობრივ “დაუკარგავს” იგი, პიროვნება მაინც არსებობს; ამიტომ ევთანაზია, აბორტი, „ინ ვიტრო“ განაყოფიერება და სხვა სრულიად მიუღებელია მართლმადიდებლური მორალისათვის.

მაგრამ ხომ არ არის ამგვარი შეფასება “კონსერვატიულობის” ნათელი მაგალითი, ანუ ადამიანის “სულიერი ზრდისაგან” ქრისტიანობის ჩამორჩენა? ხომ არ ვაფასებთ წარსულის კრიტიკიულებით ყოველივე იმას, რაც დღეს ასე აქტუალურია? ამ კითხვაზე ორგვარი პასუხი არსებობს – “დიახ”, თუკი ადამიანის “სულიერ ზრდაში” იგულისხმება იმ ჭეშმარიტების უარყოფა, რომლის თანახმადაც სიცოცხლე ხელშეუხებელია; და – ”არა”, თუკი “სულიერ ზრდაში” დავინახავთ ადამიანის და ღმერთის „ერთობლივ მოღვაწეობას“ ადამიანური სიცოცხლის გარდასახვისთვის ბრძოლაში. სინერგიის პროცესში ღმერთი „თავისი საქმით“ უჩვენებს ადამიანს მოქმედების გზებსა და შესაძლებლობებს. ადამიანის განკურნება, სიცოცხლის გახანგრძლივება- ეს „ქრისტეს საქმენია”, რომელიც “მაგალითია“ ადამიანისათვის. „ვისაც მე ვნამვარ, საქმეს, რომელსაც ვიქმ, თავადაც იქმს” [იოან. 14,12]. მამა სერგი ასე განმარტავს ქრისტეს ამ სიტყვებს: “განა ადამიანი არ არის ვალდებული განკურნოს დაავადებები და განა იგი ამას არ აკეთებს? შეუძლია კი მას ოდესმე შეჩერდეს და ყოველივე არ იღონოს, რათა სიკვდილს თავისი კლანჭებიდან გამოსტაცოს მისი მსხვერპლი?” „საქმეს რომელსაც ვიქმნ” (რასაც ბრძანებს უფალი იესო) ბიოსამედიცინო ასპექტში იმის მანიშნებელია, რომ ადამიანის განკურნება ნაწილობრივ ადამიანის ხელშია. მკურნალობის ამოცანა არის სიცოცხლის დაცვა, გაფრთხილება... ამდენად, ნამალიც და ექიმიც ღმერთს იმისთვის კი არ შეუქმნია, რომ ისინი უბრალოდ არსებობდნენ, არამედ იმისთვის, რომ ისინი ადამიანებმა გამოიყენონ. როცა არებობს ავადმყოფობა, ჩვენი ვალია მისი განკურნება...” [Сурожский А., 1995: 110].

„სასწაულებრივი“ განკურნებანი, რომელთაც განახორციელებენ ღმერთი და ადამიანი, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მიზნით, არამედ მისი მიღწევის საშუალებებით. სამყარო – ეს არ არის უბრალო “დასრულებული” მექანიზმი, არამედ იგი არსებობს და იქმნება ღმერთისა და ადამიანის ურთიერთკავშირის შედეგად, ანუ ადამიანის მიერ ღმერთის ნებით. ამ ურთიერთობის გააზრება კულტურაში განსხვავებულია. გამოჰყოფენ მის სამ ფორმას: პირველი შეესაბამება „სულიერი მიზეზობრიობის” საფუძველზე ადამიანის მიერ სამყაროს წვდომის ქრისტიანულ წარმოდგენას. მეორეს მიხედვით, ადამიანი განიხილება არსებად, რომელიც ემსახურება საკუთარ „ბუნებას” (ამ შემთხვევაში იგი აღწევს ძალზე ბევრს, თუმცა სულიერად “ცარიელი” რჩება). და ბოლოს, მესამე ფორმა – ეს არის „ღვთისმებრძოლობა”-„ღვთისგმობა”, რომელსაც აუცილებლად მივყავართ „ადამიანის გმობამდე”, რომელიც დღეს, თანამედროვე ბიომედიცინის პრაქტიკის დონეზე უფრო ფართოვდება და იძენს კონკრეტულ შინაარსს – ეს არის აბორტი, ევთანაზია, ფეტალური თერაპია, ტრანსპლანტაციისთვის „პრაგმატული მკვლელობის” დაშვება და სხვა.

“სიცოცხლის სინმინდის” პრინციპს ქრისტიანობაში, სინერგიის პრინციპთან ერთად, ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მედიცინის ეთიკური პრობლემების გადასაჭრელად. ღმერთი – სიცოცხლის მომნიჭებელია, სიცოცხლისმქმნელია. „...მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე...” [იოან. 4,6]; “მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე. ვისაც სწამს ჩემი, კიდევ რომ მოკვდეს, იცოცხლებს.... არ მოკვდება უკუნისამდე” [იოან.11. 25]. ქრისტიანობაში სიცოცხლე ეს არის არა დროებითი, არამედ მარადიული მოვლენა, რომელიც გადაჭრილია ქრისტეს აღდგომით. სიკვდილი არ არის ჩიხი, არამედ სასუფეველში „გასასვლელი” კარია. მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი (პროფესიით ექიმი) თვლის, რომ ავადმყოფობის პერიოდში (საუბარია უკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანზე) მკურნალობასთან ერთად უნდა ხდებოდეს მისი მომზადება სიკვდილთან, უფრო სწორად, “მარადიულ” სიცოცხლესთან, „შესახვედრად” – მარხვით, ლოცვით, ზიარებით და ა.შ. და არა ტკივილისაგან მისი „გათავისუფლება“-ევთანაზია [Сурожский А., 1995: 113].

“სიცოცხლის სინმინდის” პრინციპი ასევე წარმოაჩენს მკურნალობის ორი ზნეობრივი „ამოცანის” შესრულების შესაძლებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ექიმის დამოკიდებულება ავადმყოფისადმი უნდა იყოს არამხოლოდ „მეცნიერული” ხასიათის, არამედ მოიცავდეს სიბრალულს, თანაგრძნობას... და მზადყოფნას იმისთვის, რომ მისცეს ადამიანს სიკვდილის “საშუალება”. ამ ორი ამოცანის შესასრულებლად ექიმი მზად უნდა იყოს და გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ მათი მოწყვეტა „ქრისტიანული კონტექსტიდან“, სამედიცინო საქმიანობაში მიგვიყვანს ღირსების, თავისუფლებისა და თანაგრძნობის დაკარგვამდე.



ყველა სხვა მიმდინარეობისა და რელიგიისაგან კათოლიკური ეკლესია იმით განსხვავდება, რომ მან პირველმა გაამახვილა ყურადღება ბიომედიცინაში მიმდინარე პროცესებზე (თანამედროვე მედიცინაში არ მოიპოვება ისეთი მიმართულება, რომლის ეთიკურ ასპექტებზეც მას არ ჰქონდეს ფორმულირებული). კათოლიკე თეოლოგების ნააზრევი, ცხადია, მეტად ღირებულია და, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მან ხელი შეუწყო „ქრისტიანულ ბიოეთიკას“ გამხდარიყო არამხოლოდ შესაძლებელი, არამედ რეალურად არსებულიც თანამედროვე კულტურულ სივრცეში.

ნებისმიერი საკითხის რელიგიურ-ფილოსოფიური ანთროპოლოგიის დონეზე გადანყვეტა კათოლიკე მკვლევრების კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია. ასეთი მიდგომა მიანიშნებს, რომ ნებისმიერი თვალსაზრისი განიხილება მისი საფუძვლებიდან გამომდინარე. „სხვა“ ბიოეთიკებთან დისკუსიები წარმოებს არა „სარგებლიანობის“ ან „სიკეთის“, არამედ, ფუნდამენტური ანთროპოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით. რ. ლოვი თვლის, რომ ევთანაზიის, ხელოვნური განაყოფიერების და ა.შ. მომხრეებს არ გააჩნიათ „ერთიანი ანთროპოლოგია“. ანალიზებს რა მედიცინის ბევრი წარმომადგენლის პოზიციას, იგი აფიქსირებს მათ მიმდევრობას „ეკოლუციონისტური მსოფლმხედველობისადმი“, რომლისთვისაც დამახასიათებელია ადამიანის ფიზიკალისტურ-ქიმიური გაგება მის ყველა (ბიოლოგიურ, სულიერ და ა.შ.) გამოვლინებაში. ამასთან, უმაღლეს ღირებულებად ითვლება თავად ეკოლუცია [Reinhardt L., 1990: 8].

კათოლიკური ბიოეთიკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ეკოლუციონისტური ანთროპოლოგიის“ არგუმენტირებულ კრიტიკას, რომელთაგან პრინციპულ როლს თამაშობს სამი არგუმენტი. პირველი არგუმენტი დაკავშირებულია თვით ეკოლუციონიზმის მიერ ჭეშმარიტების პრეტენზიაზე უარის თქმასთან. ეს „უარი“ წარმოადგენს ეკოლუციონიზმის თეორიტიკოსების მიერ ჭეშმარიტებაზე „პრეტენზიას“ და ჭეშმარიტების, როგორც ასეთის, არსობრივ უარყოფას შორის ურთიერთინააღმდეგობის შედეგს. მეორე არგუმენტი ეხება სინამდვილის მეცნიერული ახსნის „ამოსავალი დებულების“ პრობლემას, რომელსაც წარმოადგენს არა მატერია, ბუნების კანონები და ეკოლუცია, არამედ თავად სინამდვილე. ადამიანის არსებობის არსი მის თვითშემეცნებაშია – თავისუფლების, ზნეობრიობის, ღმერთის...შემეცნებაში და იგი ბევრად უფრო ჭეშმარიტი და „ნამდვილია“, ვიდრე ის ფსევდომეცნიერული დებულებები, რომელთაც სურთ ადამიანს შთააგონონ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი რეალიები მხოლოდ ილუზიას წარმოადგენს. მესამე არგუმენტი დაკავშირებულია მეცნიერთა მიერ საკუთარი თავისთვის „ყოვლისმცოდნის“ სტატუსის მინიჭებასთან. ატარებენ რა ადამიანზე ექსპერიმენტებს, ისინი მას განიხილავენ როგორც ცოდნის მიღების წყაროს. თანაბარუფლებიანობის პრინციპი წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის „კვლევის ობიექტად“ დისკრიმინაციულ გადაქცევასთან, როცა კვლევის „ობიექტს“ არ სურს იყოს ობიექტი. საზღვარი, რომელიც არსებობს ადამიანის, როგორც „კვლევის ობიექტისა“ და ადამიანის, როგორც „გამოყენების ობიექტისადმი“ დამოკიდებულებას შორის ძალზე სუსტია. „მოექცე ადამიანს ისე, როგორც საშუალებას საკუთარი მიზნების მისაღწევად, ნიშნავს არად ჩაადგომისი ჭეშმარიტი დანიშნულება...არასოდეს არ უნდა დავეთანხმოთ იმას, რომ ადამიანი მოვიხსენიოთ Homo Sapiens- ად, არამედ – „პიროვნებად“. ეს ცნება მოიცავს ადამიანური არსების გაცილებით მეტ სრულყოფილებასა და სისავსეს, და ამის ხაზგასასმელად აუცილებელია „პიროვნების“ ცნება“ [Иоанн Павел., 1993: 89].

თანამედროვე კათოლიციზმში ქრისტიანული ბიოეთიკის გაგება ყალიბდება როგორც „ადამიანური ღირსების ანთროპოლოგია“, მაგრამ მისი შექმნა მაინც მომავლის საქმეა. დღეს კი საუბარია ბიოეთიკაზე, როგორც ყველა ცალკეული შემთხვევის ყოველმხრივ განხილვაზე, შეფასებაზე... რომლის აუცილებელ მარეგულირებელ საფუძველს ოფიციალური დოკუმენტების კრებული წარმოადგენს“ [Стрелча Э., 1992: 38].

ბიომედიცინის ეთიკური პრობლემისადმი პროტესტანტული ეკლესიის დამოკიდებულების თავისებურებას წარმოადგენს მორალის ნებისმიერი იმპერატიული გაგების უარყოფა. პროტესტანტულ ეკლესიას არ გააჩნია არავითარი აბსოლუტური ძალაუფლება არც დოგმატების დონეზე (თუმცა იგი არ არსებობს სარწმუნოებრივი დოგმატების გარეშე) და მით უფრო არც ეთიკური მცნებების დონეზე. „ოფიციალური დოკუმენტის“ არსებობა აქ კომპენსირდება ეთიკურ-მორალური „ჭეშმარიტების“ მუდმივი ძიებით, რომელსაც „თითოეული ადამიანი თავად მოიპოვებს“ [Колл Ж., 1992: 41].

ინდივიდის „დამოუკიდებლობის“ პრინციპის შემუშავება პროტესტანტულ ეთიკაში არ მომხდარა ანთროპოლოგიური საწყისების გარეშე. მაგ.კანტის თანახმად, ერთ-ერთ ძირითად ანთროპოლოგიურ საწყისს წარმოადგენს ადამიანის უნარი „შეუქმნას საკუთარ თავს მორალური კანონი“ და იბრძოდოს მისი განხორციელებისათვის.კანტი მას უწოდებს „მორალურ ავტონომიას“, რაც პროტესტანტული



ეთიკის საფუძველს წარმოადგენს. „ავტონომიის იდეაში მტკიცდება ადამიანის თავისუფლების უფლება და ღირებულება“ [Кант Э., 1965: 278].

ბიოეთიკის პრობლემების განხილვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროტესტანტული ავტონომიის განმათავისუფლებელი პათოსის ისტორიისა და ლოგიკის წარმოჩენას. ცნობილია, რომ ისტორიულად პროტესტანტიზმი წარმოადგენს შუასაუკუნეების კათოლიციზმის უკიდურესობებზე თავისებურ „რეაქციას“, რომლის დროსაც ეკლესიის ავტორიტარულ სისტემაში თავად მორალი იყო გადაქცეული ავტორიტარულ წარმონაქმნად. პროტესტანტიზმმა ამოცანად დაისახა პაპიზმის მონობისაგან გადაერჩინა „ქრისტიანული თავისუფლება“, რაც გამართლებული იყო თავად ქრისტიანული იდეების – დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის – აღიარებით. ამ იდეათა ტრანსფორმაცია „ღვთისგმობად“ რამდენადმე გვიან ჩამოყალიბდა. თუმცა, არ შეიძლება ჯეროვანი შეფასება არ მიეცეს ავტონომიის იდეის რეფორმატორულ პოტენციალს თანამედროვე ადამიანისთვისაც. ნებისმიერ სიტუაციაში იგი უკვე ორიენტირებულია ავტონომიური ქცევის შესაძლებლობაზე. პიროვნების სოციოკულტურული აღიარება იცავს მას იმისგან, რომ მას მოექცნენ როგორც კვლევის ან სოციალურ-პოლიტიკური მანკულაციის უუფლებო ობიექტს. მორალური ავტონომიის პრინციპი ეწინააღმდეგება პიროვნების განადგურების ნებისმიერ მცდელობას-ნაკარნახევია იგი ინტელექტუალური ელიტის ეგოისტური ინტერესებით, თუ ადამიანთა „საყოველთაო ბედნიერებისა და კეთილდღეობის“, „ჯანმრთელობის დაცვის“, „პროგრესის ლოგიკის“ და ა.შ. „ალტრუისტული“ მოტივებით. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ თანამედროვე ბიოსამედიცინო ეთიკაში მორალური ავტონომიის პროტესტანტული პრინციპი პაციენტის ავტონომიის პატივისცემის ფუძემდებლურ პრინციპად გადაიქცა.

ამასთან, ვაანალიზებთ რა ეთიკური ავტონომიის დადებით მნიშვნელობას, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ მისი უარყოფითი მხარეც, რომელიც განუსაზღვრელი თავისუფლების შესაძლო არსებობაში მდგომარეობს. ამიტომ ნიშანდობლივია, რომ ბიოსამედიცინო პრობლემების განხილვისას „პროტესტანტული ეთიკა დღეს, ძირითადად, პასუხისმგებლობის ეთიკამდე დაიყვანება“ [Колланж Ж., 1992: 41].

ამრიგად, ბიოეთიკის უმწვავეს პრობლემათა გადაწყვეტა ქრისტიანული რელიგიისა და მორალის პრინციპებიდან გამომდინარე მეტად ღირებული პოზიციაა, რადგანაც იგი მოიცავს უმაღლეს ეთიკურ ღირებულებებს. ქრისტიანობა უნდა დაეხმაროს ადამიანებს „ჭეშმარიტების ძიებაში“ და კაცობრიობა განარიდოს იმ რეალური საფრთხისაგან, რომელიც მას ბიოტექნოლოგიური პროგრესის ნეგატიური შედეგებისგან ელოდება.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბიბლია. თბ; საქართველის საპატრიარქო. 1989.
2. მამულაშვილი ბ. ბიოეთიკა. თბ., 2016.
3. Булгаков С.О чудесах евангельских. М., 1994.
4. Иоанн Павел II, Любовь и ответственность, 1993.
5. Кант. Основы метафизики нравственности. М., 1965. т. 4.
6. Митрополит Антоний Сурожский. Исцеление тела и души. // ч. 1995. №5.
7. Колланж Ж.Ф. Биоэтика и протестантизм. Медицина и право человека. М. 1992.
8. О Вере и нравственности по учению Православной Церкви. М., 1991.
9. Стречча Э. Католическая церковь и профессия врача // Медицина и право человека. М., 1992.
10. Low Reinhardt. Antropologische Grundloggen einer Christi hen Bioethic. Köln. 1990.



**ნ. ყუფარაძე**

**ბიოეთიკა და ქრისტიანობის ძირითადი მიმართულებები  
რეზიუმე**

ქრისტიანობა ბიოეთიკის უმწვავეს პრობლემებს ქრისტიანული ტრადიციის ჩარჩოებში განიხილავს. ამასთან, მართლმადიდებლობა არ მიისწრაფვის შექმნას „ქრისტიანული ბიოეთიკის“ სპეციალური კონცეფცია, მოძღვრება (განსხვავებით კათოლიციზმისაგან), სადაც მოცემული იქნება ყველა „კითხვის“ პასუხი, არამედ იგი განსაზღვრავს მხოლოდ ძირითად „ონტოლოგიურ ორიენტაციას“.

ქრისტეს ღმერთკაცობრიობის დოგმატი არის ის „ამოსავალი“ ნერტილი, საიდანაც უნდა „დავი-ნახოთ“ და აღვიქვათ ადამიანის ჭეშმარიტი არსი – მისი უნიკალური ღირებულების საიდუმლო (ანუ ვალიაროთ მასში ღვთიური სულის ასრებობა). აქედან გამომდინარე, ქრისტიანობა ყოველთვის მიჯნავს ადამიანური სიცოცხლის ჭეშმარიტ ღირებულებას მისი სოციალური სარგებლიანობისაგან და თვლის, რომ იგი არ შეიძლება ხელყოფილ იქნეს ნორმალურ პირობებში.

ბიოეთიკის პრობლემებისადმი პროტესტანტული ეკლესიის დამოკიდებულების თავისებურებას წარმოადგენს ადამიანის მორალური ავტონომიის პრინციპის აღიარება, რომელიც ასევე ეწინააღმდეგება პიროვნების განადგურების ნებისმიერ მცდელობას – ნაკარნახევია იგი -ინტელექტუალური ელიტის ეგოისტური ინტერესებით, თუ ადამიანთა „საყოველთაო ბედნიერების და კეთილდღეობის“, „პროგრესის ლოგიკის“ და ა.შ. „ალტრუისტული“ მოტივებით.

**N. Kuparadze**

**Bioethics and Main Directions of Christianity  
Summary**

Christianity considers the issues within the frames of Christian traditions. Herewith, Orthodoxy doesn't aspire to develop the certain concept for "Christian Ethics" where one can find the answers on every 'question' (unlike of Catholicism), it will determine only the main direction – 'Ontologic orientation'.

Dogma of the God-man is a point of departure from where one can "see" the true essence of human being – a secret of unique value of mankind, or recognize existence of divine soul in human beings. Therefore, Christianity always marked off the true value of human being from his social benefit and expediency, considering that it should not be profaned in normal conditions).

The characteristic of protestant church attitude to the issues of recognizes the principle of moral autonomy, that doesn't allow any trials of his annihilation resulted from selfish interests of scientific-political elite or the 'altruistic' motivations like 'mankind general happiness', 'nation improvement' 'logic of progress' and other ones.





## ლ. შინგელია

### აგრესიული ქცევა მოზარდებსა და ახალგაზრდებში (ზოგადი მიმოსილვა)

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ომები, კონფლიქტები, დაპირისპირებები და მსგავსი მოვლენები ყოველთვის აგრესიული ქცევით ვლინდება. აგრესია ადამიანის ქცევის განუყოფელ ნაწილად იქცა, რომელიც თავს იჩენს სოციალურ და პიროვნებათშორის კონფლიქტებში, რელიგიურ თუ ეთნიკურ სფეროში, სხვადასხვა კრიმინალურ დანაშაულში, ფსიქიატრიული თუ ნევროლოგიური ხასიათის მრავალ დაავადებებში. ყურადღების ცენტრში ხვდება აგრესიის ისეთი ასპექტები, როგორცაა მისი ბიოლოგიური და სოციალური დეტერმინანტები, მექანიზმები და აგრესიის გამოვლენის პირობები, აგრესიული ქცევის ინდივიდუალური, ასაკობრივი და სქესობრივი თავისებურებები.

აგრესიულობის საკითხი არაერთი მეცნიერის კვლევის საგნად იქცა, თუმცა ამ რთული ფენომენის ერთიანი მეცნიერული განსაზღვრება არ არსებობს. ამიტომ აგრესიის კვლევა მეტად აქტუალური გახდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობით.

აგრესიის გარშემო არსებული ლიტერატურის გაცნობა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ვერცერთი მეცნიერული კვლევა ვერ სცემს პასუხს ისეთ შეკითხვებზე, თუ უფრო რასთანაა დაკავშირებული აგრესია – სოციალურ თუ გენეტიკურ ფაქტორთან; რა მექანიზმები (ფიზიოლოგიური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური) უდევს საფუძვლად; მოგვცემს თუ არა ამ მექანიზმების ცოდნა აგრესიის პრევენციის საშუალებას და ა.შ.

აგრესიის ცნების ყველა გავრცელებული ფორმა შემდეგში მდგომარეობს: **აგრესია – ეს არის სხვა სუბიექტისადმი ზიანის მიყენება ან ზიანის მიყენების მცდელობა**. სხვა განმარტებების თანახმად, აგრესია არის ქცევა, რომელიც მიმართულია ცოცხალი არსებისათვის ზიანის მიყენებაზე და შეურაცხყოფაზე [Бэрон Р., Ричардсон Д., 2004: 20].

თუ თვალს გადავავლებთ ბიჰევიორისტულ თეორიაში აგრესიის დეფინიციას, შევამჩნევთ, რომ ბიჰევიორისტები ხაზს არ უსვამენ აგრესიული ქცევის მოტივაციას. მათთვის ზიანის მიყენება და განზრახ მიყენება ერთნაირი შინაარსისაა [Беркович Л., 2002: 510]. ამ შეხედულებას უარყოფს ფსიქონალიტიკური კონცეფცია, რომელიც სწორედ რომ მოტივზე, ადამიანის შინაგან სამყაროზეა ორიენტირებული.

ზ. ფროიდის კონცეფციის მიხედვით, ადამიანის მთავარი მამოძრავებელი ძალა სიცოცხლისა და სიკვდილისკენ ლტოლვაა (ეროსი და თანატოსი). სწორედ თანატოსიდან გამომდინარეობს აგრესიული ქცევა ანუ თუ მისი ენერჯია არ გამოვლინდება გარეთ, იგი გამოიწვევს საკუთარი ორგანიზმისთვის ზიანის მიყენებას. შესაბამისად, აგრესია ორგანიზმში არსებული თანდაყოლილი სიკვდილის ინსტიქტის შედეგია. ბუნებით დაუნდობელი ადამიანი მხოლოდ საზოგადოებრივი წესებისა და კანონებისადმი მორჩილებით ახერხებს აგრესიული ინსტიქტების მართვას. სიკვდილის ინსტიქტი სიცოცხლის ნგრევისა და შეწყვეტისაკენ არის მიმართული. თუ ის შიგნით არის მიმართული, მაშინ თვითდასჯით ვლინდება, რისი უკიდურესი გამოხატულება თვითმკვლელობაა. მაგრამ თუ იგი გარეთ არის მიმართული, მაშინ მტრობაში, ნგრევისადმი სწრაფვასა და მკვლელობაში გამოიხატება. ფროიდის თანახმად, აგრესიის ენერჯია რაღაც ფორმით უნდა გამოვლინდეს ანუ უნდა მოხდეს მისი განტვირთვა. თუ აგრესიას არ მიეცა გამოვლენის საშუალება, იგი ადრე თუ გვიან „იფეთქებს“, გამოიწვევს ადამიანში ძლიერ ფსიქიკურ აშლილობას. საზოგადოების მნიშვნელოვანი ფუნქცია კი იმაში მდგომარეობს, რომ მოახდინოს ამ ენერჯიის რეგულირება, დამანგრეველი ენერჯია მიმართოს სასარგებლო ქცევის განხორციელებისკენ.

გერმანელი ეთოლოგი კ. ლორენცი ზ. ფროიდის მსგავსად მიიჩნევს, რომ აგრესია სათავეს იღებს, პირველ ყოვლისა, გადარჩენისათვის ბრძოლის თანდაყოლილი ინსტიქტიდან და მიმართულია გარეშე ობიექტებისკენ. მისი შეხედულებით, აგრესიული ქცევის წყარო, რომელიც ახასიათებს როგორც ადამიანს, ისე ცხოველს, ბრძოლის თანდაყოლილი მექანიზმია და ის ხანგრძლივი ევოლუციის მანძილზე ვითარდება. აგრესია ორგანიზმში სპონტანურად გროვდება და მუდმივ განმუხტვას მოითხოვს; ორგანიზმი გამლიზიანებულს თვითონ პოულობს; თუ ადამიანმა ვერ მოახერხა დაგროვილი აგრესიის განმუხტვა, ხშირ შემთხვევაში, ემართება ნევროზი და სხვა პათოლოგიები.

აგრესიის ფენომენის შესწავლისას არაერთი ფაქტია მოპოვებული ცხოველებზე დაკვირვებებიდან; ძნელია იმის თქმა, თუ რა იმპულსი ამოძრავებს ცხოველს საკვებისთვის ან საწინააღმდეგო სქესის გამო ბრძოლისას. ეს შეიძლება იყოს მოტივირებული სექსუალური მოთხოვნილებებით და არა აგრესიულობით. ეს ქცევა მრავალი სხვა მიზნით შეიძლება იყოს დომინირებული [Бэрон Р., Ричардсон Д., 2004: 38].





ამ კონცეფციასთან ახლოს დგას აგრესიისადმი სოციო-ბიოლოგიური მიდგომა, რომელიც ძირითად აქცენტს აგრესიის გენეტიკურ დეტერმინანტებზე აკეთებს. ინდივიდები, როგორც წესი, ეხმარებიან მათ, ვისთანაც საერთო გენები აქვთ და აგრესიულები არიან მათ მიმართ, ვისაც არ ენათესავენ [Бандура А., 2000: 92].

კ. ლორენცის ინსტიქტთეორია (რასაც ბევრი სოციობიოლოგი იზიარებს) აღიარებს, რომ სოციალური ქცევის ყველა ასპექტი, მათ შორის, აგრესია, ევოლუციური თეორიებით აიხსნება.

ლ. ბერკოვიჩი თვლის, რომ ადამიანი იმით განსხვავდება ცხოველისაგან, რომ პიროვნების აგრესიაში მნიშვნელოვან როლს დასწავლა თამაშობს. აგრესია თანდაყოლილი მიდრეკილებების და დასწავლილ რეაქციებს შორის ურთიერთქმედების რთული ფუნქციაა.

აგრესიის სიტუაციური კონცეფციის (ფრუსტრაციის თეორია) მიხედვით, აგრესიულ ქცევას განაპირობებს ფრუსტრაციის არსებობა. აგრესია არა ორგანიზმში არსებული სწრაფვაა, რომელიც ავტომატურად აქტიურდება, არამედ სწორედ რომ ფრუსტრაცია იწვევს აგრესიის ინსტიქტის გააქტიურებას. ეს ინსტიქტი კი აგრესიული ქცევის გამომწვევი მიზეზი ხდება. შესაბამისად, ამ თეორიას ორი ძირითადი პოსტულატი აქვს: ყველა სახის აგრესია მოსდევს ფრუსტრაციას და ყველა სახის ფრუსტრაცია, თავის მხრივ, იწვევს აგრესიას. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ავტორი არ იზიარებდა ამ აზრს და თვლიდა, რომ აგრესია არ წარმოადგენს უშუალოდ ფრუსტრაციის შედეგს, მაინც ამ კონცეფციამ დიდი ზეგავლენა იქონია და მრავალ სხვა თეორიას ჩაუყარა საფუძველი.

დ. ზილმანის აგრესიის გადატანის თეორიის მიხედვით, აგრესია ჩნდება გარკვეული აგზნებით. მას საფუძვლად არ უდევს რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზეზი. ავტორი, ასევე, აღნიშნავს, რომ აგზნების გადატანა შესაძლებელია ერთი ობიექტიდან მეორეზე, რაც ამცირებს ემოციურ ფაქტორს და, მათ შორის, აგრესიასაც [Zillman D., 1988: 51-64].

ა. ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიას გარკვეულ წილად საფუძველი სწორედ ზემოხსენებულმა ფრუსტრაცია – აგრესიამ ჩაუყარა. ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ აგრესიული ქცევის ჩამოყალიბებისათვის, აუცილებელია ონტოგენეზში აგრესიული ქცევის შეთვისება, მისი მაპროვოცირებელი მექანიზმებისა და სტერეოტიპის განმამტკიცებელი პირობების არსებობა. ამასთან ერთად, ა. ბანდურა არ უარყოფს აგრესიის გამომწვევ ბიოლოგიურ ფაქტორებსაც.

ამდენად, სოციალური დასწავლის თეორიის თანახმად, სოციალური ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანის სოციალურ აქტივობას, რაც ერთი ადამიანის (ადამიანთა ჯგუფის) მეორე ადამიანზე (ადამიანთა ჯგუფზე) გავლენას გულისხმობს. აგრესიის ნებისმიერი ფორმა – გაბრაზებიდან, ინდივიდის ფიზიკურ განადგურებამდე – შეიძლება განიხილოს როგორც სოციალური გავლენა. ამდენად, აგრესიის მეცნიერული შესწავლა სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს. სოციალური ფსიქოლოგია მიზნად ისახავს გაიგოს აგრესიის ბუნება, არის თუ არა ის ადამიანის თანდაყოლილი, ადამიანის ბუნების განუყოფელი ნაწილი, შეიძლება თუ არა მისი მოდიფიცირება, როგორია ის სოციალური თუ პიროვნული ფაქტორები, რომლებიც ზრდიან ან ამცირებენ აგრესიის გამოვლენას.

სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ეთანხმებიან სოციობიოლოგებს, თუმცა თვლიან, რომ ასეთი მიდგომა ვერ ხსნის აგრესიის მიზეზებს. იგი მეტად რთული ფენომენია. ბუნებრივია, გენეტიკური ფაქტორები მეტად მნიშვნელოვანია, როგორც არ უნდა იყოს აგრესიის გენეტიკური თუ ბიოქიმიური წანამძღვრები, აშკარაა, რომ ადამიანის აგრესიის გამოვლენის ფორმებზე გავლენას მაინც სოციალური თუ პიროვნული ფაქტორები ახდენენ.

აგრესიული ქცევის დახასიათება მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რადგან თითოეული მიდგომა იძლევა აგრესიის ფენომენის უკეთ გაგების საშუალებას.

ა. ბასის შეხედულების თანახმად, აგრესიული ქცევის აღწერა შეიძლება 3 სკალით: ფიზიკური-ვერბალური, პირდაპირი-ირიბი, აქტიური-პასიური. მათი კომბინაციით კი მიიღება აგრესიული ქცევის 8 კატეგორია.

ე. ილინმა გამოყო აგრესიული ქცევის 3 კლასი:

პირველი კლასი – აგრესიული მოტივით წარმოქმნილი აგრესიული ქცევა, სადაც თვითრეგულაცია ხდება მაღალ დონეზე ანუ სუბიექტი გაცნობიერებულად, გააზრებულად სჩადის მსგავს ქცევას.

მეორე კლასი – აგრესიულ ქცევას წარმართავს არა მოტივი, არამედ ემოციური დაძაბულობა, აფექტური მდგომარეობა. თვითრეგულაცია ხდება არა პიროვნულ, არამედ ინდივიდუალური ღირებულებების დონეზე.



მესამე კლასი – აგრესიულ ქცევას წარმართავს აფექტის მაღალი ხარისხი. იგი ქაოტურია. ცნობიერება არაადეკვატური, აზროვნება – დანაწევრებული. თვითრეგულაციის შესაძლებლობა ბლოკირებულია [Ильин Е., 2014: 18].

აგრესიული ქცევის ფორმებს შორის ფსიქოლოგები განასხვავებენ ინსტრუმენტულ და მტრულ აგრესიას. ეს უკანასკნელი გულისხმობს მიზანმიმართულ ქცევას ტკივილის/ზიანის მიყენების მიზნით ან სიამოვნების მისაღებად. ამ დროს აგრესია დესტრუქციულია. ინსტრუმენტული აგრესია მიმართულია გარკვეული მიზნის მიღწევისაკენ. ამ დროს ზიანის მიყენება არ არის მიზანი, თუმცა არც გამოირიცხება.

ლ. ბერკოვიჩი აგრესიის ფორმებში გამოყოფს იმპულსურ აგრესიას აფექტის დონეზე, რომლის კლასიფიკაცია სწორედ რომ მტრული აგრესიის მსგავსია. მეცნიერი ამ ტიპის აგრესიას ხსნის როგორც ინდივიდის შინაგანი ფიზიოლოგიური და მოტორული რეაქციების მიზეზს. ამ დროს მტრული აზრები და წარმოდგენები აძლიერებენ აგრესიულ ქცევას.

ჰ. ხეკჰაუზენი ეთანხმება ამ დეფინიციას და თვლის, რომ მტრული აგრესია სხვისთვის ზიანის მიყენებას გულისხმობს მაშინ, როცა ინსტრუმენტული – მიზნის მიღწევით ხასიათდება და ასეთ შემთხვევაში აგრესია ერთ-ერთი საშუალებაა (ძარცვა, შანტაჟი, დასჯა და სხვა) [Ильин Е., 2014: 267].

აგრესიის სოციალურ – ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლისას ყურადღება ექცევა მისი წარმოშობის ბუნებას, სხვადასხვა ასაკსა თუ გენდერულ ჭრილში გამოხატულების სპეციფიკას, სოციალურ პირობებსა თუ სიტუაციურ ფაქტორებს, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ შედარებით ნაკლებადაა განხილული აგრესიის გამოვლენაში სუბიექტის პიროვნული როლი.

თანამედროვე მოზარდი – ახალგაზრდა ცხოვრობს რთულ სოციალურ სამყაროში. პირველ რიგში, ამის მიზეზი ისაა, რომ იზრდება ცხოვრების ტემპი, ვითარდება თანამედროვე ტექნოლოგიები, ხელმისაწვდომი ხდება უამრავი ახალი ინფორმაცია, რაც თავისებურად ინტერპრეტირდება. ეს დამატებითი ფაქტორიც აღვივებს პროტესტის გრძნობას, ხშირად უსაფუძვლოსა და გაუცნობიერებელს. სოციუმი, რომელსაც არ ესმის ამგვარი ინდივიდისა, უპირისპირდება მას, რაც გავლენას ახდენს ამ უკანასკნელში აგრესიის ჩამოყალიბებაზე. ბოლო პერიოდში გარემოში მიმდინარე სოციალური ცვლილებების ტემპი და თანმდევი შედეგები აშკარად წარმოაჩენს, რომ ამჟამად ახალგაზრდებსა და მოზარდებში მომატებული აგრესიულობის საფუძვლები არსებულ სოციალურ ფონში უნდა ვეძიოთ.

კაცობრიობის ისტორიაში არაერთი მაგალითი ყოფილა იმისა, როცა აგრესია თითოეული ადამიანის და, ხშირად, მთლიანად საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გამხდარა. მას დიდი მიზიდულობის ძალა აქვს. ადამიანი თითქოს უარყოფს აგრესიას, თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ იყენებს მას.

დღესდღეობით ფსიქოლოგებს ხელთა აქვთ არაერთი ემპირიული კვლევა, რომელიც ეხება ოჯახისა თუ სოციუმის როლს აგრესიის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით, მოზარდობის ასაკში, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ნაკლებად შესწავლილია ახალგაზრდებში აგრესიული ქცევის წარმოშობის მიზეზები.

ჩვენი საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე კარდინალური ცვლილებები ჰუმანიტარულ – სოციალურ მეცნიერებათა ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად სახავს აგრესიის გამოვლენისა და დევიანტური ქცევის პრობლემისადმი ზოგიერთი ტრადიციული დებულებების ხელახლა განაწილებას, ახალი ცოდნისა და კვლევის ახალი მეთოდების შემუშავებას, პრობლემის გადაჭრის ახალი გზების მოძიებას.

მოზარდ – ახალგაზრდებში აგრესიულობის გამოვლენა და დევიაციის განვითარება საგანგაშოა არამხოლოდ იმისთვის, რომ ეს უკავშირდება ახალგაზრდა თაობის ჯგუფურ ცნობიერებაში „ანორმულ“ განწყობათა განვითარებას, არამედ იმიტომაც, რომ ეს უკანასკნელი ზეგავლენას ახდენს ფასეულობებზე, ქცევის ნიმუშებზე, სოციალურ ურთიერთობებზე და შეფასებაზე – ანუ, სხვაგვარად, ფართო გაგებით, უკავშირდება ქართული საზოგადოებრიობის სოციალურ კულტურას.

პრობლემის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დამნაშავეობა საქართველოში თანდათან „ახალგაზრდავდება“. თითქმის ყოველდღიურ მოვლენად იქცა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაული. სტატისტიკამ გვიჩვენა, რომ ისეთ მძიმე დანაშაულთა უმეტესობა, როგორცაა ძალადობა, ვანდალიზმი, მკვლელობა, ჩადენილია სწორედ 14-21 წლის ასაკის ახალგაზრდების მიერ. ქცევის კრიმინალიზაციის ტენდენციამ აქტუალური გახადა დევიანტური ქცევის კორექციისა და პროფილაქტიკის პრობლემა, აგრეთვე, იმ პრევენციულ ღონისძიებათა დასახვა და მეთოდოლოგიის დამუშავება, რომელიც ეფუძნება პრობლემის სწორ და დროულ სოციალურ – ფსიქოლოგიურ დიაგნოსტიკას.



ამდენად, მოზარდ – ახალგაზრდათა გარემოში აგრესიული ტენდენციების მატება დღეს ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაა. აგრესია, როგორც სპეციფიკური ქცევა, მეტად მრავალმხრივია. დამაფიქრებელია, რომ იგი გამოვლენის სულ უფრო და უფრო სასტიკ ფორმებს იძენს. ეს კი, გასაგები მიზეზების გამო, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. საკითხის მიმართ ფსიქოლოგთა პროფესიონალური ინტერესის ზრდა, რაზეც დევნიანტური ქცევის შესახებ შექმნილი არაერთი მეცნიერული ნაშრომი მეტყველებს, სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ აგრესიის ყოველმხრივი შესწავლა აქტუალურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება.

**დამონმებული წყაროები და ლიტერატურა**

1. ახალაშვილი ნ. ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2016.
2. ქურხული ლ. ბავშვთა აგრესია, თბ., 2006.
3. ჭიჭინაძე კ. აგრესია, აგრესიის ეთოლოგიური, ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური გამოვლინებები და მექანიზმები. თბ., 2010.
4. Бандура А., Уолтерс Р. Подростковая агрессия, М., 2000.
5. Беркович Л. Агрессия, М., 2002.
6. Бэрн Р. Ричардсон Д. Агрессия, СПб., 2001.
7. Ильин Е. П. Психология агрессивного поведения, СПб., 2014.
8. Фромм Э. Анатомия человеческой деструктивности, М., 1994.
9. Zillman D. Gognitive – excitation interdependencies in aggressive behavior// Aggressive behavior, 1988.
10. Aggression and Violent Behavior, A Review Journal, 2005.

**ლ. შენგელია**

**აგრესიული ქცევა მოზარდებსა და ახალგაზრდებში  
(ზოგადი მიმოხილვა)  
რეზიუმე**

აგრესია, როგორც სპეციფიკური ქცევა, მეტად მრავალმხრივია. დამაფიქრებელია, რომ იგი გამოვლენის სულ უფრო და უფრო სასტიკ ფორმებს იძენს. ეს კი, გასაგები მიზეზების გამო, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. საკითხის მიმართ ფსიქოლოგთა პროფესიონალური ინტერესის ზრდა, რაზეც დევნიანტური ქცევის შესახებ შექმნილი არაერთი მეცნიერული ნაშრომი მეტყველებს, სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ აგრესიის ყოველმხრივი შესწავლა აქტუალურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება.

**L. Shengelia**

**Aggressive Behavior in Young People and in Adult  
(General overview)  
Summary**

Aggression as a specific behaviour is obviously multiple. It is a dilemma that it gets more and more fierce. This causes community's serious concern. The increase of psychologists' professional interests on this issue is demonstrated by many scientific works that deal with deviant behaviour. This indicates that comprehensive study of aggression belongs to problematic issues.



## დ. ჩიკვილაძე

### „სულის არისტოკრატია“ უცხოელის თვალსაწიერით

დღეს ზნეობის ტვირთი მძიმეა, ხოლო წარსულთან მისასვლელი კრეატიული გზა – უფრო მეტად მძიმე, ზოგჯერ ბუნდოვანიც.... ვფიქრობთ, ამათუიმ მოაზროვნის მიერ დაწერილი მოგონებები გარდასულ დროსთან კონფორტაცია როდია, ის ჩავლილი დღეების ავ– კარგის წარმოსახვა – გაცოცხლების სურვილითაა შექმნილი, ამასთან ყოფიერების ნაწილია, ხშირად სუბიექტურობით გამორჩეულ სათქმელს სისხარტით რომ „მიაბრძანებს“ მკითხველამდე წარსულის აღსადგენად და ხსოვნაში აღბეჭდილი შეჩერებული წამის გასაცოცხლებლად.

ამჯერად გერმანელი მკვლევარის პუბლიცისტის, დიპლომატისა და რომანისტის ნიკოლაუს ზომბარტის მოგონების ზოგიერთ ასპექტს შევეხებით, რომელსაც ცოლად ჰყავდა ემიგრანტი პიანისტი თამარ ხუნდაძე. ნიკოლაუს ზომბარტის მოგონებები – „ბერლინში გატარებული სიყრმე 1933– 1953“, დაიბეჭდა გერმანულად 1984 წელს. ამ წიგნში ცალკე თავია „გრიგოლ რობაქიძე“, რომელიც ქართულად პირველად თარგმნა გერმანისტმა ნოდარ კაკაბაძემ 1992 წელს [ყურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1992: N5– 6].

ეს მოგონება უაღრესად საინტერესოა, მასში ლეგენდადქცეულ გრიგოლ რობაქიძის უნატიფესი პორტრეტი გადმოცემული, რომელიც გერმანელმა ფილოსოფოსმა რუდოლფ კარმანმა „სულის არისტოკრატად“ მონათლა [კარმანი რ., 2012: 324].

როდესაც ნაწარმოები შენაკადებით სარზრდობს, შენაკადებით იტვირთება და ერთ მთლიანობას ქმნის, ამ შენაკადებზე დაფიქრება ღირს, რადგან თითოეულს თავისი ენერგია გააჩნია, რაც ამ მთლიანობას „ამოძრავებს“, ანუ მემუარისტის სათქმელის გენერატორად იქცევა. „ძნელად სანდოა მემუარისტი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უიმათოდ ჭირს წარსულის აღდგენა“ [ბაქრაძე ა., 1999: 212].

გერმანელ ნიკოლაუს ზომბარტს გრ. რობაქიძე მშობლების სახლში, ბერლინში გაუცვნია. მათი ოჯახის სალონში იკრიბებოდნენ „იმ დროს პოპულარული და დღეს დავინწყებული ადამიანები“ [ზომბარტი ნ., 1992: 214], მათ შორის გრიგოლ რობაქიძეც, „რომელიც არ ყოფილა რუსი, ის იყო ქართველი, და როგორც ყველა სხვა ქართველი, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ამაყ კავკასიელ მთიელ ხალხსა და რუსებს შორის ისტორიულ და კულტურულ განსხვავებას“ [ზომბარტი ნ., 1992: 216]. ავტორი აღნიშნავს, რომ რობაქიძის გაცნობამდე საქართველოს შესახებ არაფერი იცოდა, რუკაზეც ვერ იპოვიდა ამ ქვეყანას, ხოლო შემდეგ შევიმეცნე, წერს ნ. ზომბარტი, რომ საქართველო იყო შორეული ნატვრის ქვეყანა, „კულტურის აკვანი, აღმოსავლეთის და დასავლეთის ზღვარზე, ბაბილონისა და ეგვიპტის მემკვიდრეო“ [ზომბარტი ნ., 1992: 218].

საინტერესოა ნ. ზომბარტის მიერ დახატული გრ. რობაქიძის გარეგნული პორტრეტი – გრიგოლს ჰქონდა უძრავი, ფერმკრთალი სახე, გიშერივით შავი თვალები, გუგები არ უჩანდა, მძლავრი, ტიპურად ქართული ცხვირი, რომელიც საყვირს ჩამოგავდა, „თავისებურ იერს ანიჭებდა განუშორებელი პარიკი, რომელიც არ ტოვებდა ხელოვნური ქორჩის შთაბეჭდილებას, შიშველ თავის ქალაზე დაგლესილი კეპი გეგონებოდა,.... პარიკი ბრწყინავდა როგორც შავი აბრეშუმი [ზომბარტი ნ., 1992: 219]. გრიგოლი წლიდან წლამდე ატარებდა კარგად მორგებულ შავი ტვიდის ქურთუკს და ღია ნაცრისფერ ფლანელის შარვალს, რომელიც გარკვეული სტილის სპეციალური კოსტუმის შთაბეჭდილებას ქმნიდა, რაც რობაქიძეს სტილურ უნიკალობას სძენდა. ამასთან იგი კარგად მოვლილი ხორცოვანი თითებით დაულალავად ათამაშებდა ქარვის კრიალოსანს, თითქოს ქარვას ელაციცებო. „ეს იყო წყნარი, ჩუმი, შეუწყვეტელი თითების თამაში“ [ზომბარტი ნ., 1992:220].

დასამახსოვრებელი ჰომერული სიცილი ჰქონდაო გრიგოლს, – მისი სახის ნაკვთები სიცილისაგან იმანჭებოდა, უჩანდა ოქროს კბილები, მაგრამ სწრაფად იოკებდა ხარხარს და წარმოგიჩნდებოდათ „უძრავი, ფერმკრთალი ნილაბი, ფრინველის ჩასაფრებული მზერით“ [ზომბარტი ნ., 1992:220].

არც კეკლუცობა და პოზა იყო გრიგოლისთვის უცხო, აღნიშნავს ნ. ზომბარტი, რაც ვერაფერს აკლებდა მის სიდარბაისლეს, ღირსება და ელეგანტურობა უდიდეს უბრალოებასთან რომ იყო შერწყმული.

15 წლის ნ. ზომბარტმა გაიცნო მისი ოჯახის ქართველი სტუმარი. ყმანვილს გრ. რობაქიძე მაგიკოსად მიაჩნდა, რომელსაც შეეძლო მოსაუბრის გამოუთქმელი აზრების გამოცნობა, და მომწუსხველი მზერით დამორჩიებდა. რობაქიძის საქციელში „ბევრი იყო კოკეტობა და პოზა. მაგრამ ამით მის ფენომენს, მის შესაძლებლობას არაფერი აკლდებოდა“ [ზომბარტი ნ., 1992:220].





ზომბარტის ხსოვნაში გრ. რობაქიძე კეთილ, თეთრ მაგიკოსად დარჩა, რომელიც მამობრივი მეგობრობით ურთიერთობდა ყმანვილთან, პრინცივით ექცეოდა არა იმიტომ, რომ მასპინძლისა და კეთილისმყოფელის შვილი იყო, არამედ იმიტომ, რომ ბევრ შეკითხვას ისმენდა მისგან, რასაც დიდი გულმოდგინებით პასუხობდა. ამასთან გერმანელი ავტორისათვის დაუვინყარია ის, რომ რობაქიძემ ცნობისმოყვარე ახალგაზრდას „ნეოფიტის სტატუსი“ მიანიჭა. ისიც წარუშლელ მოგონებად დარჩა, რომ საშობაოდ, თუ დაბადების დღეებზე ყოველთვის აჩუქებდა ხოლმე წიგნებს დასამახსოვრებელი წარწერით, აგრეთვე ისიც, რომ გრ. რობაქიძემ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ზომბარტის პოეზიით „დაავადებაში“, ხოლო მისი მორიგი საჩუქარი – „მსოფლიო ლიტერატურის უმშვენიერესი ლექსების ანთოლოგია“ განუშორებელი შეიქნა მთელი ცხოვრების მანძილზე პოეტური ბუნების ახალგაზრდისათვის.

გრ. რობაქიძე იშვიათი მოსაუბრე ყოფილა, ცოტას ლაპარაკობდა ხორხისმიერი, მოგუდული ხმით, „აღმატებული ცოდნის პრეტენზიით ამბობდა ის ყოველთვის საბოლოო აზრს, შემაჯამებელს,.... რომელთაც შემდეგ მის წიგნებში ვპოულობდი ხოლმე“ [ზომბარტი ნ., 1992: 221]. თავისი სენტენციის დასამტკიცებლად რობაქიძე არ გაურბოდა განმეორებებს, „რაც სხვის პირში ბანალურად იყდებოდა, მასთან მნიშვნელოვანი და ახალი ჩანდა“.

ნ. ზომბარტი გამოჰყოფს ამ ლეგენდადქცეული პიროვნების ერთ განსაკუთრებულ თვისებას. მას ყოველთვის ჰქონდა დრო, იგი არასოდეს ფაციფუცობდა, მუდამ მშვიდი, განონასწორებული იყო, საუბარსა თუ სიარულში არასოდეს ამჟღავნებდა აჩქარებას. „დროის უკმარისობა, რასაც მის გარშემო ყველანი ჩიოდნენ, მას მიაჩნდა ტიპურ ევროპულ – ამერიკულ უზნეობად, ცხოვრების კულტურის უქონლობად“ [ზომბარტი ნ., 1992: 222].

ბოლშევიზმი გრ. რობაქიძისთვის ბოროტების ზღვა იყო, ხოლო ჯულაშვილი – სტალინი ამ სიბოროტის ოკეანის ადმირალი. სტალინის შთამბეჭქდავი პორტრეტი შექმნა წიგნში „ჩაკლული სული“. მხოლოდ ქართველს შეეძლო სტალინის სულის გაშიფვრა... იგი ქართველობის საპირისპირო პოლუსს წარმოადგენდა, თავისი სიტყვის ძალით სურდა გრ. რობაქიძეს სტალინის დამხობა, სიტყვით მისი განადგურება.

ნ. ზომბარტის აზრით, გრ. რობაქიძე გერმანიაში იმიტომ ჩავიდა, რომ იქ, გერმანულ სულიერებაში თავისი ბრძოლისთვის ასპარეზი ეგულეობდა. „გერმანულ კულტურას რობაქიძე არსებითად, არსობრივად ნათესაურად მიიჩნევდა. გოეთე მისთვის იყო „ბოლო საუკუნეების ყველაზე დიდ იდუმალებას ზიარებული“ [ზომბარტი ნ., 1992: 223].

გრიგოლი თავის წიგნებს გერმანულად წერდა. ზომბარტს აოცებს გერმანული ენის სიღრმეების ცოდნისა და წვდომის რობაქიძისეული უნარი, რაც არ იყო მხოლოდ გრამატიკული კატეგორიების, თუ სიტყვის მარაგის ფლობის ხელოვნება, არა, ეს იყო ენის მიმართ შემოქმედებითი წვა, ენის სტიქიის შეცნობა, გერმანულისა და ქართულის საკრალურ, წმინდა ენად მოაზრება; „სად იპოვით ჩვენი ენისადმი ასეთ მონივნებას? მედიებსა და სემიოტიკის ნიაღში იგი დიდი ხანია გაქრა“ [ზომბარტი ნ., 1992: 223].

საინტერესოა ერთი დაკვირვებაც, რაც იმდენად პირადულია, რომ ალბათ თავს შევიკავებდი და მოგონების ამ ნაწილს არ შევეხებოდი, მაგრამ გავმეორდები, მოგონებაში შეჩერებულია დრო, ხოლო ჩავლილი ფაქტებისადმი ინტერესი დღეს უფრო მძაფრია.

ნ. ზომბარტი იგონებს, რომ გრ. რობაქიძეს ჰყავდა ლამაზი, ბევრად უმცროსი, რუსი მეუღლე, ცოტა ვულგარულიც. „ამბობდნენ, რომ რობაქიძე ამ ქალთან ე.წ. „იოსების ქორწინებაში“<sup>1</sup> იმყოფებოდა“ [ზომბარტი ნ., 1992: 223-224]. ესეც ამ „ეგზოტიკური ჰაბიტუსის“ მქონე მითებთან ხაზგასმული სიახლოვით გამორჩეული პიროვნების იდუმალების ნიშანია, ალბათ.

და მოხდა ის, რასაც კაცები ვერ ეგუებინან: ფიალკინა დამბლამ ლოგინად ჩააგდო. ჯან-ლონით საესე და ჭკუით დატენილ ელენე ფიალკინას გრიგოლ რობაქიძე რამდენიმე წელი უფლიდა უხმაუროდ, ერთგულად, გულმოდგინებით: „მე ვმუშაობ და მძინავს სამზარეულოში. იქ დგას ჩემი საბეჭდი მანქანა და მე ვიპარავ დროს, რამდენიმე სტრიქონი რომ დავბეჭდო. მაგრამ მხოლოდ ტანჯვაში გაიგება საკუთარი ყოფიერება“.

დაუჯერებელი და გაუგონარი რამ მოხდაო, – გვაუწყებს ნ. ზომბარტი, – გრ. რობაქიძემ დაწერა თხელი წიგნი ადოლფ ჰიტლერზე, რომელშიც „დახატული იყო არა დემონი, ურჩხული, არამედ ნათელი, ამალღებული, აუმღვრეველი ფიგურა!“ [ზომბარტი ნ., 1992: 226]. რამაც აღშფოთება გამოიწვია ზომბარტების ოჯახშიც და იმ ქველმოქმედშიც (ედით ანდრეე), ვინც წლების მანძილზე ფინანსურად ეხმარებოდა და თავის სახლში აპურებდა კიდევ გრიგოლ რობაქიძეს. თუმცა ჰიტლერზე დაწერილმა წიგნმა გრიგოლს პოპულარობა მოუტანა გერმანიაში, ასიათასობით ეგზემპლარი გაიყიდა, „უცხო მწერალი“ მიიწვი-

<sup>1</sup> იოსების ქორწინება – როცა პარტნიორები უარს ამბობენ სქესობრივ კავშირზე.





ეს პროპაგანდის სამინისტროში, მიიღო დავალება – დაენერა წიგნი მუსოლინიზე, რაც შეასრულა კიდეც, ამას მოჰყვა შეხვედრები რომში, (მუსოლინი – „მზის კაცი“), ეკონომიკურად წელში გამართვა. და მაინც, ასკვნის ნ. ზომბარტი, ეს ყოველივე იყო აპოლოგია, რაც არ გამოხატავდა გერმანიის სულიერ და მორალურ კრიზისს, „მიშველ ბოროტმოქმედებას“, ხალხის მრავალრიცხოვან აღელვებულ, ხმადაწეულ, ჩურჩულთ საუბრებს... რა დაემართა გრიგოლ რობაქიძეს? – კითხულობს გერმანელი ავტორი. ეს კითხვა ბევრს აწუხებდა, დღესაც პასუხგაუცემელ კითხვად შეიძლება მიიჩნიოს მავანმა... რატომ ჰიტლერი, სტალინი, მუსოლინი?! რატომ დაიხარჯა და გაისარჯა რობაქიძე ამ ერთმანეთისგან განსხვავებული და მაინც მსგავსი დესპოტების ხასიათისა და ნების ახსნა– ჩვენებით?! მოვუსმინოთ ნიკოლაუს ზომბარტს: „იყო ეს მხოლოდ უხერხულობა, საჩოთირო რამ? თუ უსიამოვნო წუნი, მიზანს აცდენა?... მე ვფიქრობს, იგი ეთაყვანებოდა საქართველოს ბოლშევიკური უღლისაგან მომავალ ჰიპოთეტურ განმანთავისუფლებელს, თავისი სიტყვის მაგიით ცდილობდა ჰიტლერის გამოსმობა– ნაქეზებას საქართველოს გასათავისუფლებლად“ [ზომბარტი ნ., 1992: 228].

ვფიქრობთ, ნ. ზომბარტის ეს დაკვირვება ანგარიშგასანევია და სიმართლის დიდ მარცვალს შეიცავს... ამ პრობლემაზე სიტყვას აღარ გვაგაგრძელებთ, რადგან შემოქმედი ქმნის იმას, რაც იმ დროსა და სივრცეში ეწერება, – ასეთად მოიაზრებდა გრ. რობაქიძეს მავანი და მავანი იმჟამად. ჩვენ მისი გონებიდან გამონაჟურს პატივი უნდა ვცეთ, მივიღოთ, ახსნაც მოვუძებნოთ, მით უფრო, რომ რობაქიძისთვის საბედისწერო აღმოჩნდა ჰიტლერისკენ გადადგმული ნაბიჯები, ომის დამთავრებისთანავე მას დაპატიმრება ელოდა და იძულებული გახდა, გვაუწყებდეს ზომბარტი, ომის ბოლოს იუბერლინგში ბრუნო გიოცთან ეცხოვრა, საიდანაც შვეიცარიას შეაფარა თავი. გარდაიცვალა ჟენევაში.

„ბრილიანტის სიმჭვირვალეებით“ ამთავრებს ნიკოლაუს ზომბარტი მოგონებას გრიგოლ რობაქიძეზე: – არსებობდა ჰიტლერი, იყო „მესამე რაიხი“, იყო ომი, მაგრამ ყოველივე ეს არ იყო ზომბარტის ოჯახის და მათი სამეგობროს ცხოვრების წესი. ფიურერი არ იყო მათი ინტერესების გამოხატველი, მისი სახელმწიფო არ იყო მათი სახელმწიფო, მაგრამ იმჟამინდელობა ცხარე პროტესტის ან ჯანყის საბაბი არ გამხდარა გერმანიაში. ჩვენ „არ გვქონდა ალტერნატივა, ჩვენს მშობლებსაც როდი ჰქონდათ იგი.“ [ზომბარტი ნ., 1992: 236].

ჰიტლერი გერმანიის ბედისწერა იყო, აღნიშნავს ნ. ზომბარტი. „ჰიტლერი არ იყო „დიდი კაცი“, რომელიც ქმნის ისტორიას, ჰიტლერი იყო უსქესო, ამორფული, ის არ იყო ადამიანი, პიროვნება“. მაშინ გერმანელებს სხვა არჩევანი არ ჰქონდათ, რადგან სამარცხვინოდაც არ უნდა ჟღერდეს ეს განაცხადი, გულდანყვევით წერს დროის სიმორიდან ნიკოლაუს ზომბარტი, – ეს ასეა, რასაც აღარაფერი ეშველება.

მეხთაგვება ბევრი გადახდენია გრიგოლ რობაქიძეს, ჭექა– ქუხილისთვისაც გაუძლია, ემიგრანტობის სიმძიმელი სიცოცხლის ბოლომდე უტარებია... მისი კრედიო კი იყო – „სამშობლოს გარეშე არ არსებობს ბედნიერება“.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ნიკოლაუს ზომბარტი, ბერლინში გატარებული სიყრმე 1933– 1943. თავი – „გრიგოლ რობაქიძე“. გამოქვეყნდა ჟურნალში „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1992წ. N5– 6.
2. რუდოლფ კარმანი, „გრიგოლ რობაქიძე და მითის აღორძინება“, გამოქვეყნდა წიგნში – გრიგოლ რობაქიძე (1882– 1962), თბილისი, 2012წ.
3. აკაკი ბაქრაძე, კარდუ, თბილისი, 1999წ.



**დ. ჩიკვილაძე**

**„სულის არისტოკრატი“ უცხოელის თვალსაწიერით  
რეზიუმე**

მოგონებათა ციკლი შეჩერებული წამია დროში განფენილი, წარსული რომ სისხარტით გააცოცხლოს. ნიკოლაუს ზომბარტის მოგონება გრიგოლ რობაქიძეზე უშუალოდ, ავთენტურობითა და დიდი პატივისცემით გამოირჩევა. გერმანელი მემუარისტის აზრით, მოგონება „ისე ზუსტი უნდა იყოს, როგორც ამას გონება გამოიმეტებს, მოგონება კახაა, რომელიც იყიდება, არასაიმედოა და მესხიერება არ აქვს“.

**D. Chikviladze**

**"Aristocrat of the Spirit" by the alien's perspective  
Summary**

The recollection cycle is the second time suspended in the past, the past that is shrouded in blood. The memory of Nikolaus Zumbartt is grateful to Grigol Robakidze, written with authenticity and great respect. German memoirist thinks that the memoir "should be as precise as the mind goes out, remembering is like a whore, who is unreliable and has no memory."



## ლ. ჯანგაპაშვილი

### ფრიდრის ნიცშეს ფილოსოფიური ხედვის ბრიგოლ რობაქიძისეული გააზრება

მეცხრამეტე საუკუნის დამლევისა და მეოცე საუკუნის დამდეგის ევროპული კულტურის კრიტიკა აღიარებს საზოგადოების მსოფლმხედველობის დეკადანსს. გაუცხოების ფონზე დაიკარგა „დიდი ადამიანი“, რომელიც, როგორც ნიცშე იტყვის, „კვლავ დაბრუნდება“. ფრიდრის ნიცშეს ფილოსოფიურმა ნააზრევმა დიდწილად განსაზღვრა მისი შემდგომი პერიოდის ევროპული (და არამხოლოდ ევროპული) მსოფლმხედველობა. დიდი გავლენა მოახდინა მან მეოცე საუკუნის დამდეგის ქართული ლიტერატურის განახლებასა თუ კრიტიკულ აზროვნებაზეც. იმდენად, რამდენადაც ევროპულ განათლებას ნაზიარევი ქართველი ახალგაზრდებისთვის ნათელი გახდა ქართული ცნობიერების „ჩამორჩენა“, დღის წესრიგში დადგა „ძველის“ გადაფასება და „ახლის“ დაფუძნება, თანამედროვე, მოდური, „ევროპეიზირებული“ კულტურის პროპაგანდა.

ქართული ეროვნული კულტურის კრიზისი ერთ-ერთმა პირველმა გრიგოლ რობაქიძემ იგრძნო. ლიტერატურულ ხელოვნებაში რუსული და ევროპული კულტურის ფორმების დანერგვით მან თეორიული საფუძველი შეუქმნა ქართული მწერლობის აღორძინებასა და განახლებას. „ევროპეიზირებული“ ქართული კულტურა მწერალმა ლიტერატურული კრიტიკის სამფლობელოდ აქცია, რაც მეოცე საუკუნის დამდეგის ქართული მწერლობის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელთან ნაირგვარ ნაკითხვას დაექვემდებარა. ამიტომ იყო, რომ იმდროინდელმა ქართულმა საზოგადოებამ გრ. რობაქიძე ლიტერატურულ რეფორმატორად ცნო.

გრიგოლ რობაქიძის ცნობიერებაზე დიდი გავლენა იქონია ფრიდრის ნიცშეს ფილოსოფიურმა ნააზრევმა. ნიცშე გახდა მისთვის „მაცნე და წინასწარმეტყველი“ ახალი მსოფლმხედველობისა. „ნიცშემ მომცა მე დიონისო, რომლის გარეშე ვერ ვიმეცნებ პოეზიას. დოსტოვესკიმაც მომცა დიონისო, ოღონდ სხვა სახელით, რომლის გარეშე ასევე შეუძლებელია ხელოვნების გააზრება“ [რობაქიძე გრ., 2012: 35].

ნიცშეს ფილოსოფიაში გამოკვეთილმა მარადიული კვლავდაბრუნების იდეამ, დიონისესა თუ ზეკაცის ფენომენმა განსაკუთრებით მოხიბლა ქართველი მწერალი.

ნიცშე ერთგან წერს: „ მე ვეძებდი სამყაროს ესთეტიკურ გამართლებას და აღმოვაჩინე, რომ ეს შესაძლებელია მარადიული კვლავდაბრუნების გზაზე გაბედული მოძრაობით“ ( *Философский*. 1960-70: 81 ). ნიცშეს ფილოსოფიური ხედვის თანახმად, არსებობს ორი ილუზია -- აპოლონური და დიონისური. ორივე ცალ-ცალკე და ერთად ამართლებს ადამიანის ამქვეყნიურ არსებობას. აპოლონის ილუზია ლამაზი ოცნებაა, რომელიც მაუწყებელია რაციონალურობის, სიმშვიდის, წესრიგის, ზომიერების, ჰარმონიულობის. მისი ამბივალენტურია დიონისეს ილუზია. მიუხედავად ტანჯვისა, სიკვდილისა და ნგრევისა, ყველგან იგრძნობა დიონისეს ილუზია, რომელიც მაუწყებელია გართობისა, ამბოხისა, თავაშვებულობისა. ამ ორი ილუზიის შერწყმით იქმნება „ტრაგიკული სიბრძნე“, რომლისკენაც უნდა ილტვოდეს თანამედროვე ცივილიზაცია. ასე რომ, სამყაროს ნამდვილი ძირი დიონისურია. დიონისური სამყარო თავის თავში მოიაზრებს ყოფის თეატრალიზებას, რაც დაკავშირებულია ნილბის ფილოსოფიასთან. იგი არ მისდევს წინასწარ განსაზღვრულ გონივრულ სვლას. ღმერთი, როგორც სამყაროს არსებობის პირველმიზეზი, აღარ არსებობს. თანამედროვე საზოგადოებისთვის „ღმერთი მოკვდა“. უღმერთო ადამიანი დარჩა მარტო. პლატონისა თუ კანტის ფერადი სამყარო ილუზიაა, ნილაბია, რომლის მიღმა სიცარიელეა.

ნიცშესთან დიონისური ძალა თავს იჩენს, როგორც მარადიული სიკვდილი და განახლება. აპოლონური სანყისი სწორედ დიონისესთან ურთიერთობისას იძენს სასიცოცხლო ენერგიას. გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედვა ნიცშეს ამ კონცეფციის ინტერპრეტაციაა. ამის დასტურია ქართველი მწერლის მხატვრულსა თუ თეორიულ ნააზრევში მრავალგზის გამოყენებული ნიცშეს „დიონისური და აპოლონური“, მარადიული კვლავდაბრუნების იდეა, ზარატუსტრათი გატაცება და ასე შემდეგ.

„დიონისურმა ფენომენმა დამატყვევა და კიდევ უფრო მეტად -- მარადიული დაბრუნების იდეამ. ირანისა და გილგამეშის გავლენა კიდევ უფრო შორს წავიდა, ჰამადანში, მიდიელთა ეკბატანში, მთვარიან ღამეს ერთ ქვის ლოდზე მეძინა. უეცარი აზრი დამეუფლა: ყველაფერი, რაც ხდება, გვეჩვენება, თითქოს უკვე ერთხელ მოხდა. ისევ მარადიული დაბრუნების იდეა, ახლა სხვანაირად იყო ნააზრევი: არა ერთის მარადიული დაბრუნება თავის თავისკენ, არამედ ერთეულში მარადიული დაბრუნება თავის თავისკენ“ [რობაქიძე გრ., 1989 ].

ნიცშეს კონცეფციის ინტერპირებული ფორმაა რობაქიძესთან ქართულ ხასიათში პარადოქსული ხასიათის განმსაზღვრელი დიონისეს ელემენტის ამოკითხვა („დიონისოს კულტი და საქართველო“), მასზე დაყრდნობით განიხილავს იგი საქართველოს პროვიდენციალურ ისტორიას [გომართელი ა., 1997: 105]. დიო-



ნისურია მწერალთან ქართველი კაცის ბედისწერისადმი დამოკიდებულებაც ( „ჭელენები და ქართველები“, „მცველნი გრალისა“, „ლონდა“), დიონისურ „გარდამავალ შემლილობას“ მზერს იგი ქართული ცეკვის რიტუალში [რობაქიძე გრ., 1916]. დიონისურია „გველის პერანგის“ მთავარი გმირის მიერ განცდილი „ბედის სიყვარული“ და მისი „სხუად ქცევა“ („გველის პერანგი“), თამაზისა და ლონდას თავგანწირვა („ლონდა“), სადაც მათი დიონისური ელემენტი შეუერთდა დიონისეს „დიდად ყოვლადობაში“, ვინაიდან „ამ პროცესში ერთგვარი მანია არის: შემლილობა, ლაგამახსნილობა, ალგზნება, ისეთი, რომ ამ მდგომარეობაში ადამიანი „სხვად“ იქცევა“ [რობაქიძე გრ., 1911]. მიზანი კი ეს იყო: „მხოლოდ ასეთი ალგზნებით შეიძლებოდა საპირადოს გადალახვა და თვითარსის გადასხმა სხვა ჭურჭელში“ [რობაქიძე გრ., 1911]. ნიცუმეს გავლენით შეიქმნა გერმანულ ენაზე „ჰიმნი ორფეოსისადმი“, როგორც ნ. გაგნიძე წერს, მარადიული ფორმებით შექმნილი ლექსი, სადაც რობაქიძე უმღერის მარადიულ გრძნობებს, ერთმანეთთან უწყვეტი ჯაჭვით გადასხმილს -- ვნებასა და სიხარულს, ტანჯვასა და დაცემას, აღდგომასა და განახლებას“ [გაგნიძე ნ., 2009: 36-37], ნიცუმეს გატაცებით დაწერა მწერალმა წიგნი „ფრიდრიხ ნიცუმე“ (გერმანულ ენაზე).

ასე რომ, რობაქიძე თავის მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს ძირითადად დიონისეს მითის მოდელზე აგებს, მაგრამ, გარკვეული ასპექტით, ეწინააღმდეგება „ზარატუსტრას“ ავტორის ხედვას. არსებით განსხვავებას მწერალი თავად გამოკვეთს: „ნიცუმე მიიღო დიონისოს მხოლოდ ესთეტიკური მხარე, მაშინ, როცა იგი პირველ ყოვლისა რელიგიური მოვლენაა“ [რობაქიძე გრ., 1917]. ნიცუმე ცდილობს, აჩვენოს მეტაფიზიკური ცნობიერების მატერიალური საფუძველი, რობაქიძე კი მეტაფიზიკურზე დაფუძნებულ ღვთიურ ელემენტს თვლის ადამიანის ცნობიერების საფუძვლად. კიდევ უფრო განსხვავდება რობაქიძის „ზეკაცი“ ნიცუმეს „ზეკაცისგან“.

1833 წელს დაწერილ „ასე იტყოდა ზარატუსტრაში“ ნიცუმე პირველად ახსენა „ზეკაცი“. ზეკაცის ფენომენით მან ფილოსოფიასა და, ზოგადად, მსოფლიო სააზროვნო სივრცეში მეტად საკამათო საკითხი დასვა. ფაქტობრივად, ნიცუმეს ზეკაცი ერთგვარი სიმბოლოა კულტურული და ანთროპოლოგიური რევოლუციისა.

„ასე იტყოდა ზარატუსტრას“ მიხედვით, ზეკაცი იბადება ძველი კულტურის ნგრევის საფუძველზე „ძველ“ ადამიანში დაბადებული ახალი ღირებულებებით. იგი იბადება, ერთი მხრივ, ნიჰილისტურ ეპოქაში და, ამავდროულად, იბრძვის ნიჰილიზმის წინააღმდეგ. ეს იმიტომ, რომ, როგორც დიმიტრი ველიაევი აღნიშნავს, ნიჰილიზმის გაგება ნიცუმესთან ორგვარია: „ნიჰილიზმი ძალა“ და „ნიჰილიზმი სისუსტე“. „ნიჰილიზმი ძალა“ უარყოფს მეტაფიზიკას, აბსოლუტურ მორალს, რელიგიას. ის არის ზეადამიანის სტატუსის მიღწევის ერთგვარი ეტაპი. „ნიჰილიზმი სისუსტე“ კი ემპირიული სამყაროს უარყოფა და იდეალურ სამყაროში დაბრუნებაა [ბელიაევი დ., 2012: 44-46]. ამდენად, არღვევს რა „ძველ ჩარჩოებს“, ადამიანში იბადება ზეადამიანი.

ახალი მორალის საფუძვლად ნიცუმე მიიჩნევს ღმერთის სიკვდილს. „ღმერთი მოკვდა“ ცენტრალური ნერტილია იმ ამბივალენტური წრისა, რომელიც დიონისური „დასაწყისისა“ და „დასასრულის“ კავშირით იკვრება. სწორედ აქედან ხდება შესაძლებელი ზეკაცის გამოჩენა. იგი ღვთაებრივ ღირებულებებს მოკლებული კაცია, რომელიც აზროვნებს და მოქმედებს მას შემდეგ, რაც „ღმერთი მოკვდა“. იგი საკუთარ თავში გადალახავს „ნიჰილიზმ-სისუსტეს“: „კაცი ისაა, რაც დაძლევადია“ [ნიცუმე ფრ., 1993: 41]. ზეკაცი თავად ხდება ღმერთი: „ღმერთი მოკვდა, ან გვსურს ჩვენ, რათა ზეკაცი ცხოვრობდეს“ [ნიცუმე ფრ., 1993: 213].

ასე რომ, ნიცუმეს ზეკაცი უღმერთო ადამიანია, რომელმაც რადიკალურად გადააფასა ღირებულებები, უარი თქვა ცხოვრების მეტაფიზიკურ საფუძველზე და დაამკვიდრა ახალი ფასეულობები. იგი წარმოადგენს ანთროპოლოგიურ სუბიექტს, რომლის არსში დაბადებულ ფასეულობებს არ აქვს უნივერსალური თვისებები.

ზარატუსტრას აზრით, ადამიანი ხიდია ზეკაცისკენ. ამისთვის სულის განვითარების სამი ეტაპია საჭირო -- „აქლემი“, „ლომი“ და „ბავშვი“. „აქლემი“ რელიგიური ფუნდამენტალიზმია, რომელიც ღვთის ბრძანებებს საკუთარ თავზე იღებს და საკუთარი არსებობის აზრს ამ ტვირთის ტარებაში ხედავს. „ლომი“ მეამბოხე მოაზროვნეა. იგი დადგენილ წესებს უმხედრდება და თვითდამკვიდრებისკენ მიისწრაფვის. „ბავშვი“ თავისუფალია, ჰარმონიაშია საკუთარ თავთან და სურვილებთან, თუმცა, გადის დრო და „ბავშვი“ „აქლემად“ იქცევა -- წრე იკვრება. ეს იმიტომ, რომ ზეკაცის თანმდევი ატრიბუტი დიონისური ტენდენციაა და, როგორც ფ. იუნგერი აღნიშნავს, ზეკაცი დიონისური ადამიანია ( თუმცა, ვფიქრობთ, ზარატუსტრაში დიონისე კარგავს იმ რომანტიკულ პათოსს, ესთეტიკურ ექსპრესიას, რომელიც მას ჰქონდა თხზულებაში „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“).

ზეკაცის თანმდევი ატრიბუტია დიონისე გრიგოლ რობაქიძესთანაც, მაგრამ, გერმანელი ფილოსოფოსის მთავარ „ნაკადზე“ დაყრდნობით, რობაქიძე ზეკაცს ღვთაებრიობის ასპექტში, „რელიგიური უნივერსალიტის“ რანგში მოიაზრებს. იგი „ცხადებაა შორეულისა და გაქრობა ქცეულის, ქცევაა და დაშლა „ქცეუ-



ლის“. იგი „ქცევარია“ თვითონ“ [რობაქიძე გრ., 1917]. დიონისურ ორგიაში ჩართული ინდივიდი „სხვად“ იქცევა „გონის მხრით“. ინდივიდუალობის ჩარჩოდან თავისუფალი მისი მეტაფიზიკური ცნობიერება ღმერთისკენ ილტვის და „თვითარსს“ ღვთაების „უპირობო ჭურჭელში ასხამს“. დიონისური რიტუალის ძირითადი სახეა „მსხვერპლი“, რომლის სული გარდამავალი შემლილობისას“ სცილდება სხეულს და ეზიარება ღვთაებას. „ამ სახის შემლილობაში საშინელი ძალა იზრდება, რომელიც არ იცის ყოველდღიურმა სიფხიზლემ. სხეულიდან თავისუფალი სული მზერს მას, რასაც მხოლოდ სულისთავნი ხედვენ“ [რობაქიძე გრ., 1917]. ეს არის „საპირადოს გადალახვა“, როცა ადამიანს „ენიჭება ქმედითი უნარი ქაოტურში ჩართვისა და მისი მოგვარებისა, ამ გზით ხდება იგი რჩეული“ [რობაქიძე გრ., 1996: 275].

ასე იბადება ზეკაცია, რომელიც კაცში შობილი დიონისეა. საკუთარ არსში მატერიალური ელემენტის დათრგუნვითა და თავის განირვით ზეკაცის ცნობიერება ღვთაებრივი სინმინდის ზიარი ხდება. თვითშენიშვნით ბადებს იგი თავის თავში ღმერთს. როგორც მწერალი ერთგან წერს, „მხოლოდ თავის შენიშვნით ძალუძს ადამიანს ზიარ იქნეს უზენაესის. მხოლოდ მსხვერპლად გაღებით შეერთვის იგი სამოსა ღვთისას“ [რობაქიძე გრ., 1926: 29]. დიონისური ორგის „მარად ქცევაში“ მონაწილე „სხეულისაგან თავისუფალი სული“ ათვალსაჩინოებს „მეს“. „მე“ უნდა გაიხსნას, უნდა გაირღვეს, არსი უნდა გადავიდეს ყოვლადში. პიროვნება უნდა ეზიაროს ზეპიროვნულს“ [რობაქიძე გრ., 1989: 353].

ასეთი ზეადამიანია „გველის პერანგის“ არჩიბალდ მეკეში. არჩიბალდ მეკეშს ხშირად ვხვდებით დიონისურ გარემოში. მისი ღვთაებისადმი მსხვერპლშენიშვნა რომანში სიმბოლოურია. „წინაპარში გადასული“, თეატრალიზებულ სანახაობაზე დიონისეს თანამგზავრი მენადების შემყურე, არაერთხელ დიონისური ღრეობის მსგავსი სუფრის თანამონაწილე თუ გველისტყავნიულადშემოხვეული, ხელახლა „იბადება“, „გონის მხრივ“ მეორე დაბადებას გაივლის და მამულის, მამის ძიებისა და პოვნის ფონზე მამაუზენაესის მწვდომი ხდება. მისი „პიროვანი“ არსი ზეპიროვნულის არსს სწვდება და „მის წინ იზრდება ზეკაცია ნამდვილი... რომლის გახელებას მზის ატეხა თუ შეედრება ამ ტიტველ კლდეებში და რომლის გულის სიმართლეს ბავშვი თუ ამხელს დედას რომ რძეს ეხვეწება“ [რობაქიძე გრ., 1989: 353].

ნიცშე ფიქრობს, რომ დიონისეს ფენომენი, მისთვის დამახასიათებელი ელემენტი ვრცელდება არამხოლოდ ტრაგედიის ღმერთზე, არამედ რეალურ ადამიანებზეც. სწორედ ასეთი, დიონისური ცხოვრების გზა განვლო თავად გრიგოლ რობაქიძემ, რომელიც საქართველოში დასავლური ტენდენციების შემომტანად იყო აღიარებული, დასავლეთში კი -- აღმოსავლური ეგზოტიკისა; დიონისური ექსტაზის თაყვანისმცემლად აცხადებდა თავს და თვითონ მუდამ თავდაჭერილი, სიტყვაძუნწი იყო; ვისაც ხშირად ეროტიზმით გამსჭვალული მხატვრული სიტყვა და ასკეტური პირადი ცხოვრება ჰქონდა; ვისთვისაც სამშობლო უმთავრესი ცნება იყო და ცხოვრების დიდი ნაწილი უცხო მხარეში გაატარა.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

1. გაგნიძე ნ., „ნიცშეს რეცეფცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში“, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, (ნაწილი I), თბ., 2009.
2. გომართელი ამ., ქართული სიმბოლისტური პროზა, თბ., 1997.
3. ნიცშე ფრ., „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, [გერმანულიდან თარგმნა ერეკლე ტატიშვილმა]. თბ., 1993.
4. რობაქიძე გრ., „ფრიდრიხ ნიცშეს გარშემო“ (ლექცია), გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911, N387.
5. რობაქიძე გრ., „ლეკური“, გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, N489.
6. რობაქიძე გრ., „დიონისოს კულტი და საქართველო“, გაზ. საქართველო, N243.
7. რობაქიძე გრ., „შელენები და საქართველო“, გაზ. საქართველო, 1917, N267.
8. რობაქიძე გრ., დრამები ( „ლონდა“, „მალშტრემ“, „ლამარა“ ), თბ., 1926.
9. რობაქიძე გრ., „ჩემი ცხოვრების გზა“, გერმანულიდან თარგმნა ლაშა ბაქრაძემ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 3 ნომბერი.
10. რობაქიძე გრ., „გველის პერანგი“, თბ., 1989.
11. რობაქიძე გრ., „ქართული გენია როკით განფენილი“, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, კრებული, თბ., 1996.
12. რობაქიძე გრ., Pro domo sua, გერმანულიდან თარგმნა მანანა კვიციანი, თბ., 2012.
13. Беляев Дм., К вопросу о понемании идеи сверхчеловека в философии Ф. Ницше, Теория и прфктика овщественого развития, 2012, № 4 ,стр. 42-44.
14. Филосософский энциклопедический словарь, М., 1960-70.





**ლ. ჯანგებაშვილი**

**ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიური ხედვის გრიგოლ რობაქიძისეული გააზრება  
რეზიუმე**

სტატიაში წარმოდგენილია ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიური ფორმების ინტერპრეტაცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში; ნაჩვენებია გერმანელი ფილოსოფოსისა და ქართველი მწერლის ხედვის მსგავსება და განსხვავება.

**L. Jangebashvili**

**Grigol Robakidze's View of Friedrich Nietzsche's Philosophical Vision  
Summary**

The article presents the interpretation of philosophical forms of Friedrich Nietzsche in the works of Grigol Robakidze; The author shows the similarities and differences in the views of the German Philosopher and Georgian writer.



**ჩვენი ავტორები:**

- ბესიკ ალადაშვილი** – გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი (გთსუ), პროფესორი  
**გელა ალადაშვილი** – გთსუ, პროფესორი  
**ნონა ახალაშვილი** – გთსუ, პროფესორი; საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**ირაკლი ბოჭორიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**ნინო ბოჭორიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი  
**ირინა გერსამია** – სსდ-ს სასწავლო ცენტრის I სამმართველოს ფსიქოლოგიური მომზადების და შერჩევის ჯგუფის უფროსი, განათლების დოქტორი  
**ალექსანდრე დაუშვილი** – ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, პროფესორი  
**დავით ვეკუა** – გთსუ, პროფესორი  
**მარიამ ზუბაშვილი** – თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, სტუდენტი  
**ქეთევან ზაქარეიშვილი** – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
**სიმონ თავართქილაძე** – გთსუ, პროფესორი  
**დავით კბილაძე** – გთსუ, ასოცირებული პროფესორი  
**ნიკო კვარაცხელია** – გთსუ, პროფესორი  
**ანა კობიაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი  
**გურამ კუტალაძე** – გთსუ, პროფესორი  
**ლაურა კუტუბიძე** – გთსუ, ასოცირებული პროფესორი  
**ლევან ლაზვიაშვილი** – ევრორეგიონალური სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**ზურაბ ლაოშვილი** – გთსუ, ასოცირებული პროფესორი  
**გივი ლობჟანიძე** – გთსუ, პროფესორი  
**ნინო ლომსაძე** – გთსუ, პედაგოგი  
**თამარ მერაბიშვილი** – გთსუ, პედაგოგი  
**მაია მიქელაძე** – გთსუ, ასოცირებული პროფესორი  
**თალიკო შვანია** – გთსუ, პროფესორი  
**ალგიდას ჟუკაუსკასი** – ვილნიუსის უნივერსიტეტი, პროფესორი  
**პაულ სანკესი** – იუსაიდის ექსპერტი სამხრეთ კავკასიაში  
**გიორგი სახოკია** – გთსუ-ს მონვეული ლექტორი, ასოცირებული პროფესორი  
**ლაშა ტაბატაძე** – გთსუ, ასისტენტ პროფესორი  
**თამარ ტუხაშვილი** – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
**თამარ ფანცულაია** – გთსუ, ასოცირებული პროფესორი  
**შენგელი ფიცხელაური** – გთსუ, პროფესორი  
**გივი ყუფარაძე** – გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, პროფესორი  
**ნინო ყუფარაძე** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**ეკატერინე შენგელია** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**ლია შენგელია** – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
**რომან შენგელია** – გთსუ, პროფესორი  
**დალი ჩიკვილაძე** – გთსუ, პროფესორი  
**ლია ჯანგებაშვილი** – გთსუ, ასოცირებული პროფესორი



## OUR AUTHORS:

- Besik Aladashvili** – Guram Tavartkiladze Teaching University (GTTU), Professor  
**Gela Aladashvili** – GTTU, Professor  
**Nona Akhalashvili** – GTTU, Professor; ST. Andrew the First-called Patriarchate University, Associate Professor  
**Irakli Bochorishvili** – Georgian Technical University, Assistant Professor  
**Nino Bochorishvili** – Georgian Technical University, Assistant Professor  
**Irina Gersamia** – Special State Protection Service of Georgia, Training Center, Group leader.  
**Alexandre Daushvili** – Scientific Centre for Historical, Ethnological, Religious Studies and Propaganda, Professor  
**Davit Vekua** – GTTU, Professor  
**Mariam Zubashvili** – TSU, Student  
**Qetevan Zaqareishvili** – East European University, Doctoral student  
**Simon Tavartkiladze** – GTTU, Professor  
**David Kbiladze** – GTTU, Associate Professor  
**Niko Kvaratskhelia** – GTTU, Professor  
**Ana Kobiashvili** – Georgian Technical University, Professor  
**Guram Kutaladze** – GTTU, Professor  
**Laura Kutubidze** – GTTU, Associate Professor  
**Levan Lazviashvili** – Euroregional Teaching University, Associate Professor  
**Zurab Laoshvili** – GTTU, Associate Professor  
**Givi Lobjanidze** – GTTU, Professor  
**Nino Lomsadze** – GTTU, Teacher  
**Tamar Merabishvili** – GTTU, Teacher  
**Maia Mikeladze** – GTTU, Associate Professor  
**Taliko Zhvania** – GTTU, Professor  
**Algidas Jukiauskas** – Vilnius University, Professor  
**Paul Sankess** – Expert of USAID in South Caucasus  
**Giorgi Sakhokia** – GTTU, Lector  
**Lasha Tabatadze** – GTTU, Assistant Professor  
**Tamar Tukhashvili** – ST Andrew the First-called Patriarchate University, Doctoral Student  
**Tamar Pantsulaia** – GTTU, Associate Professor  
**Shengeli Pitskelauri** – GTTU, Professor  
**Givi Kuparadze** – Grigol Robakidze University, Professor  
**Nino Kuparadze** – Tbilisi State Medical University, Associate Professor  
**Ekaterine Shengelia** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor  
**Lia Shengelia** – ST Andrew the First-called Patriarchate University, Doctoral Student  
**Roman Shengelia** – GTTU, Professor  
**Dali Chikviladze** – GTTU, Professor  
**Lia Jangebashvili** – GTTU, Professor



### სამეცნიერო შრომათა კრებულში გამოსაქვეყნებელი ნაშრომისათვის წყენებული მოთხოვნები

- ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე როგორც ელექტრონული, ისე ამობეჭდილი სახით;
- ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (მოცულობა – არაუმეტეს 1000 სიმბოლო) ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ნაშრომი უნდა შესრულდეს Microsoft Word-ში, ქართულენოვანი ტექსტი – Sylfaen, ინგლისურენოვანი – Times New Roman შრიფტებით;
- შრიფტის ზომა -12, ინტერვალი -1,15;
- ფურცლის ზომა A4, ველები: ზედა – 2.0 სმ, ქვედა – 2.0 სმ, მარცხენა – 2.5 სმ, მარჯვენა – 2.0 სმ;
- ნაშრომის მოცულობა რეზიუმეს ჩათვლით არაუმეტეს 10 გვერდი;
- ნაშრომში დამონებული წყაროებისა და ლიტერატურის მითითებისას გამოიყენება APA ციტირების ფორმა;
- ნახატები, გრაფიკები, სქემები და სხვა თვალსაჩინოება შესრულებული უნდა იყოს .JPG, .TIFF ფორმატში; ფორმულები – Microsoft Equation – ში;
- ნაშრომს უნდა დაერთოს ავტორის სრული სამეცნიერო ხარისხი და წოდება, დაკავებული თანამდებობა და საკონტაქტო რეკვიზიტები: მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა.

- ✓ ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი;
- ✓ კრებულში გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილ ნაშრომს განიხილავს შესაბამისი კათედრა/მომართულება და სათანადო რეკომენდაციით წარუდგენს სარედაქციო საბჭოს.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:  
**გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი**

მისამართი: 0101 – თბილისი, სამღერეთის N5

ტელ: /+99532/ 2661512; 577424277

ელ-ფოსტა: [likascienses@gmail.com](mailto:likascienses@gmail.com)

ვებ-გვერდი: [www.gttu.edu.ge](http://www.gttu.edu.ge)



### **Guidelines for Preparation a Paper for Publication in Volume of Scientific Works Paper style and format**

- The paper should be submitted either in Georgian or English in form of soft copy as well as in form of hard copy;
- The paper should be accompanied by an abstract (not more than 1000 symbols) in Georgian and in English languages;
- File format should be Microsoft Word; Font – *Times New Roman* for English and *Sylfaen* for Georgian texts.
- Font size – 12, line spacing -1,15;
- Paper size A4, margins: top – 2.0 cm, bottom – 2.0 cm, left – 2.5 cm, right – 2.0 cm;
- The paper, including the abstract, should be not more than 10 pages;
- The paper should adhere to APA referencing and citation style;
- Paintings, graphics, schemes and other image files should be done in JPG, TIFF Format; formulas – in Microsoft Equation;
- The paper should provide the information on author's academic degree and title, occupied position and contact details: address, telephone number, e-mail.

✓ The author is responsible for the authenticity of the material provided by him/her for publication.

✓ The material will be reviewed and evaluated by corresponding department/direction and presented to the editorial board with appropriate recommendation.

For further information, please, contact us:

Guram Tavartkiladze Teaching University

**Address: 5, Samgereti street, 0101, Tbilisi, Georgia**

Tel: /+99532/ 2661512; 577424277

E-mail: [likascienses@gmail.com](mailto:likascienses@gmail.com)

web-site: [www.gttu.edu.ge](http://www.gttu.edu.ge)



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)



